
ჩხარიშვილი
კვანტილაშვილი

პარტია და ლიტერატურა





გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1979

8Г2+8
899.962-1+80
ქ 443

ძველთაგული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის სკკპ XXIV და XXV ყრილობებმა სათანადო დადგენილებები მიიღეს. წინამდებარე კრებულში განხილულია ამ დადგენილებებთან დაკავშირებული მთელი რიგი აქტუალური საკითხები.

ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის ამოცანები გაშუქებულია ამ კრებულის სხვადასხვა წერილში, გამოთქმულია მოსაზრებანი მწერალთა ცვლის მომზადების ფორმებსა და საშუალებებზე.

ნაწილი წერილებისა ეძღვნება ქართული ლიტერატურის ზოგიერთ პრობლემას.

70202 — 184
К ——————— 348.79
М 601 (08).79

პარტიის XXV ყრილობა თანამედროვე ეტაპზე მხატვრული ლიტერატურის ამოცანების შესახებ

ჩვენს პარტიას იმთავითვე შემუშავებული ჰქონდა სალიტერატურო პოლიტიკა, რომელიც, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა დარგში მოქმედი პოლიტიკის მსგავსად, დროთა განმავლობაში, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად იცვლებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. იგი უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც სკკპ გახდა ქვეყნის მმართველი პარტია.

ტერმინი „სალიტერატურო პოლიტიკა“ არც ახალია და არც უჩვეულო, რადგან იგი სწორედ ასე იყო ჩამოყალიბებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის ცნობილ დადგენილებაში „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“. დადგენილების მთელი შინაარსი და სახელწოდება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ იმთავითვე არსებობდა და დღესაც არსებობს სალიტერატურო პოლიტიკა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ლიტერატურის განვითარებას, რომ გამდიდრდეს მისი იდეური და ცხოვრებისეული შინაარსი, განმტკიცდეს მისი კავშირი ცხოვრებასთან და ხალხთან, ამაღლდეს ლიტერატურის მხატვრული დონე და მილიონობით მკითხველზე შთამბეჭდავი ზემოქმედების ძალა, რათა იგი უფრო უკეთესად ახორციელებდეს სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის მაღალ მისიას.

ყოველ პარტიულ ყრილობაზე წარდგენილ საანგარიშო მოხსენებასა თუ რეზოლუციებში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველ დადგენილებაში, სადაც კი საკითხი საბჭოთა ლიტერატურას შეეხებოდა, ნათლად ჩანს პარტიის ზრუნვა ლიტერატურის ბედზე, ეპოქის შესატყვისი, უმთავრესი საკითხების წინა პლანზე წამოწევა და ისეთი გეზის შემუშავება, რომელიც მუდამ ხელს შეუწ-

ყობდა ჩვენი მწერლობის განვითარებას, მის მიერ ახალი შემოქმედებითი მიჯნების აღებას.

სხვა ადრინდელი პარტიული დოკუმენტების გვერდით სწორედ ასევე აღვიქვამთ პარტიის XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენების იმ მონაკვეთსაც, რომელიც საბჭოთა ლიტერატურას შეეხება. აქ მოცემულია მარქსისტული ანალიზი იმისა, რაც ბოლო წლების მანძილზე უკვე გაკეთებულია და გადაშლილია ნათელი პერსპექტივა, ნაჩვენებია გზები, რომელიც ჩვენს ლიტერატურას აქვს გასავლელი ახლო მომავალში. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ყველა წინა ყრილობისაგან განსხვავებით, პარტიის XXV ყრილობამ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საკითხები განიხილა არა მარტო ყველაზე უფრო ვრცლად, არამედ ამომწურავადაც, პროფესიონალურადაც, სიღრმითაც, ყოველმხრივადაც და შეგვაიარაღა ისეთი თეორიული დებულებებით, რომელთა შესწავლა და შემდგომ ცხოვრებაში განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც მხატვრული ლიტერატურის ყველა ჟანრის, ასევე ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებასაც. ამიტომ ამ დოკუმენტის ღრმად შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ჯერ კიდევ პარტიის XXIV ყრილობაზე ითქვა, რომ „პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს აგრეთვე ჩვენი ლიტერატურისა და ჩვენი ხელოვნების იდეურ შინაარსს, იმ როლს, რომელსაც ისინი საზოგადოებაში ასრულებენ. პარტიულობის ლენინური პრინციპის შესაბამისად ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია, რომ ყველა სახეობის მხატვრული შემოქმედების განვითარება წარგვემართა კომუნისტური მშენებლობის დიდ საყოველთაო-სახალხო საქმეში მონაწილეობისათვის[1]. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული საანგარიშო მოხსენების ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს პარტიის წარმმართველი როლი ლიტერატურის განვითარებაში და ისიც, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია ლიტერატურის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო ის შეფასებაც, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შრომას მისცა პარტიის XXIV ყრლობამ, როცა ისინი იდეოლოგიური ბრძოლის ერთერთ დაძაბულ უბანზე მოღვაწეებად მიიჩნია. იქვე გამოითქვა შეურიგებლობის პოზიცია ჩვენი იდეური იარაღის დაჩლუნგების წინააღმდეგ. ეს კი სრულიად კანონზომიერია, რადგან „საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა; ისინი ცხოვრობენ თავიანთი ხალხის საქმეებითა და ფიქ-

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 111.

რებით, მათი შემოქმედებითი ბედი განუყოფელია სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისაგან"[1].

არა მარტო იდეური გამართულობა და პარტიულობის პრინციპისადმი ერთგულება, არა მარტო ხალხის ინტერესების გამომხატველი შინაარსი და ცხოვრების მრავალფეროვნებათა ღრმა წვდომა, არამედ შემოქმედებითი ძიებაც, ნიჭის, ტალანტის ინდივიდუალობაც, ფორმისა და სტილის მრავალფეროვნებაც უნდა ავსებდეს და ამდიდრებდეს საბჭოთა ლიტერატურას. ამ საკითხების წარმატებით გადაჭრის სურვილი და მასზე ზრუნვა მთელი სისავსით გამოჩნდა პარტიის XXIV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში, სადაც ვკითხულობთ:

„ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ უურადღებით ვეკიდებოდეთ შემოქმედებითს ძიებას, რომ უფრო სრულად ვლინდებოდეს ნიჭისა და ტალანტის ინდივიდუალობა, მრავალფეროვანი და მდიდარი იყოს ფორმა და სტილი, რომლებიც შემუშავებულია სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე. პარტიული ხელმძღვანელობის ძალაა იმის უნარი, რომ გაიტაცოს ხელოვანი ხალხის სამსახურის კეთილშობილური ამოცანით, გახადოს იგი კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის მტკიცე და აქტიური მონაწილე"[2].

პარტიის XXIV ყრილობაზე ჩამოყალიბებული ამ ძირითადი დებულებების გახსენება იმითაც არის გამართლებული, რომ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომდევნო პერიოდში საბჭოთა ლიტერატურის წარმატებით განვითარებაში. ამიტომაც XXV ყრილობამ დაადასტურა ამ დებულებათა სისწორე და მათი დიდი მნიშვნელობა. „დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ XXIV ყრილობის მიდგომა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი სავსებით სწორი აღმოჩნდა. განვლილ წლებში კიდევ უფრო გააქტიურა საქმიანობა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, რომელსაც სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მნიშვნელობის საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმეში"[3].

მემკვიდრეობითობა XXIV და XXV ყრილობებს შორის, თანმიმდევრულობა პარტიის სალიტერატურო პოლიტიკაში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ამოცანათა დასახვის მეცნიერულად გააზრებული ხასიათი არის ერთ-ერთი თავისებურება ბოლო წლების სალიტერატურო პოლიტიკისა, რომელსაც პარტია ახორციელებს.

---

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 113.

2 იქვე, გვ. 113—114.

3 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976, გვ. 107—108.

საბჭოთა ლიტერატურის წინაშე პარტიის მიერ დასახული უველაზე სადღეისო და ახლო მომავლისათვის გამიზნული ამოცანების უმთავრესი ნაწილი ნათლად არის ჩამოყალიბებული პარტიის XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა. მასში პროფესიული ლიტერატურული მსჯელობა შერწყმულია პარტიულ პრინციპულობასა და იდეურობასთან. აქვე მთელი სისავსით ჩანს ზრუნვა ლიტერატურის ბედზე და საკითხების გაშუქების ახლებური კუთხე.

ავიღოთ, მაგალითად, თემატიკის საკითხი. ერთი შეხედვით, აქ თითქოს მინიშნებულია ოთხი ძირითადი თემა, რომლებსაც ჩვენს მწერლობაში სადღეისოდ წამყვანი ადგილი უჭირავს. მაგრამ, ჯერ ერთი, ამ ოთხ თემას აქვს მრავალი განშტოება და ვრცელი დიაპაზონი, მეორეც, ყოველი მათგანი ახლებურად არის გაგებული.

წინა პლანზე წამოწეულია ე. წ. „საწარმოო თემა“, დღეს მან ახალი ფორმა შეიძინა, ე. ი. ყურადღება გამახვილდა საწარმოო თემის ასახვისას ახალი ფორმის ძებნისა და მიგნების აუცილებლობაზე. აქ საჭიროა გავიხსენოთ ომისშემდგომი საბჭოთა ლიტერატურის ერთი თავისებურება: მაშინ ზოგი მწერალი თავის ნაწარმოებებში უპირატესად გვიჩვენებდა საწარმოო პროცესებს, ადამიანთა შრომის მხარეს, ხოლო თვითონ ადამიანი იჩქმალებოდა, იკარგებოდა მანქანათა ხმაურსა და დგანდგარში. სწორედ მაშინ გაჩნდა ტერმინი „საწარმოო თემა“, „საწარმოო რომანი“ და ა. შ. ვერ ვიტყვით, რომ ეს აქცენტი იმ ნაწარმოებთა ღირსებებზე მიუთითებდა. როგორც წესი, ისინი მშრალი და უფერული იყო. ასეთ ნაწარმოებთა უმეტესობაში დავიწყებული იყო უმთავრესი, რომ მხატვრულ ქმნილებაში უპირველესია ადამიანი თავისი სულიერი მრავალფეროვნებით, განცდებით, ფიქრებით, აზრებით, სიხარულითა და წუხილით.

დღეისათვის ე. წ. „საწარმოო თემა“ უშუალოდ უკავშირდება შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიერ აღძრულ პრობლემებს, ისიცაა ცნობილი, რომ ამ ტენდენციამ ღრმად გაიდგა ფესვი საბჭოთა მწერლობაში და შეიქმნა მთელი რიგი ნაწარმოებები, სადაც ღრმადაა განზოგადებული საქმიანობის რომელიმე სფეროში თანამედროვე ადამიანის სულიერი თვისებები, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები განაპირობებენ.

ახლა, პარტიის XXV ყრილობაზე ამ თემისადმი ახლებური მიდგომა გამოიხატა იმით, რომ ყურადღება გამახვილდა მხატვრულ

ფორმაზე, ე. ი. ლიტერატურის პროფესიულ თავისებურებაზე. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ეს საკითხი დაიყვანება ლიტერატურაში მშრომელი ადამიანის დახატვის მოთხოვნამდე, ოღონდ იმ პირობით, რომ მშრომელ კაცზე შექმნილი ნაწარმოები უეჭველად მაღალმხატვრული უნდა იყოს.

აბა, დავუკვირდეთ, ბოლო წლებში ცოტა როდი იწერება მეტალურგებზე, დაზგათმშენებლებზე, მევენახეებზე, მეჩაიეებზე და მრავალი სხვა პროფესიის ადამიანებზე. ქართულ ლიტერატურაში აისახა ენგურჰესის მშენებელთა ცხოვრება და გარჯა, ბამელთა შემართება და ა. შ. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენს ჟურნალებსა და გაზეთებში გაჩნდა რუბრიკა „მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“. ამავე სერიით სცემენ წიგნებს ჩვენი გამომცემლობები. ქართველი მწერლები ხშირად არიან კახეთის ზვრებში თუ აჭარა-აფხაზეთის მეციტრუსეებთან, გურიის მეჩაიეებთან, ქართლის მებაღეებთან, მთიანი საქართველოს მეცხოველეებთან, უველგან, სადაც მშრომელი ადამიანი თავისი გარჯით ამდიდრებს ჩვენს დოვლათს, აყენებს მოსაველის ხვავს. მწერალთა ასეთი კონტაქტები სასურველ ნაყოფს იძლევა. უკვე შეიქმნა მრავალი ჭეშმარიტად ღირებული ნაწარმოები, რომლებშიც ე. წ. „საწარმოო თემა“ მშვენივრად აისახა.

ამრიგად, დღეს „საწარმოო თემამ“ შეიძინა ახალი ჟღერადობა, იგი გახდა მშრომელი ადამიანის ცხოვრების ჩვენების, მისი სულიერი სამყაროს მხატვრულად სრულყოფილი დახატვის შინაარსის შემცველი ტერმინი, მან ჩამოიშორა „მშრალი“ თხრობის, აღწერილობითი ელფერის შინაარსი.

თუ გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა „შრომის ახსნის“ მოთხოვნა, ხოლო ოქტომბრის რევოლუციამ პრაქტიკულად განახორციელა ეს დიდი ამოცანა, სოციალიზმის პირობებში საბჭოთა ლიტერატურა უკვე „ახსნილი შრომის“ მომღერალი და მეხოტბეა. ეს კი იმიტომ, რომ თავდადებული შრომის გარეშე შეუძლებელია ჩვენი საზოგადოების განვითარება, შეუძლებელია კომუნიზმის შენებაც. ამ შეგნებით და ამ ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი მწერლობა მუდამ დაინტერესდება ე. წ. „საწარმოო თემით“, მისი მხატვრული ასახვით.

საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ თემად კვლავ რჩება დიდი სამამულო ომის თემა, მტერზე გამარჯვებაში საბჭოთა ხალხის მასობრივი გმირობის დახატვა. სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან, ჯერ ერთი, ეს არის თვითონ ფაქტის დადასტურება, რომ სამ ათეულ წელზე მეტია სამამულო ომის თემა ასაზრდოებს საბჭოთა ლიტერატურას, მეორეც, იგი ისევ და ისევ ამოუწურავი და მიმ-

ზიდველია. პარტიის XXV ყრილობაზე მინიშნებულია, რომ ეს თემა მომავალშიც გაშუქდება საბჭოთა ლიტერატურაში. მართლაც, დიდი სამამულო ომის თემა ამოუწურავია არა მარტო საერთოდ მრავალეროვანი დიდი საბჭოთა ლიტერატურისათვის, არამედ ცალკეული მწერლებისთვისაც. ამისი დადასტურებაა მაგალითი კ. ლორთქიფანიძისა, რომელმაც ადრე ამ თემაზე შექმნა რამდენიმე ნაწარმოები, ხოლო სულ ახლახანს მან კვლავ გამოაქვეყნა ახალი ნოველა „მოვედ სინათლე...“, რომელშიც ომი ახალი კუთხით არის ნაჩვენები. ცხადია, ამ საქმეში კ. ლორთქიფანიძე მარტო არ არის, მას მხარში უდგანან ქართველი მწერლებიც და სხვა საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა წარმომადგენლებიც.

მეტად საინტერესოა, რაც სამამულო ომის თემის შესახებ ითქვა პარტიის XXV ყრილობაზე. აქ კარგად ჩანს ამ თემის მნიშვნელობის ორი მთავარი მხარე: ნაწარმოებთა „გმირებთან ერთად ომის მონაწილენი თითქოს კვლავ მიაბიჯებენ საფრონტო გზების ცხელ თოვლში, კვლავ და კვლავ ქედს იხრიან თავიანთი ცოცხალი და დაღუპული თანამებრძოლების სულიერი ძალის წინაშე“. ასეთია ამ თემის ასახვის მნიშვნელობა უფროსი თაობის ადამიანებისათვის. „ახალგაზრდა თაობა კი ხელოვნების სასწაულებრივი მოქმედებით ხდება თავისი მამების ან იმ სულ ახალგაზრდა გოგონების გმირობის თანამონაწილე, რომლებისთვისაც წუნარი გარიჟრაჟი სამშობლოს თავისუფლებისათვის მათი უკვდავი გმირობის ჟამი გახდა“[1]. ასეთია ამ თემის მნიშვნელობა ახალგაზრდობისათვის.

სამამულო ომის თემის წარმატებით და სწორად ასახვა, მასზე მაღალმხატვრული და შთამბეჭდავი ნაწარმოებების შექმნა ხელს უწყობს ადამიანებში საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის აღზრდას, რაც ერთ-ერთი დიდი მოვალეობაა საბჭოთა ლიტერატურისა. სხვა მრავალი კეთილი გრძნობის გვერდით პატრიოტიზმის გრძნობას ადამიანის სრულყოფილებაში წამყვანი ადგილი უკავია. ამ საპატიო მისიას კი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა პირნათლად ასრულებს.

აშკარა და გასაგებია, რომ ადამიანებში პატრიოტული გრძნობის აღზრდა მხოლოდ სამამულო ომის მხატვრული გაშუქებით არ მიიღწევა; მაგრამ სამამულო ომის სახელოვანი ფაქტებისა და მოვლენების ჩვენებით, მილიონობით საბჭოთა ადამიანის უჩვეულო გმირობის დახატვით მკითხველთა გულში ღვივდება კანონიერი სიამაყის გრძნობა, სიყვარულის გრძნობა საკუთარი ხალხისა და სამშობლოსადმი. ამ სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანები კი ჭეშმარიტი პატრიოტები ხდებიან.

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976 წ., გვ. 108.

საბჭოთა პატრიოტიზმი თვისებრივად ახალია, რადგან მასში იგულისხმება მრავალეროვანი ქვეყნის სიყვარული და მისთვის თავდადება. ეს გარემოება კი საბჭოთა პატრიოტიზმს მატებს ინტერნაციონალურ შინაარსს, საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის შინაარსს. ამით და ამის საფუძველზე საბჭოთა პატრიოტიზმი მაღალი საფეხურია პატრიოტიზმის ძველ გაგებასთან შედარებით, რომელიც ერთეროვანი სახელმწიფოების მოქალაქეთა პატრიოტიზმს ახასიათებდა.

პატრიოტიზმის გრძნობის გასაღვივებლად საბჭოთა ლიტერატურა მიმართავს როგორც თანამედროვე ცხოვრების საუკეთესო, მისაბაძი მაგალითების განზოგადებულ ჩვენებას, ასევე ისტორიული წარსულის სანიმუშო ფაქტებისა და მოვლენების დახატვას. აქ კი შეირჩევა ისეთი მოვლენები და ფაქტები, რომლებიც ჩვენს თანამედროვეობას ეხმიანება და ისინი შუქდება ისეთი თვალთახედვით, რომ თანამედროვეობის სამსახურში ჩავაყენოთ. და თუმცა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში წამყვანი ადგილი ეთმობა თანამედროვე ცხოვრების ასახვას, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ისტორიული წარსულის სასურველი დახატვის შესაძლებლობას, პირიქით, გარკვეული შეფარდებით მათი დაწყვილება გაცილებით მეტ შედეგს იძლევა მკითხველებში პატრიოტული გრძნობის აღზრდის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ყოველი ერი ამაყობს სახელოვანი წინაპრების დიდი საქმეებით, მათში ხედავს ახალი თაობებისათვის მისაბაძ მაგალითს. ვისაც სახელოვანი და მდიდარი ისტორია აქვს, ის ზურგს არ შეაქცევს და არ უარყოფს მას ისევე, როგორც ღირსეულ მშობლებს არ დაივიწყებს კარგი შვილი.

ჩვენი თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად მიჩნეულია მორალის, ზნეობის თემა. ამის შესახებ პარტიის XXV ყრილობაზე ითქვა, რომ მორალის, ზნეობრივი ძიების თემის გაშუქება, რასაც ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ბევრი ძალღონე მოახმარეს, მოწონებას იმსახურებსო. ეს მოწონება იმის საწინდარია, რომ საბჭოთა ლიტერატურა მომავალშიც განაგრძობს ამ რთული და ამოუწურავი საკითხის მხატვრულ კვლევას. მსოფლიოს უდიდესი მწერლები თავიანთს შემოქმედებით ენერგიას ყოველთვის სწორედ ადამიანის სულის სიღრმეების, მისი მორალური და ზნეობრივი სამყაროს ძიებას ანდომებდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის უპირველესი თემა მწერლობისა, ეს არის ლიტერატურის პური. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ თუ შექსპირის „ჰამლეტში“, გოეთეს „ფაუსტსა“ თუ ლევ ტოლსტოის „ანა კარენინაში“, შილერთან თუ დოსტოევსკისთან, ბალზაკთან თუ ჰიუგოსთან — ყველა დიდ მწერალთან მორალისა და ზნეობის თემას,

ამ ურთულესსა და სათუთ პრობლემას წამყვანი ადგილი ეკავა. და რაკი საბჭოთა ლიტერატურა კანონიერი მემკვიდრეა ყველაფერი საუკეთესოსი, რაც კაცობრიობას შეუქმნია, ბუნებრივია, რომ ამ პრობლემატიკასაც იგი უყურადღებოდ არ დასტოვებდა. ოღონდ აქ მთავარი ისაა, რომ ჩვენს ლიტერატურაში ეს პრობლემაც მხატვრულად ასახულია ახალი პოზიციიდან, კომუნისტური მორალის პოზიციიდან.

პარტიას ჩვენი მწერლების ერთ-ერთ დამსახურებად ის მიაჩნია, რომ „ისინი ცდილობენ მხარი დაუჭირონ ადამიანის საუკეთესო თვისებებს, მის პრინციპულობას, პატიოსნებას, გრძნობების სიღრმეს და, ამასთან, ხელმძღვანელობენ ჩვენი კომუნისტური ზნეობის ურყევი პრინციპებით“[1]. ამ შეფასებაში მკაფიოდ ჟღერს ის ადგილი, სადაც მახვილი მოდის პრინციპულობაზე, პატიოსნებასა და გრძნობების სიღრმეზე — კომუნისტური ზნეობის ამ ურყევ პრინციპებზე, რაც ამავე დროს არის კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის პრინციპებიც. ცხადია, ადამიანთა ამ თვისებების მაღალოსტატური ჩვენება ადრეც ამდიდრებდა ლიტერატურას, მაგრამ ახლა იგი კიდევ უფრო აამაღლებს და თვისებრივად გაამდიდრებს ჩვენს მწერლობას.

მილიონობით მკითხველში ჩვენი ლიტერატურა ზრდის კიდევ ერთ საუკეთესო გრძნობას. ეს არის მშვიდობისა და ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობის აღზრდა. ამაში ერთ-ერთ თავის გამოხატულებას ჰპოვებს ჩვენი ლიტერატურის ჰუმანიზმისა და პროგრესულობის საფუძვლები. არა მტრობა და შუღლის გაღვივება, არამედ ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის გრძნობის გაღვივება არის დამახასიათებელი, ორგანული თვისება სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის, ეს თვისება უპასუხებს მაღალ საკაცობრიო იდეალებს, მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების უმაღლეს მიზანს.

პარტიის XXV ყრილობაზე ითქვა: „ჩვენი ხელოვნების ოსტატებისათვის, მწერლებისათვის, პოეტებისათვის შთაგონების წყაროა ისეთი დიდმნიშვნელოვანი, კეთილშობილური თემაც, როგორიცაა მშვიდობისათვის, ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა, მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა ამ ბრძოლაში“[2]. აქ არა მარტო მოწონებაა, არამედ მოწოდებაც, რომ მშვიდობისა და ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის თემა ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთ წამყვან თემად დარჩეს მომავალში. ამ მეტად მნიშვ-

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976 წ., გვ. 109.

2 იქვე.

ნელოვან და კეთილშობილურ თემას საბჭოთა მწერლები ხალისით ჰკიდებენ ხელს.

როგორც დავინახეთ, ჩვენი ლიტერატურის სადღეისო და სახვალიო თემებად პარტიას უპირატესად ეს თემები მიაჩნია. თუ ღრმად დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მათი ჯეროვან დონეზე ასახვა ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის საუკეთესო თვისებების გამომუშავებას — შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, ხასიათის სიმტკიცეს, პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, სულიერ სიმდიდრეს და ა. შ. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის კეთილშობილური და ჰუმანისტური მოვალეობა ხომ სწორედ ეს არის, რომ ხელი შეუწყოს ყოველმხრივ განვითარებული, მაღალიდეური, მიზანსწრაფული, კეთილშობილი ადამიანის აღზრდას, ყველაზე მოწინავე, ყველაზე ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებას.

პარტიის XXV ყრილობაზე ერთხელ კიდევ ითქვა, რომ „ყოველი ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობის მთავარი კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად მისი იდეური მიმართულებაა“. ეს დებულება სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ერთ-ერთი საყრდენი დებულებაა, მასში გამოვლინდება როგორც ჩვენი მწერლობის პარტიულობის პრინციპი, ასევე კომუნისტური იდეურობაც.

ცნობილია, რომ რეალისტური ლიტერატურის ღირსება მუდამ განისაზღვრებოდა ორ უმთავრეს კითხვაზე გაცემული პასუხით. ესენია: რა? და როგორ? ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, თუ რა ასახა ლიტერატურამ და როგორ, რა ფორმით, რა მხატვრული საშუალებებითა და ოსტატობით თქვა სათქმელი. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში საკითხი რა ზუსტდება იდეური პოზიციის ნათელი, ცხადი გარკვეულობით, თემატიკითა და პრობლემატიკით, ხოლო საკითხი როგორ არის უფრო სათუთი და მრავალფეროვანი, მისი გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება მწერლის ინდივიდუალურ ნიჭსა და ტალანტს, კაცობრიობის მიერ მიღწეული დონის შეთვისების საფუძველზე, ახალი, ორიგინალური ფორმების მიგნების უნარს. აქ ვლინდება მხატვრული ოსტატობის მთელი არსენალი, მისი გამოყენების ცოდნა და უნარი.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას უეჭველად მოეთხოვება ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი. ამის გარეშე მას გაუჭირდებოდა იმ მისიის შესრულება, რომელიც მას აკისრია. ცხოვრებისეული მოვლენების სიღრმეთა მხატვრული კვლევა შეუძლებელია თვით ცხოვრების ღრმა ცოდნის გარეშე. ეს კი ცხოვრებას-

თან მჭიდრო კავშირს აუცილებლად გულისხმობს. ამ მოთხოვნას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აყენებდნენ რუსი რაზნოჩინელები და ქართველი სამოციანელები. ჩვენმა ეპოქამ კი მას ახლებური, დროის შესაფერი ჟღერა შესძინა. პარტიის XXV ყრილობაზე მოწონებულ იქნა მწერალთა მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან — დიდ მშენებლობებზე, საწარმოებსა და მეურნეობებში მწერალთა ხანგრძლივი მივლინებები, მათზე შეფობა, იქ მომუშავე ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა, ახლის გაცნობა. ასეთი კავშირის შემდგომ განმტკიცებას პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ამაში ხედავს ჩვენი დიადი დღევანდელობის მხატვრული ასახვის საუკეთესო გარანტიას. ასეთი კავშირურთიერთობა ამდიდრებს თვითონ ლიტერატურას და ამავე დროს ხელს უწყობს მწერალთა შემოქმედებითს მიღწევებთან მილიონობით ადამიანის დაკავშირებას, მასების მიერ კულტურულ ღირებულებათა შემდგომი ათვისების პროცესს.

რაც ზემოთ ითქვა, უმეტესად ეხებოდა იმის გარკვევას, თუ რა იდეურ საფუძვლებს ემყარება სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, რა თემებითა და შინაარსით ივსება ის წყალუხვი მდინარე, რომელსაც დიდი საბჭოთა ლიტერატურა ჰქვია. მაგრამ რა მდიდარიც უნდა იყოს მწერლობის ეს მხარე, მაინც შეუძლებელია მხატვრული ლიტერატურის სრულყოფილებაზე ლაპარაკი, თუ ჯეროვნად არ გადაწყდა მხატვრული ოსტატობის საკითხი, რაც ლიტერატურის სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს. მაღალი იდეების ოსტატური მხატვრული ჩვენება და ამ ორი საწყისის გაერთიანების შედეგად მიღებული ნაზავი თუ შენადნობი იძლევა იმ შედეგს, რაც ლიტერატურას მოეთხოვება ადამიანთა გონებასა და სულზე ერთდროული ზემოქმედებისათვის.

შემთხვევითი არ არის, რომ პარტიის XXV ყრილობაზე ამხ. ლ. ბრეჟნევმა ნიჭიერ ნაწარმოებს ეროვნული სიმდიდრე უწოდა. ეს კვალიფიკაცია ჭეშმარიტად გამოხატავს საუკეთესო აზრს და შთაგონებს ნამდვილად ნიჭიერ მწერლებს, რომ მათი შრომის ნაყოფი საყოველთაოა და აღიარებას პოვებს. ეს აზრი ჭეშმარიტ შემოქმედს მატებს შრომის ხალისს, რაც წარმატებათა ერთ-ერთი საწინდარია.

იყო დრო, მაგალითად, ოციან წლებში, როცა უპირატეს მოთხოვნებს უყენებდნენ ლიტერატურული თხზულების იდეურ მხარეს. ზოგჯერ ეს მხატვრული ოსტატობის ხარჯზეც ხდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ თავისებურებათა გამო. პარტია მუდამ ეწეოდა თანმიმდევრულ მოღვაწეობას იმისათვის, რომ მაღალიდეურობასთან ერთად ლიტერატურა მაღალოსტატურიც გამხ-

დარიყო. ასეთმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო, ხოლო ჩვენს ეპოქაში ეს უფრო თვალსაჩინო გახდა. შინაარსის შესატყვისი ფორმის ძიება და მიგნება საბჭოთა მწერლის აუცილებელ მოთხოვნად იქცა. პარტიის XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ეს საკითხი მკაფიოდ გამოიკვეთა. მასში დაგმობილია ლიტერატურისადმი გაუბრალოებული მიდგომა, გატარებულია აზრი მხატვრულ ლიტერატურაში ფორმათა მრავალფეროვნებისა და სტილის ინდივიდუალობის სასარგებლოდ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ პრინციპების დარღვევის შემთხვევებს, ე. ი. შემოქმედებისადმი გაუბრალოებულ მიდგომას პარტია გვერდს ვერ აუვლის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ ეტაპზე მომწიფებულია ნიადაგი იმისათვის, რათა ნაწარმოების იდეური მიმართულების კრიტერიუმის გვერდით და თანაბრად მოვითხოვდეთ მხატვრული სრულყოფილების კრიტერიუმსაც. მხოლოდ ასეთ მოთხოვნებს აყენებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი თანამედროვე პირობებში.

მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკის, მ. შოლოხოვის, ა. ფადეევის, ლ. ლეონოვის, ა. ტვარდოვსკის, ნ. ტიხონოვის, რ. გამზატოვის, პ. ტიჩინას, მ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძისა და მრავალი სხვა მწერლის მიერ შექმნილია მყარი და საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მაღალიდეურობისა და მაღალი მხატვრული ოსტატობის საუკეთესო სინთეზი. ამ მწერალთა მიღწევებმა მოამზადეს ნიადაგი იმისათვის, რათა მწერალთა ახალმა თაობებმა კიდევ უფრო მაღალ მწვერვალებს მიაღწიონ. სასიხარულოა, რომ ეს ასეც ხდება. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მწერალთა შედარებით ახალი თაობების მრავალი წარმომადგენელი, რომელთა შემოქმედება ემყარება სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, რომელიც კი არ გამორიცხავს, არამედ შეიცავს და გულისხმობს მწერალთა ინდივიდუალური მანერისა და სტილის მრავალფეროვნებას და უკვე გამორჩევა შესანიშნავი მიღწევებით.

პარტიის XXV ყრილობაზე, ბუნებრივია, ყურადღება გამახვილდა მწერლის ნიჭიერებაზე, ნიჭისადმი მზრუნველ დამოკიდებულებაზე: „ნამდვილი ნიჭი იშვიათად გვხვდება. ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეა“. და აქედან ცხადია, რომ ეროვნულ სიმდიდრეს გაფრთხილება და მოვლა სჭირდება. ეს სიტყვები ძალზე მახლობელი და ნაცნობია ჩვენთვის, ქართველთათვის, ვისაც დიდი ხანია ყურში გვესმოდა შგოსნის სიტყვები „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“. პარტია მოგვიწოდებს ვაფასებდეთ ნიჭს! ეს მეტად სასიამოვნო ფაქტია.

ლიტერატურული ახალგაზრდობისათვის მეტად სასიხარულო და აღმაფრენის მიმნიშებელია პარტიის XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენების ის ადგილი, სადაც სიხარულით არის აღიარებული ახალგაზრდა თაობის წვლილი მწერლობაში: „მოხარული ვართ, რომ სულ უფრო მტკიცედ შემოდის ცხოვრებაში ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა“. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, უდავოა, ახალ ასპარეზს გადაუშლის ჩვენს შემოქმედებით ახალგაზრდობას, რომელიც თავის ენერგიას და ნიჭს არ ზოგავს ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყრობად. ზემოთ მოტანილი ციტატა სამწერლო ორგანიზაციებსა და, მათთან ერთად, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე ახლებურად აყენებს საკითხს, თუ როგორი ყურადღებით უნდა ვეკიდებოდეთ ჩვენს შემოქმედებით ახალგაზრდობას, რომელიც თავისი მიღწევებით განსაზღვრავს ხვალინდელი ლიტერატურისა და ხელოვნების ბედს.

ე. წ. „ჰომო ფაბერებისათვის“, ვინც ტექნიკის უსაზღვრო განვითარების პირობებში და ცხოვრების სწრაფი ტემპისა და რიტმის ეპოქაში გამორიცხავს ან აკნინებს ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობას ადამიანისათვის, იმათთვის, ვინც დავობდა „ფიზიკისა და ლირიკის“ ადგილის შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში და ცალმხრივად „ფიზიკოსებს“ უჭერდა მხარს, მათ გასაგონად პარტიის XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ერთხელ კიდევ სრულიად გასაგებად და ამომწურავად ითქვა, რომ არასოდეს ფერმკრთალდება ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობა და ადგილი ადამიანის ცხოვრებაში: „...ჩვენ კარგად ვიცით, რომ მხატვრული სიტყვა, ფერების ელვარება, ქვის გამომსახველობა, ბგერების ჰარმონია შთააგონებენ თანამედროვეებს და შთამომავლობას გადასცემენ სულისა და გულის ხსოვნას ჩვენი თაობის, ჩვენი დროის, მისი ავ-კარგისა და მიღწევების შესახებ“. ზუსტი შეფასებაა. ერთი მხრივ, თანამედროვეთა შთაგონება, მეორე მხრივ, შთამომავლობისათვის ჩვენი საქმეების გადაცემა — ეს ორი ფუნქცია ცოტა როდია. ეს არის ჩვენს საზოგადოებაში ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგის მნიშვნელობისა და ადგილის აღიარება, მისი როლისა და მნიშვნელობის მაღალი შეფასება, რაც ყოველ შემოქმედს მატებს ძალასა და ენერგიას, ფრთებს ასხამს ახალი ძლიერი შემოქმედებითი წარმატებების მოსაპოვებლად.

როგორც დავინახეთ, პარტიის XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ლიტერატურის საკითხებს, მოგვცა მათი ყოველმხრივი შეფასება, განსაზღვრა სადღეისო და სახვალიო ამოცანები,

რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ლიტერატურის კიდევ უფრო გამდიდრებას, მისი იდეური შინაარსის ამაღლებასა და მხატვრული ფორმების გამრავალფეროვნებას.

•

პარტიის XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას არაერთხელ იყო მითითებული, რომ საბჭოთა ლიტერატურის განვითარება მუდამ ემყარებოდა და დღესაც ემყარება სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, რომელიც ერთადერთი სწორი შემოქმედებითი მეთოდია. იგი მწერლებს უჩვენებს და უნათებს ისეთ შემოქმედებით გზას, რომელსაც იცნობი ახალი წარმატებებისაკენ მიყავს.

ჩვენი ღრმა რწმენით, შეუძლებელია განვიხილავდეთ ლიტერატურის წინაშე დღეანდელ ეტაპზე მდგარი ამოცანების საკითხებს ისე, რომ მწყობრი წარმოდგენა არ გვქონდეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდზე, რომელიც მოიცავს მრავალ რთულ თეორიულ და პრაქტიკულ-შემოქმედებით პრობლემას. ვფიქრობთ, ზოგიერთი მათგანის აქ განხილვა ხელს შეუწყობს ჩვენს ნაშრომში დასმული საკითხის გარკვევას. ამიტომ განვიხილავთ სოციალისტური რეალიზმის ზოგიერთ საკითხს.

სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდია. იგი ჩაისახა რუსეთის პირველი რევოლუციის ეპოქაში, როცა ძირითად შემოქმედებით მეთოდად მოქმედებდა კრიტიკული რეალიზმი. ორმა გარემოებამ — მასების რევოლუციურმა მოძრაობამ, რაც ლიტერატურაშიც პოვებდა ასახვას, და კრიტიკული რეალიზმის შემართებამ, სინამდვილისადმი ერთგულებამ — განაპირობა ის უმთავრესი თავისებურებები, რაც სოციალისტურ რეალიზმს ახასიათებდა ჩასახვის პერიოდში. შემდეგში, ცხადია, ეს მეთოდიც განიცდის განვითარებისა და სრულყოფის პროცესს, ხოლო საბჭოთა სინამდვილეში იგი საბოლოოდ გამოკვეთს საკუთარ სახეს.

ჩასახვის პერიოდში, ე. ი. 1905—1907 წლების რევოლუციის ეპოქაში, სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, როგორც კრიტიკული რეალიზმის წიაღში წარმოშობილსა და მის პირმშოს ბევრი რამ ჰქონდა საერთო თავის წინამორბედთან. მათგან უმთავრესი, რასაკვირველია, იყო რეალური სინამდვილის ასახვისადმი ერთგულება, რაც ცხოვრებისეული მოვლენებისა და ფაქტების გარკვეულად ჩამოყალიბებული იდეური პოზიციიდან შეფასებას, ე. ი. ტენდენციას გულისხმობდა. მაგრამ ამ საერთოს მიუხედავად, ახალ

მეთოდს, რომელიც ის-ის იყო იბადებოდა, უეჭველად მკაფიოდ გამოხატული საკუთარი თვისებაც ახასიათებდა: კრიტიკულად ასახავდა რა არსებულ ცარისტულ-კაპიტალისტურ რეჟიმს რუსეთში, მკითხველს მიუთითებდა ორგანიზებული ბრძოლის გზასაც და ნათელ გეზს, რომ დამარცხებული საზოგადოებრივი წყობილების ნაცვლად უნდა აშენებულიყო სწორედ სოციალისტური საზოგადოება. ეს კი ემყარებოდა მწერლის სოციალისტურ იდეოლოგიას, რაც ასე ახალი და ეპოქის შესატყვისი იყო და რომელიც კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს არ გააჩნდათ.

ავიღოთ მაქსიმ გორკის „დედა“ და მასში ნაჩვენები სინამდვილე. რომანში ასახულია მუშათა კლასის ორგანიზებული ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ, მის დასამხობად. პავლე ვლასოვი და მისი ამხანაგები შეკავშირებულან, ისინი ორგანიზებულად მოქმედებენ და მათ ბრძოლას წარმართავს ბოლშევიკთა პარტია. თანდათანობით იცვლება და რევოლუციური შეგნებით მაღლდება პავლეს დედა პელაგია ნილოვნაც, რომელიც ბოლოს ბრძოლის დროშასაც ააფრიალებს. რომანის მთავარი გმირები არიან პროლეტარები, რომლებიც საბრძოლველად გამოსულან, რათა დაამხონ ცარიზმისა და კაპიტალიზმის ბატონობა და მათ ნანგრევებზე ააშენონ სოციალისტური წყობილება. ეს გამოკვეთილი მიზანი, რომელიც აღმოცენებული და დაფუძნებულია სოციალისტურ იდეოლოგიაზე, უცხო იყო კრიტიკული რეალიზმის ყველაზე მკაფიო წარმომადგენლებისთვისაც კი, რომლებიც გვიხატავდნენ მძაფრ კლასობრივ ბრძოლას ყმასა და მებატონეს შორის, ღატაკსა და მდიდარს შორის. იმ მებრძოლებს წარმოდგენილი სულაც არ ჰქონდათ, თუ დამარცხებული წყობილება რით უნდა შეეცვალათ. ამას ისიც ემატებოდა, რომ თვით ბრძოლის მეთოდიც არ იყო ბოლომდე გააზრებული და ატარებდა არაორგანიზებულ, სტიქიურ ხასიათს.

ქართულ ლიტერატურაშიც სოციალისტური რეალიზმის პირველი ყლორტები თითქმის იმავე დროს აღმოცენდა, როგორც რუსეთში. 1905—1907 წლების რევოლუციამ დიდი ძვრები მოახდინა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროლეტარიატის გვერდით საბრძოლველად დაირაზმა უღარიბესი გლეხობაც. მათ გვერდში ამოუდგა ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი. რევოლუციის ხანძარი მოედო საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. ამ ფაქტებს არაერთხელ აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლებს. ამ სოციალურმა და პოლიტიკურმა ძვრებმა სიახლე-

ები შეიტანა რამდენიმე ლიტერატურაშიც, რომელმაც ახლებურად, ახალი თვისობრიობით ასახა რევოლუციის ეპოქა.

ეს ბრძოლები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა ირ. ევდოშვილის რევოლუციურ პოეზიაში, რომელშიც სწორედ ამიტომ ასე უტყუარად მოჩანს სოციალისტური რეალიზმის ჩანასახი. აქაში ვგულისხმობთ არა მარტო იმას, რომ პოეტის ლექსებში ასე ხმამაღლა ისმის ბრძოლის ყიჟინა, ნაჩვენებია შეტაკებები მტარვალთა დასამხობად, მითითებულია ნათელი გზა მომავლისა, არამედ იმასაც რომ აშკარად ჩანს თვითონ პოეტის სოციალისტური მსოფლმხედველობა, იდეურობა და მიზანი.

მეტ-ნაკლებად ამაგე თვალსაზრისით უნდა ვაფასებდეთ შ. დადიანის პიესას „მღვიმეში“, მ. ჯავახიშვილის მოთხრობას „ჯილდო“, რომელიც 1905 წელს დაიწერა და დაიბეჭდა, ასევე ცოტა მოგვიანებით დაწერილ „ტარიელ გოლუას“, რომელიც ლეო ქიაჩელს ეკუთვნის, და რიგ სხვა მწერალთა ზოგიერთ ნაწარმოებს. გავიხსენოთ რა გვიჩვენეს დასახელებულმა მწერლებმა.

თუმც ერთგვარი ალეგორიული ხერხით, მაგრამ მაინც საკმაოდ აშკარად შ. დადიანმა თავის პიესაში გვიჩვენა მშრომელთა მოთმინების ფიალის ავსება და საძულველი წყობილების დამხობისათვის მათი ამოქმედება. ის ეპოქა მწერალს წარმოუდგენია მღვიმედ, რომლის კედლები ხალხისაკენ მზის სხივებს არ უშვებს, ირგვლივ ბნელი წყვდიადი გამეფებულა. სწორედ ამ მღვიმის დასანგრევად ამოქმედებულან მშრომელები. ძნელი არ არის ამ გამჭვირვალე ალეგორიაში რევოლუციური სიოს ქროლვის შეცნობა.

მ. ჯავახიშვილმა კი აშკარად და პირდაპირ გვიჩვენა 1905 წლის რევოლუციური შეტაკებები თბილისის ქუჩებში. ლურჯხალათიანი მუშები ქუჩებში გამოსულან და ადამიანური უფლებებისათვის იბრძვიან. მათ დევნის ხელისუფლება. რევოლუციური მუშათა დემონსტრაციის გასარეკად ცარიზმის მსახურნი — სალდათები და კაზაკები იარაღს ხმარობენ. იღვრება პროლეტართა სისხლი. მკვლელი სალდათისათვის ხელისუფლება არ იშურებს ჯილდოს... შემდეგ მწერალი მოთხრობის სიუჟეტს ავითარებს და გვიხატავს მკვლელი ჯარისკაცის შეგნების გარდაქმნას, რასაც მოჰყვა მისი გადეზერტირება. ის გატენილი თოფით გარბის მშობლიური სოფლისაკენ, სადაც, მოსალოდნელია, თვითონვე აღმართავს იარაღს ცარიზმის წინააღმდეგ. ამით მწერალი კიდევ უფრო აფართოებს რევოლუციის ფარგლებს, გვიხატავს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარევოლუციურების გაღრმავებას. ყოველივე ამით მ. ჯავახიშვილი ახალი შინაარსით ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას, რომელსაც მანამდე გარდა ირ. ევდოშვილის პოეზიისა, ასეთი რამ არ ახასიათებდა. არა

მარტო ეს რევოლუციური შინაარსი, არამედ მის უკან მკაფიოდ გამოკვეთილი მწერლის მსოფლმხედველობაც გვარწმუნებს იმაში, რომ „ჯილდოში“ ვხედავთ სოციალისტური რეალიზმის ჩანასახს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, მოთხრობა 1905 წელს დაიწერა და გამოქვეყნდა.

რევოლუციური შინაარსით გამოირჩევა ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაც“, რომელშიც უფრო ფართო პლანით არის ნაჩვენები საქართველოს მშრომელი გლეხობის რევოლუციური გამოსვლები „ერთობის“ დამყარებისათვის, ცარისტულ-კაპიტალისტური ხელისუფლების ორგანოთა წალეკვის და მის ნაცვლად მშრომელთა ხელისუფლების სტიქიური წარმოშობის უჩვეულო, მანამდე გაუგონარი ფაქტები და მოვლენები. რომანში ყურადღებას იქცევს სოციალისტური იდეებით გლეხთა შეგნების ამაღლების ფაქტიც, აგრეთვე, თუმც სუსტად ნაჩვენები, მაგრამ მაინც მინიშნებული კავშირი გლეხობისა ქალაქის წარმომადგენელთან, საიდანაც მოდიოდა რევოლუციური სიო.

როგორც დავინახეთ, ირ. ევდოშვილის, შ. დადიანის, მ. ჯავახიშვილის, ლ. ქიაჩელის ამ მითითებულ ნაწარმოებთა მთავარი აზრის თუნდაც მიახლოებითი გახსენებაც აშკარას ხდის მათ რევოლუციურ შინაარსს. ეს ნაწარმოებები თვისებრივად ახალს შეიცავენ. ასეთი რამ მანამდე ქართულმა მწერლობამ არ იცოდა.

ვერც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში, რომლებშიც ძალზე მკვეთრადაა გამოხატული კლასობრივი ბრძოლა, როცა ყმა გლეხი ხელში იარაღს იღებს და ჰკლავს თავის ბატონს, ვერც ე. ნინოშვილის მოთხრობებში, სადაც გურულ გლეხთა გაჭირვება უკიდურესობამდეა მისული და მას პროტესტი მოსდევდა, ვერც სხვა რომელიმე მწერალთან, ვინც 1905 წლის რევოლუციამდე გვიხატავდა კლასობრივ ბრძოლას, ვერ შევხვდებით ზემოთ აღნიშნული ოთხი მწერლის ნაწარმოებებში ახლებურად ნაჩვენებ სინამდვილის ფაქტებსა და მოვლენებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ახლებური მეთოდით ჩვენებას. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს სიახლე ჩანს როგორც მათი ნაწარმოებების რევოლუციურ შინაარსში, რომ მშრომელები შეკავშირებულან და იბრძვიან სოციალიზმის დასამყარებლად, აგრეთვე მწერლის ახალ, სოციალისტურ მსოფლმხედველობაში.

1905 წლის რევოლუციის ეპოქის ქართული ლიტერატურის განხილულ ნიმუშებში სოციალისტური რეალიზმის ჩანასახის დანახვას საფუძვლად უდევს სწორედ ის სიახლეები, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. სხვაგვარადაც შეგვეძლო გვეთქვა: სოციალიზმის დამყარებისათვის ბრძოლის ჩვენება, ამ მსოფლმხედველობით მკითხველთა გამ-

სჭვალვა არის ის საფუძველი, რომელზეც აღმოცენდა სოციალისტური რეალიზმი.

ჩასახვისას სოციალისტურ რეალიზმში მაინც კრიტიკული რეალიზმის თვისებები სჭარბობდა. ამათგან უმთავრესი იყო არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, რაც სწორედ კრიტიკული რეალიზმის ნიშანდობლივი თვისებაა.

გოგოლის, ნეკრასოვის და რუსული კრიტიკული რეალიზმის ბევრი სხვა მწერლის შემოქმედებას, ასევე ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების შემოქმედებას განსაზღვრავს კრიტიკული პათოსი არსებული წყობილების მიმართ, მის მოსასპობად. კაცმა რომ თქვას, სწორედ ესაა კრიტიკული რეალიზმის, როგორც მეთოდის უმთავრესი თავისებურება. მაგრამ კრიტიკული რეალიზმის მწერლებს არ უჩვენებიათ არც ბრძოლის მართებული გზები და არც გამოკვეთილი მიზანი იმ ბრძოლისა. მათი გმირები ებრძვიან რა ბატონყმობის უკუღმართობას, ვერ ხედავენ, თუ რით უნდა შეიცვალოს ის წყობილება. ამისგან განსხვავებით, სოციალისტურ რეალიზმს თვით ჩასახვის პერიოდშიც კი ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ბრძოლის მიზანი: არსებულის ნამსხვრევებზე სოციალიზმის აშენება.

როგორც უკვე ვთქვით, სოციალისტური რეალიზმიც განვითარებადია. მისი ძირეული ცვლილებები ნახტომისებურად გამოჩნდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამიერიდან იცვლება ლიტერატურის შინაარსი და დანიშნულება იმის შესაბამისად, რაც საზოგადოებრივ სინამდვილეში მოხდა. თუ აქამდე სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილ ნაწარმოებში უ მ თ ა ვ რ ე ს ი ი ყ ო ბ რ ძ ო ლ ა ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს დ ა მ ყ ა რ ე ბ ა-გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ახლა იგი იცვლება გარჯით სოციალიზმის განმტკიცებისათვის, მისი განვითარებისა და დამკვიდრებისათვის. ცხადია რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში ცხარე ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ, მათ დასათრგუნავად, რაც ლიტერატურამაც ჯეროვნად ასახა, მაგრამ მერე და მერე, როცა მთავარი გახდა თავდადებული შრომა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად, სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლების განსამტკიცებლად, როცა შეგნებული და თავდაუზოგავი შრომა შეენაცვლა ადრინდელ ბრძოლას სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ლიტერატურაშიც მთავარი გახდა სოციალიზმის შენების, მისი განვითარებისათვის თავდადებული შრომის ჩვენება. და მართლაც, ოციანი და ოცდაათიანი წლების საბჭოთა ლიტერატურა ამ შინაარსით იყო

სავსე. ეს ნიშანდობლივია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარების იმ ეტაპზე.

მერეც, ჩვენი საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, იცვლება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა წინაშე დასმული ამოცანები და მათი მოღვაწეობის შინაარსი, ხასიათი, მაგრამ უცვლელი რჩება ის, რომ ყოველთვის უპირველესია სოციალიზმის მშენებლობაში თავდადება. ამ მიზნის შესატყვისად ვითარდებოდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების შინაარსი. სამამულო ომის პერიოდში თუ შემდგომ მშვიდობიან წლებში თავისებური იყო საზოგადოებისა და ყოველი საბჭოთა ადამიანის წინაშე. მთელი ქვეყნის წინაშე დაყენებული ამოცანები. ამის შესატყვისად საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ივსებოდა ახალი შინაარსით, იცვლებოდა მის წინაშე დასმული ამოცანებიც.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ სოციალისტური რეალიზმი არის სოციალიზმის გამარჯვებისა და შემდეგ მისი განვითარებისათვის თავდადებულად მებრძოლი შემოქმედებითი მეთოდი.

ზემოთ თქმულის გარდა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური რეალიზმი ვითარდებოდა აგრეთვე სხვა ლიტერატურულ სკოლებთან ბრძოლაში. ადრე, რეაქციის პერიოდში, რომელსაც მაქსიმ გორკიმ რუსული ლიტერატურის სამარცხვინო პერიოდი უწოდა, სოციალისტური რეალიზმი ძალას იკრებდა და ფხიანდებოდა იმ ხანად სწრაფად მომრავლებულ ანტირეალისტურ ლიტერატურულ მიმართულებებთან და სკოლებთან კამათში. ბრძოლის მიზეზი სოციალისტურ რეალიზმს არც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და ოციან წლებში დალევია, რადგან იმ ხანად ჩვენში არსებობას კვლავ განაგრძობდნენ სიმბოლიზმი, ფუტურიზმი და სხვა ლიტერატურული სკოლები, რომლებიც ასე რადიკალურად განსხვავდებოდნენ სოციალისტური რეალიზმისაგან. მათთან ბრძოლა და გამარჯვების მოპოვება იყო რთული და ძნელი საქმე, მაგრამ აუცილებელი და საჭირო.

დაზუსტებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ლიტერატურული ბრძოლა, რაზეც ახლახანს ითქვა, არ ატარებდა მარტოოდენ იდეურ ხასიათს, აქ იყო წმინდა შემოქმედებითი ხასიათის ბრძოლაც, რადგან სინამდვილის, საზოგადოებრივი ყოფის ასახვა სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფს და სოციალისტურ რეალიზმს სრულიად განსხვავებულად წარმოედგინათ გამოსახვის ხერხებისა და ფორმების თვალსაზრისითაც. ცხადია, ამ განსხვავების საფუძველი, პირველ რიგში, იყო იდეურ-მსოფლმხედველობრივი განსხვავება და ეს იწვევდა ასახვის ფორმებისადმი დამოკიდებულებათა სხვაობას.

სოციალისტური რეალიზმი, როგორც მეთოდი, კანონიკურ ხასიათს იღებს 1934 წელს გამართულ საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე, რომელმაც წესდებაში შეიტანა ამ მეთოდის უმთავრესი, საყრდენი დებულებები. ამის შემდეგაც ჩვენი შემოქმედებითი მეთოდი ვითარდებოდა, სრულყოფილ სახეს იძენდა და ეს პროცესი, ცხადია, კვლავ გრძელდება.

ამრიგად, სოციალისტური რეალიზმის მეთოდმა ჩასახვის დღიდან დღემდე გაიარა ევოლუციის, განვითარების მთელი პერიოდები და ეს პროცესი მომავალშიც გრძელდება, რადგან, ყველაფერთან ერთად, მასაც უნდა ეუდგებოდეთ და განვიხილავდეთ არა მეტაფიზიკური, არამედ დიალექტიკური პოზიციიდან.

ხომ არ ნიშნავს ყოველივე ზემოთ თქმული იმას, რომ სოციალისტური რეალიზმი არის არა მეთოდი, არამედ მხოლოდ იდეოლოგია? სხვათა შორის, ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი ასეთ ბრალდებას არაერთხელ გამოთქვამდნენ და მასში აქსოვდნენ თავიანთ ღვარძლს სოციალისტური რეალიზმისადმი. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება ამ მეთოდის არსის გარკვევაში.

სოციალისტური რეალიზმის წარმოშობა იმთავითვე დაკავშირებული იყო სოციალისტურ იდეოლოგიასთან, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის სახით დაეუფლა მასებს, აამაღლა მათი რევოლუციური შეგნება ცხოვრების გარდასაქმნელად, გამოიწვია მათი ამოქმედება რუსეთის ცარიზმისა და კაპიტალიზმის დასამხობად, სოციალიზმის ასაშენებლად. ეს იდეოლოგია დაეუფლა ინტელიგენციის ნაწილსაც, სახელდობრ, მწერალთა ერთ ნაწილს, რომელმაც 1905 წლის რევოლუციის დიდი და მღელვარე ამბები დაგვიხატა არა მარტო საზოგადოებრივი სინამდვილის ჩვენებაში სიმართლისადმი ერთგულების წყალობით, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ უკვე შეთვისებული ჰქონდათ მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც იდეოლოგია, რომელიც მას ხელს უწყობდა მოვლენების სწორად გაგებასა და ახსნაში, მიმდინარე პროცესების გარკვევაში.

მაშასადამე, სოციალისტური, ანუ კომუნისტური იდეურობა, ამ იდეების გამარჯვებისათვის მოღვაწეობა იყო და მუდამ რჩებოდა, ახლაც არის და მომავალშიც იქნება სოციალისტური რეალიზმის მასაზრდოებელი, გზის გამნათებელი მსოფლმხედველობა და თეორია. კომუნისტური იდეურობა სოციალისტურ რეალიზმში თავს იჩენს მრავალწახნაგოვნად. იგი მჟღავნდება ჩვენი მეთოდის ისეთ პრინციპებში, როგორიცაა პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპი; ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის მუდმივი მოქმედება და ამ მიზნით ადამიანთა შეგნების გარდაქმნა; ინტერნაციონალიზმი და ჰუმანიზმი, სიმართლისადმი ერთგულება და ა. შ.

ყოველივე ეს გამომდინარეობს იმ ყველაზე მოწინავე პოზიციებიდან, რასაც მარქსიზმ-ლენინიზმი, კომუნისტური იდეები ემყარება.

სხვათა შორის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალისტურ რეალიზმამდე არსებული ყველა მეთოდი თუ მიმართულება, მეტ-ნაკლებად, საზრდოობდა რომელიმე თეორიით, რომელიმე ფილოსოფიით, ე. ი. მათაც ჰქონდათ გარკვეული იდეური მიმართულება.

ავიღოთ, მაგალითად, კრიტიკული რეალიზმის მეთოდი, რომელიც წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარებისა და ფეოდალიზმის რღვევის ეპოქაში, როცა ბურჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობდა ფეოდალური წესის საბოლოო მოსპობისა და კაპიტალისტური წყობილების გამარჯვებისათვის. განა ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა არ ასაზრდოებდა კრიტიკულ რეალიზმს, რომლის წარმომადგენლებიც უმეტესად სრულიად შეგნებულად, ზოგჯერ კი უნებლიეთ გამოდიოდნენ ბურჟუაზიის მოკავშირედ იმით, რომ თავიანთი ნაწარმოებებით დიდად აჩქარებდნენ ფეოდალური წყობილების საბოლოო მოსპობას? ავიღოთ თუნდაც ისეთი ლიტერატურული მიმართულებები, როგორც ადრე იყო რომანტიზმი, ჩვენს საუკუნეში კი, გნებავთ, სიმბოლიზმი ან ფუტურიზმი.

ყოველ მათგანს საფუძვლად ედო გარკვეული ფილოსოფია, მსოფლმხედველობა, იდეები. ისინი ერთმანეთისაგან, ცხადია, განსხვავდებოდნენ და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დასახელებულ ლიტერატურულ მეთოდებს უეჭველად ჰქონდათ საკუთარი ფილოსოფიური საყრდენი, საიდანაც ისინი იღებდნენ იდეურ საზრდოს. ვფიქრობთ, სიტყვის გაგრძელება და დიდი მტკიცება არ დაგვჭირდება იმისათვის, რომ ვირწმუნოთ დებულება — ყველა ლიტერატურული მეთოდი ემყარება გარკვეულ თეორიას, მსოფლმხედველობას.

სოციალისტური რეალიზმი იმით კი არ განსხვავდება თავისი წინამორბედებისაგან, რომ იგი მკაფიოდ გამოკვეთილ იდეურ საფუძველს ემყარება, არამედ იმით, რომ იგი სახელდობრ კომუნისტურ იდეურობას, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას ემყარება და იგი არის კომუნიზმის დამკვიდრებისათვის მებრძოლი მეთოდი. ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს სწორედ ეს აღიზიანებს და აშფოთებს, თორემ სოციალისტური რეალიზმი მათს იდეურ საფუძვლებზე რომ იდგეს და მათს მიზნებს ემსახურებოდეს, მაშინ ისინი მშვიდად იქნებოდნენ, ჩვენს იდეურობაზე აღარ გაგულისდებოდნენ.

ჩვენს შემოქმედებით მეთოდში, სწორედ მისი კომუნისტური იდეურობის გამო, წარმოიშვა და განვითარდა სრულიად ახალი მეთოდოლოგიური ნიშანთვისება, რითაც იგი რადიკალურად განსხვავ-

დება წინამორბედი კრიტიკული რეალიზმისაგან. პირდაპირ რომ ვთქვათ, თუ კრიტიკული რეალიზმი იყო უარყოფის მეთოდი, სოციალისტური რეალიზმი არის დამკვიდრების მეთოდი. აქ იჩენს თავს სოციალისტური რეალიზმის, როგორც მეთოდის, უმთავრესი თავისებურება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს თვისება სოციალისტურმა რეალიზმმა შეიძინა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ.

რაში მდგომარეობს მეთოდის ეს თავისებურება, რომ იგი დამკვიდრებას ემსახურება და არა უარყოფას?

ჩვენი მეთოდის ეს თავისებურება, რომ იგი დამკვიდრების მეთოდია, გულისხმობს ასასახი სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში კრიტიკული რეალიზმისაგან სავსებით განსხვავებულ მიდგომას. კრიტიკული რეალიზმი გაბატონებული საზოგადოებრივი წყობილების კრიტიკის გზით ხელს უწყობდა მის უარყოფას, მოსპობას და სწორედ ეს იყო მისი უმთავრესი თვისება; სოციალისტური რეალიზმი მოწოდებულია ხელი შეუწყოს სოციალისტური საზოგადოების წარმატებით განვითარებას, მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით მოახდინოს მასების ენერგიის მოქმედებაში მოყვანა და წარმართოს ეს ენერგია სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად. ცხადია, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ამ მიზანს აღწევს მკითხველთა სულსა და გონებაზე ზემოქმედების გზით. ამ საშუალებით სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ამკვიდრებს სოციალიზმსა და კომუნიზმს. ამ დამკვიდრებაში მდგომარეობს მეთოდის მთავარი არსი.

ცხადია, ეს ზოგადი დებულებაა და მას აქვს თავისი განშტოებები. დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე საკითხი, თუ როგორ უნდა გვესმოდეს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში კრიტიკული პათოსი, ე. ი. უარყოფითის მხილების სპეციფიკა და ა.შ. მათი გარკვევა თუმც მეორეხარისხოვანია, მაგრამ მაინც აუცილებელი. მთავარი კი დამკვიდრების აზრია. ამაში მყღავნდება სინამდვილისადმი დამოკიდებულების პოზიცია, რაც განეკუთვნება მეთოდის სფეროს და არა იდეოლოგიის სფეროს, თუმცა იდეოლოგია განსაზღვრავს მეთოდის სპეციფიკას.

ასე ორგანულ კავშირშია იდეოლოგია და მეთოდი, თუმცა მათი ერთმანეთში არევა, მათი გაიგივება გაუგებრობა იქნება. იდეოლოგია მასაზრდოებელიც არის, საყრდენიც და იარაღიც, რომელსაც მეთოდი იმარჯვებს სინამდვილისადმი თავისი დამოკიდებულე-

ბის, პოზიციის გამჟღავნებაში; მეთოდი კი სინამდვილისადმი დაშოკიდებულებაა.

ასეთია იდეოლოგიისა და მეთოდის ურთიერთმიმართება, მათ შორის ორგანული კავშირი და არა მათი იგივეობა.

მივმართოთ ლიტერატურულ მაგალითებს. შედარების ხერხი აქ კარგ სამსახურს გაგვიწევს. შესადარებლად ავიღოთ კრიტიკული რეალიზმისა და სოციალისტური რეალიზმის ტიპიური წარმომადგენლების ნაწარმოებები.

XIX საუკუნის რუსული და ქართული კრიტიკული რეალიზმის ტიპიური წარმომადგენლების ყველაზე უფრო მკაფიო ნაწარმოებების ერთი თვალის გადავლებაც კი ადვილად გვარწმუნებს იმაში, რომ ის, რეალიზმი, ასახავდა რა რეალურ საზოგადოებრივ სინამდვილეს, რომლის მთავარი შინაარსი იყო ბატონყმური წყობილება, აკრიტიკებდა სწორედ მის საფუძვლებს, ბურჯებს, რომელსაც ის წყობილება ემყარებოდა. გოგოლის, ნეკრასოვის, დოსტოევსკის, შჩედრინის, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ამ დებულების ნათელი დადასტურებაა.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პერსონაჟებს — ზაქროს, კაკოს, გაბრიელის მიერ ბატონების დახოცვა და ტყეში მათი გავარდნა იყო უკიდურესი პროტესტი საერთოდ ბატონყმობის წინააღმდეგ. ბატონყმობის ინსტიტუტის წყალობით თვითონ მებატონენიც გადაგვარებულან, მათ ადამიანის სახე დაუკარგავთ. ამისი შედეგია დათიკოს ავკაცობაც, დარეჯანისა და ლუარსაბის გაპირუტყვებაც და ბევრი რამ სხვაც. ცოცხალი და მრავალსმეტყველი სურათებისა და ტიპების ასეთი დახატვით ილიას მკითხველის აზრი მხოლოდ იქითკენ მიჰყავს, რომ ყოველმხრივ შეაძულოს მას ბატონყმობა და ამ გრძნობის გაღვივების შემდეგ ხელი გამოაღებინოს მის მოსასპობად. ეს არის იმდროინდელი სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულების არსი, რაც კრიტიკული რეალიზმის მეთოდის უმთავრესი ნიშან-თვისება იყო. ამ გზით იგი გახდა უარყოფის მეთოდი.

ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილ ყველაზე მკაფიო ნაწარმოებებში. მ. შოლოხოვის „გატეხილ უამირში“ თუ ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვაში“ ან კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“ არის კრიტიკაც, წინააღმდეგობათა დაძლევის ფაქტებიც, დაპირისპირებულ ძალთა შორის დაუნდობელი ბრძოლაც, მაგრამ ყოველივე ეს დახატულია ძალთა იმ თანაფარდობით, ისეთი საღებავებით, რომ მკითხველი დადგეს სოციალიზმისათვის მებრძოლთა მხარეზე და ამით თვითო-

ნაც გახდეს სოციალიზმის დამკვიდრებისათვის მებრძოლი, ხელის გამომღები.

— თუ ილია ჭავჭავაძე ბატონსა და ყმას შორის შეტაკების დახატვისას მკითხველს სიმპათიითა და თანაგრძნობით ავსებდა მებრძოლი ყმა გლეხებისადმი და ამ გზით მკითხველიც მათ მხარეზე გადაჰყავდა, ხოლო მებატონეთა უარყოფითი დახატვით მკითხველს აძულებდა საერთოდ ბატონყმურ წესწყობილებას, მ. შოლოხოვი დავიდოვის საქმეების ჩვენებით, მოწინააღმდეგე ძალებთან მისი არაერთგზისი შეტაკების დახატვით მკითხველს ავსებს დავიდოვისადმი სიმპათიითა და სიყვარულით, აქცევს მის მომხრედ, რადგან ის არის ახლის დამკვიდრებისათვის თავდადებული მებრძოლი, ეს ახალი კი სოციალისტურია. ამის პარალელურად მწერალი გვაძულებს ძველისა და წარმავალის დამცველებს, ჩვენც გვხდის მათ მოწინააღმდეგეებად, როგორიც დავიდოვი იყო. მართალია, ყოველივე ეს რომანში რთულად არის ნაჩვენები და კარგია, რომ იქ გამარტივებული არაფერია, მაგრამ ამჟამად ამ საკითხის განხილვას არ ვაპირებთ, ხოლო საილუსტრაციოდ ეს იდეა ასე მარტივადაც სავსებით გასაგებად გვეჩვენება. დავიდოვი ახლის, სოციალისტურის დამკვიდრებისათვის მებრძოლია, მკითხველი მასები მის მხარეზე დგებიან, ე. ი. ისინიც ახლის, სოციალისტურის დამკვიდრებისათვის მებრძოლნი ხდებიან. ეს არის მ. შოლოხოვის დიდი გამარჯვება, ეს არის სოციალისტური რეალიზმის როგორც სოციალიზმის დამამკვიდრებელი მეთოდის მთავარი ნიშანი.

ასევე შეიძლება განვიხილოთ „გვადი ბიგვაც“ და „კოლხეთის ცისკარიც“. კ. ლორთქიფანიძე, მაგალითად, სოციალიზმის დამკვიდრებისათვის მკითხველთა დარაზმვას ხელს უწყობს არა მარტო კომუნისტი ტარასი ხაზარაძის მოღვაწეობის მიმზიდველი ჩვენებით, არამედ დაჩაგრული მექი ვაშაკიძის ბედის წაღმა შეტრიალების ჩვენებითაც. ამ ჰაბუკის გაბედნიერების მიზეზად კი რომანში სწორედ სოციალისტური წყობილების სოფლად გამარჯვებაა მინიშნებული. თუ არა სოციალიზმი, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელმაც უღატაკესი გლეხების ცხოვრება ასე სასიკეთოდ შეცვალა, მექი ვაშაკიძე ისევ „ხრიკუნიად“, კულაკი საგანელიძისა და მედუქნე პირტახიას მიერ აბუჩად აგდებულ მოჯამაგირედ უნდა დარჩენილიყო. რომანში მოვლენების იმდაგვარად წარმართვა, რომ მკითხველის მიერ თანაგრძნობით გამთბარი მექის ქომაგი სოციალიზმია, მექის მომხრე მკითხველები იმავე დროს ხდებიან სოციალიზმის მომხრეებადაც, რაც საბოლოო ანგარიშში სოციალიზმის მშენებელთა რიგებში მათს გადასვლას უწყობს ხელს.

ამგვარი ლიტერატურული ფაქტების რიცხვი, ცხადია, შეიძლე-

ბა გაეზარდოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამითაც ნათელი უნდა გამხდარიყო დებულება იმის შესახებ, რომ კრიტიკული რეალიზმი გაბატონებული საზოგადოებრივი წყობილების კრიტიკით ხდებოდა მისი უარმყოფელი და ამიტომ მას შეიძლება ვუწოდოთ უარყოფის მეთოდი. ჩვენში კი, სოციალიზმის პირობებში, სოციალისტური რეალიზმის მეთოდი ჰარმონიაშია სოციალისტურ საზოგადოებასთან, ხელს უწყობს მის განვითარებასა და დამკვიდრებას, ამიტომ მას შეიძლება დამკვიდრების მეთოდს ვუწოდებდეთ.

ამას რომ ვამბობთ, ერთი რამ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. სოციალიზმისადმი ჰარმონიული დამოკიდებულება სოციალისტურ რეალიზმს კი არ ზღუდავს, არამედ ავალდებულებს კიდეც, რომ კრიტიკულად ასახოს ის მანკიერებანი თუ ნაკლოვანებანი, რომლებიც, სამწუხაროდ, სოციალიზმის პირობებში ჯერ კიდევ არსებობს. საქმე ის არის, რომ მათი კრიტიკული ჩვენებით არ წყდება ჰარმონია სოციალიზმსა და სოციალისტურ რეალიზმს შორის, რადგან ასეთი კრიტიკით ეს მეთოდი ისევ და ისევ ხელს უწყობს სოციალიზმის დამკვიდრებას. ეს კი იმიტომ, რომ სოციალიზმის შემაფერხებელი ნაკლოვანებების კრიტიკა, მათი აღმოფხვრისათვის მასების მობილიზება უდავოდ ხელს უწყობს სოციალიზმის განვითარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, ებრძვის რა სოციალიზმის მტრებს, ამით სოციალიზმის მეგობრად რჩება. ამისი დამადასტურებელი ლიტერატურული ფაქტებიც უხვად გვაქვს საბჭოთა მწერლობაში. ავიღოთ, მაგალითად, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და „დამპატიჟე“, კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“, ლ. მრელაშვილის „ყაბახი“, გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, ალ. ადამიას „დიდი და პატარა ეკატერინე“ და ზოგი სხვა მწერლის მოთხრობები თუ პოეტთა ნაწარმოებნი. ბევრ მათგანს ახასიათებს კრიტიკული პათოსი, რომელიც გამომდინარეობს სოციალიზმის ინტერესთა დაცვიდან და არა მისი საფუძვლების შერყევის სურვილიდან.

ჯერ კიდევ ოციან წლებში მ. ჯავახიშვილმა ბრძოლა გამოუცხადა ისეთ ხორცმეტებს, როგორიც იყვნენ რევოლუციასთან მიტმასნილი და ფაქტიურად მისი ძლიერების ძირგამომთხრელი, თვალთმაქცი და წამგლეჯი ჯაყო და იოლი ცხოვრების მოყვარული, ვიღაცის ძალას ამოფარებული პარაზიტი დამპატიჟე. მათი მხილებით მწერალმა დაგმო ჯაყოობაც და დამპატიჟეობაც და მათთან ერთად ისინიც, ვინც წაყრუებით თუ განზრახ ხელს უწყობდა ამ მანკიერებას. ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მთელი ფრონტით გაიშალა ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როცა სპეციალური

დადგენილებაც გვაქვს პროტექციონიზმის აღმოსაფხვრელად, ახალი ჟღერადობა შეიძინა „ჯაყოს ხიზნებსა“ და „დამპატიჟეში“ მოცემულმა მანკიერებათა მხილებამ, რითაც მწერალი თავის დროზე საზოგადოების გაწმენდას უწყობდა ხელს.

სამოციანი წლების ბოლოს მეხივით გავარდა გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, რომელშიც მხილებულია და სამარცხვინო ბოძზე გაკრულია მექრთამეობა, წამგლეჯობა, კანონის დარღვევის ფაქტები და სხვა მანკიერებანი, რაც რესპუბლიკაში შექმნილი პირობების გამო ასე მომრავლდა იმ პერიოდში. მაგრამ განა ამ კრიტიკული პათოსით გ. ფანჯიკიძე სოციალიზმის კრიტიკას ეწეოდა? ცხადია, არა. ამხელდა რა ამ ნაკლოვანებებს, მწერალი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცებისათვის იღვწოდა, ამ კრიტიკით ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის კიდევ უფრო განმტკიცებასა და გაძლიერებას.

ყოველთვის უნდა ვასხვავებდეთ კრიტიკის მიზანს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გოგოლისა და ილიას შემოქმედებაში და რომელიც გვხვდება ზემოთ დასახელებული საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში. ასევე სწორად უნდა გავმიჯნოთ, ვთქვათ, გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსნის“ კრიტიკული პათოსი ვინმე სოლჟენიცინის ნაწერებში გატარებული ღვარძლიანი კრიტიკისაგან, რადგან ეს უკანასკნელი ხორციელდება სოციალიზმისადმი მტრული პოზიციიდან. მისი კრიტიკის მიზანი ის კი არ არის, არსებული ნაკლოვანებების დაძლევის გზით უფრო სწრაფად ვაშენოთ კომუნიზმი, არამედ ის, რომ ნაკლოვანებათა მუქი ფერებით დახატვით დაგვარწმუნოს თვით სოციალიზმის უარყოფის აუცილებლობაში. ეს განზრახვა, ცხადია, განწირულია, მან მიზანს ვერ მიაღწია და არც შეიძლებოდა მიეღწია, მაგრამ თვითონ ამისი ცდა, თუნდაც გამონაკლისის სახით, არსებობდა და იგი მილიონობით საბჭოთა ადამიანმა აღშფოთებით აღიქვა. მას სოციალისტურ რეალიზმთან საერთო არაფერი აქვს და იგი არც კომუნისტური იდეოლოგიით არის ძუძუნაწოვი. ამიტომ სავსებით ბუნებრივია სოლჟენიცინის მოკვეთა საბჭოთა საზოგადოებიდან. მან უცხოეთში კიდევ უფრო აშკარად დაამტკიცა, თუ ვის მიეყიდა და ვის ემსახურება.

ეს მაგალითები იმისი ილუსტრაციაა, რომ სოციალისტური რეალიზმის ჰარმონიული ურთიერთობა არსებულ სოციალისტურ წყობილებასთან არ ნიშნავს ყველაფრისადმი ჰარმონიას სოციალიზმის დროს. სოციალისტური საზოგადოება განვითარებადია, ეს კი გულისხმობს დაპირისპირებულ ძალთა არსებობას, მათ შორის მუდმივ წინააღმდეგობას. ჩვენი მწერლობა პროგრესულის მხარეზეა და ამიტომ მხარს უჭერს დადებითს, ახალს, რაც იმავე დროს გულის-

ხმობს უარყოფითი ძველის დაგმობას. ასეთი გაგებით, რაც ერთადერთი სწორი გაგებაა, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა იბრძვის კომუნიზმის აშენებისათვის როგორც დადებითის მხარდაჭერის, ასევე უარყოფითის დაგმობის, ანუ კრიტიკის გზით.

დღესაც დამაჯერებლად ჟღერს მაქსიმ გორკის შემდეგი სიტყვები:

«Для того, чтоб ядовитая, каторжная мерзость прошлого была хорошо освещена и понята, необходимо развить в себе умение смотреть на него с высоты достижений настоящего, с высоты великих целей будущего. Эта высокая точка зрения должна и будет возбуждать тот гордый, радостный пафос, который придаст нашей литературе новый тон, поможет ей создать новые формы, создать необходимое нам новое направление — социалистический реализм, который — само собой разумеется — может быть создан только на фактах социалистического опыта»[1].

•

წარსულის მანკიერებათა დანახვა, აგრეთვე დღეს არსებულ ნაკლოვანებების მხილება უნდა ხდებოდეს სოციალიზმის მონაპოვართა და მიღწევათა სიმაღლიდან, მომავლის უმაღლესი მიზნების გადასახედიდან. ეს უმაღლესი თვალსაზრისი აღძრავს ჩვენში ამაყ, ბედნიერ პათოსს, რაც ჩვენს ლიტერატურას ანიჭებს ახალ ტონს, ეხმარება ახალი ფორმების ძიებაში, ახალი ლიტერატურული მიმართულების — სოციალისტური რეალიზმის — დამკვიდრებაში. მ. გორკის აზრით, ეს მიმართულება შეიძლებოდა აგებულიყო მხოლოდ სოციალისტური გამოცდილების ფაქტებზე. 1933 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“ ეს აზრი დიდმა პროლეტარულმა მწერალმა, ახალი მეთოდის ფუძემდებელმა ნათლად ჩამოაყალიბა. ცხადია, მას შემდეგ განვლო დიდმა დრომ, მოხდა უზარმაზარი სიახლეები, მათ თავისი კვალი დააჩნიეს ლიტერატურის განვითარებაზეც და კორექტივი შეიტანეს გორკის ზოგ მოსაზრებაშიც, მაგრამ საფუძველი უცვლელი დარჩა, ფუნდამენტური დებულებები დღესაც მოქმედებენ.

იდეოლოგიისა და მეთოდის ურთიერთობაზე ზემოთ ნათქვამი რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტური რეალიზმის მეთოდი გზის გამკვლევად და გამნათებლად იყენებს კომუნის-

---

[1] М. Горький, О литературе. М., 1953, стр. 614.

ტურ იდეოლოგიას და ამ მსოფლმხედველობით შეიარაღებული ასახავს რეალურ სინამდვილეს.

ახლა შევეხოთ სოციალისტური რეალიზმის ზოგიერთ საღეჭისო ამოცანას.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა მოწოდებულია შეასრულოს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღმზრდელის ფუნქცია. ეს გარემოება განაპირობებს იმ ძირითად პრინციპებსა და თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს საბჭოთა ლიტერატურას, იმ ამოცანებს, რომლებიც დგას ჩვენი მწერლობის წინაშე.

პარტიულობის, ხალხურობის, სიმართლისადმი ერთგულების პრინციპი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის სამი უმთავრესი საყრდენი და ბურჯია.

პარტიის იდეალების, მისი მიზანდასახულობის შთამბეჭდავად მიტანა მასებამდე, მათი გონებისა და სულის საკუთრებად ამ იდეალების გადაქცევა საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა. ვ. ი. ლენინმა თავის შესანიშნავ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ განსაზღვრა და ნათლად ჩამოაყალიბა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, რომელიც შემდეგ მყარ საფუძვლად დაედო სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას. ეს პრინციპი ჩვენი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, არაერთხელ იქნა დაკონკრეტებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებებში, რომლებიც ლიტერატურისა და ხელოვნების, საერთოდ იდეოლოგიის საკითხებს ეხებოდა. აქ ძირითადი და უმთავრესი ისაა, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება გაჟღენთილი და გამსჭვალული უნდა იყოს პარტიის სულისკვეთებით, იგი ხელს უნდა უწყობდეს მასების შეგნების ისეთ აღზრდას, რომ ხდებოდეს ადამიანთა მთელი ენერგიის მობილიზება პარტიის მიერ დასახული ამოცანების, კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმების შესასრულებლად. ნახევარსაუკუნოვანმა გზამ, რომელიც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ გაიარა, დაგვარწმუნა, რომ ეს იდეალები ამდიდრებს ჩვენს მწერლობას.

ხალხურობის პრინციპი ორ უმთავრეს მომენტს გულისხმობს — საბჭოთა ლიტერატურა არა მარტო ასახავს მშრომელი ადამიანის, ხალხის ცხოვრებასა და მის შრომამოღვაწეობას, არამედ, ამასთანავე, ემსახურება მის ინტერესებს, ტენდენციურია ხალხის ინტერესების დაცვის სასარგებლოდ. ერთად აღებული ეს ორი მხარე ავსებს ჩვენი ლიტერატურის ხალხურობის პრინციპის შინაარსს. მარტო ის რომ კმარა, რომ მწერალი ხალხის შესახებ წერ-

დეს, ამას ადრე სხვანიც აკეთებდნენ, საჭიროა, რომ ამასთანავე ნაწარმოებში გატარებული იყოს ხალხის სასარგებლო პოზიცია, საბჭოთა ლიტერატურის თვისებრივი ერთ-ერთი სიახლე ისიც არის, რომ იგი ჭეშმარიტად ხალხურია ამ სიტყვის ყველა განზომილებაში. ზემოდასახელებულ ორ მთავარ მომენტს ისიც უნდა მივუმატოთ, რომ ლიტერატურული ნაწარმოები გასაგები და შესაცნობი იყოს მკითხველთა უფართოესი მასებისათვის და არა მხოლოდ „რჩეულთათვის". ეს კი უნდა მიიღწეოდეს არა გამარტივებით, არამედ სისადავითა და სინათლით.

სიმართლისადმი ერთგულება, ცხოვრების მართლად ასახვა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთი ბურჯთაგანია. კონკრეტული და ზოგადი სიმართლის პარტიული თვალით დანახვა და ჩვენება საბჭოთა მწერლის ის უნარი და თვისებაა, ურომლისოდაც ძნელია რომელიმე შემოქმედის და საერთოდ საბჭოთა ლიტერატურის წარმატება. ეს სიმართლე, ერთი მხრივ, დამაჯერებელს ხდის მწერლის შემოქმედებაში, ნაწარმოებში ასახულსა და ნაჩვენებს, მეორე მხრივ, და ამ საფუძველზე, ზრდის მკითხველზე ზემოქმედების ძალას, მაშასადამე, სასურველი გეზით მისი ენერგიის წარმართვას. საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც ემყარება სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, არის სიმართლის, ჭეშმარიტების მღაღადებელი ლიტერატურა და ამ მხრივაც იგი ასე განსხვავებულია თანამედროვე დასავლეთის ბურჟუაზიული მწერლობისაგან, რომელიც მასების მოტყუების გზით ლამობს კაპიტალიზმის შერყეული ბურჯების შენარჩუნებას, ბურჟუაზიის ინტერესების დაცვას.

აღნიშნულ პრინციპებზე დამყარებით, და მასების აღმზრდელის ფუნქციებიდან გამომდინარე, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ასახავს ისეთ პრობლემებსა და თემებს და ასახავს ისეთი სულისკვეთებით, რაც ხელს შეუწყობს ყოველმხრივ განვითარებული, მაღალი ზნეობის, პრინციპული, მოქმედი, გამრჯე, კეთილი, პატიოსანი, მიზანსწრაფული ადამიანის აღზრდას, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბებას.

•

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდმა დაამტკიცა თავისი ცხოველმყოფელობა. მან არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას შეუწყო ხელი, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის ლიტერატურასაც მისცა განვითარების ახალი გეზი. ამის ნათელი დადასტურებაა, თუნდაც, თანამედროვე

ამერიკული ლიტერატურის პროგრესული ნაწილი და ამერიკის მარქსისტი ლიტერატურათმცოდნეებისა და კრიტიკოსების ნაშრომები, რომლებშიც სოციალისტური რეალიზმის საკითხები არის გარკვეული.

აშკარა და ნათელი ხდება, რომ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის თეორიული და პრაქტიკული საკითხები მუშავდება არა მარტო საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებში, არამედ კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სკკპ XXV ყრილობაზე ლიტერატურის საკითხების ჯეროვანი განხილვა და რიგი ფუნდამენტური დებულების განვითარება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გეოგრაფიის განვრცობას.

•

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები, მასზე შემუშავებული ყოველი მნიშვნელოვანი დებულება სწრაფად გახდა გზის მაჩვენებელი და წარმატებათა მოპოვების გარანტია. ეს შეეხება არა მარტო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს, არამედ მთელ იდეოლოგიურ მუშაობას, მათ შორის ლიტერატურასა და ხელოვნებასაც. ეს ხელშესახებად ვიგრძენით საქართველოს მწერალთა VIII ყრილობაზე, რომელიც 1976 წლის 22—23 აპრილს გაიმართა თბილისში და ჩატარდა პარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სალიტერატურო პოლიტიკის ნიშნით.

მთავარ მოხსენებაში, რომლითაც მწერალთა ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე, და თანამოხსენებებშიც, რომლებითაც გამოვიდნენ ბესარიონ ჟღენტი, ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, თენგიზ ბუაჩიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მორის ფოცხიშვილი, აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მედეა კახიძის მოხსენებაში და მოკამათეთა სიტყვებში იგრძნობოდა პარტიის XXV ყრილობის კეთილმყოფელი გავლენა, რომელსაც მთელ საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად განიცდის დღევანდელი ქართული მწერლობაც.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით მოისმინა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ედუარდ შევარდნაძის სიტყვა, რომელიც გამოირჩეოდა კომუნისტური იდეურობით, მაქსიმალური სიცხადით, ლიტერატურის თავისებურებათა ზედმიწევნით გათვალისწინებით, სადღეისო ამოცანების ნათელი სურათის დახატვით.

ამხ. ე. შევარდნაძის გამოსვლაში, ჩვენი აზრით, უფრო მეტად ყურადღება გამახვილდა ორ ძირითად მომენტზე. ეს არის ე. წ. საწარმოო თემა, რაც გულისხმობს მწერლობაში მშრომელი კაცის ჩვენებას, და ლიტერატორთა ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვა.

პარტიასთან და ხალხთან მწერლების თანადგომის საკითხზე ლაპარაკისას ამხ. ე. შევარდნაძემ მოიტანა იმის მაგალითი, თუ გასულ წელს გვალვისაგან შეწუხებულმა კახელმა მეენახეებმა როგორი სიხარულითა და კმაყოფილებით მიიღეს ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი, რომელშიც პოეტი პირდებოდა — წვიმის ღრუბელს კარებთან დაგიბამთ, მიდით და მოწველეთო. ზერების მოსარწყავად ცისტერნებითა და ეშელონებით მიზიდულ წყალთან ერთად ეს ლექსიც რწყავდა კახეთის ვენახებს, რადგან ხალისს მატებდა მეენახეებს. რით არ უტოლდება ასეთი ნაწარმოები იმათ, რომლებიც ომის წლებში იქმნებოდა და მებრძოლებს გმირობისათვის აღაფრთოვანებდა?! მშვიდობიანობის პირობებში ბრძოლის ხაზი გადის ეკონომიკის ფრონტზე, მეენახეთა, მეჩაიეთა, მეცხოველეთა და სხვათა შრომით უბნებზე, ამიტომ პოეტიც დგას ამავე უბანზე და ხელს უწყობს წარმატებათა გამრავლებას.

ბოლო წლებში დაიწერა არცთუ ცოტა ნაწარმოები, რომლებშიც დახატულია სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის დარგში მომუშავე ადამიანთა სახეები. შოთა ნიშნიანიძის, მერაბ ელიოზიშვილის, რევაზ ამაშუკელის, ნაზი კილასონიას, მორის ფოცხიშვილის, ნოდარ წულეისკირის, კარლო კალაძის, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ზაურ ბოლქვაძის, ვახტანგ ჯავახაძის, ბევრი სხვა მწერლის მთელ რიგ ნაწარმოებებში მშრომელი ადამიანის ხასიათი გახსნილია იმ თავისებურებების ჩვენებით, რაც დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთათვის.

განუზომლად დიდია მხატვრული სიტყვის როლი იმ საქმეში, რაც ჩვენს რესპუბლიკაში კეთდება მორალური კლიმატის გასაუმჯობესებლად. ამიტომ ჩვენი მწერლები გაბედულად ააშკარავებენ ახლო წარსულში დაშვებულ შეცდომებს, იბრძვიან ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ლადო მრელაშვილის „ყაბახი“, ნოდარ დუმბაძის — „თეთრი ბაირაღები“, გურამ ფანჯიკიძის — „თვალი პატიოსანი“, ალიო ადამიას — „დიდი და პატარა ეკატერინე“ და მრავალი სხვა ნაწარმოები, რომლებშიც პატიოსნების, მაღალი ზნეობის მოთხოვნა პრინციპულ სიმაღლეზეა ატანილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგაზრდა შემოქმედთა შესახებ სიყვარულითა და მზრუნველობით ითქვა პარტიის XXV ყრი-

ლობაზე. ამ აზრის თავისებური გაგრძელება და საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა ბედით დაინტერესების გამოხატულება იყო რესპუბლიკის მწერალთა VIII ყრილობაზე ამხ. ე. შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვის ის ნაწილი, რომელიც ახალგაზრდა მწერლებს ეხებოდა. ვან მთელი სისრულით ცხადყო, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მწერალთა მომავალ ცვლაზე ზრუნვას, რაც ფაქტიურად არის ხვალინდელი ჩვენი ლიტერატურის ბედზე ზრუნვა. ამიტომ საჭიროა ახალგაზრდა მწერლებს, ვინც ნიჭი გამოიჩინა, მეტად ვუწყობდეთ ხელს, მეტად წავახალისებდეთ და სწორად წარვმართავდეთ მათ შემოქმედებით ენერგიას. ამ ასპექტში ამხ. ე. შევარდნაძემ სანიმუშოდ დაასახელა აკად. ნიკო კეცხოველის მაგალითი, აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ყოფნის წლებში ნ. კეცხოველი ხელს უწყობდა უნივერსიტეტში მყოფი ახალგაზრდა ტალანტების გამოვლენას, ზრუნავდა ახალგაზრდა მწერლებზე, რომელთა აღზრდისა და წრთობის მიზნით დააარსა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე და ალმანახი „პირველი სხივი". დღევანდელი ქართული ლიტერატურის ბევრმა საუკეთესო წარმომადგენელმა სწორედ აქ მიიღო პირველი ლიტერატურული ნათლობა.

უკანასკნელ წლებში ქართველ მწერალთა მიერ გაწეული შემოქმედებითი შრომა შესანიშნავად არის შეფასებული საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მწერალთა VIII ყრილობისადმი გაგზავნილ მისალმებაში:

„ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. შეიქმნა მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ნაწარმოებები, რომლებშიც ასახულია გმირი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ბრძოლა მშვიდობისათვის, კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის, ხალხთა ლენინური მეგობრობის ნათელი იდეალები"[1].

მაგრამ ჩვენ არა მარტო ის გვახარებს, რაც უკვე გაქეთდა, არამედ ისიც, რომ ჩვენს მწერლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უფრო მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნა. ეს გადაწყვეტილება ცხადად ჩანს საქართველოს მწერალთა VIII ყრილობის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილ წერილში:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობა მტკიცე პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ

[1] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 25 აპრილი, 1976 წ.

კომიტეტს, რომ ქართველი მწერლების გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი კვლავაც იქნება მხატვრული შემოქმედების ლენინური იდეურობა, პარტიულობა, ხალხურობა. ქართველი მწერლების მისწრაფება მუდამ იქნება შექმნან კომუნიზმის მშენებელი ხალხის შემოქმედებითი გენიის ღირსი წიგნები, რითაც ისინი რაც შეიძლება სრულყოფილად უპასუხებენ საბჭოთა ადამიანის გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებებს"[1]. ყრილობიდან განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ ამ დაპირებას ქართველი მწერლები ასრულებენ. ამ საკითხს ქვემოთ ერთხელ კიდევ მივუბრუნდებით.

პარტიისათვის მიცემულ სიტყვაში ქართველი მწერლები ემყარებიან იმის შეგნებას, რომ „მდიდარი სულიერი სამყაროს მფლობელი ადამიანის, სპეტაკი პიროვნების აღზრდა მუდამ იყო სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დანიშნულება".

საქართველოს მწერალთა VIII ყრილობაზე მოსმენილ მოხსენებებში ნათლად ჩანდა თანამედროვე ქართული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, მთარგმნელობის, ლიტერატურული კრიტიკის აღმავლობა, თვალსაჩინო მიღწევები, რაც ყოველ ჯერ დარგში გვაქვს მოპოვებული. ხოლო არსებულ ნაკლოვანებათა სწორი დანახვა და მათი გამოსწორების გზების მიგნება კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის ქართული ლიტერატურის მიღწევებს.

ყრილობის ტრიბუნიდან საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ დაასახელა არაერთი მკაფიო მაგალითი იმისა, თუ კომუნისტური პარტია როგორ ზრუნავს ლიტერატურის განვითარებაზე. ეს ყურადღება და ხელმძღვანელობა ცხადად აისახა სკკპ XXV ყრილობაზე, რომელმაც ამ საკითხს დიდი ადგილი დაუთმო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისამართით კი გრ. აბაშიძემ თქვა: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა უკანასკნელ წლებში ქართული მწერლობის მიმართ: თუ ადრე მწერლის გამოსვლა რომელიმე მნიშვნელოვან შეკრებაზე იშვიათობა იყო, ახლა ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, აქტივის სხდომებზე თუ სხვა პარტიულ და საბჭოთა თავყრილობებზე მწერალს თითქმის სისტემატურად ეთმობა ტრიბუნა. ახლა ჩვენი მწერლები ფართოდ არიან წარმოდგენილნი პარტიულ და საბჭოთა არჩევით ორგანოებში. ამ დიდ ყურადღებას მწერლობა უპასუხებს პარტიისა და სამშობლოს ერთგული სამსახურით..."[2].

---

1 გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 25 აპრილი, 1976 წ.

2 იქვე.

ქართველი მწერლებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზრუნვის გამოხატულებად მოხსენებაში დასახელებული იყო 1973 წლის აგვისტოს დადგენილება „საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში“. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით მწერალთა კავშირმა დიდი მუშაობა გასწია, ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. მათ შორის აღსანიშნავია მწერალთა და კრიტიკოსთა თბილისში ჩატარებული საკავშირო თათბირი დევიზით „პარტია — ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“.

ორატორმა აღნიშნა, რომ ხუთი წელიწადი, რომელიც წინა ყრილობიდან დღემდე გავიდა, თუმც დიდი პერიოდი არაა, მაგრამ ამის მიუხედავად, ქართული მწერლობისათვის იგი უხვმოსავლიანი იყო. ამაჯ ადასტურებს ის ფაქტიც, რომ განვლილ დროში რუსთაველის პრემიით აღინიშნა კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ნოდარ დუმბაძის, მურმან ლებანიძის, მაყვალა მრეველიშვილის, არჩილ სულაკაურის, შოთა ნიშნიანიძის, ნიკო კეცხოველის ნაწარმოებები. კომკავშირის პრემიები მიენიჭათ მორის ფოცხიშვილსა და გურამ ფანჯიკიძეს, ხოლო მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები ერგოთ რევაზ ჯაფარიძეს, ვახტანგ ჭელიძეს, ნაზი კილასონიას, რევაზ მარგიანსა და ჯანსულ ჩარკვიანს. ცხადია, დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებები გამოირჩევიან ცხოვრებასთან სიახლოვით, მოქალაქეობრივი პოზიციით, მაღალი იდეურობითა და მხატვრული ოსტატობით. გრ. აბაშიძემ აღნიშნა აგრეთვე გამომცემლობა „მერანის“ მიერ დაბეჭდილი მთელი სერია ლექსებისა, მოთხრობებისა და ნარკვევების წიგნებისა საერთო სახელწოდებით — „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“. რამდენიმე კრებული გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“, „მერანმა“, „ნაკადულმა“, „განათლებამ“.

გრ. აბაშიძის მოხსენებაში მკაფიოდ ითქვა მადლობის სიტყვები დიდი ლენინისა და კომუნისტური პარტიისადმი ყოველივე იმის გამო, რაც მათ მოუტანეს საბჭოთა ხალხს, მთელ კაცობრიობას. „მადლობა ოქტომბრის რევოლუციისათვის და სოციალიზმისათვის, იმ უფლებისათვის, რომელიც ყველა ენის თანაბრად მიენიჭა ლენინიზმის მიერ დევნილ უძველეს ქართულ ენას, იმ დეკრეტებისათვის, რომლითაც რუსი ხალხის ამ უკვდავმა გენიამ სამუდამოდ დააკანონა დიდი და პატარა ერების თანასწორუფლებიანობა, ეროვნული სკოლის, ეროვნული კულტურის განვითარების უფლება და უსაზღვრო შესაძლებლობა[1]. მწერლის შემოქმედებაში, როგორც ცნობი-

[1] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 25 აპრილი, 1976 წ.

ლია, მთავარი საშენი მასალა ენაა, იგი არის ნაწარმოების ბალავარი, ურომლისოდაც მხატვრული თხზულების აშენება წარმოუდგენელია. ამიტომ ენის საკითხი მუდამ და ყველგან დგას მწერალთა უურადღების ცენტრში.

საბჭოთა კავშირში ყოველი ეროვნული ენიდან და კულტურის განვითარების ფართო გაქანებაზე რომ ლაპარაკობდა, გრ. აბაშიძე ჩვენს სოციალისტურ მონაპოვრებს უპირისპირებდა ცარისტული რუსეთისა თუ დღევანდელი კაპიტალისტური სამყაროს კოლონიალურ უკუღმართობას, რაც დამონებული ერების ენებსა და კულტურას ველური სისასტიკით ავიწროებს. გრიგოლ აბაშიძემ თქვა:

„როცა აფრიკისა და აზიის ქვეყნების დეკოლონიზაციაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს კოლონიალიზმის ერთი ბოროტი მემკვიდრეობა, ეს გახლავთ ინგლისისა და საფრანგეთის, ბელგიისა და პორტუგალიის, ჰოლანდიისა და ესპანეთის ყოფილი კოლონიების მწერლების ორენოვნება — ბილინგვიზმი. ისინი შინ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ წერენ დიდი უმრავლესობისათვის გაუგებარ დამპყრობელ ხალხთა ენაზე. ახლა, როცა ეროვნული ლიტერატურის აღორძინების დრო დადგა, ისინი აგრძელებენ კოლონიალისტების ენაზე წერას, და პარალელურად ცდილობენ მშობლიურ ენაზეც წერონ. ასეთ შემთხვევაში ან ერთ ენას ვერ ფლობს მწერალი, ან მეორეს იმ განსაკუთრებული სრულყოფილებით, რომელიც მწერლისათვის აუცილებელია. ასე რომ არ ყოფილიყო, პუშკინმა და ლერმონტოვმა ხომ ფრანგული ზედმიწევნით კარგად იცოდნენ, წერდნენ კიდევაც ლექსებს ფრანგულად, მაგრამ რუსული ენის მადლი მათ დედის რძესთან ერთად ჰქონდათ შერგებული, ხოლო ფრანგულად წერისას მათი ნიჭი სულაც ვერ ბრწყინავდა რუსულად დაწერილთან შედარებით.

ახლა, როცა ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში ეროვნული სკოლები იხსნება და ახალი თაობები განათლებას მშობლიურ ენაზე მიიღებენ, მწერლობაში ბილინგვიზმი ანაქრონიზმად გადაიქცევა და, როგორც კოლონიალიზმის მახინჯი მემკვიდრეობა, თავისთავად მოიხსნება“[1].

ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა წყობილების ზრუნვის შედეგად განვითარებულმა ეროვნულმა ენებმა დიდად შეუწყვეს ხელი მრავალენოვანი დიდი საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებს. ქართული საბჭოთა ლიტერატურა ერთ-ერთი მძლავრი შენაკადია იმ წყალუხვი მდინარისა, რომელსაც საბჭოთა ლიტერატურა ჰქვია.

---

1 გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 25 აპრილი, 1976 წ.

ჩვენი მწერლობის უკანასკნელი წლების მონაპოვართა შორის გრიგოლ აბაშიძემ სამართლიანად დაასახელა სამი ალმანახის — „კრიტიკის“, „განთიადისა“ და „საუნჯის“ დაარსება. ასევე აფხაზეთში ალმანახ „რიწას“ დაარსება და ჟურნალ „ცისკრის“ დამატების — „ნობათის“ გამოსვლა. უეჭველია, ეს ბეჭდური ორგანოები დიდად შეუწყობენ ხელს ქართული მწერლობის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას. ამ ორგანოთა დაარსება უეჭველად არის შედეგი იმ მუდმივი ზრუნვისა, რომელსაც კომუნისტური პარტია იჩენს ჩვენი ლიტერატურისადმი.

მიღწევათა გვერდით ყრილობაზე აღინიშნა ის ნაკლოვანებანი, რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება ქართულ მწერლობაში. მათ შორის მთავარი საყვედური მაინც ლიტერატურული კრიტიკის მისამართით ითქვა. სუსტ ადგილად იქნა მიჩნეული აგრეთვე დრამატურგთა და თეატრების კავშირის უქონლობა, რაც სამამულო რეპერტუარზე უარყოფითად მოქმედებს, ხოლო ამის გარეშე ეროვნული თეატრის განვითარება ძნელი წარმოსადგენია.

ქართველ მწერალთა VIII ყრილობას წითელ ზოლად გასდევდა პარტიის XXV ყრილობის სულისკვეთების კეთილი გავლენა, რაც მომავალი წარმატებების მყარი გარანტია გახდება.

სკკპ XXV ყრილობის კეთილმყოფელი შუქით იყო განათებული საბჭოთა კავშირის მწერალთა VI საკავშირო ყრილობა, რომელიც 1976 წლის ივნისის ბოლო დღეებში გაიმართა მოსკოვში, კრემლში. მთავარ მოხსენებაში, რომლითაც გამოვიდა მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი მწერალი გ. მარკოვი, აგრეთვე სხვა მოხსენებებსა და სიტყვებში შესანიშნავად ჩანდა საბჭოთა მწერლების ერთგულება პარტიისადმი, ხალხისადმი, სოციალიზმის იდეალებისადმი.

საბჭოთა მწერლების პატრიარქმა, სოციალისტური შრომის გმირმა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა, გახსნა რა VI ყრილობა, თქვა: **«Наш писательский съезд открывается в дни, когда вся страна трудится воплощая в жизнь решения поставленные XXV съездом КПСС, Чувствуя свою кровную связь с творческой, трудовой жизнью нашего народа, мы помним свой главный долг — запечатлеть образ нашего современника, создав художественную летопись нашего героического времени»**[1].

მართლაც, მრავალათასიანი საბჭოთა მწერლების ეს ფორუმი წარიმართა პარტიისა და ხალხის ერთგულების ნიშნით, მშრომელი ადამიანის გმირული საქმეების ასახვის მოვალეობის შეგნებით.

---

[1] «Правда», 22 июня 1976 г.

მწერალთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებაში ნათლად გამოჩნდა საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები, მისი იდეური სიმწიფე, გამოსახვის მრავალი საშუალების შემოქმედებითად მომარჯვების შედეგები, ლიტერატურული ჟანრების, შესაძლებლობათა ოსტატური გამოყენება სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე მომუშავე ადამიანთა ჩვენებისას.

გასული ხუთწლეულის მანძილზე საბჭოთა ლიტერატურის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად მწერალთა ყურილობაზე დასახელებული იყო მისი ურღვევი კავშირი პარტიასთან, ხალხთან, მათ ინტერესებთან.

«Самое главное состоит в том, что литература развилась в тесной связи с жизнью народа, активно участвовала в его созидательной борьбе за коммунизм, помогала партии в коммунистическом воспитании трудящихся»[1].

ბოლო წლების დიდ საბჭოთა ლიტერატურაში, ყოველი საბჭოთა ხალხის ეროვნულ ლიტერატურაში, რომელთა ურთობლიობა არის ერთ-ერთი სრულიად ახალი თვისებათაგანი საერთოდ საბჭოთა მწერლობისა, მკაფიოდ აისახა გრანდიოზული შრომა საბჭოთა ხალხისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს. მრავალი მწერლის რომანებში, მოთხრობებში, პოემებში თუ ლექსებში დახატულია გმირობა იმ ადამიანებისა, ვინც თავდადებულად შრომობს ბამზე, კამის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე, კურსკის მაგნიტური ანომალიის საბადოებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში და ყველგან, სადაც კი საფუძველი ეყრება ტექნიკურ-მატერიალურ თუ სამეცნიერო ბაზას კომუნიზმის მშენებლობისათვის.

წარმატებით განვითარებული ჟანრების გვერდით აღინიშნა ერთგვარი სიძნელეები დრამატურგიის დარგში, თუმცა ბოლო ხანებში გამოჩნდა პიესები, რომელნიც იმედს იძლევიან დრამატურგიის აღმავლობისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობა. ცნობილია, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წელს საგანგებო დადგენილება მიიღო ლიტერატურის ამ დარგის განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებამ დადებითი შედეგი გამოიღო, მას მოჰყვა კრიტიკისა და კრიტიკოსთა აქ-

1 «Правда», 22 июня 1976 г.

ტივიზაცია, რაც საბოლოო ანგარიშში დიდად შეუწყობს ხელს საერთოდ ლიტერატურის შემდგომ განვითარებასაც.

პარტიის XXV ყრილობის დებულებათა უშუალო გამოძახილი შეიმჩნეოდა მწერალთა ყრილობაზე მოსმენილი საანგარიშო მოხსენების იმ სულისკვეთებაში, რაც თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის თემატიკას, მის შინაარსს ეხება. „საწარმოო თემის", მორალური ძიების, სამამულო ომის თემის, მშვიდობისათვის, მისი დაცვისათვის მოღვაწეობის თემები ყრილობაზე განხილული იყო როგორც საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი თემები, მათი წარმატებით ასახვა ხელს უწყობს ჰეშმარიტი პატრიოტის, მაღალი ზნეობის მქონე ადამიანის, პატიოსანი, გამრჯე, მართალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბებას. ამ უბანზე დიდი წარმატებები აქვს მთლიანად საბჭოთა ლიტერატურას.

ზემოთაც ითქვა, რომ საბჭოთა ლიტერატურის წარმატებები კიდევ უფრო აცრუფებს ყველა ჯურის ანტისაბჭოთა პოზიციაზე მდგარ სუბიექტებს, ვისაც ღვარძლი და შხამი მოსვენებას უკარგავს და სასურველ სინამდვილედ უნდათ გაასაღონ ცილისწამება. ცინიზმი და მრგვალი სახის უკადრისი საქციელი მათთვის ჩვეულებრივ ნორმად იქცა. ასეთთა მისამართით ამხ. გ. მარკოვმა ჯერ კიდევ პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან თქვა დამსახურებისამებრ[1], ხოლო მწერალთა VI ყრილობაზე მან საკადრისი პასუხი გასცა ყველა იმათ, ვინც ცდილობს შავი თეთრად გაასაღოს, ვისაც სწადია განხეთქილება ჩამოაგდოს პარტიისა და კულტურის მოღვაწეთა შორის, ვისაც სურს, რომ საბჭოთა ლიტერატურა ააცდინოს განვითარების სწორ გზას.

მწერალთა VI ყრილობაზე ამხ. გ. მარკოვმა თქვა:

Зарубежные антисоветчики и среди них презренные одиночки-перебезчики не перестают оголтело клеветать на советских писателей и на наш творческий союз. Тысячи раз объявлявшие союз писателей распавшимся, а литературу социалистического реализма ликвидированной, они любят пощеголять перед своими читателями и слушателями звонкими словечками о «свободе» печати и совести, о «независимости» таланта в буржуазном обществе. Причем все это пускается в оборот с непременной целью оболгать Советскую страну. Но это — пустые слова, брехня, как говорят у нас в народе...

Антисоветчики и антикоммунисты уныло и назойливо бормочут, пугая зарубежных обывателей, нагнетая обстанов-

---

[1] «Правда», 28 февраля 1976 г.

ку недоверия и подозрительности: «Советские писатели были и остаются во власти комиссаров. Комиссары все за них делают — и книги печатают, и журналы издают, и даже романы пишут». Что ж, товарищи, утешим господ, скажем им правду: действительно, в Союзе писателей много комиссаров. Их восемь тысяч! Все мы, советские писатели, по убеждению, по духу, по складу жизни неукротимые красные комиссары, для которых нет ничего дороже ленинской правды на земле, великого дела нашего героического народа и родной Коммунистической партии!»[1].

ვფიქრობთ, ამ მოხდენილ და მოსწრებულ პასუხს კომენტარები აღარ სჭირდება, რადგან მასში ნათლად გამოჩნდა ყველა საბჭოთა მწერლის გულისნადები, გამოჩნდა მათი ერთგულება პარტიისა და სოციალიზმისადმი.

საბჭოთა მწერლის და, მაშასადამე, საერთოდ საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დასმული სადღეისო და სახვალიო ამოცანები კარგად არის მოხაზული გაზეთ „იზვესტიის“ 1976 წლის 22 ივლისის ნომრის მოწინავე სტატიაში „მწერლის მოწოდება“. აქ ვკითხულობთ «Такова роль, таково призвание советской литературы— способствовать формированию всесторонне развитой личности, нести в массы высокие коммунистические идеалы»[2].

ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირებაში ხელის შეწყობა, მასებში მაღალი კომუნისტური იდეალების შეტანა— ასეთია საბჭოთა ლიტერატურის მოწოდება, ე. ი. მის წინაშე მდგარი ამოცანა. ეს არის ის მაღალი მოვალეობა და მისია, რომელსაც ლიტერატურასა და მწერალს აკისრებს პარტია, ხალხი, ჩვენი თანამედროვეობა და ხვალინდელი დღის მიზნები.

საბჭოთა ლიტერატურა ნამდვილად დგას არა მარტო იდეოლოგიური ბრძოლის წინა ხაზზე, რამდენადაც იგი ხელს უწყობს კომუნისტური იდეების დამკვიდრებელ გავრცელებას მასებში, არამედ იგი დგას სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის თავდადებული შრომის წინა ხაზზეც, რამდენადაც მილიონობით მშრომელს აღაფრთოვანებს წარმატებათა მოსაპოვებლად. თავისთავად ცხადია, რომ მხატვრული ლიტერატურა უპასუხებს ადამიანის ესთეტურ მოთხოვნილებებს, ამაღლებს მას სულიერად, აკეთილშობილებს მის ბუნებას და აზიარებს მშვენიერებას. ასეთი ტევადი და ყოვლისმომცველია ლიტერატურის როლი საზოგადოებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დად-

[1] «Правда», 22 июня 1976 г.
[2] «Известия», 22 июля 1976 г.

გენილებაში სხარტად და მეტყველად არის ჩამოყალიბებული ის ამოცანები, რაც მხატვრული ინტელიგენციისა და მისი შემოქმედებითი ორგანიზაციების წინაშე დგას ახლო მომავალში. იქვე გათვალისწინებულია პარტიული ორგანიზაციების ის მუშაობა, რომელიც მათ უნდა შეასრულონ მხატვრული ინტელიგენციისათვის ხელის შეწყობის თვალსაზრისით. დადგენილების ეს ნაწილი ასე ჟღერს:

„რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შემოქმედებითს ინტელიგენციასთან მუშაობაში მიაღწიონ ძიზანდასახულ და გონივრულ მიდგომას, გაითვალისწინონ ზრუნვა მისი იდეური წრთობისათვის.

საქართველოს მწერალთა, ჟურნალისტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა, არქიტექტორთა კავშირებმა, თეატრალურმა საზოგადოებამ და მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი სოციალისტური რეალიზმის, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებზე დამყარებული ლიტერატურისა და ხელოვნების, პუბლიცისტიკის ახალი ნაწარმოებების შექმნას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს კულტურულ და სოციალურ პროგრესს, ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების დაძლევას, ნათელი კომუნისტური იდეალების დამკვიდრებას“[1].

დღესავით ნათელია ის ამოცანები, რაც შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე დგას.

ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში, მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის აღმავლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალ-გაზეთების მუშაობისა და საგამომცემლო საქმის გაუმჯობესებას, ქაღალდის ფონდის გამდიდრებას, პოლიგრაფიული ბაზის გაუმჯობესებას. ამ საკითხების მოგვარებაზე დიდად არის დამოკიდებული მწერლის არა მარტო განწყობილება, არამედ მისი პროდუქტიულობაც. ამიტომ, ჩვენი აზრით, პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა, გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ საკითხების დროზე მოსაგვარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული იმისი შესაძლებლობა, რომ ბევრი მწერლის მრავალი შესანიშნავი ჩანაფიქრი მზის სინათლეს ვერ იხილავს.

ამოცანები ნათელია, შემოქმედებითი შთაგონების წყარო დაუშრეტელია, მწერლები დამუხტული არიან ცხოვრებისეული მუხტით, მათ არც ხალისი აკლიათ და არც მონდომება. პირველი შედეგები უკვე სახეზეა. ყველაფერი ეს იძლევა იმედს, რომ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები ლიტერატურის დარგშიც

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 6 თებერვალი, 1976 წ.

ისევე წარმატებით შესრულდება, როგორც იგი სრულდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

■

ჩვენი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს და წარმართავს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს. იგი ეწევა გრანდიოზულ მუშაობას კომუნიზმის ტექნიკური და ეკონომიკური საფუძვლების განსამტკიცებლად, მილიონობით ადამიანის ენერგიას უკეთებს მობილიზებას კომუნიზმის ასაშენებლად. ამ მრავალმხრივსა და ტიტანურ მოღვაწეობაში მცირე ადგილი როდი ეკუთვნის პარტიის შემოქმედებითსა და ორგანიზატორულ მუშაობას ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ამის მიუხედავად, პარტიის მოღვაწეობის ეს მხარე მცირედად ან სრულიადაც არ აისახება პარტიის ისტორიის ნარკვევებში და პარტიის მოღვაწეობის ამსახველ სხვა გამოკვლევებსა და ნაშრომებში. სამართლიანობისა და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დადგა დრო, როცა სერიოზული კვლევა უნდა დავიწყოთ პარტიის სალიტერატურო პოლიტიკისა და ამ დარგში მისი მოღვაწეობის სრულყოფილი შესწავლისათვის.

პარტიის XXIV ყრილობის სულისკვეთებით

საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, წინა პერიოდში მიღწეული შედეგებისა და მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტივების განჭვრეტის საფუძველზე, სკკპ, მისი ცენტრალური კომიტეტი ცხოვრების ყოველ სფეროში სახავს ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ჩვენი წინსვლის ახალ ეტაპს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს უფრო ახალი მიჯნების დაძლევას კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე. ეს პროცესი უწყვეტია. ასე მომდინარეობს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან დღემდე.

აღნიშნული თვალსაზრისით გამონაკლისი არ არის დროის ის მონაკვეთიც, რომელიც შესწავლის საგნად ჩვენ გავიხადეთ ამ ნაშრომში. 1971—1975 წლები მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც და კერძოდ საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბითაც განათებულია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მეცნიერების, კულტურის, კერძოდ მხატვრული ლიტერატურის წინსვლისა და განვითარების გეზისა და მიმართულების შემუშავების თვალსაზრისითაც. სწორედ პარტიის XXIV ყრილობამ განსაზღვრა ის ამოცანები, რომლებიც მომდევნო ხუთწლიან პერიოდში უნდა გადაეჭრა საბჭოთა ხალხს. იმ უზარმაზარ, გლობალურ საკითხებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წინა პერიოდის საბჭოთა ლიტერატურის მიღწევათა შეფასებას და ახალი ამოცანების დასახვას მომდევნო პერიოდისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთლიანად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ამ პერიოდისათვის მდგარი ამოცანების განსაზღვრისა და მათი გადაჭრისათვის ყოველმხრივ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მათი განუხრელად შესრულების მიზნით ეწეოდა ყოველდღიურ ორგანიზატორულ თუ შემოქმედებით მუშაობას, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჯერ კი გავეცნოთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ ხაზს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, რომელიც განსახილველ პერიოდში, ისე როგორც ადრეც, ერთ-

გულად ემსახურებოდა საბჭოთა ხალხს, ასახავდა თანამედროვეობისა და წარსულის მნიშვნელოვან პრობლემებს, გამსჭვალული იყო პარტიის იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, ხელს უწყობდა კომუნიზმის მშენებელი ადამიანის სულიერი ფორმირების რთულსა და საპატიო საქმეს, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას.

ყრილობამ, პირველ რიგში, შეაფასა წინა პერიოდის საბჭოთა ლიტერატურის მიერ მიღწეული შედეგები, აღნიშნა დიდი წარმატებებიც და ჩრდილოვანი მხარეებიც.

სკკპ XXIV ყრილობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ლიტერატურის საკითხები განიხილა საერთოდ იდეოლოგიური მუშაობის ორგანულ ნაწილად. ხოლო მთელი იდეოლოგიური მუშაობის ამოცანად ის მიიჩნია, რომ ხელი შეუწყოს ახალი ადამიანის ფორმირებას. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ყრილობისათვის წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში მესამე ჯარად სპეციალურად არის გამოყოფილი „ახალი ადამიანის ფორმირება პარტიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა". ამ ამოცანის გადაჭრაში კი იდეოლოგიური აღზრდის სხვა ფორმებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურასა და ხელოვნებას.

მოხსენებაში მაქსიმალური სიცხადით წერია, რომ „დიად საქმეს — კომუნიზმის მშენებლობას — წინ ვერ წავწევთ, თუ ყოველმხრივ არ განვავითარეთ თვითონ ადამიანი"[1]. როგორც შეუძლებელია კომუნიზმის აშენება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, ასევე შეუძლებელია ადამიანთა კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი შეგნების მაღალი დონის გარეშე.

ყრილობამ პარტიის მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ღერძად მიიჩნია „მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება... საბჭოთა ადამიანებისათვის შრომისადმი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა"[2]. ამ ამოცანის განხორციელებაში პარტიას განუზომელ დახმარებას უწევს საბჭოთა ლიტერატურა თავისი ყველა ჟანრით.

საანგარიშო მოხსენებაში მკაფიოდ იყო აღნიშნული, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მასებისათვის სამშობლოსადმი სიამაყის გრძნობის ჩანერგვას, ჯანსაღი პატრიოტული გრძნობების გაღვივებას, სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნის პატივისცემას, ადამიანებში კომუნისტური მორალის აღზრდის, წარსულის გადმონაშთებისადმი გამუდმებულ და უკომპრომისო ბრძოლას — მომ-

---

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 105.

2 იქვე, გვ. 106.

ბეუშველობის, მექრთამეობის, მუქთახორობის, ცილისმწამებლობის, ლოთობისადმი და სხვა უმსგავსობათა წინააღმდეგ ბრძოლას.

ლიტერატურის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა აგრეთვე ერთი გარემოება, რომელსაც საანგარიშო მოხსენებაში გაესვა ხაზი. ეს არის საზოგადოებაში სათანადო მორალური და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა. ასეთი ატმოსფერო, როგორც ნათქვამია საანგარიშო მოხსენებაში, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში, შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში ადამიანისადმი პატივისცემისა და მზრუნველი დამოკიდებულების, პატიოსნების, საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი მომთხოვნელობის, ნდობის დამკვიდრებას, რაც შეხამებული იქნება პასუხისმგებლობასთან და ამხანაგურ სულისკვეთებასთან. „ერთი სიტყვით, იმას ვესწრაფოდით, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა უკეთ ცხოვრობდეს და უკეთ მუშაობდეს“[1].

ყრილობამ მთელი პირდაპირობით განაცხადა, და ეს მეტად მნიშვნელოვანია კულტურის ფრონტის ყველა მუშაკისათვის, მათ შორის ლიტერატორებისთვისაც, რომ „კომუნიზმზე გადასვლისათვის საჭიროა მივაღწიოთ არა მარტო ეკონომიკის, არამედ მთელი საზოგადოების კულტურის განვითარების უფრო მაღალ დონეს“[2]. თუ არ ვცდებით, ასე პირდაპირ და ასე მკაფიოდ კულტურისა და ეკონომიკის თანაფარდობაზე მანამდე არ თქმულა. ცხადია, ეს ახალი ეპოქის მონაპოვარია, რაც წინა ეპოქების მიღწევებს ემყარება, წინა ეპოქების მიერ მყარად ჩაყრილ საფუძველზე არის დაშენებული.

იდეოლოგიური მუშაობის საერთო, ზოგადი მოსაზრებების გვერდით პარტიის XXIV ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო კერძოდ ლიტერატურის საკითხებს, რადგან „კომუნისტური მშენებლობის გზით ჩვენი საზოგადოების წინსვლის კვალობაზე ი ზ რ დ ე ბ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ა და ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს რ ო ლ ი საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი მრწამსის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში“[3]. ამიტომ პარტია დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურ შინაარსს, იმ როლს, რომელსაც ისინი საზოგადოებაში ასრულებენ. პარტია მხატვრულ შემოქმედებას წარმართავდა და წარმართავს კომუნისტურ მშენებლობაში მონაწილეობისათვის.

ზემოაღნიშნული გაგებიდან გამომდინარე, პარტიის XXIV ყრილობამ განიხილა საბჭოთა ლიტერატურის მიერ მიღწეული შე-

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 108.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 111.

დეგები და დასახა მომდევნო პერიოდისათვის შესასრულებელი ამოცანები.

ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ლიტერატურის მიერ ბოლო წლებში განვლილ გზას, აღნიშნა, რომ „განვლილ ხუთწლედში ჩვენმა ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ, ტელევიზიამ, სახვითმა ხელოვნებამ, მუსიკამ საბჭოთა ადამიანებს ბევრი რამ ახალი, საინტერესო, ნიჭიერად შექმნილი ნაწარმოები მისცა“... ისინი „რეალისტურად, პარტიული პოზიციებიდან, შეულამაზებლად, მაგრამ ნაკლოვანებათა გაუზვიადებლადაც აშუქებენ ჩვენი ხალხის წარსულსა და აწმყოს...“[1]

აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ დებულებას, რომელიც უბრალოდ არის ნათქვამი, მაგრამ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საკითხი ეხება იმას, რომ „სინამდვილე უნდა აისახებოდეს შეულამაზებლად, მაგრამ ნაკლოვანებათა გაუზვიადებლადაც“. ჩვენი ფიქრით, ეს არის სახელმძღვანელო დებულება, რომელიც კრიტერიუმად უნდა გაიხადოს ყველა მწერალმა, ჩვენი სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში თავისი პოზიცია ამით უნდა განსაზღვროს. ფაქტიურად ეს არის სიმართლისა და ობიექტურობის მოთხოვნა, რაც სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ბუნებიდან გამომდინარეობს და რაც აგრეთვე უნდა იყოს ყოველი პატიოსანი ადამიანის ელემენტარული ზნეობრივი თვისება. ზემოთ მოტანილ ციტატაში საინტერესოა აგრეთვე „წარსულისა და აწმყოს“ ერთად მოხსენიება. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან იყო დრო, როცა სავსებით მცდარად, ზოგი ვინმე საერთოდ გამორიცხავდა წარსულის ასახვას სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში, და მხოლოდ თანამედროვეობის ასახვას მოითხოვდნენ. ცხადია, ეს მცდარი თვალსაზრისი მალე გასწორდა. მაგრამ დიდად საყურადღებოა, რომ პარტიის XXIV ყრილობამ ეს გასწორება დააკანონა. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? რაკი ჩვენი ლიტერატურა მასების აღმზრდელის, მისი სულიერი სამყაროს ჩამომყალიბებლის მაღალ ფუნქციას ასრულებს, ამ აღზრდის პროცესში მწერალს ეხმარება არა მარტო თანამედროვე ფაქტები და მოვლენები, თანამედროვე ადამიანები, თუმც ეს ძალზე მნიშვნელოვანია, არამედ წარსულის ფაქტებიცა და მოვლენებიც, ისტორიული პირებიც, თუ მათი შერჩევა და გაშუქება ხდება დღევანდელობის მოთხოვნილებათა პოზიციიდან, როცა მათ მწერალი ჩააყენებს თანამედროვეთა აღზრდის სამსახურში. ამიტომაა ეს პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხი. როგორც ჩანს, ყრილობამ ეს კარგად განჭვრიტა და გაითვალისწინა.

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 111.

იქვე სხვა საკითხზეც მახვილდება ყურადღება. ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში წერია: „რაც უფრო მჭიდრო კავშირი აქვს ხელოვანს საბჭოთა ხალხის მთელ მრავალფეროვან ცხოვრებასთან, მით უფრო უტყუარია მისი შემოქმედებითი მიღწევებისა და წარმატებების გზა"[1]. მწერლის მჭიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან აქ გამოცხადებულია წარმატების საწინდრად. ეს არ არის მხოლოდ თეორიული დებულება, იგი ემყარება საბჭოთა მწერლობის უზარმაზარ გამოცდილებას, რომელიც მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნის გარეშე, ცხოვრებასთან უწყვეტი კავშირის გარეშე შემოქმედებითი წარმატება წარმოუდგენელია. ამას ადასტურებს მ. გორკის, ელ. მაიაკოვსკის, მ. შოლოხოვის, ა. ფადეევის, კ. სიმონოვის, მ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის და მრავალი სხვა გამოჩენილი საბჭოთა მწერლის მიერ განვლილი შემოქმედებისა და ცხოვრების გზა.

როგორც ცნობილია, პარტიის XXIV ყრილობას წინ უსწრებდა წლები ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისათვის მზადებისა, რაც დაგვირგვინდა ბელადის იუბილეს გრანდიოზული აღნიშვნით არა მარტო საბჭოთა კავშირში და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში, არამედ ბევრ კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყანაშიც. ამიტომ ბუნებრივია, რომ დასახელებულ წლებში კიდევ უფრო დიდი ადგილი დაიკავა ლენინის თემამ საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში. ყრილობამ ეს ფაქტი სიამოვნებით აღნიშნა.

XXIV ყრილობამ კმაყოფილებით დაადასტურა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ნაყოფიერად ვითარდება ყველა რესპუბლიკაში ეროვნულ ფორმათა მკაფიო გამოვლინებით.

მნიშვნელოვანია იმისი გახსენებაც, რომ ყრილობამ აღნიშნა ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური სიმწიფის ზრდა, შემოქმედთა პასუხისმგებლობა შექმნილ ნაწარმოებთა შინაარსისა და მხატვრული სრულყოფისათვის.

მაგრამ მიღწეულ წარმატებათა აღნიშვნისა და ამით გამოწვეული სიხარულის გვერდით ძალზე მნიშვნელოვანი იყო ყრილობის საანგარიშო მოხსენების ის ადგილიც, სადაც ითქვა საბჭოთა ლიტერატურაში არსებულ ხარვეზებზე. ამისი თქმა, ჯერ ერთი, გამოხატავდა საქმის რეალურ მდგომარეობას, მეორეც, ეხმარებოდა მწერლობას ნაკლოვანებათა დაძლევაში. შენიშვნები, პირველ რიგში, ეხებოდა ნაწარმოებთა ხარისხს და ეს სავსებით სამართლიანი შენიშვნა იყო.

[1] სკკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 111.

საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა:

„მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული შემოქმედების დარგში ყველაფერი რიგზე იყოს, განსაკუთრებით შექმნილ ნაწარმოებთა ხარისხის მხრივ. ...ჩვენში ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით ჩნდება ზერელე შინაარსის, უფერული ფორმის ნაწარმოებნი"[1]. როგორც ვხედავთ, აქ ხარისხის ცნებაში შემოქმედების ორივე მომენტზეა აქცენტირება — შინაარსზეც და ფორმაზეც: დაგმობილია შინაარსის ზერელობა და ფორმის უფერულობა. როგორც ნათქვამია, ამაზე უკეთესად ვერც იტყვი! ცხადია, ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს უნდა ახასიათებდეს შინაარსის სიღრმე და ფორმის სრულყოფილება. მხოლოდ ამ დონეზე შეიძლება შეფასდეს ჰეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც დიდი ღირებულება ექნება.

ყოველი მწერლისა თუ კრიტიკოსისათვის სახელმძღვანელოა ის დებულება, რომელიც საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებულია ასე: „ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ნაწარმოები ეძღვნება კარგ, აქტუალურ თემას, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხატვარი თავის ამოცანას ძალიან იოლად მიუდგა, არ ჩააქსოვა თავის შრომაში მთელი ნიჭი"[2]. შემდეგ ამას მოსდევს მომთხოვნელობის გაზრდის საკითხი საკუთარი თავისა და კოლეგებისადმი. შემოქმედებითი წუნის დაგმობა და მისი წარმოშობის მიზეზების ახსნა საოცრად მეტყველი და საქმიანია. მხოლოდ თემატური აქტუალობა, მის უკან ამოფარება შემოქმედს წარმატებას ვერ მოაპოვებინებს. ნიჭი და პასუხისმგებლობა, მთელი გატაცებით მუშაობა ის აუცილებელი პირობაა, რომელიც აქტუალურსა და საჭირო თემას, მის ასახვას აიყვანს მაღალ შემოქმედებითს ხარისხში, აქცევს ნამდვილად მხატვრულ ნაწარმოებად. ეს კატეგორიული მოთხოვნა ეხება ყველას — დიდსა თუ მცირეს, ხანდაზმულსა თუ ახალგაზრდას, სახელმოხვეჭილსა თუ დამწყებს — ყველას, ვინც შემოქმედების დიდად საპატიო, მაგრამ ამავე დროს ძალზე რთულსა და ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი.

აღსანიშნავია, რომ ყრილობამ მხატვრულ შემოქმედებაში არსებული ნაკლოვანებების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნია კრიტიკის არასახარბიელო მდგომარეობა და გამოიტანა დასკვნა, რომ ნაკლოვანებები უფრო მცირე გვექნებოდა, ხოლო წარმატებები უფრო შრავალი, კრიტიკა სათანადო დონეზე რომ იდგესო:

„ეჭვი არ არის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარ-

---

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 112.

[2] იქვე.

მატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ხოლო ნაკლოვანებანი უფრო სწრაფად აღმოიფხვრებოდა, ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა რომ უფრო აქტიურად ახორციელებდეს პარტიის ხაზს, იჩენდეს მეტ პრინციპულობას, მომთხოვნელობას ახალმებდეს ტაქტთან, მხატვრულ ღირებულებათა შემქმნელებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასთან"[1].

ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით იმაზე, თუ ეს დებულება პარტიას როგორ მნიშვნელოვნად მიაჩნია, კრიტიკის როლი მხატვრული შემოქმედების განვითარებაში რა პრინციპულ დონეზე აქვს განხილული, ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ XXIV ყრილობიდან ერთი წელიც არ იყო გასული, როცა პარტიამ საგანგებო დადგენილება მიიღო ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის განვითარების ღონისძიებების შესახებ და ამით დაადასტურა თავისი სალიტერატურო ხაზის განუხრელობა და თანმიმდევრულობა, ამავე დროს მკაფიოდ გამოაჩინა კრიტიკის. როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის როლი და ადგილი ჩვენს საზოგადოებაში.

1971 წლის 30 მარტს მოსმენილ საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობამ კიდევ ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი დებულება წამოაყენა, როცა თქვა: „ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ დაძაბულ უბანზე არიან"[2]. ეს დებულება იმაზე მიუთითებს, თუ რა ადგილი უკავია მწერლობასა და ხელოვნებას იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე, რომ ამ ბრძოლაში ისინი სადღაც ზურგში კი არ იმყოფებიან, რაღაც მეორეხარისხოვან უბანზე კი არ იბრძვიან, არამედ ერთ-ერთ დაძაბულ უბანზე არიან.

ყრილობის წინა წლებში, სამწუხაროდ, იყო გამონაკლისი შემთხვევა, როცა ერთმა თუ ორმა საბჭოთა მწერალმა დაივიწყა ქვეყნის ინტერესები და ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ ნაკლი დაინახა, ამიტომ მრუდე სარკეში დანახული სინამდვილის ასახვა დაიწყო. ასეთი ვაიმწერლების გასაგონად ყრილობამ სავსებით ნათლად თქვა, რომ „თუ ლიტერატორი ცილს სწამებს საბჭოთა სინამდვილეს, ეხმარება ჩვენს იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებს ებრძოლონ სოციალიზმს, იგი მხოლოდ ერთი რამის — საზოგადოებრივი ზიზღის ღირსია"[3]. და მართლაც, საზოგადოებამ ზიზღი გამოუცხადა სოლჟენიცინსა და ერთი-ორ მის მსგავსს, რომლებმაც დაივიწყეს მთავარზე უმთავრესი, რომ საბჭოთა მწერალი უნდა ემსახუ-

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 112.

2 იქვე, გვ. 113.

3 იქვე.

რებოდეს ხალხს, გამოხატავდეს მის მისწრაფებებს, მის სიხარულსა თუ ტკივილს და ეხმარებოდეს მას წინსვლისაკენ მიმავალი გზის გაშუქებაში.

საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ დასახელებული უარყოფითი მოვლენები გამონაკლისია, იგი მნიშვნელოვნად არ ყოფილა გავრცელებული, მაგრამ მისი აღნიშვნა მაინც გამართლებულია, რადგან ეს დაეხმარება ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, „უფრო მტკიცედ და გულდაჯერებით იმუშაონ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების იმ გენერალური მიმართულებით, რომლითაც ნაყოფიერად მუშაობდნენ განვლილ ხუთწლედში". ეს სიტყვები გამსჭვალულია ზრუნვით საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, მისი შეუფერხებელი წინსვლისათვის.

მომდევნო წლებმა გვიჩვენა, თუ რამდენად სწორი და საჭირო იყო პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული სალიტერატურო გეზი, რომელმაც საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება შემდგომ მაღალ საფეხურზე აიყვანა. ამ წინსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ „საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა; ისინი ცხოვრობენ თავიანთი ხალხის საქმეებითა და ფიქრებით, მათი შემოქმედებითი ბედი განუყოფელია სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისაგან".

პარტიის XXIV ყრილობაზე მკაფიოდ ითქვა შემოქმედებითი ძიების აუცილებლობაზე, ნიჭის დაფასებაზე, ფორმისა და სტილის მრავალფეროვნებაზე. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ შემოქმედების პროფესიონალური მხარე პარტიისათვის ისევე საინტერესო და გასაგებია, როგორც მისი იდეური და შინაარსობრივი მხარე.

„ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ყურადღებით ვეკიდებოდეთ შემოქმედებითს ძიებას, რომ უფრო სრულად ვლინდებოდეს ნიჭისა და ტალანტის ინდივიდუალობა, მრავალფეროვანი და მდიდარი იყოს ფორმა და სტილი, რომლებიც შემუშავებულია სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე"[1]. ამ ამონაწერში გატარებულ აზრს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წმინდა შემოქმედებითი თვალსაზრისით. იგი, ერთი მხრივ, საბჭოთა მწერლებს მოუწოდებს ეძიონ მრავალგვარი ფორმები, სტილი, მანერა, რათა უფრო სისხლსავსედ, სრულფასოვნად ასახონ საბჭოთა ხალხის გრანდიოზული შემოქმედებითი შრომა კომუნიზმის მშენებლობისათ-

---

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 113.

ვის, მეორე მხრივ, საკადრის პასუხს აძლევს ყოველგვარ მონაჩმახს იმის შესახებ, თითქოს ჩვენს ქვეყანაში მხატვრული შემოქმედება იზღუდებოდეს პარტიის ჩარევის გამო. პირიქით, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის უსაზღვრო შესაძლებლობები სწორედ იმაში ვლინდება, რომ ჩვენს ლიტერატურაში განუწყვეტელია შემოქმედებითი ძიებები, ნიჭის, ტალანტის, მწერლის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა გამოვლინების დიაპაზონი, ფორმისა და სტილის მრავალფეროვნებათა მომარჯვების ასპარეზი. ყოველივე ამის წყალობით მიიღწევა სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოების შექმნა.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში პარტიული ხელმძღვანელობის ფორმა და შინაარსი XXIV ყრილობამ სავსებით ნათლად განსაზღვრა. იგი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „პარტიული ხელმძღვანელობის ძალაა იმის უნარი, რომ გაიტაცოს ხელოვანი ხალხის სამსახურის კეთილშობილური ამოცანით, გახადოს იგი კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის მტკიცე და აქტიური მონაწილე"[1]. ე. ი. არა შემოქმედებით მუშაობაში, თვით პროცესში ჩარევა, არამედ შემოქმედი ადამიანის გატაცება ჩვენი საქმეებით, ხალხის სამსახურში მისი ნიჭისა და ენერგიის ჩასაბმელად, საზოგადოების გარდაქმნის დიად საქმეში მისი მონაწილეობის აუცილებლობაში დასარწმუნებლად. ასეთი რწმენისა და შეგნების მწერალი თვითონ შექმნის სწორედ ისეთ ნაწარმოებებს, რომელიც ჩვენს საზოგადოებას სჭირდება. თუ პარტიული ხელმძღვანელობის ეს ფორმა და მეთოდი სრულად განხორციელდება, მაშინ შედეგიც სასურველი იქნება. საკითხის ასეთი დასმა არის შემოქმედებითი ხორცშესხმა იმ მითითებებისა, რომელთაც თავის დროზე იძლეოდა ვ. ი. ლენინი, როცა მხატვრული შემოქმედების, კერძოდ, ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობდა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოტანილი ამონაწერი თავისი ღრმა შინაარსით შეიცავს სახელმძღვანელო დებულებას ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის, პარტიული კომიტეტისათვის, რომელთაც ურთიერთობა აქვთ მხატვრულ ინტელიგენციასთან, შემოქმედებით კავშირებთან, ვინც წარმართავს ლიტერატურის მუშაკთა ძალებს. ეს არის კონკრეტული გამოხატულება იმ საზოგადოებრივი ატმოსფეროსი, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში, რაზეც პარტიის XXIV ყრილობაზეც ითქვა და ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ამის შესახებ.

პარტიის XXIV ყრილობაზე გატარებული თვალსაზრისი, რო-

---

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 114.

მელიც ლიტერატურასა და ხელოვნებას ეხება, გამომდინარეობს იმ ვითარებიდან, რომელშიც საბჭოთა ხალხს უხდება ცხოვრება. მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლა, კაპიტალიზმის აურაცხელი ხრიკები, რათა შეაფერხოს სოციალიზმის ტრიუმფალური წინსვლა და განვითარება, კაცობრიობის წინაშე აღმართული ომის საფრთხობელა, პროგრესულ ძალთა განუწყვეტელი ბრძოლა მშვიდობისათვის, ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა — ყოველივე ეს და მრავალი სხვაც გავლენას ახდენს ჩვენი ლიტერატურის შინაარსზე, მის წინაშე მდგარ ამოცანებზე. ამიტომ არის, რომ პარტიის სალიტერატურო პოლიტიკა, რომლის სათავეც ვ. ი. ლენინიდან მოდის, ყოველ ახალ მომენტში უხამებდა რეალურ ვითარებას. ეს არის საკითხისადმი მარქსისტული, დიალექტიკური მიდგომა.

ყრილობაზე ითქვა: „ჩვენ ვცხოვრობთ შეუნელებელი იდეოლოგიური ომის პირობებში, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ აწარმოებს იმპერიალისტური პროპაგანდა, ამასთან იყენებს ყველაზე გაწაფულ მეთოდებსა და მძლავრ ტენქიკურ საშუალებებს... მობილიზებულია იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანოს ადამიანები, ჩაუნერგოს მათ შთაბეჭდილება, თითქოსდა სამოთხის ცხოვრებაა კაპიტალიზმის დროს, ცილი დასწამოს სოციალიზმს. ეთერი პირდაპირ სავსეა ყოველგვარი მონაჭორებით ჩვენი ქვეყნის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ცხოვრების შესახებ“[1]. ასეთ პირობებში, ამ ვითარებაში, გასაგებია, რომ იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მძიმე უბანზე სწორედ საბჭოთა ლიტერატურა იბრძვის ჩვენი სიმართლის მხატვრულად დამაჯერებელი ჩვენებისათვის. ვინც მომენტის ამ თავისებურებას არ გაითვალისწინებს, ვინც განყენებულ მოსაზრებებს დასჯერდება, ის ჰაერში გამოკიდებულს დაემსგავსება.

ამრიგად, პარტიის XXIV ყრილობაზე, რომელიც 1971 წლის მარტის ბოლოსა და აპრილის პირველ რიცხვებში მიმდინარეობდა, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების გასავითარებლად ახალი პერსპექტივები დაისახა. მიღწეული წარმატებების უხვად აღნიშვნისა და ნაკლოვანებათა მზრუნველი მითითების შემდეგ გატარებული იყო თვალსაზრისი, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება იდეურად გამართული, შემოქმედებითად სრულყოფილი, მიმზიდველი და შთამბეჭდავი უნდა იყოს.

პარტიის XXIV ყრილობაზე გატარებული სალიტერატურო

---

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 115.

ხაზი გამიზნული იყო მომდევნო ხუთწლიანი პერიოდისათვის, ე. ი. XXV ყრილობის მოწვევამდე. ამ დროის განმავლობაში ეს მითითებები და დებულებანი განუხრელად უნდა შეესრულებინა საბჭოთა კავშირის ყველა პარტიულ ორგანიზაციას, მათ შორის, ცხადია, საქართველოს კომპარტიასაც. მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხს განვიხილავდეთ, უნდა შევეხოთ ორ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას საბჭოთა ლიტერატურისათვის, როგორიც იყო მწერალთა V საკავშირო ყრილობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვალში მიღებული დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ. ორივე ამ ფაქტმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ პარტიის XXIV ყრილობის სულისკვეთებას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

საბჭოთა ქვეყნის მწერალთა საკავშირო ყრილობის მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ:

„სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული დიდებული პროგრამა შთააგონებს მთელ ხალხს, ყველა ჩვენგანს, საბჭოთა მწერლებს, ახალ შემოქმედებითს მიღწევებს. არ არის და არც შეიძლება იყოს მხატვრული სიტყვის ოსტატისათვის იმაზე პასუხსაგები და საპატიო საქმე, ვიდრე აქტიურად მონაწილეობდეს თავისი ხალხის შემოქმედებითს შრომაში“[1].

ყრილობის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა მწერლების უპირველესი მოვალეობაა — წარმოვაჩინოთ ხელოვნების საშუალებით სოციალიზმის სამყაროს ძალა და სილამაზე, მისი მიზნების სიდიადე და მისი მისწრაფებების კეთილშობილება. საბჭოთა ლიტერატურას მთავარ ამოცანად ის მიაჩნია, რომ ჩვენი ცხოვრების წამყვანი გმირი — მოწინავე მშრომელი, კომუნიზმის საქმისათვის აქტიური მებრძოლი წარმოსახოს მთელი მისი ინტერესებით, აზრებისა და გრძნობების სიმდიდრით.

მწერალთა V ყრილობის რეზოლუციაში ჩაწერილია: „აყვავება ლიტერატურისა, რომელსაც სსრ კავშირის ხალხთა 75 ენაზე ქმნიან, ასახავს ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ქმნადობას. ეს ერთხელ კიდევ შესანიშნავად მოწმობს პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების ნაყოფიერებას“[2].

მწერლებმა თავიანთ ყრილობაზე განაცხადეს, რომ ჩვენი მოწოდება არის საერთაშორისო ასპარეზზე ვიყოთ კომუნიზმის ძლევამოსილი იდეების მგზნებარე პროპაგანდისტები.

---

1 გაზეთი „კომუნისტი“, 3 ივლისი, 1971 წ.

2 იქვე.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მხატვრული შემოქმედება ჩვენს ქვეყანაში კვლავაც განვითარდება პარტიულობის, ხალხურობის, ცხოვრებასთან უწყვეტი კავშირის ურყევი პრინციპების საფუძველზე.

როგორც დავინახეთ, მწერალთა V ყრილობის რეზოლუციიდან აქ მოტანილი უმთავრესი დებულებები აშკარად მიუთითებს იმაზე, თუ პარტიის XXIV ყრილობის მიერ ლიტერატურის მისამართით გამოთქმული მოსაზრებები როგორ კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მწერლების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ერთი სიტყვით, მწერალთა ამ ყრილობას თავიდან ბოლომდე გასდევდა პარტიის XXIV ყრილობის კეთილი კვალი.

ზემოთ თქმულს კიდევ უფრო ფართოდ დავინახავთ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის, აძხ. გიორგი მარკოვის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც აანალიზებს კავშირისა და საერთოდ საბჭოთა მწერლობის მიერ გაწეულ მუშაობას განვლილ ოთხ წელიწადში — IV ყრილობიდან V ყრილობამდე.

ამხ. გ. მარკოვის მოხსენების[1] ძირითადი თეზისები ასეთია:

სკკპ XXIV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ლიტერატურასა და ხელოვნებას. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობის ზუსტი ანალიზი, მათ წინაშე დასახულია ახალი ამოცანები. ხელოვნება და ლიტერატურა ჩვენი ხალხის საარსებო მოთხოვნილებად გადაიქცა, მთელი საბჭოთა ცხოვრების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი გახდა. გაიზარდა მათი როლი ადამიანის კომუნისტურ აღზრდაში. წარსულის ხელოვანთა გულწრფელი ოცნება ხალხისადმი ხელოვნების სამსახურის შესახებ ჩვენს ქვეყანაში რეალურად განხორციელდა.

ყოველთვის, ყველაფერში, ყველგან საბჭოთა მწერლები იყვნენ და იქნებიან თავიანთ მშობლიურ პარტიასთან ერთად.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ყოველ ლიტერატურას შეჰქონდა და შეაქვს თავისი წვლილი მრავალეროვნული ლიტერატურის საერთო განვითარებაში. სოციალისტური რეალიზმის მეთოდის კალაპოტში ყველა მოძმე ლიტერატურა შემოქმედებითად უჩვენებდა ცოცხალ თანამედროვეობას თავისი მრავალფეროვნებით, არსებითი ნიშნებითა და კონკრეტული ისტორიული შინაარსით.

საანგარიშო პერიოდი მოწმობს, რომ მრავალეროვნული საბ-

---

[1] გაზეთი „კომუნისტი", 1 ივლისი, 1971 წ.

ჭოთა ლიტერატურა მთელი ამ წლების განმავლობაში აელენდა თავის ორგანულ, სულ უფრო მზარდ კავშირს კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან. ჩვენი მოძმე ლიტერატორები წყვეტენ საერთო ამოცანებს, ერთიანი არიან სოციალისტური პათოსით, მაგრამ მათ აქვთ კონკრეტული თავისებურებებიც.

საბჭოთა ლიტერატურამ თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე გმირად გახადა რევოლუციის ადამიანი — მებრძოლი, მეომარი, მშენებელი. საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის მიერ შექმნილი მხატვრული ტიპების მიხედვით სრულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენი საზოგადოების ისტორია, თვალი გავადევნოთ მისი განვითარების ძირითად ხაზებს, წარმოვიდგინოთ ადამიანთა საზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებები, ჩავწვდეთ მათ შინაგან სამყაროს. ჩვენი საბჭოური ლიტერატურის ისტორია არის ხალხის ცხოვრების დაუცხრომელი შემეცნების, თანამედროვეობის მთავარი გმირის შემეცნების, იმ მხატვრული საშუალებებისა და ხერხების ძიების ისტორია, რომლებსაც უნარი შესწევთ მეტი სიცოცხლით აღბეჭდონ დრო.

საბჭოთა ლიტერატურა ძლიერია იმით, რომ ნათლად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა ხალხისა და პარტიის წინაშე, ესმის თავისი ადგილი საზოგადოებაში და თავისი ამოცანები, რომლებიც ჩვენი კომუნისტური იდეალებიდან გამომდინარეობენ.

ლიტერატურა უნდა იყოს ფხიზელი და გაბედული მზვერავი ყოველივე ახლისა. ამასთანავე, ისევე როგორც წინათ, ივი მგზნებარე კრიტიკოსი იქნება იმისა, რაც აფერხებს ჩვენი ცხოვრების სვლას, აფერხებს საბჭოთა საზოგადოების წინსვლას.

საბჭოთა ლიტერატურა უთუოდ დიდი ყურადღებით მოეკიდება ყოველგვარ ახალ ძვრებს სოციალისტური ადამიანის ცხოვრების წესში, მის ყოფაში, ოჯახში, მორალსა და ზნეობაში.

ჩვენი წინსვლის კვალობაზე შემოქმედებითი კავშირების როლი სულ უფრო იზრდება, ისინი უნდა იყვნენ მხატვრული ინტელიგენციის მთელი იდეურ-შემოქმედებითი ცხოვრების ორგანიზატორები, თავის გარშემო აერთიანებდნენ სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა შემოქმედებითი სტილის მუშაკებს, თვითეულს აბამდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თითოეულისათვის ზრუნავდნენ.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა გააუმჯობესა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა თავის ორგანიზაციებში. იგი უფრო მიზანმიმართული და შინაარსიანი გახდა, უფრო საქმიანად მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ კომუნისტ მწერლებს, რომელთა რიცხვი კავშირში 63 პროცენტს აღემატება. გაიზარდა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების გავლენა ლიტერატუ-

რულ პროცესზე. განმტკიცდა მშრომელებთან მწერლების კავშირი.

ცნობილია, თუ რა დიდი ძალა აქვს ლიტერატურას ხალხთა მეგობრობის, თანამშრომლობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში. სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა დიდი ღონისძიებანი მოახმარა სოციალისტური ქვეყნების მწერლებთან და კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ მწერლებთან კავშირის განვითარებას. ოთხი წლის მანძილზე 1800-ზე მეტი საბჭოთა მწერალი ეწვია 62 ქვეყანას და მსოფლიოს 87 ქვეყნის 2100-ზე მეტი მწერალი გვეწვია ჩვენ.

საბჭოთა მწერლები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აამაღლონ სოციალისტური რეალიზმის მნიშვნელობა, დაიცვან მისი ღირსებანი, ამასთან დაეყრდნონ ამ შემოქმედებითი მეთოდის უდიდეს მხატვრულ მონაპოვრებს.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ინტერესები, ადამიანის კომუნისტური აღზრდის ამოცანები, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საჭიროებანი მოითხოვენ განუზომლად ავამაღლოთ მხატვრული კრიტიკის, როგორც პარტიის, ხალხის ინტერესების უკომპრომისო გამომხატველი, როლი. ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა მთელი ლიტერატურის, ყველა მისი ჟანრის, ყველა მისი ოსტატის საქმეა.

ასეთია საანგარიშო მოხსენების ძირითადი თეზისები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ სულისკვეთებაზე, რაც მწერალთა V ყრილობაზე სუფევდა.

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ვ. სმირნოვმა ყრილობის ტრიბუნიდან შესანიშნავად თქვა: „ნამდვილი საბჭოთა მწერალი არასოდეს არ გამოჰყოფს თავის ბედს სამშობლოს ბედისაგან. ჭეშმარიტად უბადრუკია იმათი ხვედრი, ვინც ბურჟუაზიული საზოგადოების აპოლოგეტებმა გადაიბირეს თავიანთ ბანაკში“[1].

მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის პირველმა მდივანმა, ს. ს. ნაროვჩატოვმა ყრილობაზე წამოაყენა წინადადება, რომ შეიქმნას წიგნის მუზეუმი და დაარსდეს სსრ კავშირის ლიტერატურის აკადემია.

ყრილობაზე სიტყვებით გამოსულმა სხვა მწერალმა-დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს ის სალიტერატურო გენერალური ხაზი, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ შეიმუშავა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის მწერალთა V ყრილობამ ჩაიარა

---

[1] „კომუნისტი“, 1 ივლისი, 1971 წ.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ნიშნით და გამოავლინა საბჭოთა მწერლების დარაზმულობა პარტიის ირგვლივ, მზადყოფნა ასახოს ხალხის შემოქმედებითი შრომა ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის.

სხვათა შორის, მწერალთა V ყრილობის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ გაზეთმა „კომუნისტმა" შეკითხვით მიმართა სამ გამოჩენილ ქართველ მწერალს — გრ. აბაშიძეს, ჯ. ჩარკვიანს, ბ. ჟღენტს. კორესპონდენტი მათ ეკითხებოდა, თუ რა არის ყველაზე მთავარი და სადღეისო მწერალთა V საკავშირო ყრილობის მიერ განსაზღვრულ ამოცანათა შორის, რა შთაბეჭდილებებითა და მიზნებით დაუბრუნდით თქვენს საწერ მაგიდას. ამ კითხვაზე, მაგალითად, გრ. აბაშიძემ უპასუხა: „საბჭოთა კავშირის მწერალთა მე-5 ფორუმი შეიკრიბა პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის შემდეგ სულმალე და ამან განსაზღვრა მისი მუშაობის მიმართულება... მწერალთა კავშირის ყრილობაზე უწინარეს ყოვლისა იგრძნობოდა პარტიის ყრილობის კეთილნაყოფიერი გავლენის სული. ყრილობა პარტიასთან მწერლობის ერთიანობის, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებისადმი მწერლობის ერთგულების ახალი მძლავრი დემონსტრაცია იყო"[1].

ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთიანობის ჩვენებას, საბჭოთა ხალხების ლიტერატურების მიღწევების გამოჩენას, თარგმნის პირველხარისხოვან საქმედ აღიარებას. ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო მხატვრული ოსტატობის საკითხებს, საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა ლიტერატურის ავტორიტეტის ზრდას. გრ. აბაშიძე სწორად შენიშნავდა, რომ საბჭოთა მწერლობის წარმატებას სწორედ მისი ინტელექტუალური და მხატვრული დონის შემდგომი ამაღლება განსაზღვრავს. საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელმა ღრმა ჰუმანიზმმა და მაღალმა მორალმა, ბრძოლამ რასიზმის ყოველგვარი ვამოვლინების წინააღმდეგ, ხალხთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებისადმი ერთგულებამ საბჭოთა მწერლობას მოუპოვა მსოფლიოს ხალხთა სიმპათიები და აღიარება.

მწერალთა უფროსი თაობის წარმომადგენელთა მიერ დარერგილი შესანიშნავი ურთიერთობის; მეგობრობისა და ძმობის შესახებ კარგად თქვა ჯანსუღ ჩარკვიანმა. პოეტმა განსაკუთრებით გამოყო ყრილობაზე კონსტანტინე სიმონოვის გამოსვლა, რომელიც ძლიერად, შთამბეჭდავად და მიზანსწრაფულად მიიჩნია. სიმონოვმა

---

1 გაზეთი „კომუნისტი", 1 აგვისტო, 1971 წ.

ილაპარაკა პატრიოტიზმზე, მომაბეზრებელ ცრუპატრიოტიზმზე, ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის წევრთა ერთუფლებიანობაზე, რასაც საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ჯ. ჩარკვიანი ამავე დროს გულისტკივილით აღნიშნავდა ევგ. ევტუშენკოს გამოსვლას, რომელიც თუმცა მაღალმხატვრულ დონეზე იყო, მაგრამ მაინც ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება, რადგან ლაპარაკობდა ჩვენი თაობის მწერლებზე და მოძმე რესპუბლიკებიდან არც ერთი არ უხსენებიაო. მთავარი კი ჯ. ჩარკვიანის პასუხებში „კომუნისტის“ კორესპონდენტთან ის არის, რომ ყრილობის მონაწილენი დავშორდით ერთმანეთს იმ პირობით, რომ ხშირად მოვიკითხოთ ერთმანეთი.

ბესო ჟღენტის აზრით, ყრილობამ ყოველგვარი აურზაურის გარეშე, საქმიანად, სერიოზულად, დინჯად და დაფიქრებულად განიხილა მრავალი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურულ-შემოქმედებითი პრობლემა. ყრილობამ დაადასტურა სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ფუძემდებლური პრინციპების კეთილმყოფელი, გამანაყოფიერებელი ზემოქმედება მხატვრული მწერლობის ყოველი ჟანრის განვითარებაზე და ერთსულოვნად იქნა მხილებული და გაკიცხული ზოგიერთი საბჭოთა ლიტერატორის ნაშრომებში გამოთქმული ყალბი და მცდარი თვალსაზრისი, თითქოს საბჭოთა ლიტერატურაში შესაძლებელი და სასურველი იყოს სოციალისტური რეალიზმის მეთოდისაგან დამოუკიდებლად და მის საპირისპიროდ სხვა მეთოდების — რომანტიზმის, ნატურალიზმის, კრიტიკული რეალიზმის არსებობა. ფართოდ და მრავალმხრივად იყო განხილული ყრილობაზე ჩვენი ლიტერატურის მხატვრული პროფესიული ოსტატობის, ფორმის სრულყოფილების საკითხები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო ყრილობაზე ლიტერატურული კრიტიკის საკითხებს.

გულისტკივილით აღნიშნა ბ. ჟღენტმა, რომ მწერალთა V საკავშირო ყრილობაზე გ. მარკოვმა და ზოგიერთმა სხვა ორატორმა თუმცა ილაპარაკეს თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც ისეთია, რომ ქართული მწერლობის ხმა ისე მკაფიოდ და მძლავრად არ გაისმის საკავშირო სარბიელზე, როგორც ეს შეეფერება ჩვენი ეროვნული ლიტერატურის დიდ ტრადიციებს, მის დღევანდელ ძალღონეს და პოტენციალს... ამის გამო ერთადერთი დასკვნის გამოტანა გვმართებს: ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უნდა დაძლიოს თვითკმაყოფილებისა და თვითდამშვიდების განწყობილება, მეტი შემართებითა და შთაგონებით უნდა იშრომოს, რათა მეტი წარმატება მოიპოვოს, უფრო დიდი წვლილი შეიტანოს ცივილიზებული კაცობრიობის სულიერ ღირებულებათა საერთო საგანძურში.

როგორც დავინახეთ, მწერალთა V საკავშირო ყრილობის მონაწილე ქართველი მწერლებიც, ისევე როგორც სხვებიც, ერთსულოვნად აღიარებენ პარტიის XXIV ყრილობის კეთილმყოფელ გავლენას მწერალთა ფორუმზე და იმ შემოქმედებით, ჯანსაღ ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა ამ დიდ შეკრებაზე. პარტიის მიერ შემუშავებულმა თეორიულმა მოსაზრებებმა და პრაქტიკულმა ზრუნვამ ლიტერატურის განვითარებაზე უდავოდ კეთილი შედეგი გამოიღო და ეს მკაფიოდ ჩანს V ყრილობის მაგალითზეც.

ამ საკითხებზე მსჯელობას დიდ ყურადღებას იმიტომ ვუთმობთ, რომ ყოველივე ამას პირდაპირი და ორგანული კავშირი აქვს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებასთან, რადგან ჩვენი რესპუბლიკის მწერლობა ერთი რაზმია დიდი საბჭოთა ლიტერატურის მრავალრიცხოვანი არმიისა. გარდა ამისა, მწერალთა V ყრილობაზე შემუშავებული ყველა თეორიული და პრაქტიკული დებულება უშუალოდ გამომდინარეობს პარტიის სალიტერატურო პოლიტიკიდან, რომელსაც საქართველოს კომპარტიისათვისაც სავალდებულო ძალა აქვს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის იანვრის დადგენილებამ „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“. ეს დადგენილება მიღებულია იმ სულისკვეთებით, რაც პარტიის XXIV ყრილობას ახასიათებდა საერთოდ ლიტერატურისა და კერძოდ ლიტერატურული კრიტიკის მიმართ. როგორც ცნობილია, პარტიულმა ყრილობამ საგანგებოდ გაუსვა ხაზი კრიტიკის როლს ლიტერატურული პროცესის განვითარებაში. ამის შესახებ ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, ამიტომ აღარ გავიმეორებთ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული კომიტეტები, კულტურის დაწესებულებები, შემოქმედებითი კავშირები, პრესის ორგანოები ქმედით ღონისძიებებს მიმართავენ, რათა შესრულდეს სკკპ XXIV ყრილობის მითითებები ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის დონის ამაღლების შესახებ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კრიტიკის მდგომარეობა, ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც განსაზღვრავს კომუნისტურ მშენებლობაში მხატვრული კულტურის სულ უფრო მზარდი როლი. კრიტიკოსები „საკმაოდ ღრმად არ აანალიზებენ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, სოციალისტური ერების კულტურების ურთიერთგამდიდრებისა და დაახლოების პროცესებს. ბევრ სტატიას, მიმოხილვას, რეცენზიას ზერელე ხასიათი აქვს, დაბალია მათი ფილოსოფიური და ესთეტიკური დონე, მოწმობენ ცხოვრე-

ბასთან ხელოვნების მოვლენების დაკავშირების უცოდინარობას.. კრიტიკაში დღემდე ვლინდება შემრიგებლური დამოკიდებულება იდეური და მხატვრული წუნისადმი, სუბიექტივიზმი, ძმაბიჭური და ჯგუფური მიკერძოებანი, ზოგჯერ იბეჭდება ისეთი მასალებიც, რომლებშიც მოცემულია საბჭოთა და რევოლუციამდელი ხელოვნების ისტორიის მცდარი სურათი, წინასწარ აკვიატებული შეფასება ეძლევათ ცალკეულ ხელოვანთ და ნაწარმოებს. კრიტიკა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ აქტიური და თანმიმდევრული სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების რევოლუციური, ჰუმანური იდეალების დამკვიდრებაში, ბურჟუაზიული „მასობრივი კულტურის“ და დეკადენტურ მიმდინარეობათა რეაქციული არსის მხილებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში სხვადასხვაგვარი არამარქსისტული შეხედულებების, რევიზიონისტული ესთეტიკური კონცეფციების წინააღმდეგ ბრძოლაში“[1].

ამ მდგომარეობის გამო, აქ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების დაძლევისა და აღმოფხვრის მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიულ კომიტეტებს, შემოქმედებითს ორგანიზაციებს, პრესის ორგანოებს — გაშალონ მუშაობა, დაძებნონ გზები და საშუალებები, რომელთა მიზანიც ის არის, რომ ამაღლდეს კრიტიკის დონე, მისი ზეგავლენის ძალა მხატვრული ლიტერატურის განვითარებაზე.

კრიტიკის ნაკლოვანებათა წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია კრიტიკოსთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ამავე დროს უნივერსიტეტებსა და ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებლებში არ არის შექმნილი კრიტიკის დარგში სტუდენტთა და ასპირანტთა სპეციალიზაციისათვის საჭირო პირობები. დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული ეს საქმე არც ლიტერატურისა და ხელოვნების სასწავლებლებში. კრიტიკის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები, მეცნიერთა და შემოქმედებითი კადრების უწყებრივი დაქსაქსვა, შეუთანხმებლობა სამეცნიერო სასწავლებელთა საქმიანობაში.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს კრიტიკის მოვალეობად მიაჩნია თანამედროვე მხატვრული პროცესის მოვლენების ღრმა გაანალიზება; პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა, იდეურ-ესთეტიკური დონის ამაღლება, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ თანმიმდევრული გალაშქრება. კრიტიკა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხელო-

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 25 იანვარი, 1972 წ.

ვანის იდეური ჰორიზონტის გაფართოებას და მისი ოსტატობის დახვეწას. მან ზუსტი იდეური შეფასება, ღრმა სოციალური ანალიზი უნდა შეუხამოს ესთეტიკურ მომთხოვნელობას, ტალანტისადმი, მისი შემოქმედებითი ძიებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას.

ამ ამოცანათა განხორციელების მიზნით, კრიტიკის ქმედითობისა და მისი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, მეცნიერებათა აკადემიას, შემოქმედებით კავშირებს დაავალა, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ამაღლდეს ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის იდეურ-თეორიული დონე, მისი აქტივობა და პრინციპულობა მხატვრული შემოქმედების დარგში პარტიის ხაზის გასატარებლად.

სხვა დიდმნიშვნელოვანი მითითებების გვერდით ჩვენს ყურადღებას იპყრობს დადგენილების ის ნაწილი, სადაც კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული საქმის გაუმჯობესებისა და მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის გასაძლიერებლად მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას მასობრივი ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული ჟურნალი.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამ დადგენილების საფუძველზე შეიქმნა შესაბამისი ჟურნალები არა მარტო მოსკოვსა და ზოგიერთ მოძმე რესპუბლიკაში, არამედ საქართველოშიც. ალმანახი „კრიტიკა“ სწორედ ამ დადგენილების შემდეგ დაარსდა და დღესაც წარმატებით გამოდის.

ზემოთ განხილული დადგენილების მნიშვნელობა განუზომელია არა მარტო კრიტიკის განვითარებისათვის, არამედ საერთოდ მხატვრული ლიტერატურის განვითარებისთვისაც, რადგან კრიტიკა არის ის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი, რომელიც ხელს უწყობს ლიტერატურის იდეურ-ესთეტიკური დონის ამაღლებას.

ამრიგად, პარტიის XXIV ყრილობამ შეიმუშავა სალიტერატურო ხაზი, პოლიტიკა, რომელიც გამიზნული იყო 1971—1975 წლებისათვის და რაც შესასრულებლად სავალდებულო იყო ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის, შემოქმედებითი კავშირებისათვის, პრესის ორგანოებისათვის, მხატვრულ შემოქმედებასთან კავშირის მქონე ყველა დაწესებულებისა და პირისათვის. ამ დადგენილებათა შუქზე და პარტიული ყრილობის სულისკვეთებით ჩატარდა საბჭოთა მწერლების V საკავშირო ყრილობა, რომელმაც უფრო დააკონკრეტა და დაწვრილებით განიხილა ჩვენი მწერლობის საჭირბოროტო საკითხები, დასახა გზები მათი წარმატებით გადაჭრისათვის;

ხოლო პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის იანვრის დადგენილებამ — „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ — განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ლიტერატურის ერთ მეტად თავისებურ დარგს — კრიტიკას, რომლის დონეც დიდწილად განაპირობებს ლიტერატურის სხვა დარგების — პროზის, პოეზიის, დრამატურგიის დონეს. ეს დადგენილება უშუალოდ გამომდინარეობდა პარტიის XXIV ყრილობის მიერ კრიტიკაზე განვითარებული თვალსაზრისიდან, იყო მისი ხორცშესხმის კონკრეტული გზების მიგნების უებარი საშუალება.

ზემოაღნიშნული სამი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა განაპირობებდა მთელი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას აღებულ პერიოდში. იგივე მოვლენები განაპირობებდნენ საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების განვითარების გზასაც. ბუნებრივია, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი თავის მუშაობაში ემყარებოდა ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ დოკუმენტებს, მოიმარჯვებდა იმ დებულებებს, რომლებზეც ზემოთ შევაჩერეთ ყურადღება.

საქართველოს კომპარტია ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებდა ორი არხით: თეორიული შემოქმედებითი ხასიათის მითითებებისა თუ დებულებების მიწოდებით და ყოველდღიური პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობით, რასაც იგი აწარმოებდა შემოქმედებითს ინტელიგენციასთან, შემოქმედებითს კავშირებთან უშუალო კონტაქტებით, მათი პარტიული ორგანიზაციებისა თუ პრესის ორგანოების მეშვეობით.

ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს კომპარტიის მთელი ორგანიზაციისათვის, მისი ცენტრალური კომიტეტისათვის სავალდებულო იყო ის მითითებები, რომლებიც შეიმუშავა რესპუბლიკის კომუნისტთა XXIV ყრილობამ, რომელიც ჩატარდა 1971 წლის თებერვლის ბოლოს. ყრილობის რეზოლუციებში აღნიშნულია რესპუბლიკის კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები, მითითებულია ნაკლოვანებებიც, რომელთა დაძლევისათვის გარჯა ყველას ვალი იყო.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში ვკითხულობთ:

„უკანასკნელი წლები აღინიშნა ახალი წარმატებებით რესპუბლიკის კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარებაში. ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შექმნეს ქართველმა მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა“. იქვე ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ „დღემდე დაძლეული არ არის წვრილთემიანობა, თემატური შეზღუდულობა ქართული ლი-

ტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი წარმომადგენლის შემოქმედებაში"[1].

ასე ძუნწად, მაგრამ ძირითადად სწორად აისახა ლიტერატურის მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ დებულებებს, რაკი იგი საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში წერია, სახელმძღვანელო მნიშვნელობა ენიჭება როგორც პარტიული ორგანიზაციებისათვის, ასევე შემოქმედებითი კავშირებისათვის, ყოველი ცალკეული შემოქმედისთვისაც.

მხატვრული ლიტერატურისადმი, მწერალთა ორგანიზაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთ ტრადიციულ ფორმად დაჰკვიდრდა მწერალთა და სხვა შემოქმედებითი კავშირების ყრილობებისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილის გაგზავნა. ასეთ მისალმებებში ცენტრალური კომიტეტი აყალიბებს დებულებებს, რომლებშიც შეფასებულია გაწეული მუშაობა და დასახულია ახალი განვითარების გზები. ანალოგიური მისალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირის VII ყრილობას, რომელიც ჩატარდა თბილისში, იგი გაიხსნა 1971 წლის 28 აპრილს. აღსანიშნავია, რომ ეს ყრილობა ჩატარდა სულ მალე სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ და ამიტომ ასე ცოცხლად აჩნია მის მუშაობას ის ცხოველმყოფელი გავლენა, რასაც პარტიული ყრილობა იწვევდა. ქართველ მწერალთა VII ყრილობის მეორე თავისებურება ის იყო, რომ იგი ჩატარდა ჩვენი რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს წინა დღეებში. ეს გარემოებაც თავის კვალს აჩენდა ქართველ მწერალთა ყრილობას, მის საერთო ზეიმურ განწყობილებას.

საქართველოს მწერალთა VII ყრილობისადმი გაგზავნილ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ წერილში ვკითხულობთ:

„საქართველოს მწერალთა კავშირი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. პარტიულობის, ხალხურობის, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგულებით ქართველმა მწერლებმა შექმნეს არაერთი მკაფიო ნაწარმოები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. თქვენი საუკეთესო წიგნები სიმართლით და ნიჭიერად ასახავენ ხალხის ცხოვრებას, საბჭოთა სინამდვილეს, იმ უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს, რომლებიც მოხდა საბჭოთა საქართველოში 50 წლის მანძილზე...

---

[1] „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას", რეზოლუცია... თბილისი, 1971 წ., გვ 72—73,

ქართველი მწერლები, სოციალისტური რეალიზმის რევოლუციური მეთოდით შეიარაღებულნი, კვლავაც უნდა იდგნენ კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში, თავიანთი ნიჭითა და მოქალაქეობრივი პათოსით ემსახურებოდნენ ჩვენი ხალხის, ლენინური პარტიის დიად საქმეს... განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების აღზრდას...“[1].

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი კეთილი დამოკიდებულებით არის გამსჭვალული ის სიტყვები, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს. 1971 წ. 14 მაისს ამ საზეიმო სხდომაზე თავის გამოსვლაში მან თქვა: „საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ და უყვართ ქართული ხელოვნება — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მძლავრი ნაყოფიერი ნაკადი. ქართული მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო ამდიდრებენ საბჭოთა ადამიანების შინაგან სამყაროს, მოუწოდებენ მათ სიკეთისათვის, ნათელი იდეალებისათვის, აღანთებენ საბრძოლველად ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას.

სულიერ ღირებულებათა შექმნა ფაქიზი და რთული საქმეა. ამიტომ XXIV ყრილობაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, დაისახა საბჭოთა მრავალეროვანი კულტურის აღმავლობის ახალი პერსპექტივები. ჩვენ ყველამ ვიცით, ხშირად როდი იქმნება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც, მთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, საუკუნეებში რჩებოდეს. და მაინც გვინდა, რომ ჩვენში იქმნებოდეს ისეთი ღირსებისა და მხატვრული ძალის მეტი ნაწარმოები, რომლებიც მარტო ჩვენ, თანამედროვეებს, როდი მოგვხვდებოდა გულს და აღგვაფრთოვანებდა“[2].

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს კეთილი დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი, მისი კულტურისადმი, კერძოდ, მისი ლიტერატურისადმი. ამავე დროს მასში გამოსჭვივის სურვილი, რომ იქმნებოდეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც საუკუნეებს გაუძლებენ. აქვე ნათლად არის ნათქვამი მხატვრული შემოქმედების იმ თავისებურებაზე, რომ იგი ძნელი და ფაქიზი საქმეა. საზეიმო სხდომაზე, ცხადია, ნაკლოვანებათა მითითების შესაძლებლობა გამორიცხული იყო.

იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც საქართველოს კომპარტი-

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 29 აპრილი, 1971 წ.

[2] გაზეთი „კომუნისტი“, 15 მაისი, 1971 წ.

ის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 1971 წელს და რომელიც ეხება ლიტერატურას, ერთ-ერთი საყურადღებოა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სერიოზულ ნაკლოვანებათა და შეცდომათა შესახებ“. იგი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა 1971 წლის 7 ივლისს.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაშვებულია იდეურ-პოლიტიკური ხასიათის მთელი რიგი შეცდომები. სახელდობრ: ცალკეული სტატიები შეიცავენ გაუგებარ, ორაზროვან გამოთქმებს, ისინი იწვევენ მკითხველთა დეზორგანიზაციას, ზიანს აყენებენ ჟურნალის იდეურ მიმართულებას. ბიუროს დადგენილებაში კონკრეტულად მითითებულია ჟურნალის მაშინდელი რედაქტორის ო. ეგაძის საგზაო დღიურები (პოლონეთში, გერმანიასა და რუსეთში ყოფნის შესახებ). გარდა ამისა დადგენილებაში ნათქვამია, რომ ჟურნალში ჭარბობს ისტორიული ხასიათის მასალები, ინფორმაციები სხვადასხვა იუბილეებსა და ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. რედაქცია თავს არიდებს შემოქმედებითი ორგანიზაციების კრიტიკას, აზვიადებს ზოგი მოღვაწის დამსახურებას. ეს ხელს უშლის მხატვრული ინტელიგენციის სწორად აღზრდას. ჟურნალის შეცდომადაა მიჩნეული ის ფაქტი, რომ მან 1970 წლის დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა ო. ეგაძის იდეურად მოუმწიფებელი, მხატვრულად სუსტი პიესა „გარიჟრაჟი“.

როგორც ვხედავთ, ეს დადგენილება შეიცავს მეტად სერიოზულ ბრალდებებს როგორც საერთოდ ჟურნალის, ასევე პირადად მისი რედაქტორის მიმართ. ჟურნალის იდეურ შეცდომებზე ლაპარაკი იოლი საქმე როდია. თანაც ეს არ არის ზოგადი ლაპარაკი, აქ მითითებულია კონკრეტული მასალები და მათი კონკრეტული ავტორი.

დადგენილების ბოლო ნაწილში აღნიშნულია, რომ „ამხ. ო. ეგაძემ სწორად სცნო კრიტიკა მის მიმართ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ ჟურნალის რედაქცია გარდაქმნის მუშაობას ამ დადგენილების მიხედვით და უზრუნველყოფს ჟურნალის შემდგომ მუშაობას მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე“[1].

უნდა შევნიშნოთ, რომ დადგენილების ასეთი დაბოლოება ცოტა უცნაურად გვეჩვენება. თუ დაშვებული იყო იდეურ-პოლიტიკური ხასიათის შეცდომები, ვფიქრობთ, ეს ბავშვობით არავის მოსვლია, მას რაღაც სხვა ახსნა და შეფასება უნდა მოსძებნოდა და დადგენილების დასკვნითი ნაწილიც სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ ეს დასკვნითი ნაწილი ასეთი ლმობიერია, იბადება ეჭვი, იქნებ

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 7 ივლისი, 1971 წ.

არც ყოფილა „სერიოზული იდეურ-პოლიტიკური ხასიათის შეცდომები“ ამ ჟურნალისა და მისი რედაქტორის მუშაობაში? ლოგიკა გვასწავლის, რომ წანამძღვრებიდან შესაბამისი დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს.

ასეა თუ ისე, ეს მეტად სერიოზული დოკუმენტია, რომელიც არა მარტო თვით „საბჭოთა ხელოვნების“ მუშაკებს დააფიქრებდა, არამედ ყველა სხვა გაზეთისა და ჟურნალის რედაქციებსაც. ბუნებრივია, რომ ყველა პერიოდული ორგანოს რედაქციები ამ დადგენილებიდან თავისთვის საჭირო დასკვნებს გამოიტანდნენ.

ჩვენი ნაშრომის თვალსაზრისით ეს დადგენილება უპირატესად იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მასში ცალკე საგანგებოდ არის ნახსენები ერთი კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები — პიესა „გარიჟრაჟი“. იგი მიჩნეულია „იდეურად მოუმწიფებელ, მხატვრული თვალსაზრისით სუსტ პიესად“. ცხადია, ასეთი მითითებიდან ყველა სხვა ჟურნალი გამოიტანდა დასკვნას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ დადგენილების მიღებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა ბიურომ დიდი დახმარება გაუწიეს შემოქმედებით ინტელიგენციას — ჟურნალისტებს, მწერლებს და საერთოდ ლიტერატურული პროცესის სწორად წარმართვას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ კულტურის დარგში ამ პერიოდისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ კიდევ ერთი დოკუმენტი უნდა დავასახელოთ. მართალია, საკუთრივ ლიტერატურას არ ეხება, მაგრამ მნიშვნელოვანია. ეს არის 1972 წლის 18 იანვრის „კომუნისტში“ გამოქვეყნებული დადგენილება: „კულტურის ძეგლთა ღაცვას შეუნელებელი ყურადღება“.

საქართველოს კპ ცეკას ბიურომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში წარმოებს დიდი მუშაობა მატერიალური კულტურის ძეგლების, როგორც ხალხის სულიერი სიმდიდრისა და შემოქმედებითი შრომის მკაფიო გამოვლინების დაცვისათვის. შემდეგ ჩამოთვლილია ფაქტები, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით და აღნიშნულია ის ნაკლოვანებები, რომელიც ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია. ზოგჯერ კი ისეთი გაუგონარი რამეც ხდება, რომ აღშფოთებას იწვევს. ჩამოთვლილია ასეთი ფაქტები — სად რა განადგურდა, ვინ იყო დამნაშავე და როგორ მიეცნენ ისინი პასუხისგებაში.

ბიურომ დაავალა ყველა საოლქო, საქალაქო, რაიონულ პარტიულ კომიტეტს, კულტურის სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, ორგანიზაციებს, რომ ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ იმ მიზნით, რათა აღკვეთონ ძეგლთა დაზიანებისა და დანგრევის ფაქტები, დამნაშავენი კი პასუხისგებაში მისცენ. ტელევიზიას, რა-

დიოს, პრესის ორგანოებს წინადადება მიეცა, უფრო ფართოდ გაეშუქონ და პოპულარული გახადონ კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხის მნიშვნელობა.

ამ საკითხის მნიშვნელობასა და დროულობაზე ნათლად მიუთითებს მომდევნო წლებში მოვლენების განვითარება. ცოტა მოგვიანებით მთელს ჩვენს ქვეყანაში კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხი საბჭოთა კანონმდებლობითაც გადაიჭრა.

ამდენად, განხილული დადგენილება მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც გამსჭვალულია ზრუნვით კულტურის ძეგლთა დაცვაზე, მისი მნიშვნელობის ფართო განმარტებაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი არა მარტო დადგენილებებისა და მითითებების ფორმით ახორციელებდა ლიტერატურისა და კულტურისადმი ხელმძღვანელობას, არამედ თავისი პარტიული პრესის ორგანოების მეშვეობითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით ლიტერატურაზე პარტიული სიტყვის გამოთქმა. ცნობილია, რომ გაზეთის მოწინავე სტატია არის სარედაქციო მასალა, რაც გამოხატავს შესაბამისი პარტიული კომიტეტის აზრს აღებულ საკითხზე. ასე, მაგალითად, „კომუნისტის“ მოწინავე უეჭველად შეიცავს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აზრს. რაკი ეს ასეა, ჩვენ უფლება გვაქვს ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილი ამ გაზეთის მოწინავეები მივიჩნიოთ საქართველოს კპ ცეკას მოღვაწეობის ერთერთ ფორმად ამ სფეროში.

მნიშვნელოვანია 1971 წლის 15 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მოწინავე „ცხოვრების მართალი მემატიანე“. ამ მოწინავე სტატიის მთავარი პათოსია ცხოვრებასთან მწერლების მჭიდრო კავშირის, ცხოვრების შუაგულში მწერლის შეჭრის აუცილებლობის მტკიცება. ამ აზრის განვითარებისათვის მოწინავე მოიშველიებს ილია ჭავჭავაძის ცნობილ აზრს ამ საკითხთან კავშირში. შემდეგ ციტირებულია სათანადო ადგილი პარტიის XXIV ყრილობის საანგარიშო მოხსენებიდან და გატარებულია აზრი, რომ ყრილობამ შეგვაიარაღა უტყუარი კომპასით, რომელიც გზის გაკვლევაში გვეხმარება.

„კომუნისტის“ მოწინავე სტატიაში მოწონებულია საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებთან ერთად იგი ხანგრძლივი მივლინებებით სოფლად აგზავნის მწერლებს, რათა ისინი ახლოს გაეცნონ თავიანთი მომავალი ნაწარმოებების გმირებს. აქვე დავსძენთ, რომ ამ მივლინებების ინიციატორი იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც შემდეგ აგრეთვე ხე-

ლი შეუწყო ამ იდეის ხორცშესხმას. მოწინავეში ჩამოთვლილია, თუ რომელმა რედაქციამ რომელი მწერალი გაგზავნა მივლინებით. თინა დონჟაშვილი, ალიო ადამია, კარლო კობერიძე („კომუნისტი"), ლადო მრელაშვილი, გურამ ფანჯიკიძე, ნოდარ წულეისკირი („ზარია ვოსტოკა"), დავით კვიცარიძე, თენგიზ გოგოლაძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე („სოფლის ცხოვრება").

„კომუნისტის" მოწინავეში ცალკე და განსაკუთრებულად არის გამოყოფილი კრიტიკის როლი. გაზეთი აცხადებს, რომ კრიტიკა მოწოდებულია მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან აფასებდეს ყოველ ნაწარმოებს, გამოავლენდეს ნაკლოვანებებს, სახავდეს მათი დაძლევის გზებს.

მოწინავე სტატია მთავრდება მწერლობის მკაფიო განსაზღვრებით:

„იყო მწერალი, ცხოვრების მართალი მემატიანე, ნიშნავს მხარში ედგე საზოგადოებას, ემსახურებოდე მშობლიური ხალხის ბრძოლასა და შრომას უკეთესი მერმისისათვის. ხალხის საქმისადმი ერთგულება კი შემოქმედის, და საერთოდ ყველა ადამიანის, უწმინდესი მოქალაქეობრივი ვალია"[1].

ეს მოწინავე სტატია, გამოხატავს რა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აზრს, მწერლებს უდავოდ უნერგავდა იმ რწმენას, რომ ისინი არიან ცხოვრების მხატვარი-მემატიანეები, ხალხის ფიქრებისა და ოცნებათა ამსახველნი, ამიტომ ახლოს უნდა იდგნენ ისინი ხალხთან, სიმართლით უჩვენებდნენ მას ცხოვრების გზას: ეშვს არ იწვევს, რომ ეს მოწინავე დადებით როლს შეასრულებდა.

ჩვენ ვრცლად არ შევჩერდებით გაზეთში გამოქვეყნებულ ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებებზე — ირაკლი აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ალიო ადამიას, მორის ფოცხიშვილის თხზულებებზე, რომლებიც დროის შესაფერისად აშუქებდნენ ჩვენი ხალხის ცხოვრებას. ვიტყვით მხოლოდ, რომ გაზეთი „კომუნისტი" ხშირად მიმართავდა ასეთ პუბლიკაციებს, რაც საჭირო და აუცილებელი იყო მკითხველთა დასარაზმავად, მათი აღზრდის მიზნით.

1972 წლის 14 თებერვალს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მეორე პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი კრიტიკის მდგომარეობის შესახებ. დასახელებული პლენუმის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, 6 თებერვალს, გაზეთმა „კომუნისტმა" ამ საკითხს მიუძღვნა მოწინავე სტატია „კრიტიკოსის სიტყვა". ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ საქ. კპ ცენტრალური

---

1 გაზეთი „კომუნისტი", 15 სექტემბერი, 1971 წ.

კომიტეტი, ხელმძღვანელობდა რა სკკპ XXIV ყრილობის მითითებებითა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დადგენილებით კრიტიკის თაობაზე, დიდ ყურადღებას უთმობდა კრიტიკას. ამიტომ გაზეთი „კომუნისტი“ სპეციალურად ამ საკითხზე გამოდის მოწინავე სტატიით. აღსანიშნავია და მოწონებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ გაზეთის იმავე ნომერში იბეჭდება სამი ცნობილი კრიტიკოსის წერილები ამავე საკითხზე: ს. ჭილაიას წერილი — „მებრძოლი, პირუთვნელი“, გ. ნატროშვილის — „რა ვუშველოთ ჩვენს კრიტიკას“ და გ. ციციშვილის — „აუცილებელი საწინდარი“.

მოწინავე სტატიის დასაწყისში გახსენებულია ვაჟა-ფშაველას სიტყვები:

„ვინ არის ნიჭიერი მწერალი? ვისაც დიდად უყვარს ადამიანი, დიდად მოწადინებულია გააბედნიეროს იგი; ვისაც უყვარს ცხოვრება და ენიაზება მისი გაუკეთესება. ამისათვის საჭიროა დიდი გრძნობა, დიდი ცოდნა ადამიანის სულისა და მისი ცხოვრებისა. იგია ნიჭიერი მწერალი, ვინც რასაც თავად ჰგრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი სხვასაც ისე აგრძნობინოს და აფიქრებინოს, ვისშიც ძლიერად სჩქეფს ეროვნული სისხლი, ვინაიდან ეს უმთავრესი ფესვია იმის შემოქმედებისა“[1].

ემყარება რა მწერლისათვის დამახასიათებელი თვისებების ვაჟასეულ განმარტებას, გაზეთი თავის მოწინავეში იძლევა კრიტიკოსის თავისებურებათა განსაზღვრებას:

„კრიტიკოსი იგივე მწერალია. კრიტიკა არა მარტო ისეთივე ტოლფასოვანი და მნიშვნელოვანი ჟანრია მწერლობისა, როგორც პოეზია, პროზა, დრამატურგია, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაც არის ყველა სხვა ჟანრის წინსვლისა და განვითარებისათვის“[2].

ჩვენი აზრით, ეს სავსებით ზუსტი და უტყუარი განსაზღვრებაა. სტატიაში შემდეგ ისეთივე სამართლიანი მსჯელობაა იმის შესახებ, რომ კრიტიკა უნდა გამოირჩეოდეს მაღალიდეურობით და ობიექტურობით, მხატვრულ-შემოქმედებით პროცესში ღრმა წვდომის უნარით, სიკეთის დამკვიდრების პათოსით, გულისხმიერებით და ა. შ. ასეთი კრიტიკა მწერლის მეგობარი და მრჩეველია, ამიტომ ასეთი კრიტიკა ხელს უწყობს ლიტერატურის წინსვლასა და განვითარებას.

მოწინავე სტატიაში განვითარებული აზრები ემყარება კრიტი-

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 6 თებერვალი, 1972 წ.

[2] იქვე.

კის მისამართით ნათქვამ დებულებას პარტიის XXIV ყრილობაზე, რომ „ეპვი არ არის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ხოლო ნაკლოვანებები კიდევ უფრო სწრაფად აღმოიფხვრებოდა, ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა რომ უფრო აქტიურად ახორციელებდეს პარტიის ხაზს, იჩენდეს მეტ პრინციპულობას, მომთხოვნელობას ახამებდეს ტაქტთან, მხატვრულ ღირებულებათა შეჭქსნელებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასთან“. ამ დებულებებიდან გამომდინარე, „კომუნისტის“ მოწინავე ეხება ქართული კრიტიკის ავ-კარგს. ამ თვალსაზრისით მოწინავეში გატარებულია შემდეგი აზრი: თანამედროვე ქართული კრიტიკა, მთელი საბჭოთა კრიტიკის ერთ-ერთი შენაკადი, გულახდილად რომ ითქვას, ვერ აკმაყოფილებს ვერც საკუთრივ მწერლობას, ვერც მკითხველ საზოგადოებას. ჯერ კიდევ იბეჭდება რეცენზიები, რომლებსაც ცალმხრივი ხასიათი აქვთ, სავსეა კომპლიმენტებით, ჯეროვან წარმოდგენას ვერ ქმნიან ნაწარმოების რეალურ ღირებულებაზე. გაუკეთ მიაჩნია, რომ ჩვენ გვყავს კარგი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნენი, მათი თეორიული და პროფესიული დონეც დაბალი როდია, მაგრამ მაინც გვიხდება ლაპარაკი კრიტიკის ჩამორჩენაზე. ამ გარემოების ახსნის ცდა მოწინავეში ასეთია: კრიტიკამ მოადუნა თავისი ბრძოლისუნარიანობა, დაკარგა კრიტიკის უმნიშვნელოვანესი იარაღი — ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებათა ობიექტური და პრინციპული გარჩევა-შეფასების უნარი.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მოწინავე სტატია არც კი ცდილობს ახსნას, თუ ეს უკანასკნელი რამ გამოიწვია. გაზეთი ვერ ბედავს თქვას, რომ რესპუბლიკაში გამეფებული ვითარება არის ერთ-ერთი მძლავრი მიზეზი იმისა, რომ მოდუნდა კრიტიკა. აბა როგორ შეიძლება ვამტკიცოთ, გვყავს კარგი კრიტიკოსები, მათ თეორიულ-პროფესიული დონე მაღალია, მათ გემოვნებაც საუკეთესო აქვთ, მაგრამ რატომღაც მათ დააბლაგვეს მახვილი... შემდეგში ცხადი გახდება, რომ ამისი მიზეზი უფრო სერიოზული და საშიშარო ყოო.

საჭიროა ითქვას, რომ გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებული, ზემოთ მითითებული სამი კრიტიკოსის წერილების შინაარსი უმთხვევა ამავე ნომრის მოწინავე სტატიის მთავარ აზრს, ამიტომ მათ შესახებ საგანგებოდ ყურადღებას არ შევაჩერებთ.

საქართველოს კომპარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის სალიტერატურო ღონისძიებებზე რომ ვლაპარაკობთ, ბუნებრივად იბადება კითხვა, საკმარისი იყო თუ არა ისინი რაოდენობრივად და თვისებრივად, იძლეოდა თუ არა ეს ღონისძიებები ისეთ შედეგს,

რაც ეპოქის მოთხოვნილებებს უპასუხებდა? სამწუხაროდ, კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემა გვიხდება.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წლის მარტში მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. ეს დადგენილება 1972 წლის 6 მარტს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში", ხოლო მეორე დღეს, 7 მარტს იგი დაბეჭდა გაზეთმა „კომუნისტმა". დადგენილებას ასე ეწოდება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". მართალია, იგი ერთი შეხედვით მხოლოდ თბილისის საქალაქო კომიტეტს ეხებოდა, მაგრამ სინამდვილეში მთელი საქართველოს კომპარტიის მუშაობას მოიცავდა და მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის. ამ დადგენილებამ საეტაპო როლი შეასრულა საქართველოს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შემობრუნების საქმეში.

ჩვენ არ შევუდგებით აღნიშნულ დადგენილებაში გატარებული დიდმნიშვნელოვანი ყველა დებულებისა და აზრის განხილვას, დავჯერდებით მხოლოდ იდეოლოგიური მუშაობის შესახებ გამოთქმულ დებულებებს, რადგან ეს პირდაპირ და უშუალოდ ეხება ლიტერატურასა და ხელოვნებას, ე. ი. ჩვენი ნაშრომისათვის საინტერესო სფეროს.

დადგენილების პრეამბულაში მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში ჯეროვნად არ იყენებენ მთელ შესაძლებლობებს, რომლებიც რესპუბლიკის ცენტრის პარტიულ ორგანიზაციას მოეპოვება—მუშათა კლასის, მეცნიერულ-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალრიცხოვან რაზმს, მაღალკვალიფიციურ, გამოცდილ კადრებს... მთელ რიგ შემთხვევებში საერთო კარგი მაჩვენებლების მიღმა საქალაქო კომიტეტი ვერ ამჩნევს არსებითს ნაკლოვანებებს მუშაობაში და არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის...

საქალაქო პარტიული ორგანიზაცია სუსტად ებრძვის ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ისეთ მოვლენებს, როგორიც არის სახელმწიფო საკუთრების დატაცება, სპეკულაცია, მექრთამეობა, მუქთახორობა. მათ დასაძლევად ჯეროვნად არ არიან დარაზმულნი კომუნისტები, კომკავშირელები, საზოგადოების მთელი ძალები, ადმინისტრაციული ორგანოები[1]..

საზოგადოების მთელ ძალებში, რა თქმა უნდა, იგულისხმებიან მწერლებიც, ხელოვნების მუშაკებიც, რომელთა ერთმა ნაწილ-

[1] გაზეთი „კომუნისტი", 7 მარტი, 1972 წელი.

მა სამოციანი წლების ბოლოს და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ხმა აღიმაღლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, მაგრამ მათი წახალისებისა და მათთვის მხარდაჭერის მაგიერ ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგი ლამობდა მათი მართალი ხმის ჩახშობას. ასე იყო, მაგალითად, გურამ ფანჯიკიძის მიმართ, მისი რომანის „თვალი პატიოსანის“ გამო. ასევე შეიძლება ითქვას ლადო მრელაშვილის რომანის „ყაბახის“ შესახებაც. ჩვენ ამ საკითხებზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი იმას ვიტყვით, რომ რესპუბლიკაში შექმნილი მაშინდელი ვითარების გამოსასწორებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება დროული იყო.

დასახელებული დოკუმენტის დადგენილებითს ნაწილში მკაფიოდ წერია: „...ბეჯითი პოლიტიკური მუშაობა გასწიონ კერძომესაკუთრული გადმონაშთებისა და სხვა უარყოფითი მოელენების დაძლევისათვის, ყოველი ღონისძიებით ჩაუნერგონ ადამიანებს შეურიგებელი დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებებისა და ქცევებისადმი. აამაღლონ შრომითი კოლექტივების როლი წარსულის გადმონაშთების, მართლწესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში“[1].

ზემოთ განვითარებული თვალსაზრისი, რომელიც გამომდინარეობს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, ლიტერატურის წინაშე აყენებს ამოცანას, გაბედულად და დაუნდობლად ებრძოლოს ყოველივე იმას, რაც აფერხებს ჩვენი საზოგადოების წინსვლას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობას. მაშასადამე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ ნათქვამი სიტყვები უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაზე სავსებით ვრცელდება ლიტერატურაზეც.

ეს დადგენილება ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების შემობრუნების ეტაპი გახდა. ამიერიდან რესპუბლიკის მთელ პარტიულ ორგანიზაციას, მის ყველა რგოლსა და უჯრედს, ყველა მშრომელს, მეცნიერს, ლიტერატორს, ხელოვანს — ყველას უნდა ებრძოლა და ეშრომა ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის, მისი განხორციელებისათვის. ეს ასეც მოხდა. ალნიშნული დადგენილება საფუძვლად დაედო იმ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში გატარდა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაშიც.

ქვემოთ ჩვენი საუბარი წარიმართება სწორედ იმის წარმოსა-

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 7 მარტი, 1972 წელი.

ჩენად, თუ მომდევნო წლებში რა გაკეთდა ამ დადგენილების შესასრულებლად ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ახლა კი იმის თქმას, დავჯერდებით, რაც ცოტა ზემოთ გაკვრით განვაცხადეთ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახანს გაწხილული დადგენილების მიღებამდე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებული სამუშაოები ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის, მასებზე მისი ქმედითი ზეგავლენის როლის ასამაღლებლად, როგორც ჩანს, უკმარისი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში და კრიტიკაში წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა. ამის ვარაუდის იძლევა ქართველ მწერალთა ნიჭიერი, ერუდირებული ძალები. ბუნებრივია, რომ რესპუბლიკაში მოძალებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, საერთო მოშვებულობამ დააზარალა არა მარტო ეკონომიკა, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი, მორალური ატმოსფერო, და ა. შ., არამედ ზიანი მიაყენა ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებასაც.

მომდევნო პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი გაკეთდა იმისათვის, რომ საქართველოს რესპუბლიკას დაეძლია მის წინაშე აღმართული დაბრკოლებები. გამოესწორებინა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაშვებული შეცდომები და აღედგინა ის ნათელი სახელი, რომელიც ისტორიულად ჰქონდა ნიჭიერ, პატიოსან, მშრომელ და მებრძოლ ქართველ ხალხს.

*

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის გამო მიღებული დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“[1] შემობრუნების პუნქტი უნდა გამხდარიყო არა მარტო თბილისის პარტიული ორგანიზაციის, არამედ მთელი საქართველოს კომპარტიისათვისაც. მართალია, რამდენიმე თვის განმავლობაში რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელებს თავი ისე ეჭირათ, თითქოს ეს იყო ჩვეულებრივი, რიგითი დადგენილება და თითქოს ძირეული ცვლილებები მოსალოდნელი არ არისო, მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ საქმე სულ სხვაგვარად იყო. დადგენილებაში აღნიშნული მთელი რიგი შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად საჭირო იყო ენერგიული მუშაობა, საქმის ძი-

[1] „პრავდა“, 6 მარტი, 1972 წ.; „კომუნისტი“, 7 მარტი, 1972 წ.

რეული შემობრუნება და არა რომელიმე მუშაკის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოსაზრებების შესაბამისად საქმის ძველებური გაძღოლა. ეს ცვლილებებიც მალე მოხდა. ჯერ იყო და, შეიცვალა თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ო. ლოლაშვილი, რომლის მაგივრადაც პლენუმმა ამ პოსტზე აირჩია ამხ. ე. ა. შევარდნაძე, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ცვლილებები მოხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაშიც.

1972 წლის 29 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. „პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. ვ. პ. მჟავანაძის თხოვნა ასაკის გამო პენსიაზე გასვლის შესახებ და ამასთან დაკავშირებით გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ე. ა. შევარდნაძე, რომელიც მანამდე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა“[1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის პარტიული ორგანიზაციის მიმართ ბევრი საყვედური ითქვა. მათ შორის გამორჩეულად ჟღერს შემდეგი სიტყვები: „საქალაქო პარტიული ორგანიზაცია სუსტად ებრძვის ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ისეთ მოვლენებს, როგორიც არის სახელმწიფო საკუთრების დატაცება, სპეკულაცია, მექრთამეობა, მუქთახორობა. მათ დასაძლევად ჯეროვნად არ არიან დარაზმულნი კომუნისტები, კომკავშირელები, საზოგადოების მთელი ძალები, ადმინისტრაციული ორგანოები“. ეს სიტყვები მკაფიოდ გამოხატავდნენ არა მარტო თბილისში, არამედ მთელ რესპუბლიკაში მაშინ ფესვგადგმულ სავალალო მდგომარეობას, რაც პატიოსან კომუნისტებში და ყველა მშრომელ ადამიანში დიდ გულისტკივილსა და შეშფოთებას იწვევდა. ამიტომ იყო, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში მომხდარ ცვლილებებს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოწონებითა და იმედით შეხვდა.

ამ მოვლენებისადმი გულგრილი არ დარჩენილან ქართველი მწერლებიც, რომლებიც, როგორც ზემოთაც ითქვა, ადრევე აქტიურად ამხელდნენ არსებულ ნაკლოვანებებს.

მწერალთა წინაშე, როგორც ყოველთვის, მაშინაც საესებით

---

1 „კომუნისტი“, 30 სექტემბერი, 1972 წ.

გამოკვეთილი მიზნები და ამოცანები იდგა. ეპოქა მათ სათანადო შოთხოვნილებებს უყენებდა. ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სწორედ იმხანად გამოქვეყნებული „პრავდის“ მოწინავე, რომელიც მთელი საბჭოთა მწერლების მისამართით არის გამიზნული, მაგრამ ქართველი მწერლებისათვის მის დებულებას იმჟამად . განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

„პრავდის“ მოწინავე[1] „ცხოვრების გმირი ლიტერატურის გმირია“ პირველ რიგში ავითარებდა დებულებას, რომ თანამედროვე ადამიანი ჩვენი ლიტერატურის მთავარი გმირია. „საბჭოთა მწერალს არა აქვს უფრო ამაღლებული და კეთილშობილური მიზანი, ვიდრე ის, რომ ასახოს იმათი სულიერი სიმდიდრე, ვინც ადნობს ფოლადს და იღებს ნავთობს, აგებს ქალაქებსა და კაშხალებს, მოჰყავს პური და ბამბა, იპრება კოსმოსში და შეიცნობს ცოცხალი უჯრედის საიდუმლოს“.

მოწინავეში მინიშნებული იყო ჩვენი მწერლების ერთი ნაწილის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიც: „ჯეროვან პატივს რომ მიაგებენ საბჭოთა მწერლების მიღწევებს, მკითხველები სამართლიანად აკრიტიკებენ ზერელე შინაარსის უღიმღამო ფორმის ნაწარმოებებს, რომლებიც არაფერს არ ეუბნებიან არც გულს, არც გონებას. ვერ შეეურიგდებით ისეთი წიგნის გამოშვებას, რომლებშიც ცხოვრება ასახულია ზერელედ, ცალმხრივად, რაც საბოლოო ანგარიშით აღარიბებს, ამახინჯებს თანამედროვის სახეს. ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული სახის გაუმჯობესება ჩვენი ლიტერატორების, მწერალთა კავშირისა და გამომცემლობების უპირველესი საზრუნავია“.

ამ სამართლიან კრიტიკას უნდა მოჰყოლოდა მწერალთა მუშაობის გარდაქმნა, რაც პარტიული ორგანიზაციების საზრუნავიც იყო. მაგრამ სანამ ამაზე შევჩერდებოდეთ, დავძენთ, რომ დასახელებული მოწინავე სამოქმედო პროგრამასაც სახავდა. ამისი აღნიშვნა აუცილებელია.

„პრავდა“ წერდა: „პარტია, ხალხი მწერლებისაგან მოელიან ახალ ნიჭიერ წიგნებს მუშათა კლასის შესახებ, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში, სოციალისტური სოფლის ადამიანების, ჩვენი საზალხო ინტელიგენციის შესახებ.

ყოველნაირად რომ ვუწყობთ ხელს მწერალთა ღრმად შეჭრას ცხოვრებაში, ვრაზმავთ მათ თანამედროვეობის აქტუალური თემების დასამუშავებლად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროა ლიტე-

[1] „კომუნისტი“, 29 სექტემბერი, 1972 წ.

რატურულ სფეროში შეიქმნას მაღალი მომთხოვნელობითი ატმოსფერო.

საბჭოთა ლიტერატურა საერთო-სახალხო, პარტიის საქმის განუყოფელი ნაწილია".

ასეთი იყო იმ პერიოდში ლიტერატურის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანები.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს პროგრამა სავსებით და მთლიანად ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირის მწერალთა ერთ-ერთი ძლიერი რაზმის — ქართველი მწერლების მუშაობაზეც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთელი პარტიული ორგანიზაცია მოვალე იყო მწერალთა შორის მუშაობა ისე წარემართათ, რომ განხორციელებულიყო ეს ზუსტი პროგრამა. ჩვენი განხილვის საგანიც სწორედ ეს არის.

თუ რა სწორად ესმოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე მღგარი ამოცანები, ეს კარგად ჩანს მრავალი ფაქტიდან, მათ შორის იმ მისალმებიდან, რომელიც მან გაუგზავნა საქართველოს მხატვრების VIII ყრილობას. ეს მისალმება „კომუნისტში" გამოქვეყნდა 1972 წლის 6 ოქტომბერს. პარტიის XXIV ყრილობის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ქართველ კომუნისტთა შტაბი აყენებს მოთხოვნას, რომ ხელოვნების მუშაკები უნდა განიმსჭვალონ თანამედროვეობის სულისკვეთებით, იყვნენ პრინციპულნი და მაღალიდეურნი თავიანთ შემოქმედებაში, ერთგულნი სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა, განამტკიცონ ცხოვრებასთან კავშირი, სიმართლით, შთაგონებით დახატონ კომუნიზმის მშენებელი ადამიანის სახე. მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ რაც უფრო მიზანსწრაფულია შემოქმედებითი ძიება, რაც უფრო მდიდარია მხატვრული მეტყველების ენა, რაც უფრო ღრმად წვდება ხელოვანი სინამდვილის ჰეშმარიტ ესთეტიკურ ღირებულებებს, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მის მიერ შექმნილი ნაწარმოების ზემოქმედების ძალა საბჭოთა ადამიანების შეგნებაზე, ცნობიერებასა და გრძნობებზე...

აქ ჩამოყალიბებული პოზიცია ერთნაირად ვრცელდება ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგზე. სწორედ ეს იყო ამოსავალი პრინციპი, რითაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტია აღებული პერიოდისათვის მოღვაწეობის ამ სფეროში.

ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1972 წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიის დღეები, რომელსაც დიდი ინტერნაციონალური ჟღერადობა ჰქონდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შესანიშნავი პირობები შექმნა იმისათვის, რომ მრავალერო-

ვანი საბჭოთა პოეზიის ეს ზეიმი საქართველოს დედაქალაქში და რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეშიც საუკეთესოდ ჩატარებულიყო. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „კომუნისტმა“ და სხვა გაზეთებმაც ეს დღეები ფართოდ გააშუქეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ ამ ღონისძიებამ კიდევ უფრო გააძლიერა სსრკ ხალხთა შორის მეგობრობა, ყველა რესპუბლიკის პოეტებმა თავიანთი პოეზიით კიდევ უფრო დააახლოვეს საბჭოთა ხალხები, რაც ქვეყნის ძლიერებისა და სიმტკიცის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია.

1972 წლის 6, 7, 8, 9 ოქტომბერს თბილისში ჩატარებული პოეზიის დღეები გამოირჩეოდა თავისი წარმომადგენლობითაც. არ დარჩენილა საბჭოთა ქვეყნის არც ერთი რესპუბლიკა, არც ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელსაც თბილისში თავისი წარმომადგენელი არ გამოეგზავნოს. „კომუნისტი“ წერდა: „საქართველო თავისებური პოეტური ცენტრი გახდა. აქ 6 ოქტომბერს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საზეიმო საღამოთი დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა პოეზიის დღესასწაული“[1]. მარტო პირველ საღამოს სიტყვებით გამოვიდნენ (გარდა ქართველებისა): კ. სიმონოვი, ვ. კოროტიჩი (უკრაინა), ე. ლოსი (ბელორუსია), რ. რზა (აზერბაიჯანი), ა. გრაში (სომხეთი), მ. დუდინი (ლენინგრადი), კ. ყულიევი (ყაბარდო-ბალყარეთი), ვ. სოლოუხინი (მოსკოვი), ა. ტარკოვსკი, ბ. ახმადულინა, ა. მეჟიროვი (სამივე მოსკოვიდან), ჰ. გულიამი (უზბეკეთი), ი. პეტერსი (ლატვია), ი. თარბა (აფხაზეთი), რ. რიმელი (ესტონეთი), ო. ამანივა (ტაჯიკეთი), ს. ჯუსიევი (ყირგიზეთი), რ. ალიევი (თურქმენეთი), ი. მაჩიავიჩიუსი (ლიტვა), ვ. როშკა (მოლდავეთი). ცხადია, საღამოში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი პოეტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მონდომებითა და ყოველმხრივი მონაწილეობით ჩატარებული ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა არა მარტო ხალხთა პოეზიების, პოეტების დაახლოებას, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია და ურთიერთგამამდიდრებელი საშუალებაა, არამედ მას დიდი პოლიტიკური ჟღერადობაც ჰქონდა. ამაზე კარგად თქვა ცნობილმა საბჭოთა მწერალმა კ. სიმონოვმა: „ლიტერატორთა ეს შეხვედრა ხდება ისტორიული მოვლენის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის წინ. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ამ დღესასწაულის წინ ყველას მზერა მიპყრობილია მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისადმი, კერძოდ პოეზიისადმი... ჩვენი ლიტერატურა, რომლის შემადგენელი

---

1 „კომუნისტი“, 7 ოქტომბერი, 1972 წ.

ნაწილია პოეზია, იშვა უდიდესი მეგობრობის — ხალხთა ლენინური მეგობრობის საფუძველზე"[1]. კ. სიმონოვმა დაასახელა რამდენიმე ციფრი, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში მწერლები წერენ სსრკ ხალხთა 75 ენაზე, აქედან 3.400 საბჭოთა მწერალი წერს რუსულ ენაზე, 3.900 მწერალი კი სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე. ეს მეტყველი ციფრია, იგი საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის შედეგია. რევოლუციამდელ რუსეთში სრულიად განსხვავებული ვითარება იყო.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ 1972 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებული საბჭოთა პოეზიის ზეიმი მნიშვნელოვანი ფაქტია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობაში მხატვრული ლიტერატურის იდეურ-აღმზრდელობითი როლის ასამაღლებლად.

მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა დაფასება, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მათი წვლილის აღიარება დიდად უწყობს ხელს შემოქმედებითი ინტელიგენციის წახალისებას, მათი მუშაობის გაინტენსიურებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ მხრივაც სასურველ ყურადღებას და ტაქტს იჩენდა. ამისი ცხადი დადასტურებაა 1972 წლის შემოდგომაზე გამართული ორი ღირსშესანიშნავი იუბილე, რომელთაგან ერთი მიეძღვნა კ. გამსახურდიას დაბადების 80-ე წლისთავს (ოქტომბერი, 1972 წ.), მეორე კი თეატრალური ხელოვნების კორიფეს, კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავს, რომელიც განსაკუთრებული მასშტაბითა და ზეიმით აღინიშნა (ნოემბერი, 1972 წ.). მრავალი კეთილი სიტყვა ითქვა და დაიბეჭდა იუბილართა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ბევრიც გაკეთდა კ. მარჯანიშვილის უკვდავსაყოფად. დიდი რეჟისორის ტალანტით გაბრწყინებულია არა მარტო ქართული საბჭოთა თეატრი, არამედ მისი შუქი რუსულ და უკრაინულ თეატრალურ ხელოვნებასაც ანათებდა. ამ მოღვაწეთა ღვაწლის ასეთი დაფასება პარტიის ბრძნული პოლიტიკის გამოხატულებაა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმათთვის, ვისაც ვაფასებთ, არამედ სხვა შემოქმედთათვისაც, მილიონობით სხვა ადამიანებისთვისაც. იგი სტიმულირების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა.

თუ რა მასშტაბები ჰქონდა კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეს, ამაზე არასრულ, მაგრამ მაინც გრანდიოზულ წარმოდგენას გვაძლევს გაზეთ „კომუნისტის" 1972 წლის 23, 24 და 25 ნოემბერს გამოქვეყნებული მასალები და

[1] „კომუნისტი", 7 ოქტომბერი, 1972 წ.

ილუსტრაციები. გაზეთი ამ თარიღს უთმობს მთელ გვერდებს, რომლებიც სავსეა გამოჩენილი ადამიანების წერილებით, მოგონებებით, მარჯანიშვილის ცხოვრების ამსახველი ილუსტრაციებით.

აი ზოგი მათგანის თუნდაც მხოლოდ სათაურები: „თეატრალური ხელოვნების კორიფე"; „უკვდავი შემოქმედება"; „სიყვარულის ნერგი"; „თეატრის ბურჯი"; „დიდი ხელოვანი, აღმზრდელი"; „იგი ყველას უყვარდა"; „ჩვენი თანამედროვე, მარად ცოცხალი მარჯანიშვილი" და ა. შ. ამას დაუმატეთ საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა სიტყვები — გოგოლევასი, ფევრალსკისა, რუბლევსკაიასი, ხალიფისა; მიუმატეთ მაქსიმ გორკის, ანატოლ ლუნაჩარსკის, ვასილ კაჩალოვის, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს, კონსტანტინე სტანისლავსკის გამონათქვამები, რომლებსაც გაზეთი აქვეყნებს; დაუმატეთ დავით კლდიაშვილის, ნატო ვაჩნაძის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და სხვათა მიერ ადრე გამოთქმული აღფრთოვანებული შეფასებები დიდი რეჟისორისა; მთაწმინდაზე კ. მარჯანიშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგის ანგარიში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული საზეიმო საღამოს ანგარიში და მრავალი სხვა მასალა კიდევ უფრო მრავალმხრივსა დ მდიდარს ხდის დიდი ხელოვანის დაფასებისადმი მიძღვნილ საგაზეთო გვერდებს. ეს ფაქტი არის იმის მკაფიო გამოხატულება, რომ პარტია დიდად აფასებს ჭეშმარიტ ხელოვნებას, მის საუკეთესო წარმომადგენლებს.

ცხადია, ეს არ ეხება მხოლოდ კ. მარჯანიშვილს, პარტიის ეს გეზი ვრცელდება ყველა ღირსეულ შემოქმედზე, ვინც ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას ამდიდრებს, მას ხდის ჭეშმარიტად სახალხოს, მაღალიდეურს, მაღალმხატვრულს, საზოგადოების წინსვლის ძლიერ საშუალებად. ამისი არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მისი ყველა უბნისათვის, მათ შორის ლიტერატურისა და ხელოვნებისთვისაც, საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების — რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა აქტივის კრებას, რომელიც 1973 წლის 24 იანვარს გაიმართა თბილისში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ ამ აქტივის კრებას, მასზე გაკეთებულ მოხსენებას და შოკამათეთა აზრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ჩვენს რესპუბლიკაში მოვლენათა სასიკეთოდ შემობრუნების საქმეში, რაც მომდევნო პერიოდს ახასიათებს.

ვრცელი და კრიტიკული მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე. მან აღნიშნა, რომ 1972 წელი სასახელო იყო. მოპოვებულია წარმატებები. დიდი აღმაფრენით აღინიშნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი, რომლის ზეიმიც მოსკოვში გაიმართა 30 დეკემბერს. საქართველოს მშრომელებმა მონდომებით იშრომეს.

ამის გვერდით მომხსენებელმა ილაპარაკა მრავალ ნაკლზე, ჩამორჩენებზე მუშაობებზე, ვაჭრობაში, მეცხოველეობასა და სხვა დარგებში. მოიტანა მრავალი ფაქტი ამის საილუსტრაციოდ. მომხსენებელმა ილაპარაკა ჩამორჩენათა დაძლევის გზებზე. მან მოუწოდა ყველა მუშას, კოლმეურნეს, მეცნიერს, კულტურის ფრონტის მუშაკებს, პროფკავშირს, კომკავშირს, ყველა კომუნისტს აქტიურად იბრძოლონ ჩამორჩენათა დასაძლევად, 1973 წლის სახელმწიფო გეგმების წარმატებითი შესრულებისათვის.

ჩვენი თემისათვის უმეტესად საინტერესოა ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც შემოქმედებით ინტელიგენციას ეხება. მოვიტანთ სათანადო ციტატას:

„მოვუწოდებთ ჩვენს შემოქმედებითს ინტელიგენციას, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შექმნან ღრმად იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, კომუნისტებისა და კომკავშირელების, ჩვენი თანამედროვეების — კომუნიზმის მშენებლების შესახებ.

საბჭოთა მწერლები და პოეტები, მხატვრები და კომპოზიტორები, მსახიობები და რეჟისორები მუდამ იყვნენ ხალხთან ერთად, იქ, სადაც წყდებოდა ქვეყნის ბედი, სამშობლოს ბედი, სადაც იბადებოდა შრომის ჰეროიკა.

პირველი ხუთწლედების წლებში პოეტი-ტრიბუნი ვლადიმერ მაიაკოვსკი შრომის დამკვრელებს მოუწოდებდა:

დამკვრელი ბრიგადებიდან
დამკვრელი საამქროებისაკენ,
საამქროებიდან
დამკვრელი ქარხნებისაკენ.

ახალმშენებლობათა ხარაჩოებზე ასულა გალაკტიონ ტაბიძეც, რომელმაც უმღერა ხრამჰესის მშენებელთა გმირობას.

დღეს ენგურჰესი, ქარხნებისა და ფაბრიკების ახალმშენებლობანი ელიან თავიანთ მაიაკოვსკის, ელიან თავიანთ გალაკტიონს!“

რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელის მოხსენებიდან მოტანილი ეს ამონაწერი აშკარად შეტყველებს იმ ამოცანებზე, რასაც

პარტია იმჟამად სახავდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების წინაშე.

აქტივის კრების მთელი პათოსი ისეთი იყო, რომ გულგრილად ვერავინ დარჩებოდა. პატიოსან და მართალ ადამიანებს იგი სიხარულს ანიჭებდა, იმედით ავსებდა; უკუღმართად მცხოვრებთ კი შოსვენებას უკარგავდა.

რესპუბლიკაში მომხდარი შემობრუნებისადმი განსაკუთრებული რეაგირება ქართველმა მწერლებმა მოახდინეს. ისინი წინა წლებშიც გაბედულად, კრიტიკული პათოსით უტევდნენ ყოველგვარ მანკიერებას, ახლა კი მთლად წელში გაიმართნენ. აღნიშნულ აქტივის კრებაზე ქართველ მწერალთა სახელით გამოვიდა პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელმაც გამოთქვა თანამოკალმეთა აზრი მან თქვა, რომ რუსთაველის შზეს მიჰყვება ჩვენი მწერლობა. კაცთმოყვარეობა თავის მომღერალს თხოულობს, ხოლო ჩვენი დიდი გზის პრინციპი კაცთმოყვარეობაა. მწერალი ვალდებულია ფეხდაფეხ მიჰყვეს ცხოვრებას, იპოვოს და დახატოს გმირი, რომელსაც შეიყვარებს და მიბაძავს ხალხი. პოეტის მოქალაქეობრივ მოკალეობაზე ჯ. ჩარკვიანი იმოწმებს ვაჟა-ფშაველასაც. შემდეგ ეხება რა წინა წლებში რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას, ჯ. ჩარკვიანი იხსენებს ანდერსენის ზღაპარს „შიშველი მეფის“ შესახებ, რომელსაც მლიქვნელები სამოსელს უქებდნენ და მხოლოდ ალალმართალმა პატარა ბიჭმა თქვა სიმართლე, რომ მეფე შიშველიაო. ამის შემდეგ ორატორმა აღნიშნა იმ ქართველ მწერალთა დამსახურება, კრიტიკული პათოსით გაჟღენთილი ნაწარმოებები რომ შექმნეს წინა წლებში.

„ბევრ ასეთ „შიშველ მეფეს“ უთხრეს სიმართლე ქართველმა მწერლებმა. დროულად ნათქვამი სიმართლეა თამაზ ჭილაძის „პოსვიდონის სასახლე“ და „მოულოდნელი სტუმარი“, არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, ნოდარ დუმბაძის წიგნები, გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“ და „თვალი პატიოსანი“, ოთარ ჩხეიძის „აღმართი და დაღმართი“, ედიშერ ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდები“, გიორგი ხორგუაშვილის „რწყილისა და ჭიანჭველის არაკი“, ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“, აკაკი ბაქრაძის, გურამ ასათიანის, გურამ გვერდწითელისა და სხვათა კრიტიკული გამოსვლები“.

მართალია, ეს სია სრული არ არის, მასში გამოტოვებულია რამდენიმე მწერალი თავიანთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ მწერალთა კავშირის ერთ-ერთმა შდივანმა ოფიციალური ტრიბუნიდან ეს აღნიშნა. ეს ფაქტი კარგად გამოხატავს მწერალთა განწყობილებას და მზადყოფნას, აქტიურად

ჩაებან რესპუბლიკის ცხოვრებაში დასახული შემობრუნების მისაღწევად. ჯ. ჩარკვიანის გამოსვლის ბოლო ფრაზები ამაზეც კარგად მიუთითებს: „დღეს კი, როცა ვალდებულებაზე ვლაპარაკობთ, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ ჩვენი ლიტერატორების მოვალეობას. ამ მაღალი ტრიბუნიდან ყველა ქართველი მწერლის სახელით აღგითქვამთ, რომ შევქმნით ჩვენი დიადი ეპოქის ღირს ნაწარმოებებს". სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში ბევრმა ქართველმა მწერალმა ღირსეულად შეასრულა ეს დაპირება, ბევრი მათგანი დადგა ხუთწლედის მხარდამხარ და შრომის გმირებზე შექმნა მრავალი საყურადღებო ნაწარმოები.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ აქტივის კრებაზე გაკეთებული მთავარი მოხსენების ტონმა, წარმატებათა აღნიშვნის გვერდით ნაკლოვანებათა დაუფარავმა მხილებამ, მოვლენათა ანალიზმა, პერსპექტივათა ნათელმა გამოკვეთამ, სიმართლისა და პატიოსნების აღდგენის დაპირებამ განაპირობა ორატორთა გამოსვლების შინაარსიც და ტონიც. პოეტ ჯ. ჩარკვიანის გამოსვლის ეს პათოსიცა და ქართველ მწერალთა მომდევნო პერიოდის ნაღვაწიც დამუხტული იყო აღნიშნული მოხსენებით.

ორიოდე დღის შემდეგ გამოქვეყნდა საქართველოს კულტურის გამოჩენილ მუშაკთა მიმართვა რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი. ეს მიმართვაც გამსჭვალულია აქტივის ზემოაღნიშნული სულისკვეთებით.

1973 წლის 27 იანვარს „კომუნისტში" პირველ გვერდზე რუბრიკით — „ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები — ხუთწლედს" — გამოქვეყნდა ზემოაღნიშნული „მიმართვა" სათაურით: „ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენი სიტყვა", რომელიც გადმობეჭდილია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 26 იანვრის ნომრიდან. ეს „მიმართვა" მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. თავისთავად ცხადია, რომ იგი შეიქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის რჩევითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

ეს რომ ასეა, „მიმართვის" ტექსტიდანაც ჩანს. იქ წერია: „...ჩვენ, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, გულის სიღრმემდე ვართ გამსჭვალულნი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოწოდებით, რომელიც პარტიული აქტივის გუშინწინდელი კრების მაღალი ტრიბუნიდან გაისმა, ჩვენ ამ ლაშქრობის აქტიური მონაწილენი უნდა გავხდეთ.

სწორედ პარტიის ამ მოწოდებამ აღგვიძრა სურვილი მივმართოთ ამ წერილით რესპუბლიკის კულტურის ფრონტის ყველა მუ-

შაკს"[1]. როგორც დავინახეთ, კულტურის მუშაკები პარტიის მოწოდებას მყისვე გამოეხმაურნენ. ამ ფაქტში ორი მხარე ჩანს. ჯერ ერთი, აშკარაა პარტიული სიტყვის ძალა და ავტორიტეტი, მეორეც, ნათელია, რომ კულტურის მუშაკები, ყველა მშრომელთან ერთად, მტკიცედ არიან დარაზმული პარტიის გარშემო, მათ შორის ერთიანობა ცხადზე უცხადესია. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოებაა.

ინტერესმოკლებული არ არის გავეცნოთ „მიმართვის" დედააზრს. ჯერ არის და, მასში გახსენებულია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მიერ განვლილი გზა, რომ იგი მუდამ საბჭოთა ხალხთან ერთად იყო — მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას მუდამ მხარში ედგა. კულტურა შეიჭრა ყველაზე დაშორებულ სოფლებსა და ხეობებში, იგი გახდა სოციალისტური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სახალხო ჰიმნად ქცეული რევოლუციური სიმღერები ზამთრის სასახლეზე საიერიშოდ მიმავალთა და სამოქალაქო ომის გმირთა განუყრელი თანამგზავრები იყვნენ. აქ გახსენებულია 20—30-იანი წლების სახალხო ენთუზიაზმი და პირველი ხუთწლედების რომანტიკა, რამაც მსოფლიო განაცვიფრა. ეს ჰეროიკა ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ დიდი მონდომებით ასახა. როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა კალამი, საჭრეთელი თუ ვიოლინო ხიშტსა და შაშხანას გაუთანაბრეს. ბევრმაც თავი დასდო სამშობლოსათვის. სანგრებში იდგა არა მარტო ჯარისკაცი, არამედ ლექსიც, მუსიკაც. შემდეგ ლაპარაკია ომის შემდგომ აღდგენით მუშაობაზე და მშენებლობაზე. აქაც დამოწმებულია გალაკტიონის ლექსი „ხრამჰესი", რომელიც შენების პათოსით არის გამსჭვალული.

„მიმართვის" ავტორები შემდეგ მიდიან აზრამდე, რომ ასე იყო მუდამ და ასე იქნება ახლაც და მომავალშიც — ხალხის ენერგიას შეუერთდება ჩვენი ენერგია. დღეს ენგურჰესი ელის თავის მომღერლებს. შემდეგ მიმართვაში წერია:

„კულტურის ფრონტის მოწინავე პოზიცია დღეს ახალ მშენებლობათა ხარაჩოებზეა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ქარხნებსა და ფაბრიკებში, ლაღად გაშლილ საკოლმეურნეო მინდვრებზე.

თანამედროვე ქართველი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრისა და კინოს მუშაკების ბევრმა ნაწარმოებმა უკვე დაიჭირა თავისი ადგილი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საგანძურში. მაგრამ ჩვენი დრო, დიდ მიღწევათა დრო, კიდევ უფრო ფართო საზოგადოებრივი სულისკვეთებით გამსჭვალულ ხელოვნებას მოითხოვს; შემოქმედი უფრო ღრმად უნდა ჩაწვდეს სი-

---

1 „ლიტერატურული საქართველო", 1973 წლის 26 იანვარი.

ნამდვილეს, ხალხის ცხოვრებას, მის სიძნელეებსა და წარმატებებს.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკს სრულად გამოიყენონ თავიანთი ნიჭი და მხატვრული შესაძლებლობანი ამ კეთილშობილური და პასუხსაგები ამოცანების გადასაწყვეტად.

შეფობა აღარ კმარა, ახლა დღის წესრიგშია კალმისა და ჩაქუჩის, ფუნჯისა და ნამგლის ნამდვილი თანამეგობრობა...“

ამ „მიმართვაში“ სხვაც ბევრი რამ საყურადღებო წერია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ნაწილი მოვიტანეთ. მთავარი ის არის, რომ იგი გამსჭვალულია პარტიული, სახელმწიფოებრივი, პატრიოტული სულისკვეთებით. ამ სტრიქონებს უკან აშკარად მოჩანან ჩამდვილი მამულიშვილები, ვინც აფასებს ქვეყნის წარსულს, აქტიურად მოღვაწეობს დღევანდელი საზოგადოების აყვავებისათვის და საფუძველს უმაგრებს მომავალში კიდევ უფრო დიდი წარმატებების მიღწევას.

„მიმართვას“ ხელს აწერენ ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი სახელოვანი წარმომადგენლები, როგორნიც არიან: გრ. აბაშიძე, დ. ალექსიძე, ე. ამაშუკელი, ვ. ანჯაფარიძე, დ. ანთაძე, გ. ასათიანი (კინორეჟისორი), ა. ბალანჩივაძე, მ. ბერძენიშვილი, ნ. ბურმისტროვა, ო. გორდელი, ს. დოლიძე ნ. დუმბაძე, რ. ლაღიძე, უ. ჯაფარიძე და სხვები. მათ სიტყვას, ბუნებრივია, ანგარიშს უწევს ყველა, მათ შორის, მათი კოლეგებიც.

პარტიისა და ხალხის, პარტიისა და კულტურის მუშაკთა მჭიდრო ერთიანობაზე, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში პარტიის ხელმძღვანელ როლზე ისიც მკაფიოდ მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული „მიმართვის“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა ბიურომ განიხილა და მოიწონა ეს მიმართვა და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიც დასახა ღონისძიებები ცხოვრებაში მის განსახორციელებლად. ამ დადგენილებაში, რომელსაც ეწოდება „რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწისადმი მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიმართვასთან დაკავშირებით საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დაწესებულებათა მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ“, აღინიშნა, რომ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელნი მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების რესპუბლიკური აქტივის კრების გადაწყვეტილებას. აქ განიხილეს რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამოცანები 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესასრულებლად სოციალისტური შე-

ჯიბრების გაშლისათვის. კულტურის ყველა მუშაკს მოუწოდა მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, კომუნისტებისა და კომკავშირელების — კომუნიზმის მშენებლების შესახებ ღრმად იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები შექმნას.

შემოქმედებითმა კავშირებმა, კულტურის სამინისტრომ აქტიურად დაუჭირეს მხარი ამ მოწოდებას. მათ გამგეობათა სხდომებზე, კოლეგიებზე და თეატრების კოლექტივთა კრებებზე მიიღეს სპეციალური დადგენილებები, დასახეს კონკრეტული ღონისძიებები იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც აქტივის კრებამ დასახა.

დაახლოებით ასეთი პრეამბულის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაადგინა:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა შემოქმედებითი კავშირების, კულტურის სამინისტროსა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პრაქტიკული ღონისძიებანი იმ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც აქტივის კრებამ და ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა მიმართვამ დაუსახეს რესპუბლიკის კულტურული ფრონტის მუშაკებს მეცხრე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ყველა შემოქმედებით კავშირსა და განყოფილებას, საქართველოს სსრ კულტურის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაევალათ დასახელებულ ორგანიზაციათა მაგალითისამებრ ფართოდ განიხილონ ეს საკითხები და მიიღონ შესაბამისი დადგენილებანი.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა მხატვრული ინტელიგენციის პატრიოტულ წამოწყებას, მისი შემოქმედების შემდგომი სტიმულირების მიზნით ბიურომ საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას დაავალა შეიმუშაონ სოფლისა და ქალაქის მშრომელებისადმი, მეცხრე ხუთწლედის გმირებისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის რესპუბლიკური კონკურსების პირობები“[1].

ეს სამი დოკუმენტი — რესპუბლიკური აქტივის კრების დადგენილება, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა „მიმართვა“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აქ განხილული

---

[1] „კომუნისტი“, 8 თებერვალი, 1973 წ.

დადგენილება არა მარტო ავსებენ ერთმანეთს და ამით ერთ მიზანს ემსახურებიან, არამედ ქმნიან ახალ ეტაპს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ცნობილია, რომ ყველა დადგენილების, მიმართვისა თუ სხვადასხვა სახის ღონისძიებათა ღირებულება იზომება იმ შედეგით, რომელიც პრაქტიკაში მათ მოჰყვა. თუ ამ საზომით მივუდგებით ზემოთ განხილულ სამ დოკუმენტს, უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ისინი ძალზე მნიშვნელოვანი იყვნენ. პირველ რიგში უშუალო შედეგი ის არის, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, გამომცემლობებში, ტელევიზიაში, რადიოში, დოკუმენტურ კინემატოგრაფიაში გაჩნდა შრომელთა გმირული შრომის ამსახველი ნაწარმოებები. კერძოდ, პრესაში გაჩნდა მთელი რიგი რუბრიკები — „ქართველი მწერლები — ხუთწლედის მხარდამხარ“. და ეს მოხდა განხილული დოკუმენტების გამოქვეყნებიდან სულ მალე. მაგალითად, 1973 წლის 11 თებერვლის ნომერში „კომუნისტმა“ მესამე გვერდის მთელი ხუთი სვეტი დაუთმო რუბრიკას „ქართველი მწერლები — ხუთწლედის მხარდამხარ!“ აქ გამოქვეყნდა ორი პოეტის — კარლო კალაძისა და მორის ფოცხიშვილის პორტრეტები, მოკლე ცნობები მათ შესახებ და, რაც მთავარია, მათი ნაწარმოებები საზოგადოების აქტუალურ, ცოცხალ თემებზე.

კარლო კალაძე ამ გვერდში დაბეჭდილ ერთ ლექსში, მაგალითად, წერდა:

„ჩვენ ვართ მჭედლები და ჩვენს ხელთაა
კვლავაც რუსთაველის რკინა და რვალი,
ჩვენს წინ სინათლით სავსე მცხეთაა
და არა ზვირთებდამშრალი მტკვარი.
ჩვენი დღე დადგა... ჩვენი დღეც არჩევს
სპა შეჰკრას ერთად ერისკაცების
და ქუდზე კაციც არ უნდა დარჩეს —
არ ჰქონდეს რწმენა მეცხრე გაწვევის“.

(იგულისხმება მეცხრე ხუთწლედი — ტ. კ.)

ვფიქრობთ, ეს სტრიქონები პირდაპირ უპასუხებს მომენტს, როცა ეს ლექსი („ჩვენ ვართ მჭედლები“) დაიწერა და გამოქვეყნდა.

ასევე აქტიურად და მომენტის მოთხოვნილების შესატყვისად წერს მორის ფოცხიშვილიც:

„ხუთწლედის ჩანგზე ხვალ-ზეგ ენგური
სინათლის სიმად იყღერებს გზნებით,
ძმამრავალი და ძმათა ერთგული
ძმათა მრავალთა მხარდამხარ დგები.

გეჯერა და მაინც არა გართ მშვიდად,
ულელავთ, ებობოქრობთ, ვიწვით და ვნატრობთ,
ვიცით, ვინც გუთანს დააგდებს მინდვრად,
ის დაჭრილ ძმებსაც დასტოვებს მარტო...
ხალხო, შენს სპეტაკ ცეცხლში ნაწრთობი
კვლავ შენს კოერიან ხელებს ვენდობი, —
ვამაყობ შენი მუშაკაცობით,
ვსულდგმულობ შენი გუთნისდედობით!"

პარტიის მოწოდების საპასუხოდ ასე დაიწყო ქართველ მწერალთა უჩვეულო გააქტიურება, ცხოვრებასთან მათი უშუალო მისვლა, მათ ნაწარმოებებში მოქალაქეობრივი პათოსის ამაღლება, ხალხისა და ლიტერატურის კიდევ უფრო მჭიდრო შეკავშირება.

მომდევნო პერიოდში ეს წამოწყება სისტემატურად გრძელდება და ტრადიციად იქცევა. ვერ ვიტყვით, რომ ყველა ნაწარმოები, რომელიც ამ რუბრიკით გამოქვეყნდა ჩვენი პრესის ფურცლებზე, მაღალმხატვრული იყოს, მაგრამ ის კი უდავოა, რომ ყოველი შთაგანი ცხოვრებისეულია. მაგრამ ისიც სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმეტესობა ძალზე მაღალი იდეურ-შინაარსობლივი და მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა. ნიმუშის სახით შეიძლება დავასახელოთ შოთა ნიშნიანიძის ლექსების ციკლი კახელ შვენახეებზე და მისი სახელგანთქმული ლექსი „კომუნისტები", რომელმაც სამართლიანად პოვა საყოველთაო აღიარება. ამ საკითხზე ჩვენ ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ.

ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს კომპარტიის ზრუნვის მკაფიო გამოვლენა იყო ყველაფერი ის, რაც ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 1973 წლის თებერვლის ბოლოს გაიმართა. მისი დევიზი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო „პარტიული ხელმძღვანელობა — თანამედროვე ამოცანათა დონეზე" — ამით ბევრი და კარგად ითქვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები. ეს კი მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორისაა იდეოლოგიური მუშაობაც, მისი ერთ-ერთი უბანი — ლიტერატურა და ხელოვნებაც.

პლენუმზე აღინიშნა, რომ „დაშვებული შეცდომების შედეგად იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მნიშვნელოვანი ზიანი მოსდიოდა".

„იმ წლებში ეკონომიკაზე მეტად ევნო საზოგადოებრივ ფსი-

ჭიკას, ადამიანის შინაგან სამყაროს, მის რწმენას ნათელი იდეალისადმი"[1]. ეს მკაფიო შეფასება სამართლიანად გამოხატავდა რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას, რაც წინა წლებს ახასიათებდა.

კერძოდ შემოქმედებითი კავშირების მისამართით პლენუმზე ითქვა: „პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის სერიოზულ შეცდომებსა და ხარვეზებს მოწმობს, კერძოდ ის, რომ რესპუბლიკის მხატვართა და კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელობაში უზრუნველყოფილი არ არის საჭირო პარტიული გავლენა. ამის შედეგად შემოქმედებითი კავშირების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, ზოგჯერ მათი კრებები აქტუალური შემოქმედებითი საკითხების განხილვის ნაცვლად ინტრიგებისა და კინკლაობის გარჩევას უნდებიან. ამავე დროს ზოგიერთი ამხანაგი, თუმცა დიდი პრეტენზიები აქვს, ვერ დაიკვეხნის დიდ ნაწარმოებებს, რომლებიც სრულიად-საკავშირო აღიარებას იმსახურებდნენ"[2]. ეს იყო საქმეში ღრმად ჩახედვისა და პირუთვნელი ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები, რომლებიც სავსებით სამართლიანად იქნა აღნიშნული. ბუნებრივია, რომ ასეთი საქმიანი კრიტიკა ატმოსფეროს გაჯანსაღების უებრო საშუალებაა და მომავალში მართლაც ასე წარიმართა საქმე.

პლენუმმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამწერლო ორგანიზაციის მუშაობაზეც. ითქვა მიღწეულზეც და ნაკლზეც. ძალზე საყურადღებოა მწერალთა მისამართით პლენუმზე ნათქვამი: „ახლა მწერალთა კავშირს 12 მდივანი ჰყავს. მაგრამ ამას კავშირის მუშაობა ბევრად არ გაუუმჯობესებია".

ქართველ კომუნისტთა ამ ფორუმზე ითქვა, რომ ხალხის პატივისცემისა, აღიარებისა და ავტორიტეტის მიუხედავად, რაც ჩვენმა მწერლებმა, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებმა მოიხვეჭეს, ჩვენი თეატრების სპექტაკლების, კინოფილმებისა და ტელეგადაცემათა თემატიკა, საკონცერტო პროგრამები ყოველთვის ვერ შეესაბამება მათს მაღალ დანიშნულებას. მათი მხატვრული კრიტერიუმები ზოგჯერ საეჭვოა, ისინი არ მოგვიწოდებენ, არ მიგვიძღვიან.

სუსტი, დაბალ პროფესიულ დონეზე შესრულებული ნაწარმოების გამოჩენა პლენუმმა ახსნა ზოგიერთი შემოქმედებითი ორგანიზაციის, გამომცემლობის, ჟურნალის, მათი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ლიბერალობითა და პოლიტიკური სიბეცით. პარტიულ პლენუმზე მოწოდებასავით გაისმა სიტყვები: „ჩვენს შემოქმედებითს ინტელიგენციას უნდა ახსოვდეს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები,

[1] „კომუნისტი", 28 თებერვალი, 1973 წ.

[2] იქვე.

ეს „სულიერი ტყვია-წამალი“, დღეს ისევე გვჭირდება, როგორც გვჭირდებოდა სამშობლოს მკაცრი განსაცდელის წლებში“[1].

იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე რომ მსჯელობდა, პლენუმმა მკაფიოდ დაახასიათა ორ იდეოლოგიას შორის უკომპრომისო ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე. აღნიშნა, რომ მსოფლიოში შექმნილი ასეთი ვითარების პირობებში შეუძლებელია რომელიმე საბჭოთა ადამიანი, მით უმეტეს მწერალი დარჩეს ბრძოლის გარეთ, თავი აარიდოს პოლიტიკას. როგორც სამწუხარო ფაქტი, აღინიშნა, რომ ჩვენი შემოქმედებითი კავშირების ფორუმებზე გამოვლინდა რეციდივები ცდებისა, რომ მხატვრული შემოქმედება განეხილათ პოლიტიკისაგან, აქტუალური პრობლემებისაგან მოწყვეტით. ზოგ შემოქმედს დაეუფლა უცხო განწყობილება — ისინი თავიანთ ნიჭსა და სულიერ ღირებულებას ახურდავებდნენ პატივმოყვარეობისათვის, დაწინაურებისათვის, მეშჩანური კეთილდღეობისათვის. პლენუმმა ასეთი ფაქტები მიიჩნია იმის შედეგად, რომ შესუსტებული იყო შემოქმედებითი ინტელიგენციის პარტიული აღზრდა.

როგორც დავინახეთ, პლენუმმა თუმცა დაუნდობელი, მაგრამ ობიექტურად და ცოდნით ამხილა ყველა ის ნაკლი, რაც ახასიათებდა მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა, თეატრალთა და სხვა შემოქმედთა მუშაობას. საქართველოს კომპარტიამ ამით თქვა არა მარტო თავისი პრინციპული სიტყვა, რასაც ატმოსფეროს უეჭველი გაჯანსაღება უნდა მოჰყოლოდა, არამედ დასახა კონკრეტული გზები ვითარების გამოსასწორებლად.

უეჭველად უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმის ამ პრინციპულ პოზიციას მაშინვე, იქვე, პლენუმზევე, გაგებით და თვითკრიტიკულად შეხვდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. სახელდობრ, ქართველი მწერლები ასე გამოვიდნენ: „ქართველი მწერლები სავსებით ეთანხმებიან კრიტიკას მათ მიმართ. დიახ, ყველა მათგანმა ჯერ კიდევ როდი შეძლო შეექმნა ეპოქის შესაფერი ნაწარმოებები, რომლებიც მოგვიწოდებდნენ საგმირო საქმეებისათვის, გამსჭვალული იქნებოდნენ მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობებით. უკანასკნელ ხანს შესამჩნევად შესუსტდა რესპუბლიკაში იდეოლოგიური მუშაობა მწერალთა შორის. ხშირად მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ნაცვლად ჩქმალავდნენ ნაკლოვანებებს. მწვავე პრინციპულ კრიტიკას, შემოქმედებითს დავას ზოგჯერ ამჯობინებდნენ მშვიდობიან, უღრუბლო, ეფემერულ სიმშვიდეს. ზოგიერთი ლიტერატორი თვითონ თანდათანობით გაპასიურდა, მაამებლობის გზას დაადგა“[2].

[1] „კომუნისტი“, 28 თებერვალი, 1973 წ.

[2] იქვე.

ეს თვითკრიტიკა, პარტიული კრიტიკის შეგნებული მიღება და საკუთარი მუშაობის გადასინჯვა უდავოდ სასურველ შედეგს გვიმზადებდა მომავლისათვის. ეს ასეც მოხდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზე მკაფიოდ ითქვა, რომ ბოლშევიკური მომთხოვნელობისა და მაღალი იდეალებისადმი ერთგულების ვითარებაში შეიძლება მწერალთა და ხელოვანთა გატაცებით მუშაობა. აქვე აღინიშნა, რომ შემოქმედებითი კავშირების პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი სისრულით უნდა გამოიყენონ პარტიის XXIV ყრილობის მიერ მათთვის მინიჭებული უფლება — ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლება.

პლენუმმა შემოქმედებით ინტელიგენციას, მათ შორის მწერლებს დაუსახა მოქმედების პროგრამა, რაც ჩამოყალიბებულია შემდეგ სიტყვებში: „პარტია მოითხოვს, რომ საბჭოთა შემოქმედებითს ინტელიგენციას, მის ყველა ეროვნულ რაზმს მუდამ ახსოვდეს ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა გამომდინარეობს თვით სოციალისტური რეალიზმის ბუნებიდან. ყოველდღიურად უნდა ვიმუშაოთ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, გადაჭრით ვებრძოლოთ ნაციონალისტური ყაიდის ცალკეულ გამოვლინებებს. ამ ამოცანის დიდ მნიშვნელობას განაპირობებს თვით ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ბუნება, რომელმაც დაამკვიდრა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა. მაგრამ ყველა მეცნიერს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეს როდი აქვს ნათლად წარმოდგენილი, თუ რაოდენ მავნეა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპულობისაგან თუნდაც უმნიშვნელო გადახვევა. ინტერნაციონალისტი უნდა იყო ყოველთვის, დიდსა და პატარა საქმეში, უნდა გახსოვდეს, რომ უმცირესმა შეცდომამ ამ დარგში შეიძლება ჩრდილი მიაყენოს მთელ იდეოლოგიურ მუშაობას რესპუბლიკაში“[1].

როგორც დავინახეთ, 1973 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში ჩატარებულ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებების დასაძლევად და შემდგომი წარმატებების მისაღწევად დასახა მეცნიერულად დასაბუთებული, გააზრებული ღონისძიებები. აქ დიდი ადგილი დაეთმო იდეოლოგიურ მუშაობას, კერძოდ, მის მნიშვნელოვან უბანს — ლიტერატურასა და ხელოვნებას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ პლენუმზე ქართველ მწერლებს

---

[1] „კომუნისტი“, 28 თებერვალი, 1973 წ.

პირუთვნელად უთხრეს მათ მუშაობაში არსებული ნაკლი და მიუთითეს წარმატებათა მოპოვების გზა. ეს პლენუმი ჭეშმარიტად შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საუკეთესო სკოლად, იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა იღვწოდეს საქართველოს კომპარტია ქართული საბჭოთა ლიტერატურის იდეური და პროფესიული დონის ასამაღლებლად, მწერალთა დასამუხტავად მხატვრული ლიტერატურის მაღალი მწვერვალების დაპყრობისათვის, ეპოქის შესატყვისი ნაწარმოებების შესაქმნელად.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, ქართველ მწერალთა მუშაობაში მომხდარმა სასიკეთო ცვლილებებმა ნათლად დაგვარწმუნა, რომ 1973 წლის თებერვლის პლენუმი მართლაც გახდა მწერლებისათვის ახალი სტიმულის მიმცემი, შთამაგონებელი.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ქართული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის, თანამედროვე ეტაპზე მხატვრული ლიტერატურის იდეურ-აღმზრდელობითი როლის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დავუთმოთ 1973 წლის აპრილში გამართულ რესპუბლიკური აქტივის კრებას, რომელმაც მრავალ სხვა საკითხთან ერთად დიდი ყურადღება დაუთმო ლიტერატურის საკითხებს და ამით ქართველ მწერლებს ერთხელ კიდევ უჩვენა შემოქმედებითი მუშაობის გზები, რომელსაც დღევანდელობა მოითხოვს. ამ აქტივზე მოხსენება — „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ“ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების მიხედვით“ — გააკეთა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ. რაკი აქტივის კრება სპეციალურად იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს მიეძღვნა, ბუნებრივია, მასზე ლიტერატურასა და ხელოვნებას, მის დღევანდელ მდგომარეობასა და ხვალინდელ პერსპექტივებს უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმო.

ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში ბევრი რამ საყურადღებო ითქვა, ჩვენ აქ მხოლოდ ზოგ მათგანს წარმოვადგენთ.

წარსულ წლებში, როგორც უკვე რამდენჯერმე აღინიშნა, ცალკეულ ადამიანთა ფსიქიკა და მსოფლმხედველობა, მათი რწმენა ჩვენი ნათელი იდეალებისადმი უფრო მეტად დაზარალდა, ვიდრე უკონოშიკა. პარტიულობისა და კლასობრიობის პრინციპებს ზოგჯერ ცვლიდნენ ობივატელური ლოზუნგებით: „შენც ისარგებლე და სხვაც ასარგებლე“. წინა წლებისათვის დამახასიათებელი ამ ნეგატიური ვითარების კრიტიკის შემდეგ მომხსენებელმა მკაფიოდ

გამოკვეთა იდეოლოგიური მუშაობის სადღეისო პრინციპები: იდეურობა, მებრძოლურობა, შეტევითობა, გულმართლობა. ურღვევი კავშირი ცხოვრებასთან, კოლექტივების წინაშე მდგარ კონკრეტულ ამოცანებთან. უამისოდ წარმატება ვერ გვექნებაო, ითქვა მოხსენებაში.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ მოძმე ხალხებთან კავშირის განმტკიცება ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ამ ურთიერთობის მაგალითად დაასახელეს ფაქტი, რომ იმჟამად მხოლოდ მოსკოვის თეატრებში იდგმებოდა რვა ქართული პიესა. ასევე აღიარება პოვეს ქართველ კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა, მწერალთა ქმნილებებმა საბჭოთა კავშირის ხალხებშიც და საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

ქართული მწერლობისა და ხელოვნების სხვა დარგების წარმატებათა აღნიშვნის გვერდით, აქტივის კრებამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები გვქონდა შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეური აღზრდის საქმეში.

საყოველთაოდ ცნობილია მწერლის პირადი ავტორიტეტის მნიშვნელობა, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის მნიშვნელობა. მწერალს ხალხი დიდად აფასებს. ამიტომ მწერალმა უნდა იზრუნოს ამ დაფასების დამსახურებაზე. სამწუხაროდ, ზოგჯერ პასიურობა და განზე გადგომა ზოგ მწერალს ჩრდილს აყენებდა.

აქტივის კრებაზე მოხდენილად ითქვა, რომ „მწერლისათვის მხოლოდ ერთი კარიერა არსებობს, ერთი ყველაზე მაღალი თანამდებობა — ეს არის საკუთარი სახელი და გვარი. ჩვენ ღრმა სიყვარულითა და მადლიერებით ვიგონებთ გალაკტიონ ტაბიძეს. რომელი ადმინისტრაციული თანამდებობა ჯობია ამ სახელსა და გვარს?“[1] ამ საკითხზე ლაპარაკი იმან გამოიწვია, რომ უკანასკნელ წლებში „ზოგიერთმა მწერალმა ხელჩართული ბრძოლა გააჩაღა სწორედ ადმინისტრაციული სავარძლების დასაკავებლად“. მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოს მწერალთა კავშირში მაშინ შეიქმნა სამდივნო 12 კაცის შემადგენლობით, „კარიერომანიის“ მეტად ცხადი მაჩვენებელია. როგორც სავალალო ფაქტები, აქტივის კრებაზე პირდაპირ ითქვა, რომ „ზოგიერთი ლიტერატორი მეტ ყურადღებას უთმობდა საკუთარი ხელით საკუთარი სახელის გამოძერწვას, ვიდრე ნაწარმოებების შექმნას. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მკითხველიც მოგებული დარჩებოდა და მწერალიც“. წლების შემდეგ რომ ვკითხულობთ ამ სიტყვებს, პირდაპირ ვგრძნობთ მათი თქმის აუცილებლობას. შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ დროდადრო ხომ

[1] „კომუნისტი“, 24 აპრილი, 1973 წ.

არ აჯობებდა მათი არა მარტო განმეორება, არამედ მათზე პრაქტიკული რეაგირებაც. აქვე დავსძენთ, რომ 12 კაციანი სამდივნო მწერალთა კავშირში მაშინვე გარდაიქმნა 4 კაციანად, თუმცა მწერალთა ერთ ნაწილში „კარიერომანია“ მერეც ცოცხლობს, ოღონდ სხვადასხვა ფორმით, შენიღბულად ან ფლანგებიდან შემოელის გზებით. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურადღებას ეს საკითხი კვლავაც მიიქცევს.

აქტივის კრებაზე პირდაპირ დამრიგებლურად და შემოქმედებითად გათვალისწინების მიზნით შესანიშნავად ითქვა: „ყოველივე ადამიანური დიდია, ვამბობთ ჩვენ, როცა ახალი პიროვნების პრობლემაზე ვლაპარაკობთ. დიდია მისი შრომაც, სევდაც, სიყვარულიც. ჩვენ ლიტერატურაში გვჭირდება სიცოცხლით სავსე სახეები და არა სქემები და ბუტაფორები. ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი ძვრები მოითხოვს ასახვის ნოვატორულ ფორმებს. ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვეძებდეთ სიახლეს“[1]. ეს სიტყვები ისე ჟღერს, როგორც მწერლისათვის მიცემული განაწესი.

კრიტიკის ჩამორჩენაზე, მისი გამოსვლების უგერგილობაზე და სისუსტეზე, რის გამოც იკლო ქართულ მწერლობაში მოქალაქეობრივმა ჟღერადობამ, ხოლო ზოგიერთმა მწერალმა გადაუხვია თანამედროვეობის დიდ თემებს, ყოველივე ამაზე ლაპარაკი იყო მოხსენებაშიც და მოკამათეთა გამოსვლებშიც. სასიამოვნო ფაქტად აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ კრიტიკის შესახებ მიღებული ცნობილი დადგენილების შემდეგ ქართველმა მწერლებმა მიიღეს სპეციალური ალმანახი „კრიტიკა“. იმედია, ეს საქმეს წინ წასწევსო.

ამ აქტივის კრებაზე ყურადღება შეაჩერეს კინოში მწერლის ადგილის საკითხზე. ითქვა, რომ ახალი ფილმი მწერლის საწერ მაგიდაზე იწყება, თუმცა რეჟისორი ჰეგემონობს. გამოითქვა აზრი, რომ დაიძებნოს ფორმები, რითაც მწერალი კინოში ხალისით მივა, შექმნის ლიტერატურულ სცენარებს, რაც ფილმის საფუძველია. კინოსატოგრაფისტთა და მწერალთა შორის შემოქმედებითი კავშირი უფრო მჭიდრო და ნაყოფიერი უნდა გახდეს, — ითქვა აქტივის კრებაზე.

საქმიანად ილაპარაკეს ლიტერატურული ბეჭდვური ორგანოების „მნათობის“, „ცისკრის“, „ლიტერატურული საქართველოს“ მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზეც. აღინიშნა, რომ მათ ფურცლებზე „სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით უსაგნო, უიდეო, სინამდვილეს მოწყვეტილ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს“.

[1] „კომუნისტი“, 24 აპრილი, 1973 წ.

საინტერესო იყო ისიც, რაც აქტივის კრებაზე ითქვა უარყოფითი ტიპებისა და დადებითი გმირების დახატვის თანაფარდობაზე ჩვენს ლიტერატურაში: „ჩვენს ლიტერატურაში განსაკუთრებით მწვავედ დგას ადამიანის, ჩვენი ნაწარმოების გმირის, ჩვენი თანამედროვის პრობლემა. გაუგებარია, რით იზიდავენ მხატვრული სიტყვის ბევრ ოსტატს — უპირატესად უარყოფითი, ნეიტრალური ტიპები, მათი ფსიქოლოგია? ამავე დროს სუსტად არიან ნაჩვენები ხუთწლედის გმირები, კომუნისტური შრომის დამკვრელები"[1]. ჩვენი ლიტერატურული პრაქტიკისა და თეორიის ეს ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ასე ნათლად და პროფესიულ დონეზე იშვიათად თუ დასმულა პარტიული ორგანიზაციების შეკრებებზე.

ამ აქტივის კრებაზე ისე ბევრი და ისე კარგად ითქვა ლიტერატურის საკითხებზე, რომ ამას თვით მწერალთა ყრილობაც კი ინატრებდა. სასიამოვნო და სასიხარულო ისიცაა, რომ იქვე საგანგებოდ აღინიშნა ლიტერატურაში პარტიის ჩარევის, მისდამი ხელმძღვანელობის მეთოდზეც, რომ მწერლებთან მუშაობაში მისაღებია მხოლოდ დარწმუნება და განმარტება და არავითარ შემთხვევაში ადმინისტრირება! მხოლოდ ამ გზით შეიძლება წარმატების გამრავლება ჩვენს ლიტერატურაში. „ჩვენ ადმინისტრირებისა და თვითნებურ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგი ვართ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ჩვენ მხარს ვუჭერთ დარწმუნებისა და აღზრდის მეთოდს, მაგრამ შემოქმედებითს კოლექტივებში უნდა შეექმნათ პრინციპულობისა და საქმიანობის ატმოსფერო, უფრო გაბედულად გავშალოთ ამხანაგური კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავადიდოთ მომთხოვნელობა შემოქმედებითი მუშაკებისადმი"[2]. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა როგორც მოხსენებას, ასევე მოკამათეთა გამოსვლებსაც.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს კომპარტიის რესპუბლიკური აქტივის ამ კრებამ პირდაპირ სამოქმედო პროგრამა გადაუშალა ქართველ მწერლებს. ჩვენი ღრმა რწმენით, აქ მშვენივრად გამოჩნდა პარტიის სალიტერატურო პოლიტიკა, მისი სწორად გააზრებული მიმართულება და გეზი. ყოველივე ეს დიდად უწყობდა ხელს ქართველი მწერლების მომავალ შემოქმედებითს წარმატებებს.

ქართველ მწერალთა შემოქმედებითს გააქტიურებას, თანამედროვე შრომის გმირებზე ნაწარმოებების შექმნას, მკითხველთა ინტერნაციონალური და მაღალზნეობრივი აღზრდისათვის მათი მოღ-

---

1 „კომუნისტი", 24 აპრილი, 1973 წ.

2 იქვე.

ვაწეობის გაძლიერებას უდავოდ შეუწყო ხელი რიგმა ღონისძიებებმა, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვადინებით, ან მონაწილეობით გატარდა. მათ შორის რამდენიმე უნდა გამოვყოთ.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა 1973 წლის მარტში მოსკოვში ჩატარებული ქართული პოეზიის საღამოები. ეს იყო ქართველ პოეტთა ერთგვარი ანგარიში ქვეყნის დედაქალაქის მსმენელთა წინაშე. ამ მიზნით მოსკოვში ჩავიდა ქართველ პოეტთა დიდი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ გრ. აბაშიძე, ირ. აბაშიძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, კ. კალაძე, მ. მაჭავარიანი, შ. ნიშნიანიძე, ი. ნონეშვილი, ლ. სულაბერიძე, მ. ფოცხიშვილი, ა. შენგელია, ჯ. ჩარკვიანი, ფ. ხალვაში. მათი გამოსვლები გადაიქცა ქართული პოეტური სიტყვის ზეიმად.

კორესპონდენტისათვის მოცემულ ინტერვიუში შეხვედრების წინ გრ. აბაშიძემ თქვა: „ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, მოსკოველებს ჩვენი გულის სიტყვას ვეტყვით, ისინი თავისას გაგვიზიარებენ და ამით ახალ საზრდოს მივაწვდით ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, რომელიც ახალი შარავანდედით შემოსა საბჭოთა ეპოქამ“[1].

ამით ნათელი წარმოდგენა იქმნება შეხვედრების დიდ მიზანზე.

ეს შეხვედრები მოეწყო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, კრემლში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში, ფაბრიკებსა და ქარხნებში. ილაპარაკა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარემ კ. სიმონოვმა. ქართველ პოეტთა რუსული თარგმანებით გამოვიდნენ ნ. ტიხონოვი, ე. ლუკიანინი, პ. ანტოკოლსკი, ა. ცარკოვსკი, ალ. მეჟიროვი, ბელა ახმადულინა, მოსკოველი მსახიობები და, ცხადია, ჩვენი პოეტები.

საინტერესოა ამ შეხვედრების გამო ნათქვამი ნ. ტიხონოვის სიტყვები: „ქართული ლექსი პირველად როდი ჩამოდის მოსკოვში. ჩვენ მრავალჯერ შევხვედრივართ აქ ქართველ პოეტებს, დეკადაზე თუ ლიტერატურის დღეებში, ხშირად მოგვისმენია მათი გამოჩენილი, კოლორიტული პოეტური სიტყვა და ყოველთვის დავმტკბარვართ ამ სიტყვით.

ჩვენ ჰეშმარიტი, გულითადი მეგობრები ვართ და ეს საბჭოთა ეპოქის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი სიკეთეა. ჩვენ გვინდა კვლავაც მეგობრები ვიყოთ და ამიტომაც მხარში ვუდგევართ ერთმანეთს, ამიტომაც სიხარულით და სიამოვნებით ხვდება

---

1 „კომუნისტი“, 21 მარტი, 1973 წ.

მოსკოვი დიდი რუსთაველის ქვეყნის წარმომადგენლებს, ქართულ პოეტურ სიტყვას".[1]

მოსკოვში გამართული ეს პოეტური შეხვედრები მართლაც გადაიქცა ქართული და რუსული მწერლობის, ქართველი და რუსი ხალხების კიდევ უფრო დაახლოებისა და დაძმობილების საშუალებად. ფაქტიურად ეს არის მწერლობასთან პარტიის მუშაობის ერთერთი ისეთი ფორმა, რომელიც მათი ინტერნაციონალური აღზრდისაკენ არის მიმართული.

დევიზით — „ადამიანებს ვასწაელოთ გმირობა" — 1973 წლის 19 აპრილს ბათუმში გაიხსნა მწერალთა სრულიად საკავშირო თათბირი. მან განიხილა მესაზღვრეთა შესახებ მხატვრული ლიტერატურის საკითხები. მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი ი. კოზლოვი. მონაწილეობდნენ ა. სურკოვი, ე. დოლმატოვსკი, ი. პრუტი, ვ. ინფანტიევი, ვ. რუდოვი და სხვ. მოხსენებაში მიმოხილული იყო ქართველი მწერლის ნ. დუმბაძის რომანიც „ნუ გეშინია, დედა", რომელიც მესაზღვრეთა ცხოვრების ამსახველი მშვენიერი მხატვრული დოკუმენტია.

საქართველოში ასეთი თათბირის გახსნა ნიშანდობლივი ფაქტია. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარეშე არ მომხდარა. სხვა რომ არაფერი, ეს იქიდან ჩანს, რომ მან თათბირს მისალმება გაუგზავნა. ეხებოდა რა საბჭოთა მწერლების მიერ განვლილ სახელოვან გზას და მათ წინაშე მდგარი ამოცანების მრავალფეროვნებას მეცხრე ხუთწლედის გეგმათა შესულების პირობებში, აღიარებდა მრავალეროვნული საბჭოთა მწერლების დამსახურებას ქვეყნის წინაშე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მისალმებას თათბირისადმი ასე ამთავრებდა:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წარმატებითს, ნაყოფიერ მუშაობას უსურვებს მწერალთა მეორე სრულიად საკავშირო თათბირს მესაზღვრეთა შესახებ მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მწერლები, კლავაც მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ მგზნებარებას მოახმარენ საბჭოთა ხალხის სამსახურის ინტერესებს, მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებზე, მათს მებრძოლ თანაშემწეებზე — ნებაყოფლობით სახალხო რაზმელებზე"[2].

საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისში ჩატარე-

---

1 „კომუნისტი", 21 მარტი, 1973 წ.

2 „კომუნისტი", 20 აპრილი, 1973 წ.

ბული სრულიად-საკავშირო სემინარი ლიტერატურულ-მხატერული კრიტიკისა და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებზე. რომელიც 1973 წლის დეკემბერში სამ დღეს გრძელდებოდა.

სრულიად საკავშირო სემინარი მეტად წარმომადგენლობითი იყო და მაღალ პოლიტიკურ-მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. ორატორები ერთხმად ლაპარაკობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე „ლიტერატურულ-მხატერული კრიტიკის შესახებ", შის უდიდეს მნიშვნელობაზე კრიტიკის როლის მებრძოლუნარიანობის ამაღლების საქმეში, საზოგადოდ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში. დასახელებულ დადგენილებაში განვითარებულია სკკპ XXIV ყრილობის საპროგრამო დებულებები. „თვითეული ორატორის გამოსვლაში წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება —" ლიტერატურულ-მხატერული კრიტიკის შესახებ" — სახელმძღვანელო დოკუმენტი გახდა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისათვის. ამ დადგენილებამ მთელი სიცხადით დაუსახა ლიტერატორებს საბრძოლო პროგრამა — უპირველეს ყოელისა დროის წინაშე, ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე მწერლის პასუხისმგებლობის შესახებ, იმ პატრიოტული მოწოდების შესახებ, რომ იყვნენ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის აქტიური მონაწილენი".[1]

ამ სემინარმაც, ცხადია, კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქართველ მწერლებზე, რომელთა დიდი ნაწილიც მისი აქტიური მონაწილე ან დამსწრე იყო.

1973 წლის 25 დეკემბერს „კომუნისტმა" გამოაქვეყნა სხვადასხვა დარგში მომუშავე კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებანი 1973 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. აღსანიშნავია, რომ ყველა აქ დასახელებულ კოლექტივთა გვერდით ვალდებულება იკისრეს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმაც. ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, თუ როგორ დარაზმა საქართველოს კომპარტიამ ქართველი მწერლები და აქტიურად ჩააბა ისინი რესპუბლიკის ცხოვრების ფერხულში. ამაზე ნათლად მეტყველებს ამონაწერი, რომელიც აქ მოგვაქვს:

„რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები აღნიშნავენ ხუთწლედის მესამე წელს საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, კომუნისტური

---

1 „კომუნისტი", 7 დეკემბერი, 1973 წ.

საზოგადოების მშენებლობის პათოსის ამსახველი მაღალიდეური ნაწარმოებებით.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები უფრო მჭიდრო კავშირს დაამყარებენ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებთან, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებთან".[1]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გატარებული ენერგიული და შთამბეჭდავი ღონისძიებები მხატვრული ლიტერატურის გასავითარებლად, მწერალთა შემოქმედებითი მოღვაწეობის გასააქტიურებლად სულ მალე ნაყოფს იძლევა თავისი მრავალი გამოვლინებით. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც 1973 წლის 25 დეკემბერს გაიმართა თბილისში. მწერლებთან ერთად პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სახელოვანი მუშათა კლასის ცნობილმა წარმომადგენლებმა. აქ იყვნენ სოციალისტური შრომის გმირი, მებრძმედე არჩილ ძამაშვილი, რუსთავის ქიმიური კომბინატის ოსტატი, საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ ბუაჩიძე, მეფოლადეური გურგენიძე, ფოლადჩამომსხმელი პავლე ხახაშვილი, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი გაჩეჩილაძე, თბილისის წინდის ფაბრიკის „კრწანისის" მოწინავე მუშები და ა. შ.

პლენუმის გახსნისას თავის შესავალ სიტყვაში გრ. აბაშიძემ და მოხსენებაში გ. ნატროშვილმა, მოკამათე მწერლებმა და მუშათა კლასის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ აისახა ქართულ მწერლობაში მუშათა კლასის თემა, რა არის კვლავ გასაკეთებელი ამ მიმართულებით. ეს აისახა სათანადო რეზოლუციაშიც.

ქართველ მწერლებს იდეურ დამუხტვასა და სადღეისო ამოცანების კიდევ უფრო კონკრეტულ გათვალისწინებაში კარგი სამსახური გაუწია პრავდის 1974 წ. 20 თებერვლის მოწინავემ „მწერალი და ხუთწლედი", რომელიც „კომუნისტმა" 22 თებერვალს გამოაქვეყნა. მასში ბევრი კარგი რჩევაა გამოთქმული, კონკრეტული ამოცანებია დაყენებული ჩვენი საბჭოთა მწერლების წინაშე. „პრავდის" მოწინავეში ვკითხულობთ:

„ცხოვრება მოწმობს, რომ მწერალთა კავშირის საზოგადოებრივი აქციები, საწარმოო კოლექტივებთან მათი შემოქმედებითი თანაშეგობრობის განმტკიცება მით უფრო წარმატებით მიმდინარეობს, რაც უფრო მჭიდროა ლიტერატორთა კავშირი ადგილობრივ პარ-

[1] „კომუნისტი", 25 დეკემბერი, 1973 წ.

ტიულ კომიტეტებთან. დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ, რომ შემოქმედებითი ინტელიგენცია იყოს იმ მთავარ პრობლემათა საქმის კურსში, რომელთა გადასაწრელად მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები...

ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა მწერლები, ისევე როგორც წინათ, ხუთწლედის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იქნებიან, შექმნიან ახალ მხატვრულ ღირებულებებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანების სულიერ ცხოვრებას ამდიდრებენ"[1]. მართალია, „პრავდის" მოწინაე სტატიის ეს სიტყვები და მისი მთელი შინაარსი მიმართულია ყველა საბჭოთა ლიტერატორისა და პარტიული ორგანიზაციებისადმი, მაგრამ ისინი ძლიანად და სავსებით ეხება კერძოდ ქართველ მწერლებს, საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციებსაც, როგორც ორგანულ ნაწილს მთელი საბჭოთა მწერლობისა და სკკპ ორგანიზაციებისა. ამიტომაც „კომუნისტის" მიერ მისი გამოქვეყნება სავსებით გამართლებული და სასარგებლო იყო.

1974 წლის აპრილში თბილისი კიდევ ერთხელ გახდა მთელი საბჭოთა ლიტერატურული ცხოვრების ცენტრი. აქ 23 აპრილს დაიწყო და 27-ში მუშაობა დაამთავრა მწერალთა და კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითმა თათბირმა. მისმა მონაწილეებმა იმსჯელეს საბჭოთა ლიტერატურის საპატიო მოვალეობაზე, რომ მწერლების უპირველესი ამოცანაა შექმნან ჩვენი დროის გმირების — კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მკაფიო და დასამახსოვრებელი სახეები, კიდევ უფრო განამტკიცონ ლიტერატურის კავშირი ხალხის ცხოვრებასთან.

თათბირში მონაწილეობდნენ: ა. საფრონოვი, მ. პრილეჟაევი, დ. გრანინი, ვ. ლიპატოვი, ფ. კუზნეცოვი, ლ. ნოვიჩენკო, ა. ადამოვიჩი, მ. იბრაგიმოვი, პ. მიქაელიანი, ა. შაპიროვი, კ. კაიმოვი, გ. პრედე, პ. პრიცუსი, პ. კრუჩენიუკი, ფ. მუხამადიევი, ა. ატაჯანოვი, ვ. გროსი — ყველა საბჭოთა რესპუბლიკისა და დიდი ქალაქების მწერლური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბუნებრივია, რომ ამ თათბირში მონაწილეობდნენ ქართველი მწერლები, თითქმის ყველა ქართველი მწერალი. თათბირის პრეზიდიუმში ვხედავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ ბიუროს, პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მეთაურობით. ქართველ კომუნისტთა ხელმძღვანელი ამ მნიშვნელოვან თათბირზე გამოვიდა ვრცელი სიტყვით.

თათბირის მთავარი საკითხი იყო თანამედროვე მხატვრულ ლი-

[1] „კომუნისტი", 22 თებერვალი, 1974 წ.

ტერატურაში კომუნისტის სახის ხორცშესხმის საკითხი. თავის შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ვ. ოზეროვმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ, სხვა ორატორებმა აღნიშნეს საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავი ტრადიციები კომუნისტთა სახეების ასახვისა, რამაც დიდი აღმზრდელობითი გავლენა მოახდინა მილიონობით საბჭოთა მკითხველებზე. ითქვა, რომ თანამედროვე პირობებში, ეპოქის მოთხოვნილებათა შესატყვისად, საჭიროა ამ ტრადიციის გაგრძელება, ახალი ფორმების ძიება და ხორცშესხმა.

თათბირის მონაწილეები ესტუმრნენ ენგურჰესს, მახარაძეს, ჭუთაისს, რუსთავს, კახეთს. აქ ისინი ეცნობოდნენ მშრომელ ადამიანებს, ლიტერატურის ნაწარმოებთა მომავალ გმირებს, ისინი შეხვდნენ შრომით კოლექტივებს.

საბჭოთა ლიტერატორები ამ თათბირზე დიდი მოწონებით ლაპარაკობდნენ იმ დღეებში კომკავშირის XVII ყრილობაზე ნათქვამი ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებზე, რომ „საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები წარმოადგენენ ჩვენს ფასდაუდებელ სულიერ სიმდიდრეს, ჩვენს სოციალისტურ ეროვნულ სიამაყეს“. ეს სიტყვები სიამაყის გრძნობით ავსებდნენ საბჭოთა მწერლების გულს. ისინი ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ამ თათბირზე ჩვენი შეხვედრებით „სიყვარული და მეგობრობა უფრო მრავალმხრივი გახდა“ და საბჭოთა მწერლების მომავალ შემოქმედებაში იგი კეთილ კვალს დაამჩნევს.

ბევრი სიტყვა და ლექსი წარმოითქვა ამ თათბირზე.

ყველა ორატორმა სხვადასხვა სიტყვებითა და ლექსებით, მაგრამ ერთნაირი სულისკვეთებით ილაპარაკეს საბჭოთა ლიტერატურის დიდ მისიაზე, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის გვერდით მწერლის დგომაზე, მის მხატვრულ გამოსახვაზე, მეგობრობაზე. ხალხთა ძმობის შესახებ შესანიშნავად ითქვა ა. სოფრონოვის პოემიდან აღებული სიტყვებით — მე პატივსა ვცემ ყველა ენას, მაგრამ ყველაზე გასაგებია მეგობრობის ენა!

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, იგი აღსავსეა პარტიისადმი, ხალხისადმი ერთგულების გრძნობებით, მწერლის მაღალი მოვალეობის შეგნების გრძნობებით. „საბჭოთა ლიტერატურას წილად ხვდა კეთილშობილური მისია მხატვრულ ნაწარმოებებში აღბეჭდოს ჩვენი დიდებული დრო, შთააგონოს საბჭოთა ადამიანები უფრო დიდი და სახელოვანი აღმშენებლობითი საქმეებისათვის...

პირობას ვაძლევთ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომი-

ტეტს, რომ ძალღონეს არ დაეშურებათ, რათა შეექმნათ კომუნიზმის მშენებელთა მკაფიო, შთაგონებული სახეები, უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინათ ლიტერატურა ხალხის ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. საბჭოთა მწერლებს მთელს მათს მუშაობაში ყოველთვის აღაფრთოვანებენ კომუნიზმის იდეები, ლენინის შესანიშნავი სიტყვები: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“. ეს მისალმება გაისმა ფიცივით, რომელიც საბჭოთა მწერლებმა დადეს პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე.

თბილისში ჩატარებულმა ამ თათბირმა, რომელზეც, როგორც ზემოთ ითქვა, ერცელი და ღრმად გააზრებული სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმაც, ერთხელ კიდევ დაადასტურა დიდი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკისა და მხარის, მისი ყველა კუთხის მწერალთა დარაზმულობა პარტიისა და კომუნიზმის საქმის გარშემო. თქმა არ უნდა, რომ თბილისიდან მათ თან წაიღეს არა მარტო საქართველოსა და მისი ხალხისადმი სიყვარული და პატივისცემის გრძნობა, არამედ ახალი შემოქმედებითი აღფრთოვანებაც, კიდევ უფრო უკეთესად მუშაობის განწყობილება და სურვილი. ასეთივე განწყობილება დაეუფლა თათბირის მონაწილე ქართველ მწერლებსაც.

როგორც დავინახეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მრავალმხრივსა და ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ჩვენი ლიტერატურის აღმზრდელობითი როლის ასამაღლებლად. ჩვენ აქ განვიხილეთ პლენუმებზე, აქტივის კრებებზე, თათბირებზე, სხვადასხვა შეხვედრებზე თუ ლიტერატურული ფორუმებისადმი გაგზავნილ მისალმებებში გამოთქმული თანმიმდევრული და პრინციპული ხაზი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ცხადზე უცხადესია, რომ ქართველ კომუნისტთა შტაბი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით აურაცხელ საქმეს აკეთებდა ჩვენი მწერლების ენერგიისა და ტალანტის სწორი წარმართვისათვის, რესპუბლიკის წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანების გადასაწყვეტად მკითხველთა მასების დასარაზმავად, მათი ძალების მობილიზაციისათვის ახალი, მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებების შესაქმნელად. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დიდი ორგანიზაციული და პრაქტიკული მუშაობის სრულად შეფასება შეუძლებელია, ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთს შევეხებით.

პარტია მწერალთა შემოქმედებითი ენერგიის სწორად წარმართვისათვის იყენებდა პარტიულ პრესასაც. ეს მკაფიოდ ჩანს თუნდაც „კომუნისტის“ მაგალითითაც. ზოგი რამ ამ გაზეთის მოღვაწეობიდან ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ზოგსაც ახლა შევეხებით.

გარდა იმისა, რომ გაზეთი პარტიული პლენუმებისა თუ აქტივის

კრებების, თათბირებისა და შეხვედრების ანგარიშებს აქვეყნებდა ლიტერატურის საკითხებზე, იგი სპეციალურადაც მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ლიტერატურული საკითხების გაშუქებას, კერძოდ, იმ კუთხითა და თემატიკით, როგორსაც საქართველოს კომპარტია მოითხოვდა თანამედროვე ეტაპზე. ასეთ მასალათა შორის შეიძლება დავასახელოთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ორი წერილი გიორგი ნატროშვილისა, რომელიც ეპოქის აქტუალურ საკითხებს განიხილავს. ერთი მათგანია „კოღო მზეს ვერ დაჩრდილავს“ (29 სექტემბერი, 1973 წელი). მისი ავტორი ამხილებს ანტისაბჭოელებს, რომლებიც რადიოსადგურ „თავისუფლების“ მიკროფონთან გაშოდიან და ღვარძლიანად ესხმიან თავს საბჭოთა საქართველოს. მეორე წერილში „ყველაზე დიდი თემა“ („კომუნისტი“, 21 აპრილი, 1974 წ.) მწერალს საბჭოთა ლიტერატურის მთავარ თემად მიაჩნია მშრომელი ხალხის გმირული შრომის ასახვა. ავტორს მოაქვს მრავალი მაგალითი „მნათობიდან“, „ცისკრიდან“, „ლიტერატურული საქართველოდან“, გამომცემლობების მუშაობიდან და ასაბუთებს, რომ შრომის ადამიანების ასახვას მათ დიდი ადგილი დაუთმეს.

„კომუნისტში“ გამოქვეყნებული მასალებიდან ყურადღებას იქცევს კრიტიკოს გურამ ასათიანის დიდი წერილი — „უკეთეს დროთათვის“ (6 აპრილი, 1974 წ). წერილში ლაპარაკია რესპუბლიკაში მომხდარ ცვლილებებზე. იგი მიესალმება ამ გარდაქმნებს, მერე ანალიზს უკეთებს, თუ რამ წარმოშვა წინა წლების ნაკლოვანებები და შეცდომები. ავტორი შემდეგ წერს: „განსაკუთრებით იზრდება მწერლის პასუხისმგებლობა, როცა დრო ახალ კითხვებს სვამს, ახალი აზრები, ახალი იდეები შემოაქვს ადამიანთა შეგნებაში. საზოგადოების ახალ ზრახვებს დროის მომთხოვნელობა განსაზღვრავს. მაგრამ იდეა თავისთავად არ ვითარდება. ის ფხიზელ მეურვეობას და თბილ ხელებს მოითხოვს“... შემდეგ ავტორი კარგად ლაპარაკობს იმ პასუხისმგებლობაზე, რაც ქართველ საბჭოთა მწერლებს ეპოქის წინაშე ეკისრებათ: „დროა ქართველი ინტელიგენციის თვითეულმა წარმომადგენელმა იგრძნოს, რომ ჩვენს სოციალურ სინამდვილეში, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ჩვენ ნამდვილად „ჩვენივე თავს ვეყუდნოდეთ“ და პასუხიც — ყველაფრის გამო, რასაც ჩვენი ხელი შეეხო, ან რის წინაშეც გულხელდაკრეფილნი გავირინდეთ, ადრე თუ გვიან ჩვენვე მოგვეკითხება“. ეს არის მწერლის აქტიური პოზიციის, საზოგადოების წინაშე მისი პასუხისმგებლობის გრძნობის ნათელი გამოხატულება.

სამწუხაროდ, „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა ერთმა წერილმა, რომელიც ლიტერატურის საკითხებს ეხებოდა, მწერალთა დიდ ნაწილში მაშინვე უკმაყოფილება გამოიწვია, ამაზე მწერალთა სასა-

ხლეში გამართულ ერთ კრებაზეც მწვავე ლაპარაკი გაიმართა. მხედველობაში გვაქვს ცნობილი კრიტიკოსის ბესო ჟღენტის ერთი წერილი („ლიტერატურული წუნისა და უხამსობის იშვიათი ნიმუში“ (1 აპრილი, 1973 წ), რომელიც სათაურითაც და მსჯელობითაც, საოცრად მკაცრი კვალიფიკაციებითაც ძალიან ახლოს იდგა ოციანი წლების ვულგარული-სოციოლოგიის მეთოდით აღჭურვილი ზოგიერთი კრიტიკოსის წერილებთან, რომლებმაც ჩვენი მწერლობის განვითარებას მხოლოდ ზიანი მოუტანეს. დასახელებული წერილი ანაქრონიზმად იქნა მიჩნეული. სხვაგვარად ვერ ვიტყვით თუნდაც ამ წერილის ერთი ადგილის გამო. საქმე ეხება ახალგაზრდა პროზაიკოსის ჯუმბერ ტიკარიძის მოთხრობის („ბერბიჭა“) იმ ეპიზოდს, სადაც ქართველი კაცი სხვა ერის ქალს ზინას შინ წაიყვანს დროს გასატარებლად. ეს ინტიმური დამოკიდებულება ამ კაცსა და ქალს შორის კრიტიკოსმა პოლიტიკურ შეცდომად მიიჩნია! კრიტიკოსი მთელი სერიოზულობითა და სიმკაცრით წერდა: „ზინას დახასიათებისას და მისი ცხოვრების ისტორიის თხრობისას ავტორი ისეთ პოლიტიკურ უტაქტობას და მოუფიქრებლობას იჩენს, ისეთ უხეშ, შეუწყნარებელ შეცდომას უშვებს, რომელსაც ადგილი არ უნდა დასთმობოდა საბჭოთა პრესის ფურცლებზე.“ ჯ. ტიკარიძის მოთხრობას სხვა ნაკლი მართლაც გააჩნია და ამაზე ლაპარაკი სასარგებლოც იყო, მაგრამ კაცის და ქალის ინტიმური შეხვედრა, ისიც უშედეგოდ დამთავრებული, რანაირად შეიძლება კაცს პოლიტიკურ შეცდომად ჩაუთვალო? ასეთი წერილები ვერც მწერალსა და ვერც მკითხველს სარგებლობას ვერ მოუტანს.

საბედნიეროდ, „კომუნისტში“ ასეთი სახის წერილი მხოლოდ გამონაკლისია. გაზეთი ისე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ლიტერატურული პროცესის სწორად წარმართვისათვის, რომ ეს ერთი გამონაკლისიც კი უყურადღებოდ ვერ დავტოვეთ, რადგან საქმისათვის ასე აჯობებს.

საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე გაზეთი „კომუნისტი“ ხშირად ახდენდა ცენტრალური პრესის ორგანოებიდან მნიშვნელოვანი მასალების გადმობეჭდვას. ამით ქართველ მკითხველს არა მარტო აყენებდა მნიშვნელოვანი ამბების საქმის კურსში, არამედ მას ეხმარებოდა კიდეც გარკვეულიყო რთულ მოვლენებში. ასეთი მასალების ნიმუშად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ „პრავდისა“ და „იზვესტიის“ მასალების გადმობეჭდვა. მაგალითად, 1974 წლის 15 იანვარს „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა 14 იანვრის „პრავდის“ ერთი სტატია — ი. სოლოვიევის წერილი „ღალატის გზა“, რომელშიც განხილულია ა. სოლჟენიცინის ანტისაბჭოური „მოღვაწეობის“ ფაქტები, მისი ნაწერების მტრული პოზიციის სიავე. ეს წერილი აგე-

ბულია ფაქტებზე, მათს ობიექტურ ანალიზზე და ამდენად მკითხველზე დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ახდენს, მას არწმუნებს ამ კალმოსნის პოზიციის შიუღებლობაში, მავნეობაში. აღსანიშნავია, რომ 17 აპრილის ნომერში „კომუნისტი“ ბეჭდავს მრავალ გამოხმაურებას უცხოური პრესიდან. „კომუნისტმა“ 22 აპრილის ნომერში კვლავ გამოაქვეყნა უცხოური პრესის ორგანოთა გამოხმაურებანი „პრავდის“ სტატიაზე:“ „ღალატის გზა“. პრესის ორგანოები მრავალ ქვეყანაში მხარს უჭერენ „პრავდის“ ამ სტატიას.

ანალოგიურია „კომუნისტში“ 1974 წ. 30 იანვარს გამოქვეყნებული სტატია „როგორ შეასხა ხოტბა ა. სოლჟენიცინმა ვლასოველთა ღალატს“, რომლის ავტორიცაა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გენერალ-ლეიტენანტი პ. ჟილინი. მისი ეს სტატია 29 იანვარს დაიბეჭდა „იზვესტიაში“. ამ სტატიაში ფაქტებით დამტკიცებულია გენერალ ვლასოვის ღალატი ლენინგრადის ფრონტზე 1942 წლის ივლისში. ამ ღალატის წყალობით ის ტყვედ ჩაბარდა ჰიტლერელებს და შემდეგ მათი დამქაში გახდა, მტერს ეხმარებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ა. სოლჟენიცინი ვლასოვს ხოტბას ასხამს სწორედ იმისათვის, რომ ამ გენერალს სძულდა საბჭოთა კავშირი. სტატიის ავტორი ავითარებს აზრს, რომ ა. სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგი“ ყველაზე ცინიკური ნაწარმოებია, რომელიც კი სოლჟენიცინს დაუწერია. რეაქციული პრესა ცდილობს ეს ნაწერი წარმოადგინოს „ლიტერატურულ ბომბად“, ყველაზე „სენსაციურ ნაწარმოებად საბჭოთა კავშირის შესახებ“. გასაგებია, თუ რატომ ადიდებენ ასეთ ნაწერებსა და მათ ავტორს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ღვარძლით შეპყრობილი ძალები. სამაგიეროდ ჩვენს ქვეყანაში ა. სოლჟენიცინმა დაიმსახურა ყველა პატიოსანი ადამიანის ზიზღი. „სწორედ ამ ზიზღის არქიპელაგზე ცხოვრობს ამჟამად ა. სოლჟენიცინი“ — ასე ამთავრებს სტატიას ავტორი.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმაზე, რომ „კომუნისტის“, მიერ „პრავდიდან“ და „იზვესტიიდან“ გადმობეჭდილი ეს სტატიები იდეურად აწრთობს და აიარაღებს მწერლებსაც და მკითხველებსაც. ამიტომ გაზეთის ეს პრაქტიკა მხოლოდ სასარგებლო და მოსაწონი იყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც პარტიის ხაზის გამტარებელია ცხოვრების ყველა დარგსა და სფეროში, ლიტერატურული ცხოვრების გაშუქების თვალსაზრისითაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პარტიის მიერ მწერალთა დაფასებას დიდი შედეგი მოაქვს თითოეული მწერლის განწყობილებისა

და სასურველი სულისკვეთების გამომუშავებაში. ეს კი უშუალოდ განსაზღვრავს მისი შემოქმედების ხასიათს, მიმართულებას, სამწერლო პოზიციასა და შემოქმედებითს თემატიკასაც კი. დაფასების ერთ-ერთი ფორმაა იუბილეები. ჩვენი მიმოხილვის პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თანხმობითა და ხელშეწყობით რესპუბლიკაში ჩატარდა რამდენიმე მწერლის იუბილე. კ. გამსახურდიასა და კ. მარჯანიშვილის იუბილეებზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მათ გარდა გაიმართა ა. მირცხულავას, ს. ჩიქოვანის, ელ. მაიაკოვსკის, გალაკტიონის იუბილეები, რომლებთაგან ბოლო ორი გადაიქცა ლიტერატურულ და სახალხო ზეიმებად.

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ელ. მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავი საქართველოში მასშტაბურად აღინიშნა. იგი გადაიქცა რევოლუციური პოეზიის დღეებად. ბევრი შესანიშნავი ღონისძიება ჩატარდა ამ თარიღის აღსანიშნავად. ქართულმა პრესამ — ყველა გაზეთმა და ჟურნალმა მას ბევრი მასალა მიუძღვნა. ამ დღეებში ერთხელ კიდევ ხმამაღლა გაისმა მისი პოეტური სტრიქონები:

„კლასის გონება,
კლასის საქმე,
რაც გვინატრია,
კლასის დიდება,
კლასის ძალა —
ეი, პარტია".

1973 წლის 8 ივლისს „კომუნისტმა" თითქმის მთელი მესამე გვერდი დაუთმო მაიაკოვსკის საიუბილეო მასალებს, ასევე იყო 12 ივლისს, 13 ივლისს, 14 ივლისს. ამ მასალებში არის მოგონებები მაიაკოვსკიზე, მისი ლექსების თარგმანები, ილუსტრაციები, მისდამი მიძღვნილი ლექსები და წერილები, საიუბილეო საღამოს ანგარიში. ხოლო 15 ივლისს გაზეთი კომუნისტი აქვეყნებს დაბა მაიაკოვსკიში პოეტის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგის ანგარიშს დიდი ილუსტრაციითურთ. ერთი სიტყვით, საქართველოში რევოლუციის მგზნებარე პოეტის დღეები მასშტაბურად ჩატარდა და პრესამაც იგი უხვად გააშუქა. ყოველივე ეს უსათუოდ უნდა განვიხილოთ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მშვენიერი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა დიდი პოეტის მაგალითზე ხელი შეუწყოს ჩვენს დღევანდელ ლიტერატურაში საუკეთესო ტრადიციების განმტკიცებას, კერძოდ, რევოლუციური ტრადიციების განმტკიცებას. ეს კი, თავის მხრივ, მასების მობილიზებასა და მისი შეგნების ამაღლებას იწვევს.

1973 წლის შემოდგომაზე დიდი მასშტაბით აღინიშნა გენიალუ-

რი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის იუბილე. ჩატარდა უამრავი ღონისძიება ამ იუბილეს აღსანიშნავად. პრესაში გამოქვეყნდა პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ბევრი მასალა — წერილები, გამოკვლევები, ილუსტრაციები. საიუბილეო საღამოები ჩატარდა რესპუბლიკური მასშტაბითაც, დიდ დაწესებულებებში (მაგალითად, უნივერსიტეტში). საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, პოეტის მშობლიურ სოფ. ჭყვიშში, სადაც გაიხსნა აგრეთვე ახალი მემორიალური სახლ-მუზეუმი მდიდარი ექსპოზიციებით, დარბაზებით, საუკეთესო არქიტექტურული ნაგებობებით, რომელიც რიონის ნაპირს ამშვენებს. თბილისში საფუძველი ჩაეყარა პოეტის ძეგლს. მოსკოვში გაიმართა გალაკტიონისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მიმდინარეობდა. 1973 წლის ოქტომბრიდან დაწყებული, მთელ ნოემბერი და შემდეგაც ქართული ლიტერატურული პრესის ფურცლებიდან, აგრეთვე პარტიული პრესის ფურცლებიდანაც, განსაკუთრებით „კომუნისტის" გვერდებიდან მუდამ შეიძლებოდა წაგვეკითხა გალაკტიონზე — XX საუკუნის ამ უდიდეს ქართველ პოეტზე. მისი სიტყვები „პოეზია უპირველეს ყოვლისა" და მრავალი სხვა საუკეთესო სტრიქონი ათასობით მკითხველს დიდ სიამოვნებას გვრიდა.

გალაკტიონ ტაბიძის ასეთი სავსებით დამსახურებული დაფასება, მისი საიუბილეო დღეების სახალხო ზეიმად გადაქცევა, ერთი მხრივ, ნათელი გამოხატულებაა პოეტისადმი საყოველთაო სიყვარულისა, მეორე მხრივ, პარტიის ზრუნვისა ჰეშმარიტად მაღალი მწერლობის განვითარებისათვის. გალაკტიონის შემოქმედებამ ახალი ეპოქა შექმნა ქართული პოეზიის ისტორიაში, მან ბევრ მომდევნო თაობას გაუშუქა გზა პოეტური მწვერვალების დასალაშქრად. ხოლო ამ იუბილემ ეს პროცესი კიდევ უფრო გააინტენსიურა.

ცხადია, რომ იუბილეებით არ შეიძლება ამოიწურებოდეს სალიტერატურო ფრონტის გაძღოლა, იგი მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა იმ მუშაობისა, რომელსაც პარტია ეწევა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სალიტერატურო უბანზე მოღვაწეობის ერთ-ერთი პრაქტიკულ-ორგანიზაციული ფორმა იყო მწერალთა კავშირთან, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან და გამომცემლობათა დირექციებთან ერთად ქართველი მწერლების ხანგრძლივი მივლინებები დიდ ქარხნებსა და მშენებლობებზე, კახეთის მევენახეებთან და დასავლეთ საქართველოს მეჩაიეებთან, მწყემსებთან ნოღაიზე და ა. შ. ამას დაემატა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანალოგიური ღონისძიებანი

ახალგაზრდა მწერლების მივლინებით რესპუბლიკის შიგნითაც და შორეულ ბამზეც. საყურადღებოა, რომ ეს არ იყო მწერლის ორიოდე დღით ჩასვლა მშრომელებთან, შრომითს კოლექტივებთან, რაც მხოლოდ ზერელე აღქმის საშუალებას თუ იძლეოდა. ახლა განხორციელდა ხანგრძლივი მივლინებები, როცა მწერალი თავისი ნაწარმოების გმირებთან ნახევარი წლით, მთელი წლით და უფრო მეტი ხნითაც რჩებოდა, აკვირდებოდა მათ ყოფას, გარჯას, იჭრებოდა ცხოვრების სიღრმეში და ამით უკეთესად, სისხლსავსედ ხატავდა შრომის ადამიანებს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ სამივლინებო ხარჯებს, თუმც ისინი მნიშვნელოვანი იყო, არ მოერიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ყოველივე ამან სასურველი შედეგი მოიტანა.

როცა ამ შედეგებზე ვლაპარაკობთ, ხოლო ყველა ღონისძიების ღირებულება მხოლოდ შედეგით შეიძლება შეფასდეს, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ქართველ მწერალთა ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ხუთწლედის გმირების ცხოვრებას ასახავენ. რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე გაჩენილი და გამომცემლობებში გადანაცვლებული რუბრიკა — „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“ — სწორედ ამ ღონისძიებათა მთავარი შედეგია.

ახლა სწორედ ამ რუბრიკაზე და მის ლიტერატურულ ნაწარმოებებზე გვინდა შევჩერდეთ. იგი „კომუნისტმა“ წამოიწყო და აქედან გადაინაცვლა „ლიტერატურულ საქართველოში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „ცისკარში“, „მნათობში“ და სხვაგანაც.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ რუბრიკა -— „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“ — პირველად „კომუნისტში“ გამოჩნდა 1973 წლის 11 თებერვალს. აქ გამოქვეყნდა კარლო კალაძისა და მორის ფოცხიშვილის ლექსები, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამის შემდეგ წლების მანძილზე იგი გაზეთის გვერდებიდან არ გამქრალა. ეს არის პარტიის მოწოდებაზე ქართველ მწერალთა საქმიანი პასუხი. ამ რუბრიკის ქვეშ 1973, 1974 და 1975 წლებში ჩვენს პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ხუტა ბერულავას, აკაკი გეწაძის, შურმან ლებანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, თინა დონჭაშვილის, ლადო ავალიანის, რევაზ მარგიანის, ალექსანდრე ბეგაშვილის, ევგენი ბართაიას, ოთარ მამფორიას, თემურ ჩალაბაშვილის, გრიგოლ აბაშიძის, რევაზ ამაშუკელის, მერაბ ელიოზიშვილის, გიორგი ნატროშვილის, ფრიდონ ხალვაშის, იოსებ ნონეშვილის, ირაკლი აბაშიძის, ლავრენტი ჭიჭინაძის, ნოდარ გურეშიძის, და სხვა მწერალთა ნაწარმოებები. ეს არასრული სიაც კი, რომელიც მათი ნაწერების გამოქვეყნების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგეთ, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა აქტიურად ჩადგნენ ქარ-

თველი მწერლები ცხოვრების, თანამედროვეობის ფერხულში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამათგან ზოგი მწერალი პრესის ფურცლებზე ორჯერ ან მეტჯერ გამოვიდა და უმღერა ჩვენს თანამედროვეობას, ასახა შრომის გმირების სახეები, გამოსახა ხალხთა ძმობის დიადი იდეა და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დამახასიათებელი თვისებები, მაშინ სურათი უფრო შეივსება.

მაგალითად, გრიგოლ აბაშიძემ „კომუნისტის“ 1973 წლის 10 ივნისის ნომერში გამოაქვეყნა ლექსი „ჰიმნი სამშობლოს“, რომელშიც ვკითხულობთ:

„რაც დაიმკვიდრე ეს მთა და ბარი,
რაც ქვეყნად ახსოვთ შენი გაჩენა,
არ შეგშრობია ჯერ ოფლის ღვარი,
არ მოგქანცვია გარჯით მარჯვენა...
მაშ შთაგონება ახლის შენებას,
ადიდე შრომა ალალმართალი,
ქველზე ლამაზი შეჰქმენ მშვენება,
წიგნიც — რუსთველის წიგნის ბადალი...“

ეს განწყობილება ლაიტმოტივად გასდევს ანალოგიურ ნაწარმოებებს.

განსახილველ პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებანი თანამედროვე ეტაპზე ქართული მხატვრული ლიტერატურის იდეურ-აღმზრდელობითი როლის ასამაღლებლად მართლაც შედეგის მომტანი გამოდგა. ამას ადასტურებს არა მარტო ზემოთ ნათქვამი, რომ ქართველი მწერლები დადგნენ ხუთწლედის გმირთა მხარდამხარ და მათზე შექმნეს შრომის პათოსით აღსავსე ნაწარმოებები, არამედ იგი სხვა შედეგითაც დაგვირგვინდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართველი მწერლების მთელი რიგი ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ჩვენი ლიტერატურის განვითარებაზე. ამათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ოთარ ჭილაძის განსაკუთრებული ღირებულების რომანი, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, რომელშიც ზნეობრივი, ისტორიული, სოციალური და ეროვნული პრობლემები ორგანულად შედუღაბებია ერთმანეთს და მიუხედავად მრავალპლასტიანობისა, ერთ მთლიან, მონოლითურ ნაწარმოებად გვეელინება, ნაწარმოებად, რომელიც ამდიდრებს და აკეთილშობილებს მკითხველის გონებასაც და სულსაც. ეს რომანი არა მარტო აზრობრივი სიღრმეებით იქცევს ჩვენს ყურადღებას, არამედ ფორმის ნოვატორობითაც, ქართული ენის შესაძლებლობათა ასე ბრწყინვალე გამომზეურებითაც, პერსონაჟთა ფსიქიკაში ღრმად წვდომის ნიჭითაც და საერთოდ მაღალი რანგის მწერლისათვის მიმადლებული ტალანტითაც.

დრო გავა და ოთარ ჭილაძის ამ რომანზე თაობები ირკვევიან, ისინი კეთილი შურით შეხედავენ ჩვენს თანამედროვეობას, როცა ეს ბრწყინვალე ნაწარმოები შეიქმნა.

ჩვენი ნაშრომის განხილვისათვის აღებული დროის მონაკვეთში ქართული ლიტერატურა გამდიდრდა რეჟაზ ინანიშვილის მოთხრობებით, მისი ახალი წიგნებით. ეს არის ეპოქის დამამშვენებელი ნაწარმოებები, ძალზე ადამიანური, ძალზე თბილი და საყვარელი ნაწარმოებები, რომელთა ფაქიზი სულისკვეთება და ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულის პოზიცია, მწერლიდან რომ მომდინარეობს, მკითხველთა სულსაც აფაქიზებს, ამაღლებს და კაცთმოყვარეობისაკენ უბიძგებს. ჰეშმარიტი მწერლობის მისია აქ უმაღლესად არის განხორციელებული.

ამავე პერიოდში შეიქმნა ნოდარ დუმბაძის მზიანი ნაწარმოებები, ჰუმანურნი, საყვარელნი და მკითხველთა მიერ საყოველთაოდ აღიარებულნი. ამ მწერლის მოთხრობებისა და რომანების ბინადარნი, ახალგაზრდები თუ ხანდაზმულები, ძხოლოდ ერთ რამეს გვასწავლიან, ერთ მთავარ გრძნობას გვიღვივებენ — ვიყოთ პატიოსანნი, გვიყვარდეს ერთმანეთი, გულის სითბო უხვად გავუზიაროთ ერთმანეთს.

ჩვენ მიერ განხილულ პერიოდს ამშვენებს გრ. აბაშიძის, ირ. აბაშიძის, ჯ. ჩარკვიანის, შ. ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის, მ. ლებანიძის, მ. მაჭავარიანის, რ. ჯაფარიძის, მ. კახიძის, მ. ფოცხიშვილის, ტ. ჭანტურიას, ვ. ჯავახაძის, გ. გეგეჭკორისა და მრავალი სხვა ქართველი მწერლის ახალი ნაწარმოებები. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა მოსავლის სიუხვითაც და ღირსებებითაც თამამად გაუწევს მეტოქეობას ბევრ სხვა ადრინდელ ეპოქას. ჩვენ გვესმის, რომ რუსთაველი და ბარათაშვილი, ილია, აკაკი და ვაჟა, გალაკტიონი და გოგლა, მ. ჯავახიშვილი და კ. გამსახურდია ქართული მწერლობის მთაგრეხილების სხვადასხვა მწვერვალები არიან. მაგრამ გამონაკლისების მიხედვით ძნელია კანონზომიერების დადგენა და დასკვნების გამოტანა. ამიტომ თუ ჩვეულებრივი და თანაც საკმაოდ მომთხოვნი საზომით მივუდგებით, განსახილველი პერიოდის ქართული ლიტერატურა მკაცრ გამოცდას ადვილად გაუძლებს. ამას რომ ვამბობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ლიტერატურა აღებულ პერიოდში როგორ გამოიყურებოდა, რა სიმაღლეებს იღებდა. სწორედ ამისი გათვალისწინებითაც, უფრო სწორად, ამ ფონზეც, ჩვენი ეროვნული მწერლობით თამამად შეგვიძლია თავის მოწონება.

ეს წარმატებები შემთხვევით არ მოსულა, იგი დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობის შედეგია. საამისოდ კი ქართველ მწერლებს

არა მარტო მხარში ედგა, არამედ გზას უნათებდა, ყოველმხრივ ეხმარებოდა და ახალისებდა, სასურველ პირობებს უქმნიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ბიურო, ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებიც ასე დიდ დროს, ყურადღებას და ენერგიას ხარჯავენ ქართული ლიტერატურის გასავითარებლად, მზრუნველობას არ აკლებენ ქართველ მწერლებს.

1975 წლის ბოლოდან მთელი ქვეყანა, პარტია და მწერლობაც პარტიის XXV ყრილობის შესახვედრად ემზადებოდა, ყრილობისა, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის მთელი მომავალი, მათ შორის ლიტერატურის მომავალი ამოცანები.

პარტიის ზრუნვა ახალგაზრდა შემოქმედზე

ახალგაზრდობაზე ზრუნვა ჩვენი პარტიის მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იყო ყოველთვის. ეს ვლინდებოდა და ვლინდება სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება ეს პროცესი, რადგან პარტია ახალგაზრდობაში ხედავს ქვეყნის ხვალინდელ დღეს, დღევანდელი თაობის იდეალებისა და განზრახულობათა განხორციელების რეალურ ძალას. საყოველთაო განათლება, მრავალი უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის მეშვეობით სპეციალისტთა არნახული მასშტაბებით მომზადება, კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელი, სპორტული ბაზები და აურაცხელი სხვა საშუალება — ყველაფერი ეს ჩვენი ახალგაზრდობის განკარგულებაშია, მისი ჰარმონიული განვითარების სამსახურშია.

პარტია და სახელმწიფო ზრუნავს არა მარტო მუშათა კლასის ახალი შევსების აღზრდაზე ან სოფლის მეურნეობაში საჭირო მექანიზატორების მომზადებაზე, არამედ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებაზე, რათა ჩვენი საზოგადოების განვითარების ტემპისა და პერსპექტივის გათვალისწინებით ქვეყნის ცხოვრების ყველა უბანი უზრუნველყოთ საჭირო კადრით, რაც უძვირფასეს კაპიტალად არის აღიარებული ჩვენს ქვეყანაში.

სახალხო მეურნეობისათვის საჭირო კადრებისა და ცვლის მომზადების პარალელურად პარტიასა და სახელმწიფოს მხედველობის არედან არასოდეს გამოუშვია საზოგადოების სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგისათვის საჭირო ახალგაზრდა კადრების მომზადებაც. ამისი დასტურია ჩვენს ქვეყანაში არსებული სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ მომავალ მხატვრებს, მსახიობებს, მუსიკოსებს და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა სპეციალისტებს. მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული სასწავლებლები, სამხატვრო სასწავლებლები, კონსერვატორიები, თეატრალური ინსტიტუტები, სამხატვრო აკადემიები, კინოინსტიტუტი და სხვადასხვა სახის სტუდიები — ყველაფერი ეს ემსახურება ხელოვნების მომავალ მოღვაწეთა აღზრდას. არსებობს ლიტერატორთა მომზადების სხვადასხვა ფორმაც.

ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელმა ეტაპმა მოითხოვა ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდის მდგომარეობით ახალი დაინტერესება, რათა ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად ხორციელდებოდეს ეს დიდი სპეციფიური საქმე. ამით იყო გამოწვეული, რომ პარტიის XXV ყრილობამ საგანგებოდ აღნიშნა ახალგაზრდა შემოქმედთა შესახებ: „ამაღლდა საბჭოთა ხელოვანი ინტელიგენციის, მათ შორის ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტიურობა. ახალგაზრდა ლიტერატორებმა, კომპოზიტორებმა, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის მუშაკებმა უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნეს ნაწარმოებები, რომლებმაც საზოგადოებრივი აღიარება დაიმსახურეს". ამ მაღალი შეფასების პარალელურად ითქვა ისიც, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობა.

პარტიის XXV ყრილობის სულისკვეთებით და მისი დებულებების კონკრეტული და საქმიანი განხორციელების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1976 წლის ოქტომბერში მიიღო დადგენილება: „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ"[1], რაც ახალი გამოვლინებაა იმ ზრუნვისა, რომელსაც პარტია იჩენს ახალგაზრდობის მიმართ. ეს დადგენილება საეტაპო მნიშვნელობისაა. იგი სახავს ახალ გზებს და ქმნის საუკეთესო პირობებს ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის ნიჭისა და უნარის ასაყვავებლად.

დადგენილებაში აღინიშნა, რომ თუმც პარტიულ ორგანიზაციებს, კომკავშირს, შემოქმედებით კავშირებს, კულტურის ორგანოებს ჩვენში დიდი გამოცდილება დაუგროვდათ შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობისა, მაგრამ სადღეისოდ ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურისა და ხელოვნების როლის ამაღლება, XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვენ, რომ პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ შემოქმედებითი ახალგაზრდობის პროფესიულ და იდეურ აღზრდას.

1976 წლის ოქტომბრის ამ დადგენილებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ „ახალგაზრდა ლიტერატორებთან, კინემატოგრაფისტებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, მსახიობებთან მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ზოგიერთ სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებსა და სასწავლებელში არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რომ გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აქტიურად ჩამოუყალიბონ სტუდენტებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, საფუძვლიანად დააუფლონ ისინი პროფესიულ ოსტატობას, აათვისებინონ საბჭოთა და

[1] „კომუნისტი", 21 ოქტომბერი, 1976 წ.

მსოფლიო კულტურის გამოცდილება". პარტიის ცენტრალური კომიტეტს სასურველად მიაჩნია საქმის ისე გარდაქმნა, რომ გაუმჯობესდეს მასწავლებელთა შემადგენლობა, მოიწვიონ ისეთი სპეციალისტები, ვისაც უნარი შესწევთ ახალგაზრდების დაოსტატების, მათი იდეური გამოწრთობის და მაღალი ზნეობრივი თვისებებით შემკობის.

დადგენილება შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ პარტიული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველთვის ჯეროვნად არ ითვალისწინებენ სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამხატვრო სასწავლებლებში სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის სპეციფიკას. იქვე აღნიშნულია, რომ ზოგჯერ ამ სასწავლებელთა მატერიალური ბაზის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის და საჭიროა მათი გაუმჯობესება.

შემოქმედებითი კავშირები და შესაბამისი ორგანოები საჭირო ზრუნვას არ იჩენენ კურსდამთავრებულთა პროფესიული ზრდისა და დასაქმებისათვის, სათანადოდ არ ზრუნავენ კავშირებში გაუერთიანებელ ახალგაზრდებზე. ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკებს ნაკლებად ასახელებენ შემოქმედებითი კავშირების არჩევითს ორგანოებში, ლიტერატურულ-სამხატვრო გამოცემათა რედკოლეგიებში, გამოფენათა კომიტეტებისა და სამხატვრო საბჭოების შემადგენლობაში. ეს ნაკლოვანებები აღინიშნა დადგენილებაში და გამოითქვა აზრი მათი გამოსწორების აუცილებლობაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სხვა პარტიულ კომიტეტებს, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაონ შემოქმედებითი ახალგაზრდობის იდეური და პროფესიული აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა მთელი სისტემა.

ახალგაზრდობაზე ზრუნვა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ცალმხრივი იყოს პარტიისა და ხალხის ღონისძიებები. ეს ზრუნვა ახალგაზრდობას მოვალეობასაც აკისრებს. ამ ორი მომენტის განუყრელობა და ერთიანობაა აუცილებელი. ამიტომ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ახალგაზრდა ხელოვნების მუშაკებთან მთელ მუშაობას საფუძვლად უნდა ედოს მათდამი გულისხმიერი, პატივისმცემელი დამოკიდებულების შეხამება მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან. უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდების პრობლემები და საჭიროებანი, დაეხმაროთ მათ თავისი ნიჭის გამოვლინებაში, წარვმართოთ ტალანტების განვითარება შემოქმედებითი გზით, განვამტკიცოთ მათი კავშირი ცხოვრებასთან, განვავითაროთ მათი სოციალური აქტივობა, სრულყოთ სკკპ რიგებში ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მიღების პრაქტიკა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხარს უჭერს შემოქმედებითი კავშირების ინიციატივას, რომ შეიქმნას ახალგაზრდობასთან მუშაობის საბჭოები (კომისიები), ჩაებან ახალგაზრდობასთან მუშაობაში ლიტერატურისა და ხელოვნების ავტორიტეტული ოსტატები, უფრო ფართოდ დაინერგოს თეორიული სემინარების, შემოქმედებითი თათბირებისა და დისკუსიების პრაქტიკა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს დაავალა გააუმჯობესონ საგამოფენო საქმიანობა ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედების უფრო ფართო ჩვენების მიზნით; გაითვალისწინონ 1976—1980 წლებში დამატებითი საგამოფენო შენობების გამოყოფა მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში. სსრ კავშირის სახგამკომსა და შემოქმედებით კავშირებს წინადადება მიეცათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა პროზაიკოსების, პოეტების, მენარკვევეების, დრამატურგების, კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებების პუბლიკაციას, აგრეთვე ახალგაზრდა მხატვართა ალბომების გამოცემას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად სცნო ჟურნალების „იუნი ხუდოჟნიკისა“ და „ლიტერატურნაია უჩობას“ გამოცემის განახლება.

გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი: „მოსფილმის“ სტუდიის ბაზაზე ახალგაზრდობის ექსპერიმენტული შემოქმედებითი გაერთიანების შექმნა; მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა დიდ ცენტრებში ახალგაზრდა მხატვართათვის სამეურნეო ანგარიშიანი სახელოსნოების შექმნა თვალსაჩინო ოსტატთა ხელმძღვანელობით; ახალგაზრდა დრამატურგების, მხატვართა და კომპოზიტორთა ნამუშევრების შეკვეთისა და შეძენისათვის ასიგნობათა გაზრდა; სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის ოქროს და ვერცხლის მედლების დაწესება და თვალსაჩინო ოსტატებთან მათი სტაჟირებისა და ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინების უფლება და ა. შ.

ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, სსრ კავშირის სახგამკომს, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახკინოს წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ ახალგაზრდა მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების, თეატრისა და კინოს რეჟისორების შემოქმედების პროპაგანდა, რეგულარულად გამოაქვეყნონ მათი ნაწარმოებები და რეცენზიები ამ ნაწარმოებთა შესახებ.

ასეთია ის ძირითადი დებულებები და წინადადებები, ის შემოქმედებითი და ორგანიზაციული მითითებები, რომლებიც განსაზღვ-

რავს ამ დადგენილების აზრსა და შინაარსს. ადვილი შესამჩნევია, რომ ეს მნიშვნელოვანი და საგანგებო დადგენილება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციასთან მუშაობის შესახებ გამსჭვალულია ზრუნვით ამ ახალგაზრდობის მიმართ და იგი უჩვეულო ჰორიზონტებს გადაშლის მათს ცხოვრებაში.

ამ დადგენილებას გაზეთმა „პრავდამ" მოწინავე სტატია მიუძღვნა[1]. მასში განმარტებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების ცალკეული მუხლები და გატარებულია აზრი, რომ მათი შესრულება ყველა პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანაა. „ჩვენს პარტიას შემოქმედებითი ცვლის მომზადება და აღზრდა ლიტერატურული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია და ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მას". აქ ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა აღიკვეთოს ნაკლოვანებები სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლების საქმიანობაში, უნდა განმტკიცდეს მათი მატერიალური ბაზა, გაუმჯობესდეს მიღების პრაქტიკა, სადაც თავს იჩენს შერჩევის კრიტერიუმების არასრულყოფილება. მომავალი მსახიობებისა და რეჟისორების აღზრდას ხელს შეუწყობს ინსტიტუტებთან სასწავლო თეატრების, საოპერო სტუდიების შექმნა, ხოლო პროფესიულ დასში შესვლისას უფროსი ამხანაგების დაინტერესება და ყურადღება და ა. შ. „პრავდის" მოწინავე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას შემოქმედებითი ცვლის დამრიგებლებზე, უმაღლეს სასწავლებლებში მათ როლზე და ავტორიტეტზე.

„პრავდას" მიაჩნია, რომ მთელი ეს მუშაობა ფაქტიურად უნდა ემსახურებოდეს, უპირველეს ყოვლისა, ნიჭის გამოვლინებას და აღზრდას, ახალგაზრდათა აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ მოწინავე სტატიის დასკვნითი დებულება ასე ჟღერს:

„ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციასთან მუშაობის მთელი სისტემის სრულყოფის მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული კონკრეტული ღონისძიებები ადგილობრივი პარტიული ორგანოების მოქმედების ზუსტი პროგრამაა. სწორად მოიქცევიან იქ, სადაც დასახავენ ლიტერატურისა და ხელოვნების კადრების აღზრდის დონის ამაღლების საფუძვლიან გეგმებს, გააძლიერებენ შემოქმედებითი კავშირების კოლექტივების, სასწავლებლების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას".

საკავშირო მასშტაბით დასმული ამ საკითხების გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, ვიკითხოთ, თუ როგორი ვითარებაა ამ თვალსაზრისით საქართველოში, რა პრობლემები დგას ქართველი შემოქმე-

[1] „პრავდა", 22 ოქტომბერი, 1976 წ.

დებითი ახალგაზრდობის ცხოვრებაში, როგორ ხდება ამ პრობლემათა გადაჭრა ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირებისა და სხვა ორგანოების მიერ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის დადგენილების მიღების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა და ამ ღონისძიებებმა შედეგებიც ურიგო არ გამოიღო. ამ საკითხებზე იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მიიღეს შესატყვისი გადაწყვეტილება, ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პლენუმი, საქართველოს მწერალთა კავშირმა ეს საკითხი განიხილა აგრეთვე თავის პლენუმზე, შეიქმნა ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბიურო საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივნის პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით, საქართველოში მოქმედებს ახალგაზრდული თეატრი „მეტეხი“, თბილისის კონსერვატორიაში შექმნილია საოპერო სტუდია, რომელიც ახალგაზრდა ვოკალისტთა და მუსიკოსთა წრთობის კერაა, თეატრალურ ინსტიტუტში მოქმედებს სტუდენტური თეატრი, ეწყობა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენები და ა. შ. აღსანიშნავია, რომ კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ვანიხილა და მოიწონა საქართველოს კომკავშირის მოღვაწეობა ამ დარგში, რაც საგულისხმო ფაქტია.

როგორც აქ ჩამოთვლილი არასრული ნუსხიდანაც ჩანს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოში ბევრი რამ კეთდება. ამავე დროს თვითდამშვიდებისა და განცხრომისათვის საფუძველი არ არსებობს. გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციასთან ჩვენს რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შესახებ საუბარი ვამჯობინეთ დავიწყოთ „პრავდის“ 1977 წლის 11 იანვარს გამოქვეყნებული ერთი წერილის განხილვით. მისი ავტორები არიან ს. კოშეჩკინი და გ. ლებანიძე. წერილის სათაურია „ფორმა სხვადასხვა, მიზანი ერთი“. იგი ეხება საქართველოს შემოქმედი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს.

წერილის ავტორები დიდი სითბოთი იწყებენ საუბარს უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრის თენგიზ ჩალაურის შესახებ. ისინი გვიჩვენებენ მატარებლის კუპეში მყოფ ერთ ხანშიშესულ ქალს, რომელიც თანამგზავრს ურჩევს წაიკითხოს თ ე ნ გ ი ზ ჩ ა ლ ა უ რ ი ს მოთხრობა „ორმოცდასამი და შვიდი ბეღურა“, რომლის წაკითხვასაც მისთვის ცრემლები მოუგვრია.

თენგიზ ჩალაურის ეს მოთხრობა დაიბეჭდა მოსკოვში ალმანახ „როდნიკის“ მეოთხე გამოშვებაში (1976 წ.). მას სულ ორიოდე გვერდი უჭირავს, მაგრამ შინაარსითა და ტევადობით ბევრ დიდ მოთხრობას სჯობნის. სხვათა შორის, უნდა გავიხსენოთ, რომ ამ მოთხრობამ 1975 წელს საუნივერსიტეტო დახურულ კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა. ძალზე საინტერესოა „პრავდის“ წერილის ავტორთა ბოლო სტრიქონები: „თუ ეს წიგნი არ წაგიკითხავთ, აუცილებლად წაიკითხეთ. ავტორი ახალგაზრდაა, მაგრამ რა კარგად წერს, როგორ გვაღელვებს მისი სიტყვა“. ისეთი მაღალი ტრიბუნიდან, როგორიც „პრავდაა“, ასეთი მაღალი შეფასება ძალზე მნიშვნელოვანი და ბევრის მთქმელია. ახალგაზრდა ავტორს ეს ბევრს ავალებს. ჩვენის მხრივ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ამ ახალგაზრდა მწერალმა შემდეგშიც გამოაქვეყნა რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც ასევე საუკეთესო მხრით გამოირჩევა შინაარსითაც და წერის კულტურითაც. დასანანია, რომ თ. ჩალაურის პირველი წიგნი ჯერაც არ გამოსულა.

როგორც მისასალმებელი ფაქტი „პრავდის“ ამ წერილში ნათქვამია, რომ ახალგაზრდა ქართველ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს ხშირად შეხვდებით ქვეყნის სხვადასხვა მშენებლობებზე. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ ბამის მშენებლობაზე იყვნენ ვანო ჩხიკვაძე და დილარ ივარდავა. მათ ლექსებისა და ნარკვევების ციკლები უძღვნეს ბამის გმირ მშენებლებს. ისინი ცალკე წიგნებადაც გამოვიდა. საქართველოს ახალგაზრდა ლიტერატორები ხშირად მიდიან ქარხნებში, ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეებთან ფერმებში, მევენახეებთან ზვრებში, რათა ახლოს გაეცნონ მშრომელი ადამიანების შინაგან სამყაროს, მათი ხასიათების უფრო ღრმა შეცნობისათვის. წერილის ავტორები ასახელებენ ოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტს, პროზაიკოსს, მხატვარს, კომპოზიტორს, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში შემოქმედებითი მივლინებით იყვნენ გაგზავნილი (მაგალითად, თ. ჩალაური და ე. ნიჟარაძე კახეთში, ჯ. დავლიანიძე — ყიზლარში და ა. შ.). მათ მრავალი ნაწარმოები შექმნეს მშრომელი ადამიანების ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

ასეთი მივლინებები არა მარტო იმით არის საინტერესო, რომ საჭირო ნაწარმოებები შეიქმნა, არამედ იმითაც, რომ ახალგაზრდა შემოქმედნი ამ მივლინებათა მეშვეობით ცხოვრებისეულ გარემოში მოხვდნენ, სინამდვილის ახალ ფაქტებს, იქ მოღვაწე ადამიანების ბედს ჩასწვდნენ, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია მათი ახალი თვისება გახდა.

წერილში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის კომკავშირისა და მწერალთა კავშირის საზრუნავია ახალგაზრდა მწერალთა იდეური

და პროფესიული ზრდა. ამ მიმართებით სასარგებლო საქმიანობას ეწევა საქ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი. გავრცელებული ფორმაა შემოქმედებითი სემინარები, ტრადიციული გახდა ბაკურიანის შეხვედრები და სხვ.

მოწონებით არის აღნიშნული მეტეხის თეატრ-სტუდიის მუშაობა, დასახელებული არიან ავთანდილ ჩხიკვიშვილი, თ. ჩალაური, ენვერ ნიჟარაძე, დალილა ბედიანიძე, სოსო სიგუა, სანდრო მრევლიშვილი. ზოგი ნაკლოვანებების მიუხედავად, შემოქმედებითი ცენტრი კეთილი მოხსენების ღირსია.

წერილში აღნიშნულია, რომ გაზეთების გარდა ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებს ბეჭდავენ გამომცემლობები „ნაკადული“ და „მერანი“.

„პრავდის“ წერილის ავტორები აყენებენ საკითხს, რომ დასაბეჭდად შერჩეულ ნაწარმოებებს მეტი სიმკაცრით უნდა ეექცეოდეთ: „გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შორის ხშირად ვხვდებით სუსტ, უსახო, რესპუბლიკის, ქვეყნის ცხოვრებისაგან შორეულ თემებზე დაწერილ ნაწარმოებებს, რომლებიც არც გონებას, არც გულს არაფერს აძლევენ.

სამწუხაროდ, კრიტიკოსები შემწყნარებლობას უფრო იჩენენ, ვიდრე მომთხოვნელობას და ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებს აშკარად დაკნინებული კრიტერიუმის პოზიციებიდან აფასებენ“.

წერილის ავტორებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ერთი მხრივ, უნდა უმჯობესდებოდეს პრესისათვის ნაწარმოების შერჩევა, მათი რეცენზირება, ოსტატთა დამრიგებლობა. მეორე მხრივ უნდა მაღლდებოდეს ახალგაზრდა მწერლის პასუხისმგებლობის შეგნება.

სხვათა შორის, „პრავდის“ ამ წერილში დამოწმებულია საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის, მიმღები კომისიის თავმჯდომარის ნოდარ დუმბაძის სიტყვები, რომ ჩვენ გვყავს ავტორები, რომლებიც პირველი პატარა წიგნის თუ ჟურნალში გამოქვეყნებული ორიოდე პუბლიკაციის შემდეგ განცხრომას ეძლევიან. ამიტომაც იძულებული ვართ მათ უარი ვუთხრათ მწერალთა კავშირში მიღებაზეო.

დასახელებული ხარვეზების მიუხედავად, „პრავდის“ ამ წერილში გატარებულია ოპტიმისტური აზრი: იმათ უმრავლესობას, ვისაც შევხვდით, მკაფიოდ ესმის, რომ ხელოვანის შემოქმედებითი მომავალი, უწინარეს ყოვლისა, თავად მასზეა დამოკიდებული. სასიხარულოა, რომ მათი ჩანაფიქრები, გეგმები მასშტაბურია, წარმტაცია, თანამედროვეობის მოვლენებთან, შრომის გმირებთან, ადამია-

ნის მაღალი მორალური თვისებების დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული.

ვფიქრობთ, ასეთი იმედიანი დასკვნისათვის საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობა სავსებით მყარ საფუძველს იძლევა, რასაც არ შეუძლია არ გაგვახაროს. მართლაც, რა არის იმაზე მაღალი ჯილდო, როცა მკითხველი ახალგაზრდა მწერალზე იტყვის, როგორც თენგიზ ჩალაურზეა ზემოთ აღნიშნული გაზეთ „პრავდაში“: „თუ ეს წიგნი არ წაგიკითხავთ, აუცილებლად წაიკითხეთ. ავტორი ახალგაზრდაა, მაგრამ რა კარგად წერს, როგორ გვაღელვებს მისი სიტყვა“.

დღევანდელ საქართველოს მართლაც ჰყავს შესანიშნავი ლიტერატურული ახალგაზრდობა. მარტო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში ამ ბოლო წლებში აღზრდილები რომ დავასახელოთ, შესანიშნავ სიას მივიღებთ. ესენი არიან: ავთანდილ გაფრინდაშვილი და ავთანდილ ჩხიკვიშვილი, მაკა ჯოხაძე და ბადრი ჭოხონელიძე, ვაჟა ხარანაული და თედო ბექიშვილი, ვანო ჩხიკვაძე და დილარ ივარდავა, ლაშა თაბუკაშვილი და ლადო კოკაია, თენგიზ ჩალაური და უნვერ ნიჟარაძე, თემურ აბულაშვილი და პაატა ნაცვლიშვილი, დალილა ბედიანიძე და ნინო ქუთათელაძე, ჯემალ დავლიანიძე და გივი ალხაზიშვილი, ვახტანგ ხარჩილავა და რაულ ჩილაჩავა, ზაურ მოლაშხია და ჯაბა ასათიანი, დოდო ჯაჭვლიანი და ომარ გვეტაძე, ტარიელ ხარხელაური და მიხეილ ანთაძე, მრავალი სხვაც. ისინი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან. ზოგმა მათგანმა უკვე რამდენიმე წიგნი გამოსცა, ხოლო ზოგმა პირველი წიგნის გამოსვლით გაიხარა. სამწუხაროდ, ჯერაც ვერ ვიხილეთ ზოგი მათგანის წიგნი, თუმცა მათ ეს კარგა ხანია დაიმსახურეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ, გარდა უნივერსიტეტში აღზრდილი ახალგაზრდა მწერლებისა, ჩვენ გვყავს სხვა ახალგაზრდა პოეტები, პროზაიკოსები და ლიტერატურის სხვა ჟანრში მოღვაწენიც. განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ ნუგზარ შატაიძე, რომლის მოთხრობები არა მარტო ცხოვრებისეული სიბრძნით, არამედ პროფესიული დონითაც გამოირჩევა. იგი კარგად ფლობს სიტყვიერი ხელოვნების საიდუმლოს.

ლიტერატურულმა კრიტიკამ თავისი დადებითი აზრი უკვე გამოთქვა მაკა ჯოხაძის მოთხრობების კრებულზე „გურამ-გურამ,“ ენვერ ნიჟარაძის ლექსების წიგნზე „მარადიული დღესასწაული“ და სხვ. შეფასებას ელის თემურ აბულაშვილის მოთხრობების კრებული. „ჩიტები უფასოდ“ ვაჟა ხარანაულის ლექსების კრებული და ზოგი სხვა ახალგაზრდა ავტორის წიგნი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „შემოქმე-

დებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ გულისხმიერად და ყურადღებით შეეკიდა საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელმაც არაერთი ღონისძიება განახორციელა ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ჩვენს მწერალთა კავშირს კარგად ახსოვს პარტიის XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამი სიტყვები, რომ „ნამდვილი ტალანტი იშვიათად გვხვდება, ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეა“ და რომ ამ ტალანტებს მოვლა და აღზრდა სჭირდება. ეს სულისკვეთება არის გატარებული ნოდარ დუმბაძის წერილში „გამოდით, თქვენი ჭირიმე!“, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა 1977 წლის 25 მარტს. საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ნოდარ დუმბაძე მართებულად შენიშნავს, რომ შემოქმედ ახალგაზრდას უნდა ახასიათებდეს ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა. ეს ორივე ნიშანი ერთად უნდა იყოს შეზავებული. მწერალი იმოწმებს დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილ ვაჟას ლექსს:

„შენ ჩემო წინამორბედო, უძვირფასესო პაპაო... ტანთ ფეხშიშველი დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო; შენის ცრემლებით მოვხარშე ჩემი გრძნობების ფაფაო. ამგვარი საჭმლის კეთებას დიდი სდომია ჯაფაო“... ვაჟას ეს აზრი, რომ შემოქმედებით შუშაობას დიდი ჯაფა სჭირდება, ყველა ახალგაზრდა მწერალს უნდა ახსოვდეს.

ნოდარ დუმბაძე სწორად განსაზღვრავს მწერალთა უფროსი თაობის წარმომადგენელთა და სამწერლო ორგანიზაციის მესვეურთა როლს ახალგაზრდა მწერლების აღზრდაში. იგი დასამახსოვრებლად ამბობს: „თუ ჩვენმა ერმა და მამულმა დაგვავალა და მოგვანიჭა უმაღლესი მისია შებაღისა, ხელში მოგვცა მაკურნებელი სასხლავი და არა დეკორატიული ბაღების მანიველირებელი მაკრატელი, ჩვენი ერის ახალგაზრდობის ბედი ჩვენს ხელთ არის, ჩვენზეა დამოკიდებული როგორ დიდებულ ნერგს გავზრდით, როგორ ნაყოფიერ ბაღს მოვაშენებთ“. აქვე ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა ავამაღლოთ მომთხოვნელობა, რომ გაიოლებულად ლიტერატურაში არავინ უნდა მოვიდეს.

ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე მსჯელობა სკკპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ არცთუ იშვიათად გამართულა როგორც მწერალთა კავშირში მოწვეულ სხდომებზე, ასევე ლიტერატურულ პერიოდიკის ფურცლებზეც. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო მსჯელობა გაიმართა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში, კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ახალგაზრდა მწერლებიცა და ყურ-

ნალის აქტივიც. ამ სხდომის ანგარიში გამოაქვეყნა გაზეთმა „დიტერატურულმა საქართველომ“ 1977 წლის 25 მარტის ნომერში.

შესავალ სიტყვაში ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოსვლის შემდეგ უკვე შეიქმნა „ცისკრის“ ბრიგადები, რომლებიც იგზავნება დიდ საწარმოებში და ძეურნეობებში. იქ ახალგაზრდა მწერლები ეცნობიან ცხოვრებას, ადამიანებს და წერენ მათზე. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს დღეს უკვე იცნობენ ნია გრუზინსკაიაზე და ნოღაის ველებზე, მათ იცნობენ საქართველოს მეჩაიეები, მეავტომობილეები, მეფოლადეები, ფეიქრები და მეევენახეები... მან დაასახელა მაგალითი, რომ ახალგაზრდა მწყემსმა ტარიელ ხარხელაურმა რევაზ ინანიშვილის ხელით ლექსები გამოუგზავნა რედაქციას და მისი თხუთმეტი ლექსი დავბეჭდეთო.

პარტიის ცეკას ეს დადგენილება აიტაცეს მთელს ჩვენს ქვეყანაში. ლენინგრადში ჩამოყალიბდა ე. წ. „მწერლის სახელოსნოები“, ანუ გაერთიანებები. განსაკუთრებული ღონისძიებები გატარდა ყაზახეთში. ჯ. ჩარკვიანმა დააყენა კითხვა: რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ამ დადგენილებიდანო. მანვე უპასუხა, რომ ახალგაზრდობა უნდა მონაწილეობდეს ჩვენი ცხოვრების საქის მართვაში, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაში, სახელმწიფო პრობლემების გადაჭრაში.

„ცისკრის“ რედაქციაში გამართულ ამ სხდომაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს გურამ გვერდწითელმა, გიორგი გაჩეჩილაძემ, ზურაბ ლეშკაშელმა, ჯუმბერ თითმერიამ, ლაშა თაბუკაშვილმა, თემურ დოიაშვილმა, ნუგზარ წერეთელმა, მაკა ჯოხაძემ, ჯემალ დავლიანიძემ, ბადრი ჭოხონელიძემ, პაატა ნაცვლიშვილმა, ენვერ ნიჟარაძემ, გურამ სხირტლაძემ, მერაბ ელიოზიშვილმა, ბაღათურ არაბულმა, ჯანსუღ ღვინჯილიამ, მურმან თავდიშვილმა და სხვებმა. მათ წამოაყენეს საინტერესო საკითხები და მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. ახალგაზრდა მწერალთა დახმარების ფორმებად აღინიშნა, რომ შეუფასებელი არ უნდა დარჩეს არც ერთი ახალგაზრდის ნაწარმოები, ჟურნალების ფურცლებზე ერთი პოეტის 10—15 ლექსი მაინც უნდა იბეჭდებოდეს, კარგი იქნება ყოველ ახალ ავტორს წარდგინებაც ახლდეს და და ა. შ. ითქვა ისიც, რომ მწერალთა კავშირის წევრად ვერ ნახავთ 40 წელზე უფრო ნაკლები ხნის ახალგაზრდას და რომ ეს არის ყოვლად გაუგებარი ფაქტი. წყაროთით აღინიშნა, რომ ახალგაზრდა კაცის პირველი წიგნი 4—5 წელი დევს გამომცემლობაში და მზის სინათლეს ვერ იხილავს. ყველას არ შეუძლია ბრძოლა და კარების ატა-

ლახება, ამიტომ ზოგი ჩაბოშორდება ლიტერატურას. ითქვა ისიც, რომ „ცისკრის“ დამატება „ნობათი“ მხოლოდ ახალგაზრდებს უნდა დაეთმოს და მასში უფროსი თაობის მწერლები არ უნდა იბეჭდებოდნენ.

მოკამათეებმა ერთხმად აღიარეს ნუგზარ შატაიძის მოთხრობების უდავო მხატვრული ღირსებები, მდიდარი ლექსიკა, ხატოვანი აზროვნება, ხასიათების ძერწვის უნარი. დიდი მოწონება დაიმსახურეს ბადრი ჯოხონელიძის, ავთანდილ ჩხიკვიშვილის, ლაშა თაბუკაშვილის, ჯემალ თოფურიძის, ზაურ კალანდიას მოთხრობებმა; დალილა ბედიანიძის, ენვერ ნიჟარაძის, თეა ფირცხალავას და სხვათა ლექსებმა.

აქვე აღინიშნა ნაკლიც ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში. მაგალითად, დაასახელეს გ. სხირტლაძის მოთხრობა „უცხო ქალაქში“, რომელიც სინედლის შთაბეჭდილებას ტოვებს, ავტორი ვერ მოერია მასალას, მოთხრობა სტილურად ბუნდოვანია. ზოგი ახალგაზრდის მოთხრობას აკლია ავტორის პოზიციის სიცხადე, ჟანრული სახე.

„ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, პირდაპირ და საქმიანად, შემოქმედებითად და კონკრეტულად უპასუხებდა იმ მოთხოვნილებებს, რასაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი აყენებს ქვეყნის შემოქმედებითი ახალგაზრდობის წინაშე. ამიტომ, ჩვენი აზრით, ჟურნალის ეს ღონისძიება მნიშვნელოვანია საქართველოს ახალგაზრდა მწერლების ცხოვრებაში.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ტრიბუნას უთმობს უფროსი თაობის მწერლებს, რომლებიც ახალგაზრდა შემოქმედთა ბედზე გვიზიარებენ თავიანთ აზრებს. ეს გამოსვლები საინტერესოა როგორც ახალგაზრდობისათვის, ასევე რესპუბლიკის საზოგადოებრივი აზრისათვისაც. რუბრიკით „სიტყვა ახალგაზრდა შემოქმედზე“ 1977 წლის 8 აპრილის ნომერში გაზეთმა გამოაქვეყნა ჯანსუღ ჩარკვიანის „ფრთები ფრენისას მაგრდება“, რომელიც გადმობეჭდილია „ლიტერატურნაია გაზეტას“ 1977 წლის მე-12 ნომრიდან, და ალიო ადამიას წერილი „მხოლოდ ნიჭიერი!“. ორივე ამ მასალაში საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული.

ჯანსუღ ჩარკვიანის მთავარი დებულებაა: „ცხადია, არავითარი შეღავათი არ შეიძლება, როცა ლაპარაკია იდეურ და მხატვრულ კრიტერიუმებზე. მაგრამ ახალგაზრდებს უნდა ვეხმარებოდეთ, ეს ჩვენი მოვალეობაა. მათ შესაძლებლობა უნდა მივცეთ, რომ დაიბეჭდონ, ე. ი. მკითხველის სამსჯავროზე გამოვიდნენ. ფ რ თ ე ბ ი ხ ო მ ფ რ ე ნ ი ს ა ს მ ა გ რ დ ე ბ ა!“.

ალიო ადამია კი თავის წერილში გამოყოფს სამ საკითხს ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობაში. ესენია: ახალგაზრდა ავტორის პირველი წიგნის გამოცემა, ამ წიგნის რეკომენდატორები, მწერალთა კავშირში ახალგაზრდის მიღების საკითხი. მწერალი ავითარებს აზრს, რომ კავშირში უნდა ვიღებდეთ მხოლოდ ნიჭიერებს, ამავე დროს გზა უნდა გადავუკეტოთ ე. წ. „მოხერხებულებსა“ და „გამტანებს“. მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სექციები უნდა იძლეოდნენ რეკომენდაციებს ახალგაზრდის პირველი წიგნის გამოცემაზე, მათ ამისი პასუხისმგებლობა უნდა ითავონ. უნდა გაიკიცხოს ცნობილი მწერლების მიერ ლიბერალურად დაწერილი რეცენზიების პრაქტიკა, რაც ძნელ მდგომარეობაში აყენებს რედაქციებსაც და გამომცემლობებსაც.

ვფიქრობთ, ეს მოსაზრებები სწორია. ჯ. ჩარკვიანის და ალიო ადამიას ეს გამოსვლა პრესაში დროულიც იყო და საჭიროც. ისინი პირდაპირ უპასუხებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სულისკვეთებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის დადგენილების ცხოვრებაში განუხრელი გატარების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოში იყო მწერალთა კავშირის პლენუმი, რომელიც გაიმართა 1977 წლის 4 მაისს თბილისში და რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ და საქართველოს მწერალთა კავშირის ამოცანები“. თავის შესავალ სიტყვაში გრიგოლ აბაშიძემ ძალზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვა. ასევე საინტერესო იყო გურამ ასათიანის მოხსენება ახალგაზრდულ ქართულ პოეზიაზე, გურამ გვერდწითელისა — ახალგაზრდულ პროზაზე, არჩილ სულაკაურისა — ახალგაზრდულ საბავშვო მწერლობაზე, გიორგი ხუხაშვილისა — ახალგაზრდულ დრამატურგიაზე, ზაზა აბზიანიძისა — ახალგაზრდა კრიტიკოსებზე. თარგმანებზე მოხსენება გააკეთა ოთარ ნოდიამ. როგორც მოხსენებებში, ასევე კამათში ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა. განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ გრ. აბაშიძის შესავალი სიტყვა.

გრიგოლ აბაშიძემ მაღალი შეფასება მისცა და მნიშვნელოვანი უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. მანვე აღნიშნა, რომ ამის შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიც გაანალიზებულია ახალგაზრდობასთან შემოქმედებითი კავშირების მუშაობის პრაქტიკა და დასახულია გზები არსებითი გარდატეხის მისაღწევად ამ სფეროში.

განსახილველი დადგენილების მნიშვნელობა, გრ. აბაშიძის აზრით, არ განისაზღვრება დროის გარკვეული ფარგლებით, იგი დიღხანს დარჩება ჩვენი ყოველდღიური მუშაობის პროგრამად.

ორატორი იმოწმებს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ამბობდა: „პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია. მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასთან მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება". გრ. აბაშიძე ეთანხმება ილიას ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ამ მადლის მქონე ახალგაზრდების აღმოჩენა, მათი მოვლა-პატრონობა, მათთვის ხელშეწყობა არის ჩვენი შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთი უაღრესად საპატიო და მნიშვნელოვანი მოვალეობა, თითოეული ჩვენთაგანის უპირველესი საზრუნავი. ამავე ასპექტში გრ. აბაშიძემ შეგვახსენა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე წარმოთქმული მაქსიმ გორკის სიტყვები: „ახალგაზრდობასთან მუშაობა, ძვირფასო ამხანაგებო, უმნიშვნელოვანესი, არაჩვეულებრივად აუცილებელი სამუშაოა... ჩვენ ვალდებულნი ვართ აღვზარდოთ თვალსაჩინო ლიტერატორთა მთელი არმია — ვალდებულნი ვართ!" ეს სიტყვები, ილია ჭავჭავაძის სიტყვების გვერდით, პირდაპირ უპასუხებს ამ სფეროში დასმულ სადღეისო ამოცანებს და, ცხადია, მათი პრაქტიკული შესრულება ძალზე აუცილებელია.

საყურადღებოა გრ. აბაშიძის მსჯელობა მწერლის რაობაზე. მისი აზრით, მწერლობა სულიერი შემოქმედების უაღრესად თავისებური და რთული დარგია. მწერლობა, ისევე როგორც შემოქმედების ყველა სხვა დარგი, მოწოდებაა. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ უყურადღებობითა და ხელის შეშლით მწერლობისათვის მოწოდებული ახალგაზრდობა შეიძლება დავუკარგოთ მწერლობას.

ნიჭთან, ტალანტთან ერთად გრ. აბაშიძე მწერლის წარმატების აუცილებელ და არანაკლებ პირობად მიიჩნევს შრომისუნარიანობას. ფაქტიურად, შრომის უნარი, შრომისმოყვარეობა მწერლის მეორე ნიჭია. მწერალი ასახელებს ვენეციაში ნანახი პეტრარკას ხელნაწერების მაგალითს, რაც მეტყველებს გენიალური პეტრარკას განუწყვეტელ შრომაზე, რისი კვალიც მის ხელნაწერებს ასე მკაფიოდ ატყვია. ამავე ასპექტში მინიშნებულია აკაკის, პუშკინის, გალაკტიონის ხელნაწერების მაგალითებიც, რაც ამ პოეტთა მუდმივ ძიებაზე, შრომაზე, სწორებაზე მეტყველებს. გრ. აბაშიძის განსაზღვრებით, ჭეშმარიტი მწერლისათვის, ზემოთ დასახელებულ თვისებებთან ერთად, აუცილებელია მესამეც — განათლება, ფართო განათლება, ურომლისოდაც ვერც ერთი მწერალი შორს ვერ წავა.

გრიგოლ აბაშიძის სიტყვის ეს ნაწილი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ჭეშმარიტი მწერალი რომ გახდეს, ახალგაზრდა

კაცს უნდა ჰქონდეს საამისო ნიჭი, შრომის უნარი და განათლება. ეს რჩევა ძალზე სასარგებლოა ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისათვის.

ამ კონცეფციიდან გამომდინარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ახალგაზრდა მწერლებისათვის ჩვენი უპირველესი და უსაჭიროესი დახმარება უნდა იყოს სწავლაში ხელის შეწყობა. მეორე დახმარება უნდა გამოიხატებოდეს მათი ნაწარმოებების პუბლიკაციაში ხელის შეწყობაში. ვფიქრობთ, ეს თვალსაზრისი სავსებით სწორია, ოღონდ მათი პრაქტიკული განხორციელებაა აუცილებელი.

გრ. აბაშიძე სვამს კითხვას — ვინ არის ახალგაზრდა მწერალი? ამ კითხვის დასმა სავსებით ბუნებრივია, განსაკუთრებით, ჩვენში რადგან დიდი ხნის მანძილზე ეს ცნება ძალზე გაწელილი იყო და ორმოციოდე წლის კაცსაც ახალგაზრდა მწერლად მიიჩნევდნენ. ორატორმა დაიმოწმა გიორგი ლეონიძე, რომელსაც უყვარდა იმისი მტკიცება, რომ შემოქმედის ასაკი მეტრიკით კი არ გაიზომება, არამედ მისი სულის მდგომარეობით. გოეთემ „ფაუსტის“ ყველაზე პოეტური თავები 80—82 წლის ასაკში დაწერა, დიდი იტალიელი მხატვარი ტიციანი 90 წლამდე ჰაბუკური შთაგონებით ხატავდა. ლიტერატურის ისტორიამ მეორე უკიდურესობაც იცის — არტურ რემბომ 19 წლის ასაკში დაამთავრა თავისი პოეტური მოღვაწეობა. მაგრამ გენიოსების გამონაკლისები კანონზომიერების დასადგენად არ ივარგებს.

ჩვეულებრივ კი, გრ. აბაშიძის აზრით, ახალგაზრდა მწერლის ასაკის 17—22 წლებით უნდა განისაზღვრებოდეს. სწორედ ამ ხნის იყო მაიაკოვსკი, როცა წერდა: „Иду красивый двадцатидвухлетний“. მწერალთა უკანასკნელ ორ საკავშირო ყრილობაზე პოეტი მიხეილ ლუკონინი იხსენებდა ვ. მაიაკოვსკის ამ სტრიქონს და წუხდა, რომ ყრილობის დარბაზში არ იყო არც ერთი ოცდაორწლიანი. პროზას სხვა კანონები აქვს. აქ გამოცდილება, ცხოვრების ცოდნა აუცილებელი პირობაა, ამას კი წლებიც სჭირდება. ამავე დროს ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მწერლობაში ახალგაზრდის მოსვლა ახალი შემოქმედებითი იდეების მოტანასა და ახალი ფორმების დამკვიდრებისათვის ბრძოლას ნიშნავდა ყოველთვის. ამ სწორი და ყურადსაღები მსჯელობის შემდეგ გრ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ ახლა ჩვენში ძირითადად ახალგაზრდები ფორმის განახლებისათვის ბრძოლას ვერლიბრსა და ტრადიციულ ლექსს შორის უპირატესობის დადგენას უკავშირებენ. ეს ცალმხრივობაა და მეტი არაფერი. ორატორმა დაიმოწმა ისევ ჩვენი დიდი ილია, რომელიც წერდა: „ლექსი იმით არ ლექსობს, რომ სტრიქონის ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ“. მაგრამ ლექსი არც იმით ილექსება,

რომ სტრიქონის ბოლოები ერთმანეთს არ შევუწყო და მეტრი და რიტმი უკუვაგდოთ, — აცხადებს გრიგოლ აბაშიძე. მაშ რა არის ლექსი? ლექსი მხატვრული სახეებია, გრძნობები და ემოციებია, ფილოსოფიური დაფიქრება და პოეტური აღმაფრენაა. ფრთები, ფრთები გვინდაო! — შეგვახსენებს გალაკტიონის ამ სიტყვებს ჩვენი მწერლობის მესვეური.

ოპტიმისტურია გრ. აბაშიძის გამოსვლის დასასრული: „ჩვენ გვჯერა, რომ კიდევ ბევრჯერ მოვლენ ჩვენი მწერლობის ახალი თაობები, რომლებიც კვლავ განმაახლებლად მოევლინებიან ქართული მხატვრული სიტყვის ცხოვრების ხეს და ახალ სიმაღლეებს შეჰბედავენ დასაპყრობად".

ჩვენ განზრახ და შეგნებულად ვრცლად გადმოვეცით გრ. აბაშიძის სიტყვის მთავარი აზრი და მოვახდინეთ მისი ციტირებაც იმიტომ, რომ ამ სიტყვაში ბევრი ბრძნული და გასათვალისწინებელი მოსაზრებაა, რომლებიც პირდაპირ უპასუხებენ ჩვენი სტატიის თემას — ახალგაზრდა შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობას თანამედროვე ეტაპზე, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარეობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1977 წლის 4 მაისს გამართულ მწერალთა კავშირის პლენუმზე რამდენიმე მოხსენება იქნა მოსმენილი ჟანრების მიხედვით. ყოველ მათგანში ბევრი რამ საყურადღებო ითქვა, შეფასდა ახალგაზრდა მწერლების კონკრეტული ნაწარმოებებიც, რაც დიდი დახმარებაა მწერლობაში ახლად მოსული კაცისათვის.

პლენუმის მიმართ შენიშვნა მაინც უნდა გამოვთქვათ, რადგან ამას მოითხოვს არა მარტო საკითხისადმი პატიოსანი დამოკიდებულება, არამედ ძმათავალში გასათვალისწინებლადაც აუცილებელია. იმის მიუხედავად, რომ ეს პლენუმი საგანგებოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას განიხილავდა ახალგაზრდა შემოქმედთა შესახებ და სწორედ ამ დადგენილებაში მკაფიოდ წერია, რომ ახალგაზრდა შემოქმედნი გაბედულად უნდა შევიყვანოთ ხელმძღვანელ ორგანოებში, რედკოლეგიებში, საგამომცემლო საბჭოებში და ა. შ., სწორედ ამის მიუხედავად, ამ პლენუმზე სიტყვაც კი არ მიუციათ არც ერთი ახალგაზრდა მწერლისათვის, არც ახალგაზრდებთან უშუალოდ მომუშავე პირებისათვის, რომლებიც პლენუმს უამბობდნენ იმ კონკრეტულ პრობლემებზე, რაც ახალგაზრდებს აწუხებს და საჭიროა მათი გადაჭრა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე მოხდა. როცა ამ ფაქტს აღვნიშნავთ, მისი ახსნის სურვილიც გვებადება. ხომ არ მოხდა ისე, რომ მწერალთა კავშირის სამდივნომ და გამგეობამ ზედმეტი, გადაჭარბებული აზრი

შეიქმნეს საკუთარ თავზე, ხოლო სხვებს უნდობლობას უცხადებენ? თუ ეს ასეა, მაშინ აუცილებლად საჭიროა ამ უმართებულო პოზიციის გადასინჯვა, თორემ ასე საქმე წინ ვერ წავა.

ჩვენ დავინახეთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“— გამსჭვალულია ზრუნვით ახალგაზრდა შემოქმედის ბედზე. იგი არა მარტო სწორად აანალიზებს მდგომარეობას ამ სფეროში, არამედ სახავს კონკრეტულ გზებს, რათა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველა შემოქმედი ახალგაზრდისათვის, რომელსაც აქვს სააძისო მოწოდება და ნიჭი, შეიქმნას მათი სწავლების, წრთობის, შემოქმედებითი მუშაობის საუკეთესო პირობები, ისინი ახლოს მივიდნენ ცხოვრებასთან, უშუალოდ შეიჭრნენ ცხოვრების გულში, იქ ძებნონ თემები და პრობლემები, მომავალ ნაწარმოებთა გმირები. დადგენილება შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომელთაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. დადგენილება ავალებს პარტიულ, სახელმწიფო კომკავშირულ, შემოქმედებით და ბეჭდვით ორგანოებს ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა შემოქმედთა ნიჭისა და უნარის გაფურჩქვნას, არაფერი დაიშურონ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის.

გვინდა ზოგიერთი სურვილი გამოვთქვათ.

დადგენილების ერთ-ერთი ძირითადი დებულება ის არის, რომ გამოვავლინოთ და აღვზარდოთ ნიჭიერი შემოქმედებითი ახალგაზრდები, ამ საქმისათვის არ დავზოგოთ არც ძალები და არც სახსრები, მათს იდეურსა და პროფესიულ წრთობაში ჩავაბათ ავტორიტეტიანი, გამოჩენილი სპეციალისტები, რათა ვაზიაროთ შემოქმედებითი ახალგაზრდობა საბჭოურ და საკაცობრიო კულტურის მიღწევებს. ეს ძალზე კარგი და ძალზე აუცილებელია და კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის, თეატრალური და კინოინსტიტუტების საშუალებით კიდევაც ხორციელდება ეს ამოცანები. მაგრამ სად მზადდება მწერალთა ცვლა? ამჯერად საკითხი შეეხება ჩვენი რესპუბლიკის ვითარებას. ამ საკითხს კარგად რომ დავუკვირდეთ, მასში ღრმად და პროფესიული პოზიციიდან რომ ჩავიხედოთ, გაბოირკვევა, რომ არსად. რა გვაქვს მხედველობაში? ის რომ კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიისა და თეატრალური ინსტიტუტის ანალოგიური უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს რესპუბლიკაში მწერალთათვის არ არსებობს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ ფუნქციას ასრულებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, უნდა ვთქვათ, რომ ეს სწორი არ არის, რადგან ამ ფაკულტეტის პროფილი და სასწავლო გეგმები, პროგრამები ამზადებენ ლიტერატურის ისტორიკოსებს, ენისა და ლიტერატურის მას-

წავლებლებს და არა შემოჭმეღებს. თუ ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულებიდან მწერლებიც გამოდიან, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ამ ფაკულტეტის თავისებურებაა. იშვიათი როდია, რომ მწერლად ხდებიან ექიმებიც, ინჟინრებიც, ეკონომისტებიც...

ჩვენ ქართულ პრესაში 1977 წელს ორჯერ დავაყენეთ ეს საკითხი, გვინდოდა საზოგადოებრივი აზრი შეგვექმნა ამ საკითხის ირგვლივ, სათანადო ორგანოების ყურადღება მოგვექცია აქეთკენ, მაგრამ არა თუ საკითხის გადაჭრას, ჩვენს გამოსვლებზე გამოხმაურებასაც კი ვერ მივაღწიეთ. ამაზე არც მწერალთა კავშირი, არც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ხმას არ იღებს იმ კონსერვატული მოსაზრების გამო, თითქოს შეუძლებელი იყოს მწერლის მომზადება. პირდაპირ საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ მიერ განხილული დადგენილება მოითხოვს ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედის მომზადებას, აღზრდას, ამ საქმეში მთელი სისტემის შემუშავებას, მაგრამ რატომღაც ზოგს ჰგონია, რომ იგი არ ვრცელდება მომავალ მწერალზე. რატომ? თუ მომავალ კომპოზიტორზე ვრცელდება, მომავალ პოეტზე რატომ არ უნდა ვრცელდებოდეს?

სიტყვიერი ხელოვნების ყველა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს შესაფერისი სასწავლო პროგრამები და სასწავლო გეგმები და ან უნივერსიტეტში შეიქმნას სპეციალიზაცია, ან დამოუკიდებლად დაარსდეს სიტყვიერების ინსტიტუტი თუ აკადემია, რომელიც მიიღებს სათანადო მოწოდებისა და ნიჭის მქონე ახალგაზრდებს და მომამზადებს განათლებულ, შემოქმედებითად ნაწრთობ, დაოსტატებულ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, მთარგმნელებს, კრიტიკოსებს. ასეთია ჩვენი ერთ-ერთი და მთავარი სურვილი. ამის შესრულება იქნება განხილული დადგენილების ცხოვრებაში გატარების ყველაზე ეფექტური, ყველაზე ქმედითი, ყველაზე ნაყოფიერი ფორმა.

სანამ ეს საკითხი არ გადაჭრილა, გვიხდება დავჯერდეთ ლიტერატურულ წრეებს და გაერთიანებას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მათ. ამ მხრივ ვითარება ჯერ კიდევ გაუმჯობესებას საჭიროებს. ცნობილა, რომ უნივერსიტეტში 30 წელია, რაც არსებობს ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომელმაც, მართლაც, ქართველ მწერალთა თაობები აღზარდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მოქმედი ქართველი მწერლების აბსოლუტური უმრავლესობა ამ წრიდან გამოვიდა. ეს ფაქტია. ისიც მართალია, რომ რესპუბლიკაში არსებული ყველა სხვა წრეებისაგან იგი განსხვავებულია. თუ ქარხნებთან ან დაწესებულებებთან არსებულ წრეებში გაერთიანებული არიან უკვე ასაკში შესულნი და მათი ზრდის პერსპექტივა უმნიშვნელოა, აქ ერთიანდებიან სტუდენ-

ტები, რომელთაც ყველაფერი წინ აქვთ. ეს ფაქტებით დასტურდება. ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ თუნდაც ამ დადგენილების გამოსვლის შემდეგ, ვინმეს ყურადღება გაეზარდოს ამ წრისადმი. შარშან წრემ იზეიმა არსებობის 30 წლისთავი, მაგრამ ყურადღებით არავის გავუნებივრებივართ. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და მწერალთა კავშირმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალურ პლენუმებზეც კი არ მიიწვიეს წრის წევრები და ხელმძღვანელები, უხალისოდ ეკიდებიან წრის წევრთა ნაწერების პუბლიკაციას. ვერ ვიტყვით, რომ ასეთი ვითარება შეესაბამებოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სულისკვეთებას შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ. ისიც უნდა ითქვას, რომ მწერალთა კავშირთან შექმნილმა ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებამ უნდა დაძებნოს კავშირის ფორმები წრეებთან, რომლებიც უნდა ასაზრდოებდეს გაერთიანებას. ჯერჯერობით კი გაერთიანება თავისთვისაა, წრეები კი — თავისთვის. სიმართლის თქმა ყოველთვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ სასარგებლო კი მუდამაა.

ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ გრ. აბაშიძის, ნ. დუმბაძის, ჯ. ჩარკვიანის, ა. ადამიას და სხვათა მოსაზრებები, რომ ახალგაზრდა მწერალთა ზრდისა და წრთობისათვის აუცილებელია მათი ნაწერების, პუბლიკაცია, რადგან „ფრთები ფრენაში მაგრდება!“ სავსებით სწორია, მაგრამ აძისი მხოლოდ აღიარება არ კმარა, თუ საქმითაც არ გავამაგრეთ ჩვენი ნათქვამი. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ძირითადად უნდა იბეჭდებოდნენ ახალგაზრდულ ორგანოებში — „ახალგაზრდა კომუნისტში“ და „ცისკარში“. მაგრამ, ვოდით, არსებითად შევხედოთ საქმეს. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ დროდადრო ბეჭდავს ახალგაზრდათა ლექსებს თუ მოთხრობებს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება, რადგან ეს გაზეთი გადატვირთულია ძალზე დიდი მასალებით, რომელთა გამოქვეყნება გაზეთში ყოველთვის აუცილებლობით არ არის გამოწვეული. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გაზეთმა დაიწყო დიდი ნაწარმოების გამოქვეყნება. რაც შეეხება დეტექტივებსა და ზოგი გადმოთარგმნილი მასალების ბეჭდვას, ამაზე გაზეთის ფართობი არ უნდა იკარგებოდეს. არც ის უნდა იფიქრონ ამ გაზეთში, რომ თუნდაც ყველაზე საჭირო თემებზე ბეჭდვის ეფექტი მასალის მოცულობით განიზომება: არც მრეწველობაზე, არც სოფლის მეურნეობაზე, არც კომკავშირულ ცხოვრებაზე მთელი გვერდების დათმობა სასურველი არ არის. უფრო შედეგიანი იქნება მოკლე, დამუხტული, მოქნილი, პროფესიულად მაღალ დონეზე დაწერილი, ჟანრულად მრავალფეროვანი მასალები, ვიდრე მთელი „ზეწრები“, რომელთაც მკითხველი ხალისით ვერ ჩაიკი-

თხავს ბოლომდის. თუ ამ შენიშვნას გაითვალისწინებენ, გაზეთში ახალგაზრდა მწერალს მეტი ადგილი დარჩებოდა. არა გვგონია, ამისი გათვალისწინება საზიანო იყოს.

რაც შეეხება ჟურნალ „ცისკარს“, უნდა ვთქვათ, რომ მისი ავტორების ასაკმა ძალზე გადაინაცვლა, ორმოც წელსაც მიუახლოვდა და იქითაც გადაიწია. ჟურნალში, ცხადია, გვხვდება ახალგაზრდობაც, მაგრამ მათი ხვედრი წონა მცირეა. არც გასაკვირია, რომ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ხშირად ჩივიან — „ცისკარი“ ხანდაზმულთა ჟურნალი გახდაო.

ორში ერთი — ან ახალგაზრდებს სხვა ჟურნალი უნდა დაეუარსოთ და „ცისკარი“ „დიდების“ ორგანოდ დარჩეს (რაც საქმეს სულაც არ ავნებს), ან „ცისკრის“ ავტორთა უმეტესობა ახალგაზრდები უნდა იყვნენ, ჟურნალმა თავდაპირველი ფუნქცია უნდა დაიბრუნოს.

ცხადია, ახალგაზრდებს სხვა ორგანოებიც უთმობენ ადგილს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება, რადგან ჩვენში დამკვიდრდა არაჯანსაღი, უხერხული პრაქტიკა: თუ მწერალთა კავშირის მდივანი არ ხარ ან რამე თანამდებობა არ გიკავია, თუ რომელიმე გამომცემლობაში ან რედაქციაში არ მუშაობ და ხვალ შენგან რაიმე სამაგიეროს არ მოელიან, ისე ახალგაზრდებს კი არა, უფროსებსაც უჭირთ მასალის გამოქვეყნება. პირდაპირ გამაღიზიანებლად და ხელისშემშლელად მოქმედებს ეს პრაქტიკა, სხვა რომ არაფერი, ზნეობრივადაც იგი ლამაზად არ გამოიყურება...

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მკაფიოდ და გარკვევით წერია, რომ საჭიროა სარედაქციო კოლეგიებში და გამომცემლობათა საბჭოებში ახალგაზრდების შეყვანა. ეს ალბათ იმასაც გულისხმობს, რომ ამ გზით ახალგაზრდები შეძლებენ უფრო ეფექტურად დაიცვან თანატოლთა ინტერესები. გადავხედოთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს და დავაკვირდეთ მათს შემადგენლობას. ადვილად დავინახავთ, რომ ზოგი პირი რამდენიმე რედკოლეგიაშია, თითქოს შეუცვლელი იყოს ან ხალხი გვიჩირდეს. ზოგი კი იქ ისეთიც შეგხვდებათ, რომელიც როგორც პიროვნება და მოღვაწე ეგება ძალზე დიდ სიმპატიასაც იმსახურებდეს, მაგრამ მწერლობასთან და ჟურნალისტიკასთან მას საერთო არაფერი აქვს. რატომ, რა მიზნით მოხვდა იგი რედკოლეგიაში? უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას სუბიექტურმა ფაქტორებმა გადაწონეს ობიექტური აუცილებლობა... ასეთ ვითარებაში ახალგაზრდათათვის იქ ადგილი აღარ რჩება.

პარტია მოგვიწოდებს ვიყოთ მართალნი, პრინციპულნი, საქმის არსით დაინტერესებულნი და გულგამაგრებულნი. ამ შეგნებით

ვხელმძღვანელობდით, როცა ამ წერილში ჩვენს სურვილებს გამოვთქვამდით და რიგ შემთხვევაში ჩვენს დამოკიდებულებასაც ვამჟღავნებდით. ზოგი ჩვენი კოლეგა ასეთ სიტყვებზე ღიმილს არ იშურებს, იგი მოქნილი ხერხებით ფონს გადის, არა მარტო თავს არაფერზე იწუხებს, არამედ წარმატებასაც ბევრს აღწევს. მაგრამ დროებითმა და წარმავალმა მდგომარეობამ თავბრუ არავის უნდა დაახვიოს.

მიუხედავად ზოგი ხარვეზისა და ნაკლისა, ჩვენს შემოქმედებითს ახალგაზრდობას უჩვეულოდ კეთილმყოფელ გარემოში და ვითარებაში უხდება ცხოვრებისა და მოღვაწეობის დაწყება. უფროსი თაობის მწერლები მათ მიმართ შეიძლება „კეთილი შურით“ ივსებოდნენ, რადგან ადრე არასოდეს ყოფილა შემოქმედი ახალგაზრდა გარემოსილი ესოდენი ზრუნვითა და ყურადღებით. ახალგაზრდა შემოქმედს პარტიამ სავალი გზა გაუწალდა, გაუნათა და წარმატებების მისაღწევად ყველა პირობა შეუქმნა. ახლა ახალგაზრდის ნიჭიერებასა და შრომისუნარიანობაზეა დამოკიდებული მისი შემოქმედებითი წინსვლა. პარტიის ზრუნვას მათ უხვი და საუკეთესო ნაწარმოებით უნდა უპასუხონ.

სად მზადდება მწერალთა ცვლა?

საზოგადოების ყველა სფეროში მომუშავე ადამიანების ცვლას ჩვენი სახელმწიფო გეგმაზომიერად და მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების საფუძველზე ამზადებს. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მზადდება მუშათა კლასის ცვლა, ტექნიკუმები და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ ტექნიკური ინტელიგენციის ცვლას, მრავალი პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო თუ სხვა განხრის უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ მასწავლებელთა, აგრონომთა, ექიმთა და სხვა დარგების მუშაკთა ცვლას. ცვლაო, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც ჩვენი მომავალი ცვლაა. ცვლაზე ზრუნვა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა და ამიტომ ქვეყანა არაფერს ზოგავს ღირსეული ცვლის მომზადებისათვის.

მაგრამ ეგებ ვინმე ფიქრობს, რომ ეს ითქმის მხოლოდ სახალხო მეურნეობის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე კადრებზე? არა, ასე არ არის. ცვლა ცხოვრების ყოველ დარგში მომუშავეებს სჭირდება. რომ ავიღოთ ისეთი სპეციფიური დარგი, როგორც არის მეცნიერება, იგიც ზრუნავს თავისი ცვლის აღზრდაზე ასპირანტურის გზით.

ეგებ ვინმე ფიქრობს, შემოქმედებითი მუშაობა იმდენად სპეციფიურია, რომ ამ სფეროში ცვლის აღზრდაზე ფიქრი გამორიცხულია? არა, არც ეს არის მართალი. ასე რომ იყოს, მაშინ გაუმართლებლად უნდა მიგვეჩნია მრავალი დარგის შემოქმედებითი ინტელიგენციის მომზადება სპეციალურ ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში — კონსერვატორიასა, სამხატვრო აკადემიასა, თეატრალურ ინსტიტუტსა თუ კინოინსტიტუტში. განა დასახელებულ სასწავლებლებში გეგმაზომიერად არ იზრდებიან ისეთი სპეციალისტები, რომელთაც ძალზე მკაფიოდ გამოხატული სპეციფიური შემოქმედებითი პროფილი ახასიათებთ? ასეთები არიან აქტიორები, რეჟისორები, დირიჟორები, კომპოზიტორები, მხატვრები, მოქანდაკენი და ა. შ. ეფიქრობთ ეჭვის ქვეშ არავინ დააყენებს ამ დარგებში მომუშავეთა სპეციალური მომზადების საჭიროებას. ამას სახელმწიფო დიდი ხანია ახორციელებს.

ახლა გადავხედოთ საკითხს, თუ როგორაა მოგვარებული მწერალთა მომზადებისა და აღზრდის საქმე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვით საკითხის ასეთი დასმაც კი ზოგ ამხანაგში ღიმილს გამოიწვევს, რადგან ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მწერლის მომზადება შეუძლებელია, კაცს მწერლობას ვერავინ ასწავლისო. ისინი გავრცელებული შაბლონის მიხედვით ამბობენ: შოთა რუსთაველს ან ვაჟას ვინ ასწავლა წერა, მაგრამ ისინი გენიოსი პოეტები იყვნენო. კი ბატონო. ჩვენც ვიკითხავთ, ლადო მესხიშვილმა რომელი თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა, რომ ისეთი ბრწყინვალე აქტიორი იყო? მაგრამ განა თანამედროვე პირობებში საკითხის ასეთი დასმა სერიოზული იქნება? ამ შაბლონსა და მოძველებულ აზრს რომ დასდგომოდნენ, მაშინ უნდა გაეუქმებინათ ან სულაც არ უნდა დაეარსებინათ თეატრალური ინსტიტუტი, ასევე სამხატვრო აკადემიაც, (აბა, ნ. ფიროსმანიშვილს ხატვა ვინ ასწავლა?), კონსერვატორიაც (დედას ლევანამ რომელი ვოკალური ფაკულტეტი დაამთავრა?) და ა. შ. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არავინ ფიქრობს და ამიტომ წარმატებით მუშაობს თეატრალური ინსტიტუტიც, კონსერვატორიაც, სამხატვრო აკადემიაც. ერთი სიტყვით, დიდი ხანია, ცხოვრებამ დაამტკიცა შემოქმედებითი ინტელიგენციის ცვლის მომზადების სისწორე სპეციალური სასწავლებლების მეშვეობით.

გამონაკლისი დარჩა მწერალთა ცვლის მომზადების საქმე, თუმცა ამ სფეროშიც ერთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია საკავშირო მასშტაბით. მხედველობაში გვაქვს გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული ორწლიანი სკოლა, სადაც ახალგაზრდა მწერლების ერთგვარი მომზადება ხდება.

იქნებ ვინმემ გვითხრას — ასეთი რამ ხომ უკვე ყოფილა, მაშ ღია კარებს რაღად ამტვრევთო. მაგრამ საქმე ასე არ არის.

პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ლიტერატურა მრავალეროვანია და, ე. ი. მრავალენოვანიც. ენა მწერლისათვის არა მარტო საყრდენია, არამედ საშენი მასალაცაა. რაგინდ ზედმიწევნით უნდა ისწავლო სხვა ენა, როგორადაც უნდა დაეუფლო მას, მისი გამოყენებისას მაინც ვერ მიაღწევ მშობლიური ენის სიღრმეებსა და საიდუმლოებებში ჩაწვდომის ტოლფასოვან ძალასა და უნარს. გრ. აბაშიძე სწორად შენიშნავდა, რომ თუმც პუშკინმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ფრანგული ენა, მაგრამ წერდა რუსულად და ამ ენაზე წერდა გენიალურად, მაშინ, როცა, ფრანგულადაც სცადა, იგივე გენიოსს სხვათა ენაზე მხოლოდ ნავარჯიშევი გამოუდიოდა. ანალოგიური მაგალითი ბევრია.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ მოსკოვში არსებულ მწერალთა სკოლაში სწავლება რუსულად ხდება, ხოლო რესპუბლიკებიდან იქ ჩასული ახალგაზრდა მწერლების უმეტესობა თავის მშობლიურ ენა-

ზე წერს, აქ ამჟღავნებს თავის ნიჭსა და უნარს, ხოლო რუსულს ისე ვერ დაუფლებია, რომ მხატვრული შემოქმედების ნიუანსებში გაიკვლიოს გზა-ბილიკები... რა დასამალია, და იმ სკოლაში წასვლაზე ბევრი ახალგაზრდა მწერალი უარს სწორედ ენობრივი ბარიერის გამო ამბობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსკოვიდან შინ დაბრუნებულმა ასეთმა კაცმა ისევ თავის მშობლიურ ენაზე უნდა წეროს. გამოდის, რომ იქ ორი წელი ტყუილა იჯახირა და შედეგიც ვერ მიიღო.

ენობრივი სპეციფიკა შემოქმედების ყველა დარგზე უფრო სწორედ მხატვრულ ლიტერატურაში მჟღავნდება, ამიტომ მწერალთა ცვლის მომზადება ადგილზე, მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებდეს, თუ მხატვრის ტილო ფერთა იდუმალი შეზავების წყალობით, ან კომპოზიტორის ჰანგები გამოსახვის თავისებური საშუალებით გასაგებია ყველა ენაზე მოლაპარაკეთათვის, ამას ვერ ვიტყვით მწერლის ნაწარმოებზე, რომელიც თავის ბუნების წყალობით ქმნის ე. წ. ენობრივ ბარიერს. იგი თარგმანის გარეშე სხვათათვის გაუგებარია. ნახატი და მუსიკა კი ამ ბარიერს არ სცნობს.

რაკი პირველ რიგში ჩვენ ქართული ლიტერატურა გვაქვს მხედველობაში, გვინდა დავაყენოთ კითხვა — სად მზადდება ქართველ მწერალთა ცვლა? შეიძლება ამ კითხვაზე მოკლე, მაგრამ სავალალო პასუხი გავცეთ: არსად!

იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ ამ მოვალეობას ასრულებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი? ეს მცდარი აზრია, რადგან მის პროფილში შედის მასწავლებლისა და მომავალი მეცნიერის მომზადება და არა მწერლისა. რატომ? იმიტომ, რომ სასწავლო გეგმები და პროგრამები ასეა აგებული. აქ ისწავლება ენები, ლიტერატურათა ისტორიები, მინიმუმი ლიტერატურის თეორიისა, მაგრამ არა მწერლობის თეორია და პრაქტიკა, როგორც, მაგალითად, ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტს ასწავლიან ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკას, ასევე რამდენიმე ისეთ სპეციალურ დისციპლინას, რომლებიც ხელს უწყობენ მათ დასპეციალებას, დაოსტატებას ცხოვრებისეული ფაქტებისა და მოვლენების მოხდენილ ასახვაში, პუბლიცისტიკის ფორმების დაუფლებაში. მსგავსი საგანი ფილოლოგიის ფაკულტეტზე არაფერი ისწავლება, რაც ხელს შეუწყობდა ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდის მწერლობაში დაოსტატებას.

ეგებ ვინმე ფიქრობს, რომ მწერალთა ცვლა იზრდება უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი სასწავლებლების ლიტერატურულ წრეებში? სხვა ინსტიტუტებში არსებული ლიტერატურული წრეების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან მათ მუშაობას კარგად არ ვიც-

ნობთ, მაგრამ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრესთან 30 წლის მანძილზე განუწყვეტლივ ვართ დაკავშირებული, მას კარგად ვიცნობთ და შეგვიძლია ამაზე ზოგი რამის თქმა.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ მართლაც დიდი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას იმით, რომ მასში აღზრდილი ბევრი ახალგაზრდა დღეს ქართული ლიტერატურის წამყვანი ძალაა. არსებობის 30 წლის მანძილზე ამ წრეში ორასზე მეტმა ახალგაზრდა მწერალმა მიიღო პირველი ნათლობა, მათგან დღეს ასზე მეტი არის ჩვენი მწერალთა კავშირის წევრი. მათ შორის არიან რუსთაველის პრემიის ლაურეატები, კომკავშირის პრემიის ლაურეატები, კონკურსებში გამარჯვებულნი, შესანიშნავი რომანების, მოთხრობების, პოემების, ლექსების, პიესების, წერილების, გამოკვლევების ავტორები. მათი გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა... მიუხედავად ასეთი დიდი ღვაწლისა, ეს წრე მაინც არ არის ის კერა, რომელსაც ერთადერთს შეიძლება ეკისრებოდეს მწერალთა ცვლის აღზრდა. მიუხედავად იმისა, რომ წრე რეგულარულად მუშაობს, ყოველ კვირაში ერთხელ ეწყობა სხდომები, რომლებზეც კითხულობენ და განიხილავენ ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებს, არის კამათი და ბოლოს, წრის ხელმძღვანელის შემაჯამებელი სიტყვა; მიუხედავად იმისა, რომ წრეში დროდადრო ვიწვევთ გამოჩენილ მწერლებს, მეცნიერებს, სხვა დარგების მოღვაწეებს, რომლებიც ახალგაზრდა მწერლებს ესაუბრებიან სხვადასხვა პრობლემებზე, წრეში ეწყობა სხვა სახის ღონისძიებებიც, მაინც ეს არ არის საკმარისი.

იქნებ მწერალთა კავშირში არსებული ახალგაზრდული სექცია იტვირთავს ჩვენ მიერ დასმული საკითხის გადაჭრის ფუნქციას? ესეც გამორიცხულია, რადგან, რა დასამალია, რომ დასახელებული სექცია თითქმის არ მოქმედებს. ავიღოთ თუნდაც ერთი ფაქტი. ამას წინათ გაიმართა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცეკას დადგენილებას ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციასთან მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პლენუმზე, სადაც განიხილებოდა ახალგაზრდა, მწერალთა საკითხი, სიტყვით არ გამოსულა არც ერთი ახალგაზრდა, რომ თავისი თაობის საჭირბოროტო საკითხებზე ელაპარაკა; აქვე სიტყვა არ თქმულა ახალგაზრდა მწერალთა წრეებზე, მათ მუშაობაზე, თუმცა ჯერჯერობით მწერალთა კავშირის შევსება სწორედ ამ წრეებიდან მოდის; აქვე სიტყვაში არ გამოუყვანიათ რომელიმე წრის ხელმძღვანელი. ერთი სიტყვით, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არცკი ახსოვთ ახალგაზრდა მწერალთა წრეების არსებობა. ზემოთ დასახელებული სექცია მწერალთა კავშირში რომ მართლა მუშაობდეს, მაშინ ასეთი რამ არ მოხდებოდა. მაგრამ ჩვენ ხომ

მხოლოდ ერთი ფაქტი მოვიტანეთ, სინამდვილეში ბევრის თქმა შეიძლებოდა.

ადრე ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთანაც არსებობდა ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებები, განსაკუთრებით „ახალგაზრდა კომუნისტთან“ და „ჩვენს თაობასთან“, მაგრამ მოგეხსენებათ, ახლა ეს საქმე თითქმის დავიწყებულია.

მაშ სად მზადდება ქართველ მწერალთა ცვლა? როგორც დავინახეთ, ისე არსად, როგორც ეს საჭიროა. ამიტომ ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ გამოიძებნოს ახალგაზრდა მწერალთა აღზრდის ისეთი ფორმა, რომელიც ნიჭიერ, მწერლური ტალანტით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს ჩაწვდეს მწერლის შემოქმედებით საიდუმლოებებს, დაეუფლოს წერის ტექნიკას, შეძლოს დაოსტატება.

ანალოგიისათვის შეიძლება გავიხსენოთ ჟურნალისტთა კადრების აღზრდის მაგალითი. ყველასათვის ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის განყოფილება დაარსდა 1949 წელს. ისიც ცნობილია, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენში ჟურნალისტიკა თანდათან გაძლიერდა და ამაღლდა. ბევრი ჩინებული ჟურნალისტიც გამოჩნდა და მათ ერის სასიკეთოდ ბევრი რამ გააკეთეს. ერთი სიტყვით, არ არსებობდა ჟურნალისტიკის განყოფილება, როგორც ჟურნალისტთა მომზადების კერა, მაგრამ გვყავდა ილია, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი და მრავალი სხვა დიდებული ჟურნალისტი. კეთილი და პატიოსანი. 1921 წლიდან 1949 წლამდეც არ გაგვაჩნდა ჟურნალისტიკის განყოფილება ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ გვყავდნენ ქართველი საბჭოთა ჟურნალისტები. იმის მიუხედავად, რომ ზოგი პრიმიტიულად ფიქრობდა — ილიამ ჟურნალისტიკის განყოფილება თუ არ დაამთავრა, ვერ იყო ჩინებული ჟუნალისტიო! ჩვენში 1949 წელს უნივერსიტეტში დაარსდა ჟურნალისტიკის სპეციალობა და ეს იყო პარტიისა და ხელისუფლების სიბრძნის კიდევ ერთი გამოხატულება. ეს განყოფილება ზრდის კადრებს, რომლებიც ახლა წარმატებით მუშაობენ არა მარტო საქართველოს ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობებში, ტელევიზიასა და რადიოში, არამედ ბევრ სახელმწიფო თუ პარტიულ დაწესებულებებშიც და უიმათოდ ახლა უკვე ძნელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოდგენა.

უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სასწავლო გეგმები და პროგრამები ისეა შედგენილი, რომ წარმატებით ხორციელდება ჟურნალისტური კალმის ოსტატთა აღზრდა. აქ გათვალისწინებულია თეორიაც და პრაქტიკაც, ფართო განათლებაც, ცხოვრების

ცოდნაც, სპეციფიკაც, ჟანრების დაუფლებაც და ა. შ. ყოველივე ეს გვაძლევს მომავალი ჟურნალისტის აღზრდის საშუალებას.

ავიღოთ თუნდაც კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტი, რომელიც მომავალ კომპოზიტორებს ამზადებს. ხომ ცნობილია, რომ კომპოზიტორი ისევე თხზავს მუსიკალურ ნაწარმოებს, როგორც მაგალითად, პოეტი — ლექსს. მაშინ საკითხავია, თუკი შეიძლება უმაღლესმა სკოლამ მოამზადოს კომპოზიტორი, რომელიც კონსერვატორიაში დაეუფლება თეორიული და შემოქმედებითი პრაქტიკის ცოდნის გარკვეულ მარაგს, რატომ არ შეიძლება ასეთივე მსგავსი შემოქმედებითი დარგის — მწერლის მომზადება შესაბამისი ფორმით, ისეთი შემოქმედებითი საგნების დაუფლების გზით, რაც სპეციალურად მომავალი მწერლისათვის იქნება შერჩეული საგანგებოდ შედგენილი სასწავლო გეგმებით, სპეციალურად შემუშავებული პროგრამებით? ცხადია, პირველ რიგში ანგარიში გაეწევა სამწერლო ნიჭიერებას, მაგრამ განა მომავალ კომპოზიტორს ეს მოთხოვნილება ასევე არ წაეყენება?

თუ ზემოთ ნათქვამს დაგვიჯერებენ, მაშინ შეიძლება დადგეს საკითხი, თუ სად შეიძლება დაარსდეს მწერალთა ცვლის მომზადების კერა. ძალზე გაბედული იქნებოდა გვეოცნება სპეციალური ინსტიტუტის დაარსებაზე, მაგრამ თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოქმედებითი განყოფილების დაარსება რეალურად მიგვაჩნია. იგულისხმება, რომ იგი თვისებრივადაც და შინაარსითაც უნდა განსხვავდებოდეს ყველა დანარჩენი განყოფილებისაგან, რომლებიც ახლა ფაკულტეტზე არსებობს (ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, კავკასიური ენების, კლასიკური ფილოლოგიის).

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ განყოფილებაზე (სპეციალობაზე) მიღება უნდა ხდებოდეს ცალკე და საგანგებოდ და არა საერთო ნაკადთან ერთად, ეს იმიტომ რომ გამოცდამ გამოამჟღავნოს აბიტურიენტის მწერლური ნიჭიერება ისევე, როგორც კონსერვატორიაში, სამხატვრო აკადემიაში ან თეატრალურ ინსტიტუტში ანალოგიური გამოცდები მიზნად ისახავს სპეციალობაში აბიტურიენტის ნიჭიერების გამომჟღავნებას. დასახელებულ სასწავლებლებშიც ხომ პირველად სპეციალურ საგნებში ბარდება გამოცდა, ხოლო მერე საერთო საგნებში.

ჩვენთვის სასურველ განყოფილებაზე სპეციალურ საგნებს უნდა ასწავლიდნენ საგანგებოდ შერჩეული ლექტორები — გამოჩენილი მწერლები, რომლებიც ახალგაზრდებს გადასცემენ თავიანთ გამოცდილებას, თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები, სათანადოდ შერ-

ჩეული ლექტორები, რომლებიც ლექციებს წაიკითხავენ და პრაქტიკულ ვარჯიშებს გაუძღვებიან სპეციალურ საგნებში.

ყოველივე ეს ორგანიზაციულ-პრაქტიკული საკითხია, რაც თანდათან მოგვარდება. მთავარია დაარსდეს ჩვენ მიერ შემოთავაზებული განყოფილება (სპეციალობა). როცა ჩვენში კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია ან თეატრალური ინსტიტუტი არსდებოდა, მაშინაც იდგა პედაგოგთა კადრების საკითხი, მაგრამ მალე იგი მშვენივრად გადაიჭრა. ასე მოხდება აქაც.

განყოფილებაზე მისაღებთა რიცხვი, ცხადია, დიდი არ იქნება, ისევე, როგორც მცირეა მათი რიცხვი სამხატვრო აკადემიაში, კონსერვატორიაში, თუნდაც ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. მთავარია ნიჭიერი და საიმედო ცვლის მომზადება ჩვენი მწერლობისათვის. ახლა ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული, მწერლობაში მოდიან სტიქიურად, ვისაც როგორ მოუხერხდება. ეს კი მრავალ უხერხულობას იწვევს.

ჩვენი ღრმა რწმენით, დადგა დრო, როცა მწერალთა ცვლის მომზადების საკითხიც უნდა გადაიჭრას გეგმაზომიერად, მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების საფუძველზე. ამ საქმის მოგვარება იქნება ერთ-ერთი პრაქტიკული ნაბიჯი, გადადგმული იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გასული წლის შემოდგომაზე მიიღო ახალგაზრდა შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე.

ხმად მღაღადებლისა?..

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1977 წლის 2 ივლისის ნომერში გამოვაქვეყნეთ წერილი სათაურით — „სად მზადდება მწერალთა ცვლა?“. მისი ძირითადი პათოსი ის იყო, რომ მსგავსად მხატვრული შემოქმედების, ხელოვნების სხვადასხვა დარგში მომუშავე კადრების შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში მომზადებისა, მწერალთა ახალგაზრდა ძალები, ე. ი. მწერლობის ცვლა უნდა მზადდებოდეს უნივერსიტეტში საგანგებოდ შექმნილ ჯგუფებში. ასეთი მოსაზრება ჩვენ მოკრძალებულად გამოვთქვით და იქვე ანალოგიისათვის მივუთითეთ, რომ როგორც მომღერალი, მუსიკოსი-შემსრულებელი, კომპოზიტორი ყალიბდება კონსერვატორიაში; როგორც ფერწერის, ქანდაკების და ხელოვნების ამ დარგის სხვა სახეებში სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობენ ახალგაზრდები; როგორც რეჟისორი, თეატრმცოდნე, აქტიორი და ა. შ. მზადდება თეატრალურ ინსტიტუტში, ასევე ლიტერატურის სხვადასხვა დარგში მომუშავე ძალები (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, მთარგმნელი) უნდა მზადდებოდეს უნივერსიტეტის სპეციალურ ჯგუფებში.

სამწუხაროა, რომ ჩვენს წერილზე გამოხმაურება გაზეთში არ გამოქვეყნებულა, თუმცა ბინაზე მივიღეთ რამდენიმე პირადი წერილი, რომელთა ავტორებიც გვწერენ, რომ „ახალგაზრდა კომუნისტს“ გაეუგზავნეთ გამოხმაურება და რატომ არ ქვეყნდებაო. ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ეს გამოხმაურებანი, ეგება ისინი ჩვენი თვალსაზრისის საწინააღმდეგოც იყო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მაინც უნდა დაბეჭდილიყო.

ახლა კი საკითხს ეუბრუნდებით უფრო ძლიერი იარაღით აღჭურვილნი და სურვილიც უფრო გაბედული გვებადება: უნივერსიტეტში კი არ შევქმნათ რომელიმე მოკრძალებული ჯგუფები, არა — მედ დავაარსოთ სიტყვიერების ინსტიტუტი (ან აკადემია — სასწავლო დაწესებულების აზრით).

გაბედული ოცნებაა ეს, თუ ეპოქის მოთხოვნით გამოწვეული აუცილებლობა?

სწორედ ეს უკანასკნელია!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის იანვრის დადგენილებაში „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ" ჩვენს ქვეყანაში კრიტიკის ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ის არის დასახელებული, რომ განვიცდით კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, ხოლო მათ მომზადებას სათანადო ყურადღება არ ექცევაო. მოვუსმინოთ თვითონ დადგენილებას: „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის ნაკლოვანებებს, აღნიშნულია დადგენილებაში, ბევრად განაპირობებს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ამავე დროს უნივერსიტეტებსა და ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებლებში არ არის შექმნილი კრიტიკის დარგში სტუდენტთა და ასპირანტთა სპეციალიზაციისათვის საჭირო პირობები, დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული ეს მუშაობა არც ლიტერატურისა და ხელოვნების სასწავლებლებში".[1]

კარგად დავუკვირდეთ ამ ამონაწერს. მასში პირდაპირ არის მითითებული, რომ კრიტიკოსთა კადრების მომზადებისათვის უნივერსიტეტებში სპეციალიზაცია უნდა არსებობდესო. უფრო მეტიც, აქ ნათქვამია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს ლიტერატურისა და ხელოვნების სასწავლებლები და ისინიც უნდა ამზადებდნენო კრიტიკოსებს. ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლები რომ არსებობს (კონსერვატორია და სხვ.), ეს ყველამ იცის, მაგრამ აქ ნახსენებია ლიტერატურის სასწავლებლებიც და ამჯერად ჩვენთვის ესაა მთავარი. მართლაც, მოსკოვში არსებობს ლიტერატურის სასწავლებელიც და მწერალთა კურსებიც. ასეთი, თუ არ ვცდებით, ორიოდე სხვა ქალაქშიც არსებობს. მაშ რატომ არ შეიძლება ანალოგიური სასწავლებლის შექმნა საქართველოშიც? პირდაპირ გაუგებარია ის კონსერვატიზმი, რომელსაც ამ საკითხის გაგებაში იჩენს ჩვენი ზოგიერთი ამხანაგი. რაკი აქამდე არ არსებობდა, მაშ არც ახლა შეიძლება მისი დაარსებაო. ეს ხომ ერთ ადგილზე ტკეპნაა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. ამ პოზიციაზე რომ ვმდგარიყავით, მაშინ ბევრ სიახლეზე უნდა გვეთქვა უარი. მაგრამ განა ცხოვრების განვითარება ამას გულისხმობს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სხვათა შორის, არ დაჯერებია მხოლოდ ფაქტის აღნიშვნას, მან დადგენილებითს ნაწილში სიტყვა-სიტყვით აი რა ჩაწერა:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეიცავს რეკომენდაციებს, რომ გაუმჯობესდეს ლიტერატურის, კინოს, თეატრის, მუ-

---

[1] გაზეთი „კომუნისტი", 25 იანვარი, 1972 წ.

სიკის, სახვითი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგის სპეციალისტთა მომზადება. მხედველობაშია, რომ უნივერსიტეტების, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში გაითვალისწინონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის პრობლემებზე სტუდენტთა და ასპირანტთა ფაკულტატური სპეციალიზაციისათვის საჭირო პირობები...“[1]

მაგრამ ეგებ ვინმემ იფიქროს, რომ ეს ეხება მხოლოდ კრიტიკას და ლიტერატურის სხვა დარგები — პოეზია, პროზა, დრამატურგია აქ არაფერ შუაშიაო. განა ერთხელ თქმულა, რომ კრიტიკა მწერლობის ისეთივე დარგია, როგორც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი? ამაზე ხომ აღარ დავობენ. ამ დადგენილებაში კრიტიკაზე იმიტომ კეთდება მახვილი, რომ საერთოდაც ეს დადგენილება სახელდობრ კრიტიკაზეა. მაშასადამე, თუ კრიტიკა მწერლობის ორგანული ნაწილია, ხოლო მისთვის კადრების მომზადება არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა, მწერლობის სხვა დარგებისთვისაც ს პ ე ც ი ფ ი კ ი ს გ ა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ი თ, ასევე აუცილებელია ცვლის მომზადება.

ეს აზრი ბევრს აფრთხობს. რა არის აქ გაუგებარი? განა პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა სპეციალურ ფაკულტეტზე, საგანგებოდ შედგენილი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, სათანადო შემოქმედებითი გამოცდილებით დაბრძენებულმა პედაგოგებმა რომ მოამზადონ, ეს შედეგს არ გამოიღებს? რამდენჯერ შეგვიმჩნევია, რომ კაცს ბუნებით მომადლებული ნიჭი აქვს ლექსის თხზვისა, მაგრამ მას აკლია განათლება, ტექნიკა, პოეზიის იდუმალ ხვეულებში გზის გაკვლევის ჩვევა. ამიტომ ყოველიე ამის უქონლად ასეთი კაცის შემოქმედება გაურანდავი და ზერელეა, ნაკლოვანია. ჩვენ იმას ხომ არ ვამბობთ, რომ ნიჭის გარეშე ხდებოდეს შერჩევა, და, გინდა თუ არა, ვინმე ძალათ გავხადოთ პოეტად ან პროზაიკოსადო. ჩვენ ვლაპარაკობთ ნიჭიერთა აღზრდაზე, მათ პროფესიონალურ მომზადებასა და დაოსტატებაზე, მათი განათლების გაფართოებაზე. ეს ეხება პოეტსაც, პროზაიკოსსაც, დრამატურგსაც და კრიტიკოსსაც.

სხვათა შორის, საბჭოთა მწერლების V საკავშირო ყრილობაზე, 1971 წლის ივნისის ბოლოს რომ გაიმართა, მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ს. ს. ნაროვჩატოვმა მოითხოვა, რომ შეიქმნას სსრ კავშირის ლიტერატურული

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 25 იანვარი, 1972 წ.

აკადემია[1]. ასე რომ, ჩვენზე ადრე ანალოგიური აზრი სხვასაც ჰქონია. თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირის მასშტაბით ასეთი აკადემიის დაარსება გამართლებული არ იქნება თუნდაც ენობრივი ბარიერის გამო. იქ მოსალოდნელია, რომ შემოქმედებითი ვარჯიში და სპეცკურსებსა და სპეცსემინარებში მუშაობა იწარმოებს ერთ რომელიმე ენაზე, სხვა ენებზე აღზრდილი ადამიანებისათვის კი ეს სიძნელეს შექმნის. ამ საკითხზე თავის დროზე მოხდენილი მაგალითი მოიტანა ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ, როცა შენიშნა, რომ თუმცა ა. ს. პუშკინი ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ ენას, მან სცადა კიდეც ამ ენაზე ლექსების თხზვა, მაგრამ პოეტის გენია რუსული ენის მშობლიურ სამყაროში გამობრწყინდა, რადგან აუარებელი ნიუანსით ყველა ადამიანი, მითუმეტეს მწერალი, სწორედ მშობლიურ ენასთანაა შეზრდილი და მასში ავლენს შემოქმედებითს წარმატებებს. ამის არც დავიწყება შეიძლება და არც იგნორაცია. ამიტომ ლიტერატურული აკადემია თუ ინსტიტუტი ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას მშობლიურ ენაზე.

ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ და მეორე წელს, როცა ჩვენი ეროვნული თეატრი მძიმე დღეებს განიცდიდა, დაისვა საკითხი თეატრისათვის კადრების მომზადების შესახებ. პრესაში მაშინ მთელი პოლემიკაც გაჩაღდა ამ საკითხზე. დავობდნენ იმაზე, თუ სად შექმნილიყო თეატრალური სტუდია — მოსკოვსა თუ თბილისში. ცნობილია, რომ ვლ. მჭედლიშვილი სტუდიის გახსნას მოსკოვში მოითხოვდა და ამას ასაბუთებდა პედაგოგთა კადრების მოსკოვური უპირატესობით. სხვები კი, მათ შორის ვარამ გაგელი (ტიციან ტაბიძის ფსევდონიმი იყო), კატეგორიულად მოითხოვდნენ სტუდიის თბილისში, ქართულ ენაზე დაარსებას. როგორც ვიცით, გაიმარჯვა ამ აზრმა. მოგვიანებით ხომ თეატრალური ინსტიტუტიც დაარსდა თავისი ფაკულტეტებით. ამ ბოლო წლებში კი მან კინოხელოვნებისთვისაც იკისრა კადრების მომზადება.

ასეთი იყო დროის მოთხოვნა, ასეთი იყო ეროვნული თეატრის ინტერესებიდან გამომდინარე პირობები. საღმა და რეალისტურმა აზრმა გაიმარჯვა და მის ნაყოფს ჩვენ დღეს უხვად ვიმკით.

ახლა შევხედოთ ეროვნული ლიტერატურის განვითარების პერსპექტივას ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ნოყიერი ნიადაგისა და ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის ვითარებაში. განა ქართული ლიტერატურის მომავალი უფრო მძლავრი აღმავლობისათვის უკეთესი

---

1 გაზეთი „კომუნისტი", 1 ივლისი, 1971 წ.

არ იქნება, თუ მწერლური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, მეცნიერულად გააზრებული სასწავლო გეგმებისა და მეთოდების საფუძველზე, აღვზრდით სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც ექნება პოეზიის, პროზის, დრამატურგიის, კრიტიკის, თარგმანის ფაკულტეტები ან სპეციალობები? ცხადია, ყოველ ამ ფაკულტეტზე მოსწავლეთა რიცხვი დიდი არ იქნება, ისიც ნათელია. რომ გარდა სპეციალური საგნებისა ეს სტუდენტები იქ შეისწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებსაც უმაღლესი სკოლის ფარგლებში, როგორც ეს უკვე ხდება სამხატვრო აკადემიაში, კონსერვატორიაში, თეატრალურ ინსტიტუტში. ისიც ცხადია, რომ ასეთ უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო დროის დიდი ნაწილი დაეთმობა ლიტერატურულ-შემოქმედებით წრთობას, თითოეული სტუდენტისათვის „ხმის დაყენებას“, როგორც ეს სინამდვილეში ხდება, ვთქვათ, ვოკალის ფაკულტეტზე.

აბა წარმოიდგინეთ ახალგაზრდა, რომელმაც საშუალო სკოლაში უკვე გამოამჟღავნა პოეტური ნიჭი, ის სპეციალური გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ მოხვდა სიტყვიერების აკადემიაში, იგი სწავლობს უმაღლესი სკოლისთვის გათვალისწინებულ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს, დიდ დროს კი იგი ახმარს პოეტიკის შესწავლას, ვარჯიშს გამოცდილი ოსტატების ხელმძღვანელობით. ეუფლება ლექსის ტექნიკას, მის ნაწერებს განიხილავენ აკადემიურ ჯგუფში, ხელმძღვანელი კვალიფიციურად ჩაერევა ამ განხილვაში და ასე თანდათან იხვეწება ახალგაზრდა შემოქმედის ხელწერა, თანდათან ოსტატდება იგი პოეტად... განა, მაგალითად, სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე ასე არ არის? განა იქ სტუდენტი არ ეუფლება მეცნიერების სხვადასხვა დარგს, მაგრამ პედაგოგის ხელმძღვანელობით გამუდმებით არ ეუფლება ფერის ხმარების საიდუმლოს, ფუნჯის მოსმის ტექნიკას, შუქ-ჩრდილის გამოყენების წესებს და ა. შ.? რატომაა ყოველივე ამის სწავლება შესაძლებელი მხატვრისათვის, კომპოზიტორისათვის, ხოლო მწერლისათვის იგივე საქმე რატომაა შეუძლებელი? განსხვავება მათ შორის მხოლოდ თითოეული ამ დარგის სპეციფიკაშია, გამოსახვის ფორმებსა და საშუალებებში და მასალაშია? საერთო კი. მათ შორის ხომ ისაა, რომ ყველა მათგანი (ხატვა, მუსიკის თხზვა, ლექსის წერა) მხატვრული შემოქმედებაა, რაც ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურ ნიჭთან არის დაკავშირებული?

ჩვენ ზემოთ მოვიშველიეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხი სადისკუსიოდ კი არაა გამხდარი, არამედ შესასრულებლად სავალდებულოა, გამოცხადებული

და მითითებულია მისამართები, ვინც იგი უნდა შეასრულოს. ამიტომ ჩვენ ვაყენებთ კითხვას — რატომ არ სრულდება დადგენილების ეს ნიწილი? ვისაც ეს ეხება, რას უცდის? ამ ასპექტში გვახსენდება ამხ. ე. შევარდნაძის მიერ ერთი მაღალი ტრიბუნიდან ნათქვამი სიტყვები, რომ დადგენილებები უნდა სრულდებოდესო. სიამოვნებით ვიმეორებთ ამ სიტყვებს და შედეგის იმედიც გვაქვს.

ერთიდაიგივე საკითხზე პრესაში ჩვენი მეორედ გამოსვლის მიზანი ის არის, რომ მეტი სიცხადე შევიტანოთ საკითხის არსში, თანაც არავის მოეჩვენოს ჩვენი ხმა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ჩვენს მხარეზე დიდი სიმართლეა და დიდად ავტორიტეტული დოკუმენტი, რომელიც ძირშივე გამორიცხავს ამ ხმის არ მოსმენის შესაძლებლობას.

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი წრთობის კერა

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომელსაც ახლა 30 წელი უსრულდება, დაარსდა 1947 წლის სექტემბერში. მისი შექმნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო მაშინდელი რექტორი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი. სწორედ მან შეამჩნია, რომ უნივერსიტეტში იყვნენ ლიტერატურით გატაცებული ახალგაზრდები, რომლებიც წერდნენ, კამათობდნენ, ფიქრობდნენ... და ამ ახალგაზრდების შემოქმედებითი და იდეური წრთობა სწორად რომ წარმართულიყო, რექტორმა საჭიროდ ჩათვალა მათი გაერთიანება წრეში, რომელსაც გამოცდილი ხელმძღვანელი გაუძღვებოდა. რექტორმა წრის ხელმძღვანელობა დააკისრა მაშინ უნივერსიტეტის დოცენტს, ცნობილ კრიტიკოსს, მრავალ ლიტერატურულ ბრძოლაში გამობრძმედილ ბესო ჟღენტს.

პირველი სხდომა გაიმართა პირველ კორპუსში, 90-ე აუდიტორიაში, სადაც ამჟამად რუსთველის კაბინეტია. ეს იყო საორგანიზაციო ხასიათის შეკრება, რომელზედაც ილაპარაკეს ნ. კეცხოველმა და ბ. ჟღენტმა. საუბარი შეეხებოდა ქვეყნის ცხოვრებაში ლიტერატურის წინაშე მდგარ ამოცანებს და ახალგაზრდა მწერალთა ადგილს ამ საქმეში. მომდევნო სხდომებზე უმეტესად ბ. ჟღენტი ლაპარაკობდა, რადგან წრის წევრებს ერთგვარი გაუბედაობა და შეკრთომა ემჩნეოდა. მერე და მერე საქმე უკეთესად აეწყო, ახალგაზრდებიც გახალისდნენ, უფრო თამამი გახდნენ და მალე ცხარე კამათიც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

წრის პირველ ნაკადში გაერთიანდნენ: ირაკლი არაბული, ეთერ ბასილაშვილი, თენგიზ ბუაჩიძე, გიორგი გელაშვილი, აკაკი გეწაძე, ნოდარ გურეშიძე, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ზურაბ კაკაბაძე, ტარიელ კვანჭილაშვილი, მედეა კვარაცხელია, ვახტანგ კეკელიძე, ქართლოს კასრაძე, ნაზი კილასონია, გურამ კლდიაშვილი, შოთა ლომსაძე, ბაგრატ მაზანაშვილი, ვალერიან საღლიანი, არჩილ სულაკაური, როზა ფეიქრიშვილი, კარლო ქილარჯიანი, ნოდარ შამანაძე, გიორგი შახსევანიძე. თამაზ ჩხენკელი, ვახტანგ ძნელაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, რევაზ ინანიშვილი, მაგალი თოდუა, შალვა ჩიჩუა, ბეჟან ბარდაველიძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსულ ნიქაბაძე, ავთანდილ სვანი, თამაზ ჭილაძე, გელა გაბუნია, ნოდარ ჩხეიძე, რევაზ ჯაფარიძე, ალექსი ჭინჭარაული, რომან მიმინოშვილი, რევაზ დოღონაძე,

ვახტანგ გოგოლაშვილი, ნია აბესაძე, არლი თაყაიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, მორის ფოცხიშვილი, სარგის ცაიშვილი, თენგიზ გოგოლაძე, ნოდარ ნათაძე, გიორგი ხუხაშვილი, გივი ვარდოსანიძე და სხვ.

ზოგი მათგანი წრის სხდომებს პირველივე დღეებიდანვე ესწრებოდა, ზოგიც თანდათანობით შეემატა, მაგრამ ეს მოხდა წრის დაარსების პირველ ორ წელიწადს და ამიტომ ყოველ მათგანს შეიძლება ვუწოდოთ წრის დამფუძნებელი წევრები.

მალე წრეს მიემატა ახალი ძლიერი ნაკადი, რომლის წარმომადგენლებმა ამ ლიტერატურულ გაერთიანებას ახალი ძალა და ენერგია შემატეს. მათ შორის არიან: ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახაძე, გივი გეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია, ზაურ ბოლქვაძე, თამაზ ბიბილური, როსტომ ბეჟანიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, ნათელა ონაშვილი, ლეილა სულხანიშვილი, გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, მანანა გვეტაძე, ლია სტურუა, რევაზ ამაშუკელი, თეიმურაზ მაღლაფერიძე, თამარ ერისთავი, ალექსანდრე სამსონია, ირაკლი კენჭოშვილი, გურამ გოგიაშვილი, კობა იმედაშვილი, ოთარ ბაქანიძე, ალექსანდრე ალექსიძე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე თავისი შემადგენლობით მუდამ ცვალებადია. ერთნი ამთავრებენ უნივერსიტეტს და წრიდანაც მიდიან, მეორენი შემოდიან უნივერსიტეტში და წრის წევრები ხდებიან. ეს პროცესი განუწყვეტელია და დღესაც გრძელდება. ამიტომ წრე ერთნაირი ძალისა და შესაძლებლობისა არასოდეს ყოფილა.

რაკი წრის პირველი წლების მუშაობამ გამოავლინა ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა ნაწარმოებებიც ყურადღებას იმსახურებდა, აკად. ნ. კეცხოველმა გადაწყვიტა დაეარსებინა წრის ბეჭდვური ორგანო ალმანახი „პირველი სხივი“. საქმე ის იყო, რომ მაშინ საქართველოში მხოლოდ ერთი ლიტერატურული ჟურნალი („მნათობი“) და ერთიც ლიტერატურული გაზეთი არსებობდა. ამიტომ ბეჭდვა დიდი მწერლებისთვისაც ჭირდა და ახალგაზრდებს, მით უმეტეს, უძნელდებოდათ ნაწერების გამოქვეყნება. ასეთ ვითარებაში ძალზე დროული და აუცილებელი იყო ალმანახის დაარსება. ამ პირობებში 1950 წელს გამოვიდა ალმანახ „პირველი სხივის“ პირველი წიგნი. მისმა გამოსვლამ წრის წევრებს პირდაპირ ფრთები შეასხა, მათ საკუთარი ძალებისადმი რწმენა ჩაუნერგა, ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანა. ამას ისიც ადასტურებს, რომ მეორე წელიწადს, 1951 წელს, გამოვიდა ალმანახის მეორე წიგნი, რომელიც პირველთან შედარებით არა მარტო მოცულობით იყო დიდი, არამედ თვისობრივადაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მასში ახალი განყოფილებები გაჩნდა, ყველა ჟანრი იყო წარმოდგენილი და მასალების

ხარისხიც გაცილებით მაღალი იყო. ასევე შეიძლება ითქვას მესამე წიგნზე, რომელიც მომდევნო, 1952 წელს გამოვიდა.

ყოველივე ამის გამო არ შეიძლება განსაკუთრებული პატივი არ მივაგოთ მაშინდელ რექტორს, აკად. ნ. კეცხოველს, რომელმაც არა მარტო დააარსა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე და მისი ალმანახი, არამედ ყოველდღიურადაც ზრუნავდა თითოეულ ახალგაზრდა მწერალზე, იცოდა მათი საზრუნავი თუ გაჭირვება, ეხმარებოდა მათ; ახერხებდა დროის გამონახვას, რათა თავისთან მიეწვია ეს ახალგაზრდები, ესაუბრა მათთან, წაეხალისებინა, სითბო ეგრძნობინებინა. ის ხშირად გვიწყობდა ექსკურსიებს, გვიჩვენებდა საქართველოს ისტორიულ თუ თანამედროვე ღირსშესანიშნაე ადგილებს, ახალ საწარმოებს, ჰესებს, მეურნეობებს, გვესაუბრებოდა მათ შესახებ. ამ ექსკურსიებზე თვითონვე გვიმასპინძლდებოდა და ყოველ ჩვენთაგანთან ამყარებდა განსაკუთრებულ ურთიერთობას. ასე იბადებოდა თემები, სიუჟეტები, განცდები, რომლებიც შემდგომში ახალგაზრდა მწერალთა ნაწერებში მჟღავნდებოდა. ეს იყო დაუვიწყარი და მიმზიდველი გარემო. ხშირად ისე გამოდიოდა, რომ წრის წევრებთან რექტორი უფრო ახლოს იყო, ვიდრე ხელმძღვანელი. მაშინ ჩასახული მეგობრობა დღესაც გრძელდება. ამიტომაა, რომ დღეს ქართველ მწერლებში ნიკო კეცხოველს ასე ბევრი მეგობარი ჰყავს. ისინი მოწიწებითა და პატივისცემით უფრთხილდებიან ამ ურთიერთობას.

1953 წელს „პირველი სხივის“ მორიგი ნომერი აღარ გამოვიდა, თუმცა მასალები შეგროვილი იყო და სარედაქციო კოლეგიის მიერ წაკითხული. ალმანახის გამოსვლის შეფერხება გამოიწვია რექტორის განთავისუფლებამ. ახალმა რექტორმა კი ამ საქმეს ვერ გაუგო და „პირველი სხივის“ გამოსვლა გადაიდო. წრის ხელმძღვანელმა კი, რომელიც ალმანახის მთავარი რედაქტორიც იყო, ერთგვარი სიფრთხილე ამჯობინა. აღნიშნულის მიუხედავად, მე-4 წიგნი გამოვიდა 1954 წელს.

კიდევ უფრო გაუარესდა საქმე მომდევნო წლებში, როცა მთელი ოთხი წლით შეფერხდა ალმანახის მორიგი ნომრის გამოსვლა. მხოლოდ 1958 წელს ერთ წიგნად გამოვიდა ალმანახის მე-5-6 ნომერი, რომელიც ყველაზე სქელტანიანია (40 საავტორო თაბახი). ეს ოთხწლიანი შეფერხება უნდა აიხსნას იმ საზოგადოებრივი მოვლენებით, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სწორედ იმ წლებში, როცა ბევრი რამ გადაფასდა.

მე-7 წიგნი კიდევ უფრო დაგვიანებით გამოვიდა. ეს მოხდა 1966 წელს, ე. ი. რვაწლიანი დაყოვნებით. ამჟამად კი მიზეზების ძებნა სხვაგან არ არის საჭირო. ამ წლებში წრის ხელმძღვანელი, რომელიც

„პირველი სხივის“ რედაქტორიც იყო, მუშაობდა მრავალ ადგილას, იყო მეტად გადატვირთული, უხდებოდა მიელინებებში ყოფნა და, რა დასამალია, წრისა და მისი ალმანახისთვის ვეღარ იცლიდა. იყო შემთხვევები, როცა ალმანახის მასალებს მოვამზადებდით, სარედაქციო კოლეგიაც განიხილავდა, მერე უნდა გადაგვეცა რედაქტორისთვის, რათა წაეკითხა და ხელი მოეწერა, მაგრამ წლების მანძილზე ამას ვერ ახერხებდა, მასალები ეწყო მის ბინაზე, ბევრი რამ ძველდებოდა და წიგნიც ვეღარ გამოდიოდა. ამან უარყოფითად იმოქმედა წრის მუშაობაზეც და ალმანახის გამოცემაზეც. ამ წლებში ბ. ჟღენტი ფაქტიურად წრის სხდომებსაც ვეღარ ესწრებოდა, ხოლო მაშინ მის მოადგილეებად დანიშნულ პირებს (ტ. კვანჭილაშვილი და ზ. ჭუმბურიძე) შეზღუდული უფლებები ჰქონდათ. როცა ეს ვითარება შეიცვალა, ალმანახიც მალე გამოვიდა (1968 წ). მოკლედ რომ ვთქვათ, ალმანახის გამოცემის შეფერხებები გამოწვეული იყო ხან ობიექტური და ხანაც სუბიექტური მიზეზებით.

შემდეგში ალმანახის მომდევნო ნომრები გამოვიდა 1973, 1975 და 1976 წლებში.

დრო გადიოდა და წრეში მოდიოდა ახალი თაობები, ხდებოდა წრის შემადგენლობის შეცვლა-განახლება. მომდევნო თაობაში უნდა დავასახელოთ ზაზა აბზიანიძე, გივი ალხაზიშვილი, თედო ბექიშვილი, ავთანდილ გურგენიძე, ალექსანდრე დიდებაშვილი, ლეილა ერაძე, დილარ ივარდავა, გიორგი ირემაშვილი, მთვარისა კერესელიძე, ელდარ კერძევაძე, ჯუმბერ ტიკარაძე, ირინე უშვერიძე, ჯარჯი ფხოველი, ბელა შალშვაშვილი, ლია ჭავჭავაძე, მურმან ჯგუბურია, ანზორ ჯიბლაშვილი, მანანა ავალიშვილი, გიორგი ბაქანიძე, გურამ დოჩანაშვილი, გიზო ზარნაძე, ვალერი სულაკაური, ჯემალ ქურხული, ბადრი ჭოხონელიძე, მირონ ხერგიანი, გიგლა სარიშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, ზეზვა მედულაშვილი, რევაზ ხვედელიძე, ელგუჯა გიუნაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, რევაზ მიშველაძე, გიორგი ჯაფარიძე, ილია ბარამიძე, თემურ გაბედავა, ზაურ მოლაშხია, შოთა ქავთარაძე, რაულ ჩილაჩავა, ვანო ჩხიკვაძე, რევაზ ჭეიშვილი, ჯაბა ასათიანი, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ჯემალ ქირია, ბესიკ ჯორბენაძე, ჯონდო მეტრეველი და ა. შ.

სულ ბოლო წლებში კი ჩვენს წრეში შემოქმედებითი წრთობა გაიარეს სხვა ახალგაზრდა მწერლებმა; ესენი არიან: შაბურა არაბული, მანანა ამირეჯიბი, დალილა ბედიანიძე, ავთანდილ გაფრინდაშვილი, ლაშა გახარია, იმედა გოგოჭური, თამარ კალატოზი, ბუხუტი კაპანაძე, ენვერ ნიჟარაძე, თამაზ მეტრეველი, პაატა ნაცვლიშვილი, თამარ პატაშური, ნიკო რეხვიაშვილი, ნინო როსტომაშვილი, რამაზ საყვარელიძე, გურამ სოხაძე, ლაშა თაბუკაშვილი, ნინო ქუთათელი-

ძე. მიხეილ ქურდიანი, თემურ ქორიძე, ვახტანგ ხარჩილავა, ვაჟა ხარანაული, დოდო ჯაჭვლიანი, ავთანდილ ჩხვიკვიშვილი, მანანა ხელაია, თამაზ ხმალაძე, მაკა ჯოხაძე, რუსუდან ბურჯანაძე, უშანგი სახლთხუციშვილი, ნომადი ბართაია, თემურ აბულაშვილი, ამირან გომართელი, სოსო სიგუა, ბეჟან კილანავა, თენგიზ ჩალაური და ა. შ.

ამ ახალგაზრდების ნაწერები კარგა ხანია რაც იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო ზოგმა მათგანმა საკუთარი წიგნებიც გამოსცა. ისინი მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მწერლების რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეკრებებში, მათი ნაწარმოებები ითარგმნა რუსულად და სსრ კავშირის სხვა ხალხების ენებზეც.

წრეში ამჟამად აქტიურად მუშაობენ ომარ გვეტაძე, თამაზ ბაძაღუა, მიხეილ ანთაძე, მანანა აბრამიშვილი, ლალი გულისაშვილი, შერმადინ ქალდანი, ერეკლე საღლიანი, ნოდარ გრიგალაშვილი, ნუკრი ნიკოლეიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ლადო კოკაია, თამაზ ხარაიშვილი, მარინე ხმალაძე, ნინო გოძიაშვილი, ვლადიმერ ზარიძე, მიხეილ ბეროშვილი, ვახტანგ ხარჩილავა, ირმა მებურიშვილი, გია ხომერიკი, თამაზ ბერუჩაშვილი, პაატა ვეშაპიძე, ვასილ მაღლაფერიძე.

ბოლო წლებში წრის მუშაობა მრავალფეროვანი და უფრო საინტერესო გახდა. გარდა ტრადიციული სხდომებისა, რომლებზეც ახალგაზრდა მწერლების ნაწერთა კითხვა-განხილვა ხდება, ტარდება სხვა სახის ღონისძიებებიც. შეიძლება დავასახელოთ ზოგი მათგანი. უკვე ორჯერ მოეწყო საუნივერსიტეტო კონკურსი საუკეთესო ნაწარმოების გამოსავლინებლად. გამარჯვებულებმა მიიღეს პრემიები. მათ შორის ერთი გამარჯვებული ნაწარმოებია თ. ჩალაურის „ორმოცდასამი და შვიდი ბეღურა“. მოეწყო საუნივერსიტეტო კონკურსი ს. უსენინის ერთი ლექსის საუკეთესო თარგმანზე (მიეძღვნა ესენინის იუბილეს) და გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა მიიღეს პრემიები.

ფილარმონიის მცირე დარბაზში წრემ მოაწყო პოეზიისა და მუსიკის საღამო, რამაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლში ჩატარდა ჩვენი წრის პოეტებისა და თბილისის შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების (კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, თეატრალური ინსტიტუტი) სტუდენტთა შეხვედრა, რომელმაც ტრადიცია შეუქმნა ამ ახალგაზრდათა მომავალ კონტაქტებს.

1975 წლის დეკემბერში, ქალთა მსოფლიო წელიწადის აღსანიშნავად, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა პოეზიის საღამო, რომელზეც ანა კალანდაძის, ნაზი კილასონიას, ლია სტურუას და სხვათა გვერდით გამოვიდნენ ჩვენი წრის წევრებიც. საღამომ მეტად მაღალ დონეზე ჩაიარა.

სხვადასხვა დროს წრეში მოვიწვიეთ გამოჩენილი სპეციალისტები (ნ. კაკაბაძე, ც. თოფურიძე, გ. ბუაჩიძე, ნ. ყიასაშვილი, ალ. გვახარია), რომლებმაც ახალგაზრდა მწერლებს გააცნეს თანამედროვე გერმანიის, ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის. ირანის ლიტერატურათა ვითარება, მათი ნიშანდობლივი სიახლეები და ამით გააფართოვეს ჩვენი წრის წევრთა თვალსაწიერი.

წრეში მოვიწვიეთ მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებმაც ახალგაზრდა მწერლებს გააცნეს სიახლეები ცოდნის ამა თუ იმ დარგში. მოწვეულთა შორის იყვნენ: არნ. ჩიქობავა, რ. გორდეზიანი, ლ. მენაბდე, თ. გამყრელიძე, აკ. ხინთიბაძე, რ. სირაძე და სხვ.

გვქონდა გასვლითი სხდომებიც საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

მოეწყო ექსკურსიები გ. ტაბიძისა და დ. კლდიაშვილის მშობლიურ სოფლებში, მათი სახლ-მუზეუმების გასაცნობად.

გაიმართა თარგმანის საღამოები, რომლებზეც განვიხილეთ წრის წევრთა თარგმანები. ამ საღამოებში მონაწილეობა მიიღეს ო. ჯინორიამ, იზ. ბაჩიაშვილმა, ქ. ბურჯანაძემ და სხვ. ხოლო თარგმანის ერთი საღამო დაეთმო ცნობილ მთარგმნელს ბაჩანა ბრეგვაძეს, რომელმაც ისაუბრა თარგმანის ხელოვნებაზე და ახალგაზრდებს წაუკითხა თავისი თარგმანები.

ჩვენი წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ტაშკენტის, მოსკოვისა და ქუთაისის ახალგაზრდა მწერალთა საკავშირო სემინარებში, თელავისა და ბაკურიანის სიმპოზიუმებში. აქ, ამ შეხვედრებში ახალგაზრდა მწერლები მუშაობდნენ გამოცდილ ოსტატთა ხელმძღვანელობით. ეს ხელს უწყობდა ახალგაზრდათა დაოსტატებას. აღნიშნული შეხვედრები ნაყოფიერი გამოდგა შემოქმედებითი დამეგობრების თვალსაზრისითაც.

უნივერსიტეტში ტრადიციად იქცა ახალგაზრდა მწერალთა წრის მიერ გამართული პოეზიის საღამოები, რომლებიც ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში იმართება.

წრეში სტუმრად გვყავდა მოწვეული გამოჩენილი რუსი და ქართველი მწერლები. მათ შორის: ბ. ახმადულინა, ვ. პერცოვი, რ. ინანიშვილი, ნ. დუმბაძე, ჯ. ჩარკვიანი, რ. ამაშუკელი, მ. ქვლივიძე და სხვ.

წრემ განიხილა ჟურნალ „ცისკრის“ წლიური მასალები ორჯერ, ხოლო ერთი განხილვა დაეთმო „ნობათის“ პირველ სამ ნომერს.

წრეში მოვიწვიეთ „მნათობის“ რედაქციის კოლექტივი და ვისაუბრეთ ლიტერატურის პრობლემებზე. ამ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ გ. ნატროშვილი, რ. ამაშუკელი და სხვები.

წრემ ლიტერატურის კუთხით განიხილა „ახალგაზრდა კომუ-

ნისტის“ წლიური პროდუქცია. გაზეთის რედაქციისა და ახალგაზრდა მწერალთა ეს შეხვედრა უდავოდ ნაყოფიერი და სასარგებლო იყო.

როგორც დავინახეთ, წრის მუშაობა ძალზე მრავალფეროვანი და შინაარსიანია. მთავარი ისაა, რომ ბოლო წლებში წრის სხდომები სისტემატურად და რეგულარულად ტარდება ყოველ სამშაბათს. ამ სისტემატურობამ ძალზე კარგი შედეგი გამოიღო. სხდომებზე დასწრება კარგია, ზოგჯერ დარბაზი ყველა მსურველს ვერც იტევს. ამაშიც ჩანს წრისადმი ახალგაზრდების ინტერესი და მისკენ ლტოლვა.

ჩვენთვის ნათელია, რომ მწერლის ნიჭი ბუნების ნაბოძებია. მაგრამ ნიჭიერთა წრთობას კი ასეთი მუშაობა ხელს დიდად რომ უწყობს, ამაში ეჭვი არ გეეპარება.

ამ რწმენითა და მომავლის იმედით წრე შრომობს, მოქმედებს, იღწვის, რათა ქართულ მწერლობას ახალი თაობები და ღირსეული ცვლა მოუმზადოს. ჩვენი წარმოდგენით, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე იგივეა მწერალთა კავშირისათვის, რაც არის კომკავშირი პარტიისათვის. ამიტომ მასზე ზრუნვა ყველას ვალია, მით უმეტეს, რომ ახლა ამ საკითხზე არსებობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო დადგენილება.

ახალი სახელი ჩვენს პოეზიაში

1976 წლის „ცისკრის“ მერვე ნომერში რევაზ ინანიშვილმა ქართველ მკითხველს წარუდგინა მანამდე უცნობი პოეტი ტარიელ ხარხელაური და მას გზა დაულოცა. იქვე გამოქვეყნდა მისი 15 ლექსი, რომელთაც სავსებით ახლებური, პირველქმნილის მიმზიდველობა და სულის ეშხი ამშვენებდა.

იმავე 1976 წლის აგვისტოში ჯანსუღ ჩარკვიანმა ტარიელ ხარხელაური ტელევიზიით წარადგინა მაყურებელთა წინაშე, მაღალი შეფასება მისცა ამ უცნობი პოეტის ნაწარმოებებს და წარმატებები უსურვა ახალგაზრდა შემოქმედს.

ის ფაქტი, რომ ორმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა ასეთი დიდი ყურადღება გამოიჩინა ახალგაზრდა პოეტის მიმართ, თავისთავად მეტყველებს რაღაც მნიშვნელოვანზე, საინტერესოზე. რაც საზოგადოება იშვიათად მოსწრებია. წინასწარ განვაცხადებთ, რომ რევაზ ინანიშვილსაც და ჯანსუღ ჩარკვიანსაც ნამდვილი საფუძველი ჰქონდათ ასეთი კეთილშობილური ნაბიჯის გადასადგმელად, ტარიელ ხარხელაური იმსახურებს ყველა ჩვენთაგანის ყურადღებას.

ვინ არის ტარიელ ხარხელაური?

ამჟამად იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრია, რომელმაც ერთი სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ გამოიტანა თავისი ახალი ნაწარმოებები წრის სხდომაზე განსახილველად და ორივეჯერ დიდი აღიარება და მოწონება ხვდა წილად. მანამდე კი...

ტარიელი დაიბადა 1946 წლის პირველ იანვარს თიანეთის რაიონის სოფ. სიმონიანთხევში, კოლმეურნის ოჯახში. 1953 წელს შევიდა სკოლაში, რომელიც 1965 წელს დაამთავრა. წავიდა საბჭოთა არმიაში და მოიხადა მოქალაქის მოვალეობა. 1968 წელს დაამთავრა სავალდებულო სამხედრო სამსახური და შინ დაბრუნდა. მუშაობა დაიწყო თავისი სოფლის კოლმეურნეობაში — ხან ცხვარს მწყემსავდა და ხან — საქონელს. 1975 წელს მწყემსად მიდის ყიზლარში და თიანეთის მეცხვარეებთან ერთად ეწევა მწყემსის მძიმე ჯაბანს. 1976 წელს ჩაირიცხა თსუ-ს მოსამზადებელ განყოფილებაზე, ხოლო 1977 წლის სექტემბრიდან გახდა I კურსის სტუდენტი.

ტარიელ ხარხელაურს ლექსების წერა V კლასში დაუწყია. თიანეთის რაიონულ გაზეთ „ახალ თიანეთში“ მისი ლექსი დაიბეჭდა 1959 წელს. მერე „ცისკრამდე“ მას აღარაფერი გამოუქვეყნებია. მოკრძალებულად ინახავდა თავის ლექსებს და დასაბეჭდად მიტანას ვერ ბედავდა...

ტარიელ ხარხელაურს ჯერ არ დაუწერია თავისი „ნამწყემსარის მოგონება“, მაგრამ მისი ლექსები გვიმჟღავნებენ ამ ნამწყემსარის ფიქრთა სიუხვესა და სულიერ სისპეტაკეს, სამყაროსადმი საკუთარ დამოკიდებულებას, აზრის სიღრმეს, ივრისა და არაგვის ძალას, მთების ზვიადობასა და მზის სიცილით გახარების ნიჭს, ფაქიზი, სათუთი ყვავილებით ტკბობის უნარს, ბერიკაცებისა და დათალხული დედაკაცების გულის ხვაშიადის გაგების მადლს, დღევანდელი სიდიადისა და წარსულის სიდუხჭირეს შორის კავშირის დამყარების შეგნებას, მაღალსა და დაბალს შორის ზღვარის გავლებას და პოეტური ხილვებით, ცოცხალი ხატებით ყოველივე ამის გადმოცემის ტალანტს. სამშობლოა ტ. ხარხელაურის პოეზიის უმთავრესი ხატი და სალოცავი და მას დასტრიალებს პოეტის თავისთავადი ხალასი ნიჭი.

ჩვენ არ ვაპირებთ ჯერ გამოუსვლელი წიგნის შეფასებას, მხოლოდ უნივერსიტეტში განხილული ლექსების გამო გვინდა მკითხველისათვის შთაბეჭდილების გაზიარება.

ჩვენს ხელთ არის ტარიელ ხარხელაურის 70 ლექსი. მათი წაკითხვა და შეფასება გარკვეული განზოგადების უფლებას გვაძლევს.

მშრომელი კაცის ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილ ახალგაზრდა პოეტს, თვითონაც წლები შრომაში რომ გაუტარებია, ბუნებრივად და არა „აქტუალური თემისათვის“ ხარკის გადასახდელად დაუწერია რამდენიმე ლექსი, რომლებიც სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენს შრომისაგან ხელებდამსკდარ, მაგრამ სულგაუბზარავ ადამიანებს, მათ სიკეთესა და ოპტიმიზმს, რითაც ისინი ასე საყვარელნი არიან. ერთ ლექსში იგი მიმართავს თოლიგეს, ღვთისავარს, ჩალხიას, ჯურღასა და ბესას, ვისაც ცხოვრება მწყემსად დაებედა: „არაგვიშავრაო, — ასე მითხარი, — სახლში კარგი ამბავი ჩაიტანე!“. რაღაც გაბრაზებით გადააფურთხე, დამსკდარი ხელისგული ჩაიტყავე, შუბლზე ოფლის ღვარი შეიმშრალე, ცრემლის შეკავება გაგიჭირდა... შენს ბეჭებს დავხედე და შევიშალე, მათი სიფართოვე გამიკვირდა. შეჭაღარავებული საფეთქლები, მხრები უროკვერით ნაბრტყელები, შენი ზღაპრული ნატერფლები, მკლავები — რკინის სალტეები. შენი სიარული მომეხარბა, თვალი მალულად აგადევნე, უცბად სიყვარული მომეჯარბა, ყველა ტკივილები გავამრთელე. ო, რა ბრწყინვალე კაცები ხართ, რა შესაშური

ამტანობის, კარგია, ხანდახან მკაცრები ხართ... მუდამ გაღიმებაც არ გამოდის... „არაუშავსრაო“, — ასე მითხარ, სახლში ცოლშვილთან დამაბარე, შენი გაბრაზებით გაფურთხება იმ დღეს ცუდ ამინდს დავაბრალე...“ ავტორის სიყვარული ამ „უროკვერიან, ნაბრტყელები მხრების“ მქონე კაცებისადმი, რომელთაც მწყემსური ცხოვრების გაჭირვების მიუხედავად შინ კარგი ამბავის ჩატანა დაუვალებიათ, მათი სულის სიმაღლესაც ღაღადებს და ის რაღაც ჯავრიანი გადაფურთხებაც კი პოეტს ცუდი ამინდისათვის დაუბრალებია, რათა ლექსის გმირებს „ბრალდება“ შეუმსუბუქოს. პოეტი მიზანს აღწევს: ის ჯურღა და ბესა, მათი ამხანაგები ჩვენთვისაც მიმზიდველნი ხდებიან.

როგორ არ ჰგავს ამ ლექსში თქმული, თქმის ხერხი და გმირთა დახასიათება ბევრგან სხვაგან თქმულს! აქ არ არის ზეაწეული პათოსი, არც ყვირილი, მშრომელის საქებრად რომ ხმარობენ ზოგნი, აქ დინჯად, ბუნებრივად ჩანან ეს ჩალხიები.

აქ არც ჭარიშხლისაგან დამფრთხალი ცხვრის გადარჩენისათვის ბრძოლაა, არც მგლების მოგერიება, არც სეტყვა და თოვლი აწუხებს მწყემსებს, არც ყინულივით ცივი მდინარეების გატოპვა ხდება და არც რაიმე სიძნელეების გადალახვა. ყველაფერი ეს იგულისხმება, ყველაფერი ამის გადატანით მიღებული ხასიათებია მწყემსისა და ერთი ყველაზე აუცილებელი შტრიხის მიგნებით წარმოგვიდგენს ადამიანების ხასიათს. აქ შედეგს ეხედავთ და არა პროცესს, შრომაში გამოკვერილი ხასიათები გვიდგას თვალწინ და არა თვით ჯაფის სიდუხჭირე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩუმი ღიღინით შრომის ავტორი დიდ სიმღერას და მაინც ყველას გასაგონად ეღერს ეს პოეტური ხმა.

უბრალო ქართველი ქალის გულის სითბოსა და სიკეთეს გვიჩვენებს ტარიელ ხარხელაური ლექსში, რომელიც კაცთმოყვარეობისა და სტუმარ-მასპინძლობის მადლით არის გასხივებული. „—იქნება კაცის მკვლელი ვარ, მტერი ვარ გადამთიელი, კარებს რო მიღებ, დედილო! — შვილო, მგზავრი ხარ დაღლილი, ხევსური სჩანხარ იერით. შემოდი! სახლში შემიძღვა, კიო, იქნები მშიერი... ღარიბი სუფრა გამიწყო: — ვერ გაგაკვირვებ ვერათი! წამოვედ. უბე გამივსო დამბალი ხაჭოკვერათი. ამშალეს, ამინარიკლეს, არ მომასვენეს ფიქრებმა, სანამდის არ დავირწმუნე — სანათას მოდგმის იქნება“. სანათას მოდგმის თანამედროვე მშრომელი ქალის კეთილი გულის სიმღერაა ეს ლექსი. ვაჟა-ფშაველასთან შეჟღერება აქ ორი მომენტით ხდება, სტუმარ-მასპინძლობის აზრის გაკვეთებითა და სანათას ხსენებით, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ ლექსში ყველაფერი ტარიელ ხარხელაურისად რჩება.

რამდენ ქართველ მგოსანს გატაცებითა და გზნებით ამოხდომია სამშობლოს სადიდებელი სიტყვა, მაგრამ ახლებს კვლავ უმღერიათ ამ მარადიული დედისათვის... განუმეორებელი ელვარებითაც ბევრი ლექსი დაწერილა, მაგრამ კვლავაც დასაწერი მრავალია. ტარიელ ხარხელაურიც საოცარი ძალითა და სრულიად ახლებურად იტყვის: „სამშობლოვ ჩემო, პოეტი შენ ხარ, მე — შენი ერთი მოლაპარაკე!“ ეს ლექსის ბოლო სტრიქონებია, წინა ნაწილს რომ ასე მშვენივრად აგვირგვინებს, მაგრამ მთელი ლექსი ისეა გააზრებულ-აგებული, რომ ეს სიტყვები ბუნებრივად ჟღერდეს. მართალია, ლექსის პირველი ორი სტრიქონი შორეულად შეეხმიანება ტიციან ტაბიძეს („დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი...“), მაგრამ ამით არაფერი შავდება: „მოვსულვარ, მოვკვდე და შენთვის ვწერო, მონა წარსულის, ახლის მლოცავი, შენ გამახსენე, მამულო ჩემო, რამე თუ დამრჩეს დაუკოცნავი. მზე ელამ თვალებს მტვერით ამივსებს და მიმილეწავს სულს ქარიშხლიანს, უნდა დავმიწდე ბებერ კრწანისზე და გულზე მუხა ავიშრიალო. ცა, როგორც ცხენმა, — ლაგამი შევხარ, გზა იქროს ფერად მოვავარაყე, სამშობლოვ ჩემო, პოეტი შენ ხარ, მე —შენი ერთი მოლაპარაკე!“ ეს არის ლექსი!

წეღან, სანათას გამო, ვაჟასთან შეჟღერება ვახსენეთ, ახლა ტიციანიც გაგვახსენდა, მაგრამ განა საუბედო! დიდი დიდს უნდა შეეჩიდოს, ეს კანონზომიერია. კაცი რომ იტყვის: „სამშობლოვ ჩემო, პოეტი შენ ხარ, მე — შენი ერთი მოლაპარაკე!“, ამის მერე მას ვერავისი ჩრდილი ვეღარ დაფარავს, სულ მზის გულზე დარჩება. ეს სტრიქონები სამარადჟამოა.

პოეტური ქვეტექსტით ტარიელ ხარხელაური სამშობლოს უკვდავების თემას, მისი ერთგული სამსახურის გრძნობას გვიმჟღავნებს პაპის სიტყვებით: „წყალი — საკალმახე, მთა — საბალახე, მამული — სავენახე კარგად შემინახე! ჩემი ხორცი და სისხლი, ჭალას ცისფერი ნისლი, ბერი მუხების რწევა, მამა-პაპური ჩვეულება— გრძელი ნაბიჯებით სიარული, ჩემი ეზო და კარი, ნანგრევებში მომწყვდეული ქარი, თავხეში გაჩრილი ბარი, ღობის მორღვეული მხარი — ყველაფერი, რაც არი, არი, ჩემს მოსვლამდე კარგად მეყოლოს!“ — პაპამ დამიბარა“. პაპის დანაბარების შესრულება, მის მოსვლამდე ყოველივე ამის შენახვა სხვა არაფერია, თუ არა სამშობლოს სამარადისო არსებობა და მისი უკვდავება. ასეთი დანაბარების შესრულებისათვის ღირს გარჯა — ასეთი აზრით ივსება მკითხველი ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ. მამა-პაპათა ანდერძისადმი შთამომავლის ერთგულება თვითონ შთამომავლისთვისაა აუცილებელი. ეს აზრიც გვახსენდება.

პოეტს სამშობლოს შინაარსი ზოგჯერ ბუნების ფაქტებთან კავშირში აქვს განხილული და, ერთი შეხედვით, ამის იქით თითქოს აღარც ხედავს რამეს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. მთლიანობაში ეს ლექსიც სხვაგვარად აღიქმება, უფრო სრულად და ტევადად: „ეს პატარა ტყე, ეს პატარა მთა და ეს ჩანჩქერი, — აი, ესაა ჩემი სამშობლო, სხვა არაფერი.. და თუ შეგაკრთობს სიო მთიდან წამონაფრენი — აი, ესაა ჩემი ბავშვობა, სხვა არაფერი... მთები, ნისლები, მზის ოქროსფერი სხივით ნაფერი, — აი, ეს არის ჩემი სიმდიდრე, — სხვა არაფერი. ხან მძლევს, ამიტანს და ცრემლები მახრჩობს სიმწრისა, თუ რამე მომკლავს — დარდი მომკლავს ჩემი მიწისა...“ თუმც ჩვენ გვახსოვს ცნობილი გამოთქმა — „სამშობლო განა მხოლოდ ლამაზი მთებია?“, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ ტ. ხარხელაურთან ტყე, მთა, ჩანჩქერი, მთიდან წამონაბერი სიო, მზის ოქროსფერი სხივით ნაფერი ნისლები — ყოველივე ეს თავისი ბავშვობის სამყაროსთან ბუნებრივ კავშირში დანახული სამშობლოა, რომელიც იმდენად ძვირფასია, რომ მხოლოდ ამ მიწის დარდს შეუძლია მოკლას პოეტი. აქ გვახსენებება რაფიელ ერისთავი, მისი „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი...“ და ვრწმუნდებით, რომ ახალ ეპოქაში ახალმა პოეტმა თითქმის იგივე თქვა, ოღონდ სავსებით ახლებურად, ჩვენი დროის ადამიანის გემოვნების შესატყვისად, აღტყინების გარეშე, სადად, მაგრამ ძალზე მეტყველად და შთამბეჭდავად. ეს არის მისი ვამარჯვება.

„სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?“, მაგრამ ის არც მხოლოდ ლამაზი ქალაქებია! მით უმეტეს, ის არამც და არამც მიტოვებული სოფლები არ არის!.. მიტოვებული სოფლების სევდიანი პრობლემა დღეს ბევრ ქვეყანას აწუხებს, მოძალებული ურბანიზაცია მრავალთა ფიქრის საგანია. საქართველოშიც მწვავედ დგას ეს პრობლემა, რომელსაც ბევრი ჩვენი მწერალი შეეხო. ტარიელ ხარხელაურიც დაფიქრებულა ამაზე და ძალზე ორიგინალურადაც გვაწვდის თავის აზრს ერთ ლექსში: „აი, იქ სადღაც იყო ჩვენი მიწური ქოხი. — რა ამბავია, ბიჭო, ხომ მშვიდობის გზით მოხველ?“ — კარებთან შემეხეთქა ხმა შემზარავი ბოხი. მივუახლოვდი ბუხარს და მოვიხარე მუხლი, გადამჭვარტლული ჰერი ლურჯი ცრემლებით ვპოხე. — „გაგვილაღდება მტერი — სოფელი გვრჩება ოხრად“ — და ნახევარი ფილტვი ამოაყოლა ოხვრას“. რა დარდიანად უნდა ამოეოხრა იმ ბოხი ხმის მქონე კაცს, რომ ნახევარი ფილტვი ამოეყოლებინა... ძლიერად არის ნათქვამი!

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირი, ბუნების ფილოსოფიურ-ადამიანური გაგება, ბუნების ფაქტების კავშირი საზოგა-

დოებასთან უჩუეულო ძალითა და ქვეტექსტური გააზრებით აქვს დახატული ტარიელ ხარხელაურს თავის ერთ ლექსში: „ოჰოო! — ამოიოხრა მუხამა მძიმედა, ხომ გაიგონე, იმედავ, კვნესა მუხისა?! ვინ იცის ღიმილი უღირს რად ცასა, სხვისა ტკივილი სხვასა, სხვისა სიხარული სხვასა... ამოიოხრა მუხამა მძიმედა, იმედავ! — ტოტი მოსტყდა და კვნესოდა იმითაო, — მითხარი, ზურგი შეატრიალე, გამცილდი და უშნოდ გაიღრიჯე, ვირისთავო. მუხა კი კვნესოდა... მესმოდა... და გული მიბაგუნებდა ბეჭიდან. სხვას როგორღა ვუთხრა, იმედავ, როცა ტკივილი მუხისა, უშნოვ, შენც ფეხებზე გეკიდა. ოჰოო! — ამოიოხრა მუხამ მძიმედა. დაგაყრუოს გამჩენმა, იმედავ!..“

ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში ბუნების მოვლენათა ორგანული დაკავშირება საზოგადოებრივთან ხშირად გვხვდება. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვილაპარაკოთ პოეტის შემოქმედებაში ბუნების ფილოსოფიურ გააზრებაზე, რაც ძალზე საინტერესოა. ვაჟას შემდეგ თითქოს ძნელი იქნებოდა ბუნების ასეთი აღქმა, მაგრამ ბუნების შვილმა ტარიელ ხარხელაურმა შებედა ამ პრობლემას და დაგვარწმუნა, რომ მისთვის ეს ბუნებრივი ყოფილა.

„ჩემი სიცოცხლე ა ის ირემია, ველზე რომ ბალაბობს. მოჰკლავ და მოვკვდები. ჩემი დღეები ა ის გვირილებია, ქარიც რომ არ ახმობს. მოსწყვეტ და დავჭკნები. ჩემი სული ა ის მზის სხივია, ჩავა და ჩავყვები. ჩემი ძალაა ერთი შერხევა ტყის, ჩემი ცრემლებია, კლდეებს რომ სდის“. ამას იტყვის ტარიელ ხარხელაური და ხელშესახებად ვგრძნობთ ბუნებისა და ადამიანის უწყვეტ კავშირს, პოეტმა რომ ერთხელ კიდევ და ორიგინალურად გვიჩვენა.

ადამიანისა და ბუნების კავშირი, არა ფიზიკური, არამედ სულიერი კავშირი. პოეტს რამდენიმე ლექსში აქვს გააზრებული და ეს ძალზე საინტერესოა. შეიძლება ითქვას, ეს ტარიელ ხარხელაურის ფილოსოფიური კონცეფციაა. „გაიცრიცება საღამოს ბინდი, ვიცი, ამ დილით უნდა მოთოვოს, ვიცი, ჩემი გზა საითაც მიდის, შენ საით წახველ, ხმელო ფოთოლო? ამოვარდნილა ქარი ძლიერი, ო, როგორ ცდილობს რომ ამათრთოლოს, და შენზე ამით ვარ ბედნიერი, რომ ქარს არ ავდევ, ხმელო ფოთოლო, ლეგა ხეობებს გრიგალი მსჭვალავს, მთა დუმს, ამ დილით უნდა მოთოვოს, ვიცი ჩემი გზა საითაც წავა, შენ სადღა წახვალ, ხმელო ფოთოლო“. აქ არა მარტო პოეტსა და ხმელ ფოთოლს შორის ინტიმური საუბარია საინტერესო, არამედ ბუნების მოვლენასთან ადამიანის განსხვავებული მიმართებაც — კაცი ქარს არ სდევს, როგორც ხმელი ფოთოლი. გალაკტიონთან ინტონაციური ნათესაობა კი ლექსს უფრო მიმზიდველს ხდის.

ბუნების საოცარი აღქმა მეფდავნდება ტ. ხარხელაურის კიდევ

ერთ ლექსში, რომელშიც ასეთი სტრიქონებია: „ფეხით გათელილ ყაყაჩოს სტირი, ღაწვს ჩაგალოკავს სისველე... რას ფიქრობს შენი დაღლილი ტვინი, როცა წვეთები კვდებიან წვიმის...“ გათელილი ყაყაჩოს გამო ატირება, წვიმის წვეთების კვდომაზე დაფიქრება არა მარტო სიახლეა, არამედ საოცრად პოეტური ფაქტია, რომელიც ტარიელ ხარხელაურს მაღალ რანგში წარმოგვიდგენს.

ზოგ ლექსში პოეტი ბუნებას სულიერ არსებად მიიჩნევს, მას ადამიანური მოქმედების უნარი მიეწერება, მეტიც, თვით ადამიანი, ლექსის ლირიკული გმირი ბუნების ფაქტებთან ისეთივე ურთიერთობას ამყარებს, როგორც თანამოძმესთან — ესაუბრება მას და, მაგალითად, კლდეების ლაპარაკიც ესმის. ამის საილუსტრაციოდ ერთ ნიმუშს მოვუხმობთ: „დავეწაფე, ვიღაცამ ბეჭებში დამტაცა ხელი, გავუძალიანდი, შევები, ავიხედე, კლდე აყუდებულიყო თვალებსველი... შემრცხვა, მუხლებში ჩავუვარდი და ვეჩურჩულები: — თქვენის ფეხების ნაბანსა ვსვამ, კარგებო... მერე ნაბიჯის სივრძე გამიზომეს, ბეჭები გადამიმტკავლეს, შუბლი ჩამიზილეს. მკერდი გადამიტყავეს, მაჯა გამისინჯეს, მუხლი შემიმოწმეს... სული დამიმშვიდეს, დაიბუბუნეს: — შაგერგოს!“ ბუნება, მისი ნაწილი — კლდეები ადამიანთან ადამიანურ ურთიერთობაში არიან: მათ შეუძლიათ კაცს ბეჭებში ხელი დასტაცონ, ნაბიჯი გაუზომონ, ბეჭები გადაუმტკავლონ (გადამტკავლებაც მიგნებაა! — ტ. კ.), მუხლი შეუმოწმონ და კაცს ყოველმხრივ რომ შეაფასებენ, მერე დაიბუბუნონ კიდეც — შაგერგოსო. საინტერესოა, რომ აქ ბუნების სიბრძნეც არის მინიშნებული — თუ ღირსად მიიჩნევენ კაცს, მხოლოდ მაშინ ეტყვიან — შაგერგოსო, თორემ მანამდე იგივე კლდეებმა წყაროზე დაწაფებულს ბეჭებში სტაცეს ხელი, ანკარა წყაროზე დაწაფება დაუშალეს. მათ იციან ღირსეულისა და უღირსის გარჩევა. ამ ლექსიდან ნათლად ჩანს ბუნების არა მარტო გასულიერება, არამედ მისი სიბრძნეც. როგორ გვინდა ახლაც ვაჟა გავიხსენოთ, მაგრამ ამაოდ. საერთო მხოლოდ ბუნების გასულიერებაშია, მაგრამ სავსებით განსხვავებული და ძალზე ორიგინალური ფორმითა და ხერხით. ვაჟაც იმ მთებისა და კლდეების შვილი იყო, სადაც მერე ტარიელ ხარხელაური დაიბადა: ვაჟაც თიანეთის ბილიკებს ხშირად კეცავდა, მოგვიანებით იქ ტარიელიც დადის, მაგრამ აშკარაა, რომ ორივე მათგანს საკუთარი ბილიკები აურჩევიათ, საკუთარი მთები, კლდეები, წყაროები, ყაყაჩოები, მზე, ქარი და ნისლები ჰქონიათ, ამ საკუთარს უვლის მათი გონება და პოეტური მუზა. გაბედულად ხომ არ გამოგვივიდა ეს პარალელი? ფაქტია და რისთვის, რა მიზნით ვიყუჩოთ?

ტარიელ ხარხელაურს სიყვარულიც ორიგინალური პოეტური

ხერხით აქვს ნაჩვენები: ის არც მოძალებულ ვნებებს აშიშვლებს, არც სიყვარულის მარადიულობას გვისაბუთებს, უბრალოდ, ყოფითი ცოცხალი ურთიერთობის სურათს გვიხატავს და ამ გზით გვარწმუნებს მისი გრძნობის ძალაში. მაგალითად, ასეთია მისი ერთი ლექსი: „ნუ დამიტირებ, პირიმზევ, ცრემლს ნუ მომაყრი, იელო, მე თუ მოვკვდები, შენ მომკლავ, ქალავ, ქალობამშიერო. შენ წყალზე დაეხირები, ღიმილით ჩაჰქსოვ წინდასა, მეც გაძოვიყვან და ძალით მლაშეს ვალოკებ შვინდასა. რა ვიცი, ჯიბრში მიდგები, ვერ მორჩი წყლების ზიდვასა. მზემ მთებზე თოვლი ააშრო, წყარომ იმატა, გახელდა. ნეტა ან წყარო დააშრო, ან შენ დაგკარგა აქედან“. ხალასი, ანკარა, წმინდა ტრფიალი აქ კომენტარს არ საჭიროებს. ხალხური ინტონაციით მოწვდილი ეს სატრფიალო ლექსი ჰეშმარიტი პოეზიის ნიმუშია.

ჩვენს ხელთ არსებული 70 ლექსიდან მხოლოდ რამდენიმეზე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, მთლიანად მოვიტანეთ ეს ნიმუშები, რადგან მათ წაკითხვაზე ჯერ ყველას არ მიუწვდება ხელი; შევეცადეთ რამდენიმე საკითხი გამოგვეყო და ამით ტარიელ ხარხელაურის ინტერესთა სფერო უფრო მკაფიო გაგვეხადა, თუმცა აქაც მხოლოდ ნაწილი წარმოვაჩინეთ.

ტარიელ ხარხელაური ძირითადად მიმართავს ტრადიციული რითმიანი ლექსის ფორმას, თუმცა მას ვერლიბრიც უცდია. ისიც შეიმჩნევა, რომ ტრადიციული ლექსი უფრო ბუნებრივი მოჩანს მის შემოქმედებაში.

დინჯი ინტონაცია, ფიქრიანი სტრიქონი, მოხდენილი რითმა, მოუჭარბებელი, ზომიერი დიალექტური ლექსიკა, ორიგინალური სიტყვათქმნადობა, ხასხასა პოეტური სახეები, მეტყველი აზრიანობა, ბუნებრიობა და ზოგიც ჩვენთვის ჯერაც გაუცნობიერებელი თვისება ერთად აღებული და შენივთებული ქმნის ტარიელ ხარხელაურის პოეტურ სამყაროს, რაც ასე თავისთავადი და ხალასი პოეზიის ფაქტია.

გასულ საუკუნეში ქართული ლიტერატურა გაამდიდრეს ე. წ. მთის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით ა. ყაზბეგმა და ძმებმა რაზიკაშვილებმა. თუნდაც მხოლოდ ვაჟას გენია რარიგ ამაღლებს ქართული მხატვრული აზროვნების დონეს! ამას წინათ „ცისკარში“ გურამ ასათიანი სამართლიანად აღნიშნავდა თანამედროვე „მთიელებზე“. ბესიკ ხარანაული, თედო ბექიშვილი, ჯარჯი ფხოველი, გიორგი გიგაური, ირაკლი არაბული, სულხან ქეთელაური, მირზა გელოვანი, ალექსი გომიაშვილი და ზოგი სხვაც სწორედ ჩვენი მთის შვილები არიან. ყოველმა მათგანმა ეროვნულ მწერლობას ახალი ხმა შესძინა. ტარიელ ხარხელაური მათი უმცროსი ძმობი-

ლია. დასახელებულ კოჰორტას ისიც მიემატა. კარგის მატებას რა ჯობია!

ტარიელ ხარხელაურის ლექსების განხილვისას ჩვენ თავი შეგვიკავეთ შენიშვნებისაგან. ჩვენ პროგნოზებისაგანაც ვიკავებთ თავს. ასე შემთხვევით როდი ვიქცევით. ახლა ტარიელი ურბანისტულ აკლიმატიზაციას განიცდის ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მთაში მას ყანგბადით სავსე ფილტვებით უსუნთქვია და ისე შეუქმნია თავისი საუკეთესო ლექსები. ახლა მის ფილტვებში მანქანების გამონაბოლქვი კვამლიც უხვად ჩაედინება. იქ ბუნება და ხალხი იყო მისი მთავარი მასწავლებელი, ახლა წიგნებში გამომწვდეულ საკაცობრიო ცოდნას არის დაწაფებული და ეს მდინარე ისე ვრცელი და ძლიერია, რომ დიდი შემართებაა საჭირო: მის გადასალახავად. როგორ გასცურავს ამ მდინარეს და რა ახალ ძალას შეიძენს იგი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ ცხადია: თანამედროვე პოეტი ვერც მხოლოდ ბუნებრივი ნიჭით გავა ფონს და ვერც მხოლოდ დიდი ცოდნით. ცალ-ცალკე ორივე უკმარისია ჭეშმარიტი პოეზიისათვის. მათი ორგანული გაერთიანება კი დიდი გამარჯვების საწინდარი იქნება. ამას ველით, რადგან ტარიელის მიერ უკვე შექმნილი ლექსები უტყუარი საბუთია მისი ნიჭიერებისა. ჩვენს შეეყანაში ახალგაზრდა შემოქმედთათვის შექმნილ საუკეთესო პირობებსაც თუ გავითვალისწინებთ, იმედი უფრო მატულობს. მაგრამ რაც ხელთ უკვე გვაქვს, ისიც საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ტარიელ ხარხელაური თანამედროვე ქართული პოეზიის ახალი სახელია.

სულის ავტონომია „შუშანიკის წამებისა“ და ძართული მწერლობის ზოგი სხვა ძეგლის მიხედვით

ადამიანის უფლებათა შეუვალობა და მისი შენარჩუნება, უპირატესად, შეიძლება ვლინდებოდეს რწმენის (სარწმუნოების), ეროვნული, პოლიტიკური, სამეურნეო, ზნეობრივი და მრავალი სხვა შეხედულების დაცვასა და შენარჩუნებაში, რისთვისაც ბრძოლაც კი სჭირდება ადამიანს.

ბიოლოგიური თვალსაზრისით ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ცხოველთა სამეფოს ერთ-ერთი სახეთაგანია, სულიერი სამყაროთი კი ეს არსება უველაფერზე მაღლდება და იქცევა ადამიანად, პერსონად. სხეულის ფიზიკური გამასხვავებელი ნიშნები იმდენად არ ასხვავებენ ადამიანებს ერთმანეთისაგან, რამდენადაც მათი სულიერი თავისებურებანი.

ადამიანის სული გვესმის არა რელიგიური შინაარსის ცნებად, არამედ ერთობლიობად ადამიანის გონების, ზნეობის, მიზნის, რწმენის, სულისკვეთებისა და მრავალი სხვა თვისებისა, რითაც ადამიანი ზოგადად კაცობრიობის წევრია, კონკრეტულად კი, პერსონალური თავისებურებებით განსხვავდება უველა სხვა ინდივიდისაგან და მთელ კაცობრიობასთან შედარებით არის ერთი მიკროსამყარო, რომელსაც უველაფერი აქვს თავისი, კერძო, საკუთარი: გონების მასშტაბები, განათლება, რწმენა, სურვილები, ზნე, ქცევები, ტკივილები, სიხარული, მოთხოვნილებები, შესაძლებლობები, გარემოსთან მიმართება — უველაფერი, რაც ადამიანურია ზოგადად. უველა ადამიანი ერთმანეთს ჰგავს ზოგადადამიანურით, მაგრამ უოველი მათგანი განსხვავებულია კერძოობითი ნიშან-თვისებებით, მათი ერთობლიობით, რაც ინდივიდში გასინთეზებული ქმნის პიროვნებას.

კაცობრიობის დიდ ისტორიაში ხელუოფას განიცდიდა უპირატესად ადამიანის სული, იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომლის წყალობითაც ერთი ადამიანი ემორჩილებოდა ან ეურჩებოდა მეორე ადამიანს, რომელიც განიზრახავდა პირველის მორჩილებაში უო-

ლას. კონფლიქტი, რა მასშტაბითაც უნდა ყოფილიყო იგი, მუდამ მოსდევდა ადამიანთა სულიერ დაპირისპირებას, მშვიდობა და თანაცხოვრება კი — სულთა შეთანხმება-შეხმატკბილების შედეგი იყო ყოველთვის.

გაბატონებული ან გაბატონების სურვილით შეპყრობილი ადამიანები ცდილობდნენ სხვისთვის თავს მოეხვიათ საკუთარი ნებასურვილი და ამ მიზნის მისაღწევად ისინი, პირველ რიგში, მსხვერპლად შერჩეული ადამიანის სულს იღებდნენ მიზანში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის (ადამიანთა) დამორჩილება მათი სულების დამორჩილებით იწყებოდა. აქ უკვე მივანიშნეთ, რომ ეს შეეხება არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მათ ჯგუფებსაც — ტომებს, ხალხებს, ერებს, სახელმწიფოებს.

ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს გაბატონებულთა ცდები დასამორჩილებლად განწირულთა სულების დამონებისა, ერთი მხრივ, და რეპრესირებულთა სულების ავტონომიისათვის, თავისუფლებისა და შეუვალობისათვის ბრძოლა, მეორე მხრივ.

ქართულ მწერლობაში, როგორც მრავალი სხვა ხალხის მწერლობაშიც, პირდაპირ თუ შემოვლითი გზით, ფართოდ აისახა ადამიანის სულის ავტონომიის პრობლემა. ნიშანდობლივია, რომ იგი მკაფიოდ არის დახატული ჩვენი ლიტერატურის ყველაზე უძველეს ძეგლშიც და მას შემდეგ მრავალი მწერლის შემოქმედებაში.

დედოფალ შუშანიკის რწმენისა და უფლებების ხელყოფა ვარსქენის მხრივ იწვევს ამ უტეხი ნებისყოფის ქალის მედგარ წინააღმდეგობას მოძალადე ქმრის მიმართ. ამ დაპირისპირების მთავარი მიზანია საკუთარი სულიერი ავტონომიის დაცვა. მართალია, შუშანიკი აწამეს, მაგრამ მან შეინარჩუნა სულიერი ავტონომია და ამიტომ ის კი არ დამარცხდა, არამედ გამარჯვებული დარჩა უფლებრივად და ფიზიკურად მასზე ძლიერი ქმრის წინაშე. მისი სულიერი ავტონომიის ხელყოფამ ეს ქალი განაწყო საბრძოლველად, განამტკიცა მისი ხასიათი, მან არ დათმო რწმენა, რომელსაც უერთგულა და, ფიზიკური დამარცხების მიუხედავად, გაიმარჯვა მორალურად, რადგან ბოლომდე შეინარჩუნა სულის ავტონომია.

ამ ნაწარმოებში სულიერი ავტონომიის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის არა მარტო შუშანიკი, არამედ თხზულების ავტორი იაკობ ცურტაველიც, რომელმაც შექმნილ რთულ სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ვითარებაში, ხელისუფლების სათავეში მდგარი ვარსქენის სისასტიკის მიუხედავად, სუზერენის საწინააღმდეგო თვალსაზრისი გაატარა ნაწარმოებში და ამით, ერთი მხრივ, მტკიცედ დადგა წამებული დედოფლის მხარეზე, მეორე მხრივ, დაიცვა საკუთარი სულის ავტონომიაც, რაც კერძოდ

იმ პირობებში ქრისტიანობის განმტკიცების იდეაში მდგომარეობდა. იაკობისა და შუშანიკის ერთნაირი, საერთო სარწმუნოებრივი პოზიცია თუ იდეური მრწამსი მათ აქცევს სულიერ ნათესავებად, ამიტომ ისინი ორივენი იბრძვიან ერთი მიზნისათვის, მაგრამ განსხვავებული საშუალებებით, ხერხით, გზით.

დედოფალი ქმრისადმი გაწეული მტკიცე წინააღმდეგობით არა მარტო თვითონ იცავდა ქრისტიანულ რწმენას, არამედ ათასობით სხვასაც აძლევდა მაგალითს და ამით ხელს უწყობდა მრავალ ადამიანში სარწმუნოების განმტკიცებას. წამებული დედოფლის შეუპოვრობისა და ქრისტეს რჯულისათვის თავგანწირვის მაგალითის აღწერით იაკობიც მრავალი ადამიანის სულს იხსნის მაზდეანური ხელყოფისაგან. ამით იგი, დედოფალთან ერთად, მტკიცე დამცველია რწმენისა, ე. ი. სულის ავტონომიისა. უფრო მეტიც, იაკობი თავის ნაწარმოებში ამჟღავნებს მეამბოხურ სულისკვეთებასაც, როცა არ მალავს დედოფლისადმი აშკარა სიმპატიას, ხოლო ვარსქენს კი ზოგჯერ მგელსაც ადარებს.

პიტიახში მოძალადეა, იგი სხვათა სულების მორჩილებას ლამობს საკუთარი გაბატონებული მდგომარეობის განსამტკიცებლად. მაგრამ იგი აწყდება უდიდეს წინააღმდეგობას სწორედ მოწინააღმდეგე სულებისაგან, რომლებიც ფუფუნებას ამჯობინებენ წამებას, ოღონდ სულის ავტონომია შეინარჩუნონ. ამიტომ შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ შუშანიკის ბრძოლა ქრისტიანობისათვის ფაქტიურად არის ან უტოლდება სულის ავტონომიის შესანარჩუნებლად ბრძოლას.

სულის ავტონომიის საკითხი პიროვნულ-ადამიანური თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით კიდევ უფრო ძლიერად და მკაფიოდ არის ნაჩვენები სხვა ძველ ლიტერატურულ ძეგლში, რომელსაც „აბოს მარტვილობა“ ეწოდება. იოანე საბანისძის ამ თხზულებაში ასახულია საქართველოში არაბების ძნელბედობის ხანა, როცა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ როგორც ცალკეული პიროვნებები, ასევე მთელი ქართველი ხალხი. თუ მანამდე არაბი დამპყრობნი შემოესეოდნენ ქვეყანას, მოიალაფებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ, ამჯერად ჩვენში სამუდამოდ დარჩენა, გაბატონება, ჩვენი გადარჯულება და გაარაბება მოინდომეს. ამ განზრახვის მისაღწევად ისინი მიმართავდნენ როგორც ძალისა და დაშინების ხერხს, ასევე მოსყიდვა-გადაბირების ვერაგ საშუალებებსაც. ამიტომ ზუსტია მწერლისეული მხატვრული შეფასება მაშინდელი სიტუაციისა — ქართველი ხალხი ირხეოდა, ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა. აქამდე მისულა საქმე: ჩანს, ბევრმა გაჰყიდა სული, ვერ გაუძლო ან ტანჯვას, ან ცდუნებას და შეირყა ქართველო-

ბა, ეს საზარი საფრთხე ქართველი კაცის სულის ავტონომიის შერყევით, მისი გადაბირების გზით ხორციელდებოდა დიდწილად.

და აი, გამოჩნდა ქართველი კაცი — იოანე საბანისძე, ვინც ადამიანის სულის ავტონომია გააიგივა ერის სულიერ ავტონომიასთან და მიზნად დაისახა შერყეული სულების განმტკიცება. მტრების მუხანათურ გეგმებს მან დაუპირისპირა საოცრად მეტყველი ფაქტების მხატვრული ჩვენება. რაკი არაბები თავიანთი სამუდამო გაბატონების საშუალებად, იარაღისა და ძალის გარდა, ქართველთა სულების მონადირებას მიიჩნევდნენ, ქრისტიანობის ძაგებითა და მაჰმადიანობის ქებით ქართველთა გამაჰმადიანებას ცდილობდნენ, მწერალმაც სწორედ მტრის იარაღი გამოიყენა მათსავე საწინააღმდეგოდ. არაბი ჰაბუკის აბოს გაქრისტიანებისა და ამ ახალი სარწმუნოებისათვის მისი წამების მაგალითზე მწერალმა ქართველებს ჩაუნერგა აზრი, რომ ქრისტიანობა კი არ არის უარყოფის ღირსი, არამედ მაჰმადიანობაა დასაგმობი.. — ხომ ხედავთ, თვითონ არაბებიც კი ქრისტიანდებიან და მისთვის თავს სდებენ, ამიტომ თქვენ როგორღა გადაუდგებით მამა-პაპათა სარწმუნოებასო. ეს იყო ქრისტიანი ქართველების სულის ავტონომიის დაცვის უებარი საშუალება, რამაც დიდი შედეგი გამოიღო — თითოეულის სულის ავტონომიის დაცვით ეროვნული თავისუფლების, სახელმწიფოებრივი ავტონომიის დაცვაც მოხერხდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი შუასაუკუნეების მანძილზე საქართველოში ქრისტიანობისათვის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას უდრიდა, მაშინ გასაგები გახდება იოანე საბანისძის ჩანაფიქრის ძალა.

„აბოს წამებაში“ ადამიანის სულის ავტონომიის დაცვის თვალსაზრისით საინტერესოა არა იმდენად თვითონ აბო, რომელიც ურყევად დადგა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ათასი დაპირების ჰიუხედავად წამებით სიკვდილი ამჯობინა ქრისტეს რჯულის შეცვლას, რამდენადაც ნაწარმოების მეორე გმირი — ნერსე ერისთავი, რომელიც გონიერებასა და სულიერ სიმტკიცეს ერთად შეიმარჯვებს პიროვნული და ეროვნული ავტონომიის დასაცავად. მას ვერ გატეხს ვერც ბაღდადის საპყრობილეში ჩაგდება არაბი დამპყრობლების მიერ, ვერც დაპირებები და შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებას გონიერულად იყენებს, რათა არ უღალატოს არც რჯულს, რწმენას, არც ხალხს, დაიცვას ერისა და საკუთარი თავისუფლება, სულიერი ავტონომია. უნდა ითქვას, რომ ნერსე ერისთავი ჩვენთვის შარავანდედით მოსილი სახელოვანი წინაპარია, რომელიც ბევრი რამით არის სამაგალითო. გვიფიქრია თუ არა იმაზე, თუ რამდენად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ნერსე ერისთავის პიროვნება, რომ მის გვერდში მყოფ არაბს, დედითა და მამით შაჰმადიანს, გონებაგახსნილ ჰაბუკს

უარეყო მაჰმადიანობა და გაქრისტიანებულიყო? ნერსეს აბოსათვის ძალა ხომ არ დაუტანებია, როგორ შეეძლო მას ამის ჩადენა? ნერსეს სულიერმა სიმტკიცემ, მიმზიდველმა ადამიანურმა თვისებებმა, სულიერი ავტონომიის შეუვალმა დაცვამ მოხიბლა აბო. სხვა ახსნა არ არსებობს. ერისთავის იგივე თვისებები, უნდა ვიფიქროთ, ბევრი ქართველისათვისაც იყო სანიმუშო და მისაბაძი. ამითაც ეს პიროვნება ეროვნული სიმტკიცის, რწმენის ურყევად დაცვის მაგალითია.

ნერსეს გვერდით არ უნდა დავიწყოთ ნაწარმოების ავტორი იოანე საბანისძე, რომელიც სულიერი ავტონომიის პიროვნული და ეროვნული მასშტაბებით დაცვის მქადაგებელია, მაშასადამე, სულის ავტონომიის დაცვისათვის მებრძოლია. ნაწარმოებში გატარებული მწყობრი და მტკიცე თვალსაზრისი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მისი ავტორი არის საოცრად მტკიცე და შეუვალი, საკუთარი რწმენის უებროდ ერთგული პიროვნება, რომლის სულის ავტონომია ურყევია.

თეიმურაზ პირველმა „ქეთევან დედოფლის წამებაში" დიდი სიმძაფრით გვიჩვენა ქართველი ქალის სულის ავტონომიის შენარჩუნების დაუვიწყარი მაგალითი. რა მარტივად ადგა საკითხი: უარყავ ქრისტიანობა, აღიარე დამპყრობ სპარსთა სარწმუნოება, ე. ი. დაემორჩილე მის ნებას და დედოფლური პატივი არ მოგშორდებაო. სულით სუსტსა და მერყევ პიროვნებას რა ადვილად შეეძლო მტრის სურვილის შესრულება! მაგრამ ქეთევანი უდრეკი და უტეხი სულისაა, მისი რწმენა ურყევია, მისი სული გაუბზარავია, მისი შეუპოვრობა საარაკოა, მისი ხასიათი მტკიცეა! ქეთევანმა სულის ავტონომიის დასაცავად გავარვარებულ შანთებსაც გაუძლო და როცა ხორცი იწვოდა, მისი სული უფრო ელვარედ კაშკაშებდა! და რაკი ჩვენი ერის ისტორიის გრძელ გზაზე სარწმუნოების დაცვისათვის ბრძოლა ეროვნულობის შენარჩუნებისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა, ამიტომ ყოველი პიროვნების სულის ავტონომიის დაცვისათვის ბრძოლა ერის ავტონომიის დაცვისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა. ქეთევანის მაგალითი აქ განსაკუთრებულად ჩანს, იგი უკვდავი მაგალითია, რომელიც პიროვნებასაც ამაღლებს და მის ერსაც. მეფე-პოეტმა თეიმურაზ პირველმა თავის პოემაში უებრო გმირი დაგვიხატა, მისი სახე და საქმე დღესაც კაშკაშა შუქს გამოსცემს.

ცხადზე უცხადესია, რომ პოემის ამგვარი იდეური დატვირთვის გამო მისი ავტორი აგრეთვე უდავოდ მოჩანს უტეხი სულისა და მაღალი ზნეობრივი განძის მქონე პიროვნებად, რომელმაც არა მარტო ამ პოემით, არამედ მთელი თავისი მეფური მოღვაწეობითაც დაამტკიცა მტრისადმი ურჩობა და საკუთარი სულის ავტონომიისათვის თავდადება. მისი ცხოვრებაც მოწამებრივად დასრულდა.....

ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ ყოველი დამპყრობი და მჩაგვრელი პირველ რიგში დასაპყრობად შერჩეულთა სულების დამონება-გადაბირებით იწყებს თავისი განზრახვის შესრულებას. ამ მიზნით ისინი იწყებენ „სულებზე ნადირობას“, რათა მერე გაიადვილონ განზრახულის საბოლოო შესრულება. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა შესანიშნავი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის ერთი მეტად საყურადღებო კონცეფცია, რომელიც არაორაზროვნად გამოსჭვივის მისი რომანიდან „არმაზის მსხვრევა“. ამ ნაწარმოებში ავტორს საქმე ასე წარმოუდგენია: ნინოს ჯვარი წინ მიუძღოდა რომაელთა ხმალს, ხოლო სპარსთა კერპი არმაზი ხელს უწყობდა დამპყრობ სპარსელთა ბატონობას საქართველოში. ამით ნიღაბი აქვს ჩამოგლეჯილი დამპყრობთა ვერაგულ ბუნებას — ვინც და საიდანაც უნდა იყოს ის. ისინი ჯერ ადამიანთა სულებზე ნადირობას იწყებენ, ხოლო მოთვინიერებული და გადაბირებული სულის ყოლა მორჩილებაში შემდეგ იოლი საქმეა. მწერალმა ამ კონცეფციით ძალზე საყურადღებო რამ გვითხრა. მაშ სად არის გამოსავალი? ვ. ბარნოვის აზრით, გამოსავალი საკუთარი ღმერთისადმი ერთგულებაშია. მართალია, რომანში მწერალი ქართველთა ძველ ღმერთებს, ღვთაებებს ახსენებს, მაგრამ ეს მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით არის ნაგულისხმევი. ბარნოვი უკან კი არ გვეწევა, იგი ზოგადად ქადაგებს საკუთარი ღმერთისადმი ერთგულებას, როგორც ყოველი ცალკეული პიროვნებისათვის, ასევე მთელი ერისთვისაც. საკუთარი ღმერთი ამ შემთხვევაში საკუთარი რწმენაა, რომელიც გამორიცხავს ძალით თუ დათაფლული ენით სხვათა რწმენის თავს მოხვევას.

რომანში მეფე მირიანის ქალიშვილი საბოლოოდ რწმუნდება, რომ არც არმაზი ყოფილა უძლეველი, რადგან იგი დაიმსხვრა, არც „ნინოს ღმერთი“ ყოფილა კეთილი, როგორც მას წარმოადგენდნენ, რადგან მან ჩაიდინა ბოროტება — ხვარამზეს სატრფო, რაინდი ამზაილი დაღუპა. ამიტომ არის, რომ ხვარამზეს თუმც უკვე სწამდა ქრისტეს სჯული, მაგრამ ამის მიუხედავად, ჯვარს მოიგლეჯს და გადაისვრის, რადგან „ნინოს ღმერთის“ სიავეში დარწმუნდება.

ქრისტიანობის გავრცელებით, თავიანთ სარწმუნოებაზე ქართველთა მოქცევით რომაელები ცდილობდნენ ციხის შიგნიდან გატეხას, ისინი ლამობდნენ დასამონებლად შერჩეული ხალხის სულის გადაბირებას, რათა შემდეგ მათ ხმალს საქმე გაადვილებოდა. ეს არის ერთადერთი სიმართლე, თუმცა იგი ვერაგ და ბოროტ საფუძველს ემყარება. მაგრამ რომელი დამპყრობელი არ ემყარებოდა ვერაგობას? დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ეს იყო იდეოლოგიური დივერსიები, რომელიც მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა: ადამიანთა

სულების გადაბირებით გაეადვილებინათ დამპყრობლური ზრახვების სისრულეში მოყვანა.

თანამედროვე მსოფლიოს თუ დავაკვირდებით, ეს საკითხი დღესაც ასევე დგას. ამერიკული იმპერიალიზმი ძალას და თანხებს არ ზოგავს, რათა ლიტერატურის, კინოს, რადიოს, ტელევიზიისა და სხვა საშუალებებით განახორციელოს იდეოლოგიური დივერსიები, მოწამლოს დასამონებლად შერჩეული ხალხების გონება და სული, რათა გაიადვილოს ექსპანსიანისტური ზრახვების განხორციელება. ისინი ნადირობენ ადამიანთა სულებზე, ცდილობენ მათ გადაბირებას, მათი რწმენის შერყევას, ე. ი. მათი სულის ავტონომიის ხელყოფას, რათა საკუთარი აზრი თავს მოახვიონ მილიონობით ადამიანს.

სკკპ XXIV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში წერია:

„ჩვენ ვცხოვრობთ შეუნელებელი იდეოლოგიური ომის პირობებში, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ, აწარმოებს იმპერიალისტური პროპაგანდა, ამასთან იყენებს ყველაზე გაწაფულ მეთოდებსა და მძლავრ ტექნიკურ საშუალებებს... მობილიზებულია იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანოს ადამიანები, ჩაუნერგოს მათ შთაბეჭდილება, თითქოსდა სამოთხის ცხოვრებაა კაპიტალიზმის დროს, ცილი დასწამოს სოციალიზმს. ეთერი პირდაპირ სავსეა ყოველგვარი მონაჭორით ჩვენი ქვეყნის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ცხოვრების შესახებ“ (სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 115).

სულის ავტონომიისათვის შეუპოვარი ბრძოლა არ არის მხოლოდ ისტორიის, წარსულის საქმე, იგი ძალზე სადღეისო და აქტუალურია ახლაც. ამიტომ ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი თემა და პრობლემა სწორედ ადამიანის სულის ავტონომიის შენარჩუნებისათვის, იდეური რწმენის შეურყეველობისათვის ბრძოლაც უნდა იყოს.

ომისშემდგომი ქართული მწერლობა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ექვსტომეულში

მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულის გამოცემა მთელი საბჭოთა ქვეყნის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ეს წიგნები არა მარტო ადასტურებენ ქვეყნის მრავალი ერისა და ეროვნების ლიტერატურის აყვავებას საბჭოთა ხელისუფლების წლებში, არამედ იმაზეც მეტყველებენ, თუ როგორ დაახლოვდნენ საბჭოთა ხალხები, მათი ცხოვრების საერთო საფუძველი როგორ აერთიანებს მათ ინტერესებს და ძმურ ურთიერთობაში როგორ გადაიზარდა საბჭოთა ხალხების კავშირი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ეს დიდი ცვლილებები აირეკლა ლიტერატურაში, რასაც ეს ექვსტომეულიც გვიდასტურებს.

დიდია ამ წიგნების წმინდა ლიტერატურული, პროფესიონალური მნიშვნელობაც. ენობრივი ბარიერი ერთი ხალხის შვილებს ხელს უშლის მეორე ხალხის ლიტერატურის შესწავლაშიც და უბრალოდ თვალის მიდევნებაშიც. ამ ბარიერის გადალახვაში განსაკუთრებული წიგნები დიდად დაეხმარება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლებს. ხოლო იმის გამო, რომ რუსული ენა ხელმისაწვდომია უცხოეთის ბევრი წარმომადგენლისათვის, ამ წიგნებს საერთაშორისო ასპარეზიც აქვს. ეს კი ცოტა როდია.

ამ წიგნების გამოსვლა ჩვენ იმდენად მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია, რომ გვინდა გამოვთქვათ აზრი საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე და რამდენიმე უცხოურ ენაზე მათი თარგმანის აუცილებლობის შესახებ.

არ შეგვიძლია მადლობა არ ვუთხრათ ექვსტომეულის გამოცემის ინიციატორებსა და ამ წამოწყების პრაქტიკულად განმახორციელებლებს, რომელთა შორის არის ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მეცნიერი გიორგი ლომიძე. მთავარ რედაქციაში შედიოდა აგრეთვე ბატონი ბესო ჟღენტი.

კერძოდ, ჩვენი განხილვის საგანია ომისშემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურის მონაკვეთი, რაც შესულია მეოთხე ტომში (1972 წ.) ეს ნაწილი გაყოფილია სამ ქვეთავად — ქართული პროზა, ქართული პოეზია, ქართული დრამატურგია. სამივე მონაკვეთს სულ 14 გვერდი ეთმობა,

დარწმუნებული ვართ, რომ მთავარმა რედაქციამაც და სხვებმაც ჩვენზე გაცილებით ადრე და მეტიც იფიქრეს მასალათა მოწოდების პრინციპზე და მათაც სურდათ ოპტიმალური ვარიანტის მიგნება. ეს გვჯერა, მაგრამ ჩვენ ვმსჯელობთ შედეგის მიხედვით და გვგონია, რომ საქმე უნაკლოდ არ არის.

პერიოდებად ასე დაქუცმაცება რამდენადმე უხერხულობას იწვევს, თანაც საშუალებას არ იძლევა მკითხველმა თვალი გაადევნოს ცალკეული მწერლის ზრდის ევოლუციას, აგრეთვე, ლიტერატურული პროცესების დიალექტიკას.

ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნა ისიც არის, რომ ლიტერატურული კრიტიკა სავსებით გამოუტოვებიათ, იგი გერის მდგომარეობაში აღმოჩენილა. ამდენს ვლაპარაკობთ სხვა ჟანრებთან კრიტიკის თანასწორობაზე, მაგრამ ამ წიგნიდან ეს არ ჩანს. 1972 წლის ცნობილი დადგენილების შემდეგ მაინც ეს ვითარება უნდა გასწორდეს ექვსტომეულის შემდგომ გამოცემაში.

შენიშვნას ისიც იმსახურებს, რომ პროზა, პოეზია და დრამატურგია ერთ კაცს მიენდო. აჯობებდა, თავი დაგვეღწია ავტორთა მონოპოლიისაგან და საქმეში ჩაგვება სხვა ძალებიც.

ასეთია ზოგადი ხასიათის შენიშვნები.

ახლა კი კონკრეტულად განვიხილავთ მონაკვეთების მიხედვით. წინასწარ ერთი განცხადება კიდევ. მინდა აქ წარმოდგენილ მასალებს შევხედო არაქართველი მკითხველის თვალით, ე. ი. მინდა წარმოვიდგინო, თუ რას მიიღებს ასეთი მკითხველი ამ მიმოხილვებიდან, თუ სხვა გზებით მან ქართული მწერლობა არ იცის.

ვფიქრობ, არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს.

ავიღოთ, ომისშემდგომი ქართული პროზა. აქ მასალის მოწოდების ასეთი პრინციპია: მწერლებისა და მათი ნაწარმოებების ჩამოთვლა, ზოგი თხზულების მოკლე შინაარსის გადმოცემა და იშვიათად, სულ მცირე, უმნიშვნელო კვალიფიკაცია. ამასთანავე შესამჩნევია ზოგი მწერლისადმი სუბიექტური დამოკიდებულება, როცა მისი უმნიშვნელო ნაწარმოები, რომელსაც ნაკლები ღირებულება აქვს, წიგნში მაღალ შეფასებას იღებს. სამწუხაროა ისიც, რომ აქ არ გვხვდება ლიტერატურული პროცესის ახსნა, პრობლემური ანალიზი და ამ პერიოდის ქართული პროზის საერთო დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფის ცდა. გაგვიჭირდება დავეთანხმოთ ავტორს, თითქოს ომისშემდგომი ქართული ლიტერატურის მთავარი მიღწევა იყოს დიდი მხატვრული ტილოების გამოჩენა. წიგნის 368-ე გვერდზე გარკვევით წერია: «Главным достоинством грузинской литературы этого времени можно считать появление больших художественных полотен — романов, повестей и поэм».

ჯერ ერთი, ადრეულ პერიოდებში, მაგალითად, ოციან და ოცდაათიან წლებში უფრო ნაკლები დიდი ტილო არ დაწერილა, ვიდრე ომისშემდგომ პერიოდში, და ამიტომ ეს დებულება სწორი არ არის. მეორეც, სანამ ამ „დიდი ტილოების“ ღირსება არ გარკვეულა, მანამდე არ შეიძლება თვით სიდიდის გამო ეს „ტილოები“ მიღწევად ჩაითვალოს.

საკმაოდ დაწერილებით არის გადმოცემული ლ. ქიაჩელის „მთის კაცის“ შინაარსი, ნახსენებია კ. ლორთქიფანიძის „მწვანე ღილი“, „მაისის დილა“, „თერგის ყორღანებზე“, „ერთხელ ღამით“.

ვფიქრობთ, გადაჭარბებული შეფასება ეძლევა დ. შენგელაიას „წითელ ყაყაჩოს“, რომელიც თვით დ. შენგელაიას შემოქმედებაშიც და საერთოდ ქართულ პროზაში დიდი ლიტერატურული ღირებულებით არ გამოირჩევა. წიგნის 37-ე გვერდზე კი ორ ადგილას წერია შემდეგი:

«К числу лучших произведений грузинской литературы о войне относится роман Демны Шенгелая «Красный мак».

«В целом же «Красный мак» — творческое достижение Д. Шенгелая и заметный вклад в послевоенную грузинскую прозу».

ვერ დავიჯერებთ რომ „სანავარდოსა“ და „ბათა ქექიას“ ავტორისათვის „წითელი ყაყაჩო“ შემოქმედებითი მიღწევა იყოს. ამიტომ საჭირო სრულიადაც არ არის მკითხველისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

ცნობილია, რომ იმ პერიოდში დიდი წარმატება ხვდა მიხეილ მრევლიშვილის „ხარატაანთ კერას“. ამაზე განსახილველ წიგნში თავშეკავებით წერია, სამაგიეროდ, გამორჩენილი არ არის ამ თხზულების ცალკეულ ნაკლოვანებათა მითითება. სწორედ პირუკუ შეიძლებოდა მსჯელობა.

ავტორს არ ავიწყდება ს. თავაძის ე. წ. საწარმოო რომანი „ფოლადი“ (გვ. 372), რომელსაც მთელ აბზაცს უთმობს, ხოლო მომდევნო აბზაცში მხოლოდ ჩამოთვლილია ა. ქუთათელის, გ. შატბერაშვილის, გ. ნატროშვილის, ბ. ჩხეიძის, ა. ლომიძის, ლ. ავალიანის და ათზე მეტი მწერლის სახელი. ვფიქრობთ, ასეთი დისპროპორციები არ ემთხვევა ს. თავაძისა და ამ მწერლების დამსახურების სწორ შეფასებას.

წიგნში სათანადოდ არის წარმოდგენილი რ. ჯაფარიძის „ხევის პატარძალი“ და ს. კლდიაშვილის „მყუდრო სავანე“. ვრცლად არის განხილული ა. ბელიაშვილის „ბესიკი“. აქ წინა პლანზე წამოწეულია საქართველოს ორიენტაციის საკითხი და ერეკლე II მოღვაწეობა ამ თვალსაზრისით.

სხვათა შორის, დასაზუსტებელია ცნება „ომისშემდგომი ქართული ლიტერატურა“, დასადგენია მისი საზღვრები. ეს საკითხი იმან წამოჭრა, რომ 1951 წელს დაწერილი „ხევის პატარძალი“ ამ მონაკვეთში არის შეტანილი. თუ ეს თარიღი ეტევა „ომისშემდგომი ლიტერატურის“ ცნებაში, მაშინ ზოგი სხვაც უნდა ყოფილიყო განხილული.

არ ვიცით რა მიზეზით, მაგრამ ფაქტია, რომ წიგნის 371-ე გვერდზე ომისშემდგომ ქართულ ლიტერატურაში მოქცეულია კ. გამსახურდიას სამი რომანი — „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“. ამათგან პირველი ორი, როგორც ცნობილია, ომამდე საკმაოდ ადრე დაიწერა. ვფიქრობთ, ეს ანაქრონიზმია და მომავალ გამოცემაში უნდა გასწორდეს. დასახელებულ 371-ე გვერდზე წერია: «Особое место в послевоенной большой прозе принадлежит романам Константина Гамсахурдия. Три романа Гамсахурдия — «Улыбка Диониса», «Похищение луны» и «Цветение лозы» — освещают современность с разных идейно-художественных позиций».

ეჭვს არ იწვევს, რომ ამ კონტექსტში სამივე რომანი მიჩნეულია ომისშემდგომ პერიოდში დაწერილად, რაც არასწორია.

ვერ დავეთანხმებით ავტორს კ. გამსახურდიას რომანების ისეთ შეფასებაში, რომელიც იმავე გვერდზე გვხვდება: „«Тем не менее автор еще не окончательно пересмотрел свои идейно-эстетические позиции и расстается с погибающим героем как бы с тоской и сожалением, тем самым рискуя пробудить в читателях если не сочувствие, то терпимость к миру, который он представляет».

როგორც ზემოთ ითქვა, IV ტომი გამოვიდა 1972 წელს. ხოდა, განა სამოცდაათიან წლებში კ. გამსახურდიას შესახებ ასე წერა შეიძლება? განა ეს რომანები სავარსამიძისა და ემხვარის მიმართ მკითხველებში თანაგრძნობისა და სინანულის გრძნობის გამოწვევას ემსახურება? ამ გმირთა რთული სახეების დახატვა, ე. წ. ზედმეტი ადამიანის ჩვენება განა წარმავალი სამყაროსადმი ნაღველს ნიშნავს? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს წიგნის ეს ადგილი ოცდაათიან წლებში იყოს დაწერილი და ძველი ნაწერი იყოს წარდგენილი წიგნის რედაქციაში.

გამართლებული არ უნდა იყოს აგრეთვე მხოლოდ გვარების ხსენება იმ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებიც ასპარეზზე გამოვიდნენ განსახილველ პერიოდში. მაგალითად, განა რევაზ ინანიშვილზე ორიოდე სიტყვის თქმა აუცილებელი არ იყო? მან

ხომ ჩვენს ლიტერატურაში სიახლე შემოიტანა, ის ხომ ნათელი ტალანტია! ასევე შეიძლებოდა თქმულიყო ზოგიერთ სხვაზეც.

კიდევ ერთი შენიშვნა. ომისშემდგომი ქართული პროზის მიმოხილვა მთავრდება ა. ბელიაშვილის „ბესიკის“ განხილვით. ბოლოში კი ერთი სტრიქონია: «В целом же послевоенные годы характеризуются успешным развитием и ростом большой повествовательной формы». ჯერ ერთი, ეს სწორი შეფასება როდია. სწორედ ომისშემდგომ პერიოდში ქართული პროზის ჩამორჩენაზე და მისი გაუმჯობესების აუცილებლობაზე ლაპარაკობდა ყველა. პროზაში მაშინ მართლაც გვიჭირდა. სხვათა შორის, ეს აშკარად ჩანს თვით ამ წიგნიდანაც, რადგან რაიმე საამაყო აქაც არაფერია დასახელებული. გარდა ამისა, აუცილებელი იყო მთელი ეპოქის ქართული პროზის მიმოხილვა დამთავრებულიყო შემაჯამებელი, შემფასებელი მსჯელობით, რომელიც მკითხველს აუხსნიდა საქმის ვითარებას.

ქართული პოეზიის განხილვას წიგნში მხოლოდ ხუთი გვერდი უკავია. ასეთი მცირე მოცულობა თავისთავად განაპირობებს ზედაპირულობას. მე არ ვიცი, რა მოხდა. თუ რედაქცია მოცულობას ასე ზღუდავდა, მაშინ, მაგალითად, სომხურ პოეზიას ცხრა გვერდი როგორღა დაეთმო. ამას ალბათ განგვიმარტავენ, რადგან ცხრა თითქმის ორჯერ მეტია ხუთზე და ეს დამაფიქრებელი შეფარდებაა.

ობიექტურად უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთის პირველი ორი აბზაცი საკმაოდ წარმოაჩენს ქართული პოეზიის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ამ პერიოდში, თუმცა აქცენტი გადატანილია თემატიკაზე, ხოლო გამოსახვის საშუალებები, პოეტური კულტურის საკითხები უყურადღებოდ რჩება.

ამას მოყვება პოეტების პერსონალური მოკლე-მოკლე დახასიათება. ასეთი თანმიმდევრობით: ი. გრიშაშვილი, ირ. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, კ. კალაძე, ალ. გომიაშვილი.

შემდეგ მოდის ჩამოთვლა იმ პოეტებისა, რომლებიც ომის წლებში გამოვიდნენ ასპარეზზე. ესენია: ი. ნონეშვილი, რ. მარგიანი, ხ. ბერულავა, შ. ამისულაშვილი, ა. შენგელია. ფ. ხალვაში. ლ. სულაბერიძე, ვ. სალუქვაძე. თუმცა ეს სია არც სრულია და არც ზუსტი. მაგალითად, სულაც არ არიან ნახსენები ომში დაღუპული, ომის წლებში გამოსული პოეტები — მირზა გელოვანი, ა. საჯაია, გ. ნაფეტვარიძე და სხვები. მათი ხსენება მაინც საჭირო იყო.

ზემოთ ჩამოთვლილ პოეტთაგან მომდევნო აბზაცებში ცალკე ყურადღება ეთმობა ი. ნონეშვილსა და რ. მარგიანს.

შემდეგ ლაპარაკია, რომ ამ დროს გაიშალა ეპიკური ფორმები (გვ. 393): «Отличительной чертой послевоенной грузинской ли-

тературы явилось стремительное развертывание эпических форм». მხოლოდ ამის შემდეგ ახსენებენ გ. ლეონიძეს და მის პოემას „სამგორს“, რომელიც ამ წიგნში საკმაოდ ვრცლად არის განხილული.

ამას მოყვება ალიო მირცხულავას პოემის „რუსთაველის“ განხილვა.

შემდეგ საკმაოდ ამომწურავად განხილულია გრ. აბაშიძის „ზარზმის ზმანება“.

ასევე საკმაოდ ფართოდ არის განხილული ხ. ბერულავას 1950 წელს გამოქვეყნებული „რუსული გული“.

სულ ესაა ცალკე პერსონალურად განხილული პოეტები. ამას მოყვება გრძელი სია იმ პოეტებისა, რომლებიც მხოლოდ ამ სიაში არიან ნახსენები ასეთი წარდგინებით: «В эти годы интересные произведения опубликовали поэты старшего поколения»: ა. აბაშელი, კ. ჭიჭინაძე, კ. ნადირაძე, დ. გაჩეჩილაძე, გ. კაჭახიძე, ვ. გაბესკირია, შ. აფხაიძე, ს. ეული, გ. ცეცხლაძე, ბ. კეშელავა, კ. ბობოხიძე, ვ. გორგაძე, მ. მარიჯანი, ხ. ვარდიაშვილი, ს. ფაშალიშვილი. ნ. ჩაჩავა, ა. ონელი, ნ.მალაზონია, გ. სამხარაძე, ვ. ქურული, ი. ხოშტარია, ა. შანიძე; «И поэты среднего поколения»: ა. ადამია, შ. აკობია, მ. მრევლიშვილი, ა. თევზაძე, გ. კალანდაძე, ა. გურჯიძე, მ. ვარშანიძე, ზ. ლორთქიფანიძე, შ. ფორჩხიძე, გ. შატბერაშვილი, ვ. გვეტაძე, ზ. შერაზადაშვილი, ა. ბეგაშვილი და ახალგაზრდა პოეტები, რომლებიც 1946 წელს კრებულ „სალამურებში“ შევიდნენ — ვ. გორგანელი, მ. ლებანიძე, თ. ჯანგულაშვილი.

როგორც ვხედავთ, ეს სია არაფერს ეუბნება მკითხველს, რადგან მათ პოეზიაზე საუბარი აქ სრულიად არ გვხვდება. გარდა ამისა, ამ სიაში მოხვდნენ ისეთი პოეტებიც, რომელთა შესახებ პერსონალური მსჯელობა აუცილებელი იყო, მათ ეს დაიმსახურეს თავიანთი შემოქმედებით.

მერე ნახსენებია ანა კალანდაძე და მუხრან მაჭავარიანი. ხოლო ბოლო სიაში მოხვდნენ მ. ქვლივიძე, ა. სულაკაური, ა. გეწაძე, ნ. დუმბაძე, ნ. გვარიშვილი, ო. მამფორია, ო. კუპრავა. ცხადია, არც ეს სიაა ერთფეროვანი და იგი არც მეტყველია.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ არც ამ სიებში და არც პერსონალურ განხილვებში არ მოხვდა გ. ტაბიძე, რომელიც სხვა კონტექსტში ერთხელ არის ნახსენები 391-ე გვერდზე, მეორე აბზაცში, იმის ნაცვლად, რომ ეპოქის უპირველეს პოეტზე თქმულიყო, რომ ამ პერიოდშიც გალაქტიონი ინტენსიურად მოღვაწეობდა, გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები და მოეცათ მათი შეფასება, წიგნში გვერდი აქვს აცილი ამ შესანიშნავ პოეტს. ამ ფაქტის ახსნა

მით უფრო ჭირს, რომ წიგნში გულუხვი ქებაა ზოგი ისეთი პოეტისა და მათი ნაწარმოებებისა, რომლებიც, ვფიქრობთ, ამას არ იმსახურებენ. შესაძლოა ზოგმა მათგანმა თვითონვე იგრძნონ უხერხულობა ასეთი გადამეტებული ქების გამო.

ამის გარეშეც, ამ შეფარდებათა გაუთვალისწინებლადაც, განა რაიმე გამართლება შეიძლება დაეძებნოს გალაკტიონისადმი უყურადღებობას? იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ ომისშემდგომ პერიოდში მას არაფერი დაუწერია და მისი არხსენება ამით არის გამოწვეული? არა, ეს სწორი არ არის, რადგან გალაქტიონი მაშინაც ბევრს წერდა და აქვეყნებდა. აი, ფაქტები: 1945—1949 წლებში პოეტმა დაწერა და გამოაქვეყნა ბრწყინვალე ნაწარმოებები — „მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა!“, „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ „ზღვა ახმაურდა“, „რა ცაა!“ „წამყე ბეთანიისაკენ!“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „ჰიმნი ქართულ ანბანს“, „ახალგაზრდობას“, „ასპინძა“, „ეგ არის და გორის ციხე!“ „აი, მიზეზი“, და ა. შ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! გასაოცარია, რომ საკავშირო მკითხველს ამ წიგნით არ წარვუდგინეთ ამ ნაწარმოებთა ავტორი და ამით თავი არ მოვიწონეთ.

ამ ფაქტის გამო კვლავ ყველა განზომილებაში დგება კითხვა კრიტიკის კრიტერიუმის შესახებ. რა კრიტერიუმს ვიმარჯვებთ, როცა მწერალი ფასდება არა მისი შემოქმედებითა და წვლილით მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში? დროა ეს საკითხი გადაწყდეს პატიოსნად და თანამედროვეობის დონეზე!

ჩვენი ფიქრით წიგნში არ არის იმისი ადგილი და არც საჭიროება, რომ ანა კალანდაძეზე ასე დაეწერათ: «В стилизованной архаичности стиха Анны Каландадзе некоторые критики увидели опасность ухода от современности, что, однако, не оправдывалось в последствии». (გვ. 395). ეს ძალიან წააგავს სხვისი ხელით ნარის გლეჯას, შემოვლითი გზით განქიქებას. განა ჩვენი სასიქადულო პოეტი ანა კალანდაძე ასობით მილიონიანი მკითხველისათვის ასე უნდა წარგვედგინა?! ტალანტის დაფასება განა ასე უნდა?! გვეთქვა, რომ გამობრწყინდა პოეტი ქალი, რომელმაც შემდგომ საკუთარი ხმით გაამდიდრა ქართული საბჭოთა პოეზია, გვეთქვა, რომ მისი სახელით ვამაყობთ, გვიყვარს და ა. შ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ხუთი გვერდი არ იკმარებდა ომისშემდგომი ქართული პოეზიის განხილვისათვის და ამანაც განაპირობა ზედაპირულობა და სქემატურობა ამ მონაკვეთისა, მაგრამ ეს ფართობი მაინც მაქსიმალურად უნდა გამოყენებულიყო.

სამწუხაროდ, აქ არ გვხვდება პრობლემატური განხილვა, ხოლო ამის გარეშე საქმე არ ივარგებს.

ამ მონაკვეთზე საუბარი შეიძლება ასე დავამთავროთ: ამ მიმოხილვის მიხედვით ომისშემდგომი ქართული პოეზია ვერ არის წარმოდგენილი იმ სახით, რომელიც მას ნამდვილად ჰქონდა, იგი გაღარიბებულია, დაკნინებულია. მკითხველი ჩვენს იმდროინდელ პოეზიაზე ვერ შეიქმნის იმ წარმოდგენას, რასაც იგი ჰეშმარიტად იმსახურებდა.

სამნახევარი გვერდი ეთმობა ქართული დრამატურგიის განხილვას.

მოცულობის შეზღუდვის მიუხედავად. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ავტორი ახერხებს იმ პერიოდის ქართული დრამატურგიის წარმოჩენას. მოსაწონი ისიც არის, რომ მონაკვეთის დასაწყისში და უფრო კი ფინალში მოცემულია ერთგვარი განზოგადება, შეფასება.

ე. წ. პატრიოტული დრამებიდან, სავსებით სამართლიანად, ცალკეა გამოყოფილი ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, რომელიც დიდხანს წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე.

სამამულო ომის დროინდელი ქართული ცხოვრების ამსახველ პიესებში განცალკევებული ყურადღება აქვს დათმობილი მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერას“, ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსს“ და მარიკა ბარათაშვილის „მარინეს“. ამ პიესების წარმატება თავის დროზე ძალზე დიდი იყო და მათ სავსებით დამსახურებული აქვთ ლიტერატურის ისტორიის ყურადღება. ამის მიუხედავად, გვინდა შევნიშნოთ, რომ „მარინე“, თემატურადაც და სხვა ნიშნითაც ცალკე უნდა განხილულიყო და არა იმ ორ პიესასთან ერთად.

უდავოდ საინტერესოა წიგნში წარმოდგენილი ინტერპრეტაცია მიხეილ მრევლიშვილის პიესის „ნიკოლოზ ბარათაშვილისა“.

განსახილველ პერიოდში ქართული დრამატურგია დიდი ყურადღებით ეკიდება აგრეთვე ისტორიულ თემატიკას. სანდრო შანშიაშვილის „იმერეთის ღამეები“, რომელიც ერთგვარად აგრძელებს ამავე ავტორის „კრწანისის გმირების“ თემას, ილო მოსაშვილის „გზა მომავლისა“, პოლიკარპე კაკაბაძის „დიმიტრი მეორე“, ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელი“, მიხეილ მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და ზოგი სხვა პიესა უეჭველად დასტურია აღნიშნული მოსაზრებისა. განსახილველ წიგნში ეს აზრი სათანადოდ არის გამოკვეთილი. აღსანიშნავია, რომ ჯეროვანი ყურადღება ექცევა მეფე ერეკლე II სახის გამოკვეთას, რაც ზემოთ ჩამოთვლილ პიესებში რამდენჯერმე მეორდება, აგრეთვე ხაზგასმულია რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხი.

პიესების იდეური მხარე შეფასებულია სწორად, ოღონდ შე-

ნიშვნას იმსახურებს, რომ თითქმის არაფერია ნათქვამი მათს დრამატურგიულ მხარეზე, ღირსებებზე. ასევე უხერხულობას ქმნის ერთი და იგივე ავტორის სხვადასხვა ადგილას განაწილება მათი პიესების მიხედვით. ჯობდა ავტორთა მიხედვით. ეს განსაკუთრებით ითქმის ილო მოსაშვილზე, რომელიც მაშინ მართლაც ინტენსიურად მუშაობდა დრამატურგიაში და წარმატებასაც აღწევდა.

საერთოდ კი განსახილველ წიგნში ქართული დრამატურგია გაცილებით უკეთესად არის წარმოდგენილი, ვინემ პროზა ან პოეზია.

ამის შემდეგ გვინდა კვლავ გამოვთქვათ ზოგადი შენიშვნები, რომლებიც ექვსტომეულის სარედაქციო კოლეგიას უფრო ეხება.

უეჭველად საჭირო იყო მეტი ავტორების ჩაბმა ამ მეტად საჭირო და საპასუხისმგებლო საქმეში.

აუცილებელი იყო ავტორთა მიერ დაწერილი მონაკვეთები დაბეჭდვამდე განხილულიყო ფართო მასშტაბით ან სპეციალურ კომისიაზე, ან კომპეტენტურ ორგანოებში. ასე რომ მოვქცეულიყავით, თავიდან ავიცილებდით იმ ნაკლოვანებებს, რომელიც, სამწუხაროდ, წიგნს აქვს.

ომისშემდგომი ქართული მწერლობის ამსახველი მონაკვეთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უეჭველად საჭიროდ მიგვაჩნია, მეორე გამოცემაში შესწორების შეტანა და მხოლოდ ამის შემდეგ თარგმნა საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ენებზე. ყოველ შემთხვევაში, პროზისა და პოეზიის თავების გასწორების აუცილებლობა უდავოა.

ზოგადად კი, ამ ექვსტომეულის გამოცემა, როგორც დასაწყისში ვთქვით, მისასალმებელი ფაქტია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. დასანანია, რომ მასში ხარვეზი გვხვდება.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

XX საუკუნის ქართული ლიტერატურაო რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ იგივე უახლეს ქართულ ლიტერატურას, რომელიც ზოგ ნაშრომსა თუ სასწავლო პროგრამაში დამკვიდრებული ტერმინია. უახლეს ქართულ ლიტერატურად თავის დროზე მიიჩნიეს 90-იანი წლებიდან დღემდე შექმნილი ლიტერატურა. სიტყვა „უახლესი“ აქ იხმარეს განსასხვავებლად სიტყვა „ახლისაგან“, რომელიც ზის ტერმინში „ახალი ქართული ლიტერატურა“, და რომელშიც იგულისხმება XIX საუკუნის ქართული მწერლობა. თავის მხრივ ეს „ახალი“ კი გამოცალკევებულია ძველი ქართული მწერლობისაგან, რომელიც მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს — V—XVIII საუკუნეებს.

ჩვენ უარვყოფთ ტერმინს „უახლესი ქართული ლიტერატურა“, რომელსაც იწყებენ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, და მის ნაცვლად (და არა პარალელურად) ვამკვიდრებთ ტერმინს: „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა“. ეს აზრი ემყარება რამდენიმე გარემოებას. ჯერ ერთი, გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული ლიტერატურა არ გამოირჩევა რაიმე ისეთი თვისებრივი სიახლით, რაც საფუძველი გახდებოდა ახალი მწერლობის დასაწყისისა. სინამდვილეში, აღნიშნული ათწლეულის ლიტერატურა ბუნებრივი გაგრძელებაა იმ პროცესისა, რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში მიმდინარეობდა. იგულისხმება ისიც, რომ თვითონ „ახალი ქართული ლიტერატურაც“ თვისებრივად ერთგვაროვანი არ არის: მასში შედის რომანტიზმის ლიტერატურაც, სამოციანელთა დიდი შემოქმედებაც თავისი კრიტიკული რეალიზმით, ხალხოსანთა შემოქმედებაც და 80—90-იანი წლების ლიტერატურაც. ყველაფერი ეს თავსდება „ახალი ქართული ლიტერატურის“, ანუ „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის“ ცნებაში. ერთი სიტყვით, ქართული ლიტერატურის ეს მონაკვეთი ისევე არაერთგვაროვანია, როგორც ძველი მწერლობაც, რომელიც მოიცავს ჰაგიოგრაფიულ მწერლობასაც, რაინდულსაც, რენესანსსაც, დაცემის ხანისასაც, აღორძინების ხანის მწერლობასაც და მომდევნო დროისასაც. თუ აქ დიდ, თვისობრივად განსხვავებულ ერთეულებს გამოვუყოფთ, იგი შედგება სასულიერო და საერო მწერლობისაგან. ერთგვარიაო, ვერავინ იტყვის იაკობ ხუცესზე და სულხან-საბა ორბელიანზე, რუსთაველსა თუ თეიმურაზ პირველზე, გურამიშვილსა

და ბესიკზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ერთ პერიოდში არიან მოქცეული, ისინი ერთიანდებიან ერთ ცნებაში — „ძველი ქართული მწერლობა“.

მეორეც, ცნება „უახლესი ქართული ლიტერატურა“, იმიტომაც აღარ ვარგა, რომ იგი უკვე „დაძველდა“, რაღა უახლესია, როცა უკვე თითქმის საუკუნე მთავრდება მისი დასაწყისიდან? ოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა ეს ცნება შემოიტანეს, მას კიდევ ჰქონდა რაღაც გამართლება. ახლა კი იგი მოძველებულია.

მესამე და უმთავრესი კი მაინც სხვა რამეა. საქმე ის არის, რომ შინაარსობრივადაც, პრობლემატურადაც, იდეოლოგიურადაც სწორედ ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეიმჩნევა სავსებით ახალი რამ ქართულ მწერლობაში. ეს არის რევოლუციური სულისკვეთება, სოციალიზმისათვის ბრძოლის სულისკვეთება, რაც აშკარად შესამჩნევია რამდენიმე ქართველი მწერლის შემოქმედებაში.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით და უფრო ტევადი, თანაც ნეიტრალური ცნების ძიებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ჯობია შევთანხმდეთ და დავჯერდეთ ცნებას „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა“.

როცა ასე ვამბობთ, ცხადია, გვახსოვს, რომ ყოველგვარი პერიოდიზაცია გულისხმობს პირობითობას, მაგრამ სიცხადისათვის მეცნიერული თვალსაზრისით გარკვეული მიჯნების დანახვა და მათი გათვალისწინებით პერიოდების გამოყოფა ნათელს ხდის და აადვილებს საგნის შესწავლას. ცხადია, ეს არ შეეხება მხოლოდ ქართული ლიტერატურის ისტორიას, იგი ვრცელდება მეცნიერების სხვა დარგებზეც.

თავის მხრივ, არც XX საუკუნის ქართული ლიტერატურა არის ერთგვაროვანი. მასშიც შესამჩნევია რამდენიმე ანგარიშგასაწევი განსხვავებული თავისებურება. ჯერ ერთი, უკვე აღიარებულია განსხვავება ოქტომბრის რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომი პერიოდის ლიტერატურაში, რაც გამოცალკევებულიცაა.

მეორეც, საფუძვლიანი იქნებოდა, შეგვემჩნია კრიტიკული რეალიზმის მეთოდის განგრძობა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში და მისგან თვისობრივად სავსებით განსხვავებული, ახალი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის თანდათანობითი დამკვიდრება ჩვენი საუკუნის პირველი ათწლეულების ლიტერატურაში და შემდეგ. ერთი სიტყვით, ლიტერატურული მეთოდის თვალსაზრისით ორი განსხვავებული ნაკადი XX საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში უდავო ფაქტია. ამას დაუმატეთ იმპრესიონიზმისა და ექსპრესიონიზმის ელემენტები, სიმბოლიზმი და ფუტურიზმი, რომლებიც გარკვეულწილად არსებობდა

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისამდე, და ამ პერიოდის ქართული მწერლობის მრავალგვაროვნებაც სავსებით ცხადი გახდება.

XX საუკუნეში ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ ისეთი მწერლები, რომლებიც წინა საუკუნიდან გამოვიდნენ და რომელთაც ლიტერატურის ისტორიაში საკუთარი კვალი გაავლეს. ვასილ ბარნაველი (ბარნოვი), დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და ზოგი სხვა მწერალი მე-19 საუკუნიდან არიან მოსულნი, მაგრამ მათ ჩვენს საუკუნეში არა მარტო იცხოვრეს (და საკმაოდ დღეგრძელადაც), არამედ ქმნიდნენ კიდეც, აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ერთგვარ გავლენასაც ახდენდნენ ჩვენი საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესზე. მაგრამ ისინი მოიმარჯვებდნენ კრიტიკული რეალიზმის მეთოდს.

ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ თუმც მე-19 საუკუნიდან გადმოვიდნენ იროდიონ ევდოშვილი, ჭოლა ლომთათიძე და ზოგი სხვაც, მაგრამ მათი შემოქმედების ძირითადი თავისებურება რევოლუციურობაშია და ამიტომ ისინი მთელი სულისკვეთებით XX საუკუნის დასაწყისს ეკუთვნიან. ეს მით უმეტეს, რომ მათ შემოქმედებაში უკვე შესამჩნევია ჩანასახი სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა.

XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სხვა წარმომადგენლებიდან ზოგი თუმც მე-19 საუკუნეში დაიბადა, მაგრამ მათი შემოქმედებითი ბიოგრაფია მე-20 საუკუნეში იწყება და ამიტომ ისინი უყოყმანოდ ეკუთვნიან ამ პერიოდის ლიტერატურას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეთოდის თვალსაზრისით ზოგმა მათგანმა განიცადა მეტამორფოზა — დაიწყო კრიტიკული რეალიზმის მეთოდით და ისტორიული მოვლენების განვითარების, ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების შედეგად ისინი არა მარტო მივიდნენ სოციალისტურ რეალიზმთან, არამედ გახდნენ მისი საუკეთესო წარმომადგენლებიც. ასე შეიძლება ვიმსჯელოთ შალვა დადიანზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, იოსებ გრიშაშვილზე, სანდრო შანშიაშვილზე და ა. შ.

ასევე სწორხაზობრივი არ იყო იმ მწერალთა შემოქმედებითი ბიოგრაფიებიც, რომლებიც ჯერ ეკუთვნოდნენ იმპრესიონიზმსა თუ ექსპრესიონიზმს, სიმბოლისტთა სკოლას ან ფუტურისტთა ჯგუფს, მაგრამ შემდგომში ისინი სოციალისტური რეალიზმის შესანიშნავი წარმომადგენლები გახდნენ. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ შესანიშნავი მწერლები — ნიკო ლორთქიფანიძე და კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე

და გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და ა. შ.

თავისთავად იგულისხმება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ან მომდევნო პერიოდებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული მწერლები მიუხედავად რომელიმე ლიტერატურულ ჯგუფში მათი ყოფნისა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის წარმომადგენლები არიან. ამას არავითარი განმარტება არ სჭირდება.

მსჯელობიდან გამოდის, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის არც ერთი პერიოდი — ძველი, XIX საუკუნისა თუ XX საუკუნისა — არ არის ერთგვაროვანი, მათ შიგნით აშკარად შესამჩნევია განსხვავებული მიმდინარეობანი, მეთოდები, განსხვავებული იდეოლოგია და მსოფლმხედველობა, მაგრამ გარკვეული მიჯნებით მათ ერთმანეთისაგან გამოვყოფთ.

ცხადია, პერიოდიზაცია ხდება ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის გასაადვილებლად, სისტემაში მისი მოყვანის მიზნით, ლიტერატურის გრძელ გზაზე რაღაც საზღვრების აღსანიშნავად. თუ ფართო პლანით განვიხილავთ, მთელი ქართული ლიტერატურა, V საუკუნიდან დღემდე, არის ერთი ეროვნული ლიტერატურა, განუწყვეტელი შემოქმედებითი პროცესი და ქართველი ხალხის სულისა და გონების პოტენციის გამონაშუქი. მაგრამ როგორც ყოველ გრძელ გზას აქვს სადგურები ან მოსახვევები, ასევე ჩვენს მწერლობასაც აქვს პერიოდები, რომელთა გამოყოფა და ცოდნა გვიადვილებს ამ გრძელ გზაში გარკვევას, მასზე მგზავრობას.

ამრიგად, ჩვენ ვამჯობინეთ ცნება „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა“, და უარვყავით ცნება „უახლესი ქართული ლიტერატურა“, მოძველებული და არაზუსტი.

მიხეილ ჯავახიშვილი

XX საუკუნის გამორჩეულ ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უეჭველად მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის. მან, დიდმა ქართველმა მესიტყვემ, თავის შესანიშნავ რომანებსა და მოთხრობებში, აგრეთვე მრავალ პუბლიცისტურ წერილში, გამოხატა ქართველი ხალხის ეროვნული, სოციალური, პოლიტიკური და ზნეობრივი ცხოვრების მრავალი მხარე, გვიჩვენა მშფოთვარე თანამედროვეობაც და წარსულიც, დაგვიხატა საზოგადოებრივი ძვრები და ის ადამიანები, რომლებიც რაიმე სახით მონაწილეობენ ბობოქარი ცხოვრების რომელიმე საფეხურზე.

ერის ფიქრი და იდეალი, აზრი და გრძნობა, წუხილი და სიხარული, ხალხის სულისკვეთება, უპირველესად, ლიტერატურაში აისახება. ამიტომ იგი შეიძლება შევადაროთ მაღალ სამრეკლოს, რომლის ზარები გამუდმებით რეკავენ და რეკავენ, რათა ხალხი გამოაფხიზლოს და მას კაცობრიობის მაღალი იდეალებისადმი რწმენა განუმტკიცოს, პატრიოტიზმისა, თავისუფლებისა და ჰუმანიზმისაკენ მოუწოდოს. დიდი მწერალი კი სამრეკლოს დიდი ზარია, რომელიც თავისებურსა და განუმეორებელი ჟღერადობის ხმას გამოსცემს. ჩვენი ლიტერატურული სამრეკლოს ერთ-ერთი დიდი ზარი სწორედ მიხეილ ჯავახიშვილია.

ამ დიდი ბელეტრისტის შემოქმედებაში აღსანიშნავია არა მარტო ზედმიწევნით ცხოვრებისეული, მწვავე, ეპოქალური საკითხების, თემების, პრობლემების შერჩევა და მათი პირუთვნელი ჩვენება, არამედ, ამასთანავე, მათი მაღალოსტატური დახატვაც.

მიხეილ ჯავახიშვილი არის სიუჟეტის განვითარების დიდი ოსტატი. მისი ნაწარმოებების სულმოუთქმელი წაკითხვის ერთ-ერთი საფუძველი სწორედ მძაფრი სიუჟეტისა და შეკრული კომპოზიციის შესანიშნავი ჰარმონიაა მის რომანებსა და მოთხრობებში.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მკაფიოდ გამოძერწილი, დასამახსოვრებელი, ხორცშესხმული ტიპების ხატვის თვალსაზრისით მ. ჯავახიშვილს XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ბადალი არ მოეპოვება. მისი ტიპების უმრავლესობა ხალხში გადავიდა და მეტსახელად იქცა. ჩანჩურა, კვაჭი, ჯაყო, არსენა და მრავალი სხვა იმდენად ძლიერად ნაძერწი ტიპებია, რომ ისინი გახალხურდნენ. შემოქმედებითი წარმატების ეს მხარე მ. ჯავახიშვილის

ერთ-ერთი თვისებაა. მარტო ის ფაქტი, რომ საუკუნის მანძილზე საქართველოში არსენას ხალხური ლექსით ცოცხლობდა არსენა ოძელაშვილი და რომან „არსენა მარაბდელის“ შექმნის შემდეგ მან მ. ჯავახიშვილის არსენას დაუთმო ადგილი, საკმარისია ჩვენი მწერლის, როგორც ტიპების მძერწავის დასახასიათებლად. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ჩანჩურობა, კვაკობა, ჯაყოობა საქართველოში განზოგადებული შინაარსის ტერმინები გახდა.

იშვიათი გამონაკლისია, რომ 1900-იან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულ მწერლებს გარკვეული ხარკი არ გადაეხადოთ არარეალისტური მიმდინარეობებისათვის. ამ თვალსაზრისითაც მ. ჯავახიშვილს განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის — იგი თანმიმდევრულად ერთგული დარჩა რეალიზმისა და მიაჩნდა, რომ მსოფლიო ლიტერატურაში რაც შედევრი შეიქმნა, მხოლოდ რეალიზმის მომარჯვებით შეიქმნაო. ამ აზრს მწერალი ავითარებდა თავის წერილებში და შემოქმედებით პრაქტიკაში კი მას საქმით ამტკიცებდა.

მწერლის ერთი თვისებაც განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს. მიუხედავად იმისა, რომ მ. ჯავახიშვილს ზედმიწევნით შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდა ფრანგული ლიტერატურა და კულტურა, ამის გვერდით კი ევროპის სხვა ქვეყნების კულტურაც, იგი არასოდეს მოქცეულა უცხოურის ტყვეობაში და მუდამ ქართულ ნაციონალურ ნიადაგზე იდგა, ქმნიდა ეროვნულ ხასიათებს, ასახავდა ეროვნულ პრობლემებს და მხოლოდ ეროვნული მიწა-წყლიდან იწყებოდა საკაცობრიოსკენ მიმავალი მისი ბილიკებიცა და ფართო გზებიც.

მიხეილ ჯავახიშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული ენის უხვი შესაძლებლობების გამომზეურებაში. მან ერთმანეთს შეუხამა ძველი ლიტერატურული ძეგლების ენობრივი მონაპოვარი ჩვენი საუკუნის ხალხურ ენას და შემდეგ მიიღო მეტყველი, მოქნილი, მდიდარი, მიმზიდველი, გამჭვირვალე, ნათელი გამომსახველი თანამედროვე ქართული, რომელიც მის რომანებში, მოთხრობებში, ჟურნალისტურ ნაწერებში ანკარა წყაროსავით მოჩქეფს და ზეიმით გვიმტკიცებს მშობლიური ქართულის უკვდავებას.

*

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ერთ პატარა სოფელში, რომელსაც სამუშაო ეარაღის სახელი, წერაქვი ჰქვია, 1880 წლის 8 ნოემბერს, ქიზიყიდან გადმოსულ შეძლებულ გლეხს საბა ჯავახიშვილს ვაჟი შეეძინა. მას მიხეილი შეარქვეს. მომავალ-

ში ის გახდა XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი დიდი მწერალი.

ადრეული ბავშვობა მიხეილმა მშობლიურ კერაში გაატარა. მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახს შვილის გაზრდა არ უჭირდა. სასკოლო ასაკისა რომ გახდა, მიხეილი ჯერ პრიეოლნოეს და შემდეგ ჯელალოღლუს რუსულ სკოლებში სწავლობდა. აქ მან ოთხი წელი დაჰყო. საბა ჯავახიშვილი კარგი მეურნე იყო და ეწადა შვილიც ამ გზას გაჰყოლოდა, ამიტომ ცდილობდა მიხეილს სოფლის მეურნეობა შეესწავლა. ამ მიზნით მამამ შვილი წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში მიაბარა. ეს მოხდა 1893 წელს. ამ სკოლაში ყოფნისას მიხეილს ქართული ლიტერატურის სიყვარული ჩაუნერგა მასწავლებელმა მ. დავითაშვილმა, რომელიც მეტად განათლებული და მამულიშვილური გრძნობებით აღსავსე მოღვაწე იყო. ამავე მასწავლებელს, სხვა მოსწავლეებთან ერთად, მ. ჯავახიშვილი ილიაობაზე საგურამოში წაუყვანია. აქ მომავალი მწერალი შეხვედრია ილიას, რომელსაც ჰაბუკზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. მიხეილს ილიასათვის თავისი თხზულება წაუკითხავს, რის გამოც სახელოვან მწერალს მოწაფე მიხეილი შეუქია. ამ ფაქტს დიდი სიამაყითა და სიამოვნებით იხსენებდა შემდეგში უკვე სახელგანთქმული მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. როგორც ჩანს, აღნიშნულმა ფაქტმა ახალგაზრდის გონებასა და სულზე ღრმა კვალი დააჩნია.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის შემდეგ მ. ჯავახიშვილი, ისევ მამის სურვილით, სწავლას განაგრძობს ყირიმის საბაღოსნო და მეღვინეობის სასწავლებელში. საბას ეწადა მიხეილი აგრონომი გამხდარიყო, რათა მაძისეულ მამულს წარმატებით გაძღოლოდა. მაგრამ ამ სურვილს ახდომა არ ეწერა, რადგან ოჯახის ბედი უკუღმართად წარიმართა. 1901 წელს, როცა ყირიმის სასწავლებლის დამთავრებას ერთი წელიღა აკლდა, მიხეილი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამისი მიზეზი ის იყო, რომ 1900 წლის დამლევს მის ოჯახს თავს დაესხნენ ყაჩაღები, რომელთაც მიხეილის დის — სოფიოს გატაცება უნდოდათ. მამა შინ არ ყოფილა. დედას, სოფიოს და მოჯამაგირეებს ყაჩაღებისათვის შედგარი წინააღმდეგობა გაუწევიათ. ამის გამო თავდამსხმელებს უველანი ამოუხოცავთ. ეს მოხდა შულავერის მახლობლად, სადაც საბა ჯავახიშვილს სახაზინო მამული შეეძინა და იქ ახალი სოფელი სიონი გაეშენებინა. ამ ტრაგედიიდან ერთი წლის შემდეგ საბა დარდისაგან გარდაიცვალა და ახალგაზრდა მიხეილი სრულიად ობოლი დარჩა. დიდ უბედურებას ჰაბუკი მიხეილიც ვერ მოერია, სწავლა მიატოვა და 1901 წელს სამშობლოში დაბრუნდა.

1902 წელს მიხეილმა მშობლიურ სოფელსაც სამუდამოდ აქცია ზურგი, რადგან ოჯახის ტრაგედიის ადგილების დანახვა მას აღარ შეეძლო.

ერთ წელიწადს მიხეილი მუშაობს ალავერდის სპილენძის ქარხანაში. მომავალი მწერალი აქ ეცნობა ცხოვრებას, უკვირდება მუშათა ყოფას და მიღებულ შთაბეჭდილებებს შემდგომში იყენებს ლიტერატურულ და ჟურნალისტურ მოღვაწეობაში. აქ მიხეილი წერდა ბევრს, მაგრამ უმეტესობა არ მოსწონდა და ამიტომ მათ უმოწყალოდ თვითონვე ხევდა.

ახალგაზრდა მიხეილს, როგორც თვითონვე წერდა, „გული კულტურული მუშაობისაკენ მიუწევს“. ამისი შესაძლებლობა კი ალავერდში არ არის. ამიტომ 1903 წელს ის თბილისში ჩადის და სახლდება. თბილისში მიხეილს ცხოვრება უჭირს, მაგრამ ამას არ უშინდება. ის კვლავ ჯიუტად წერს. იმავე წლის ნოემბრის ერთ ღამეში ის ქმნის მოთხრობა „ჩანჩურას“, რომელმაც ჭაბუკი მიხეილი მწერლობის მიმზიდველ სასახლეში შეიყვანა.

1903 წლის სუსხიანი დილა იყო. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციის კარი შეაღო 23 წლის ხმელხმელმა ახალგაზრდამ. მან ჯიბიდან მორცხვად ამოიღო ხელნაწერი და რედაქციის თანამშრომელს გაუწოდა. ერთი კვირის შემდეგ ეს ნაწარმოები დაიბეჭდა ამ გაზეთის სურათებიან დამატებაში. ეს იყო „ჩანჩურა“, რომელიც მაშინვე მოექცა მკითხველთა და კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში.

1904 წლის იანვარში გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ 1903 წლის ქართული ლიტერატურის მიმოხილვას რამდენიმე წერილი დაუთმო. მათი ავტორი გრიგოლ რცხილაძე მიხეილ ჯავახიშვილზე საგანგებოდ წერდა: „იშვიათი შემთხვევაა, რომ ახალგაზრდა მწერალმა ასეთი მოხდენილი და ძლიერი ნაწარმოებით დაიწყოს მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე...“ ეს ეხებოდა „ჩანჩურას“. ეს იყო მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული პროზის პირველი შეფასება, რასაც შემდგომში მრავალი აღფრთოვანებული გამოხმაურება არაერთხელ მოჰყოლია.

პირველი წარმატებით გულმოცემული ახალგაზრდა მწერალი სიხარულით ცას ეწია, მან ძალა და თავისადმი რწმენა იგრძნო. დადიოდა თბილისის ქუჩებში და ადგილს ვეღარ პოულობდა. მოგონებები, მწარე და ტკბილი ფიქრები ერთმანეთს ცვლიდნენ და ჭაბუკი მწერალი ნოემბრის ცივ ღამეს დაეხეტებოდა თბილისის ცარიელ ქუჩებში, რათა ეფიქრა და ცხოვრების ახალი გზები ეძებნა.

მალე რუსეთის პირველი რევოლუციის გუგუნიც იგრძნო და მიხვდა, რომ მშრომელთა მოთხოვნები სამართლიანი იყო. ამ რწმე-

ნით გამსჭვალული მიხეილი ჩადგა მებრძოლთა რიგებში. მისი კალამი კიდევ უფრო გაფხიანდა, აილესა და მაშინდელი ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა არა მარტო მისი მოთხრობები, არამედ ასეულობით ჟურნალისტური ნაწერი, რომლებიც ცეცხლით, სამართლიანობით და პროფესიონალური ღირსებით გამოირჩევა.

მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურა“, „კურკას ქორწილი“, „მეჩექმე გაბო“, „ეკა“, „უპატრონო“ და სხვ. გვიხატავს ცხოვრების ფსკერზე მოქცეული, გარიყული და დაჩაგრული ადამიანების მწარე ხვედრს. ყველა ამ მოთხრობაში ავტორის სიმპატია და თანაგრძნობა დაჩაგრულთა მხარეზეა. ამავე გრძნობებს აღძრავს მწერალი მკითხველთა გულებშიც.

1905 წელს დაწერილ მოთხრობაში, რომელსაც ავტორმა „ჯილდო“ უწოდა, აშკარად და მებრძოლის შემართებით აისახა პირველი რევოლუციის ცოცხალი სურათები, ქუჩის შეტაკებები, რასაც თბილისში ჰქონდა ადგილი. ამ მოთხრობის პათოსი და საერთო განწყობილება, ისე როგორც კონკრეტული ეპიზოდებიც, დამაჯერებლად და მართლად გვიხატავენ იმ ჭარიშხლიან დღეთა სინამდვილეს.

სამწერლო მოღვაწეობის პირველ წლებში მ. ჯავახიშვილმა სულ რვა მოთხრობა დაბეჭდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ახალგაზრდა მწერლის პოპულარობისათვის. ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, რომელიც დიდი განათლებითა და გემოვნებით გამოირჩეოდა, 1908 წელს № 8 „ფასკუნჯში“ წერდა: „იმ მწერალთა შორის, რომელთაც რევოლუციის ეპოქაში იჩინეს თავი, ყველაზედ უფრო ყურადღების ღირსია ადამაშვილი (მ. ჯავახიშვილის მაშინდელი ფსევდონიმია — ტ. კ.), რომელსაც უეჭველი ნიჭი აქვს მხატვრისა და თავისებური მანერა წერისა“. ეს იყო ახალგაზრდა მწერლის დიდი აღიარება. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ კიტა აბაშიძემ თავის ცნობილ „ეტიუდებში“ 1911 წელს მიხეილ ჯავახიშვილი კვლავ სათანადოდ შეაფასა.

კიდევ უფრო სასიხარულო ის იყო, რომ ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა თავის ცნობილ „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ მოიხსენია ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა მ. ჯავახიშვილის პირველი მოთხრობები, რომლებიც ჯეროვნად შეაფასა კიდეც.

1905—1907 წლების რევოლუციამ მ. ჯავახიშვილი ისე გაიტაცა, რომ მხატვრულ ლიტერატურას ერთხანს განზე გაუდგა და მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ჟურნალისტურ მოღვაწეობას მოახმარა. იმ წლებში და მერეც მან დაწერა რამდენიმე ასეუ-

ლი პუბლიცისტური წერილი, კორესპონდენცია, ნარკვევი, ფელეტონი, რეპორტაჟი, ინფორმაცია, რომლებიც გამოირჩევა რევოლუციური განწყობილებით, ზიზღით მეფის ხელისუფლებისადმი, მოწოდებით ახალი ცხოვრების დამყარებისაკენ. ის თანამშრომლობდა „ივერიაში“, „შრომაში“, „ცნობის ფურცელში“. 1904 წელს ერთხანს „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორი იყო, ხოლო 1906 წელს რედაქტორ-გამომცემელია გაზეთ „გლეხისა“, რომელმაც მიზნად დაისახა უმიწაწყლო, უუფლებო კლასის, გლეხობის ინტერესების დაცვა. ამიტომ იყო, რომ მეფის ხელისუფლებამ ეს გაზეთი დახურა, ხოლო მისი რედაქტორ-გამომცემელი მ. ჯავახიშვილი სასამართლო პასუხისგებაში მისცა.

მ. ჯავახიშვილი იძულებული ხდება უცხოეთში გაიქცეს, რათა რეპრესიები თავიდან აიცილოს. 1907 წლის დასაწყისიდან ის ევროპაშია. იგი გაეცნო საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, შვეიცარიის, იტალიის, მრავალი სხვა ქვეყნის ცხოვრებას, მწერლობას, კულტურას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სორბონის უნივერსიტეტში მიღებული განათლება, რამაც მწერლის გონება და თვალთახედვა გაამდიდრა.

როგორც ბოლო ხანებში გამოირკვა, მ. ჯავახიშვილი ევროპაში წავიდა არა მარტო ციხის თავიდან აცილების მიზნით, არამედ განათლების შესაძენადაც. მისი ნიჭის დამფასებლებმა ახალგაზრდა მწერალსა და პუბლიცისტს ნივთიერი დახმარება და სტიპენდიის დანიშვნა აღუთქვეს. მაგრამ დანაპირები დროულად ვერ შეუსრულებიათ და მიხეილს უცხოეთში ძალზე გასჭირვებია. მას ნორმალური ცხოვრების საშუალება კი არა, ზოგჯერ საწერი ქაღალდის შეძენაც არ შესძლებია. იმდროინდელ გაჭირვებაზე მეტყველებენ წერილები, რომლებიც ემიგრანტ მწერალს „ივერიის“ რედაქტორის, ფილიპე გოგიჩაიშვილისათვის გამოუგზავნია. აი, ზოგი ნაწყვეტი ამ წერილებიდან: „საკითხავ წიგნებს აღარ ვჩივი, საწერი მასალა კი, მეტი გზა არ არის, ან თქვენ უნდა გამომიგზავნოთ ან მე თვითონ უნდა გამოვიწერო რუსეთიდან, რაც ჩემი თხელი ჯიბისათვის მეტად სამძიმო საქმე იქნება“.

„შემატყობინეთ, შემიძლია თუ არა სტიპენდიის იმედი ვიქონიო, და თუ შემიძლია, დააჩქარეთ ეგ საქმე, თორემ ახლავე იძულებული ვარ სესხით ვიცხოვრო. იმედია, ჩემს მდგომარეობას გაიგებთ და ამ საქმეში დამეხმარებით. თუ უარი მივიღე ზუბალაშვილისაგან, მეტი გზა არ არის, ან უკან უნდა დავბრუნდე, ან მხოლოდ ლუკმა პურზე უნდა ვიზრუნო და სწავლა — ჩემი მთავარი მიზანი აქ წამოსვლისა, სამერმისოდ გადავდო, ე. ი. მასზე სამუდამოდ უნდა ავიღო ხელი“.

„საშინელება იქნება, თუ იმედი გამიცრუვდა, მაგრამ რას იზამ, მეტეხში ცხოვრება სჯობია აქ შიმშილით სიკვდილს“.

ეს ამონაწერები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან ევროპაში მყოფი მ. ჯავახიშვილის მდგომარეობაზე და იმაზეც, თუ რა დაბრკოლებათა გადალახვის ფასად მიიღო მან ევროპული განათლება.

1910 წელს მ. ჯავახიშვილი სამშობლოში ბრუნდება და ძველებური გზნებით ეძლევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას, რის გამო ერთი წელი მეტეხის ციხეში გაატარა. მერე სამშობლოდან გაასახლეს და როსტოვში დამზღვევეი საზოგადოების ინსპექტორად დაიწყო მუშაობა. მერე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და მიხეილი წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ ფრონტზე იგზავნება. თურქეთი, სპარსეთი და სხვა ადგილები, შთაბეჭდილებები, დაკვირვებები, ჩანაწერები, სამხედრო ცხოვრების ჰაპანი, ფიქრი, ფიქრი, და ფიქრი, სახეები, ტიპები, სიუჟეტთა მონახაზები, ფიქრები და ოცნებები მწერლობაში დაბრუნებაზე...

როსტოვში გამგზავრების წინ მ. ჯავახიშვილი ნიკო ღოღობერიძეს უგზავნის წერილს, რომლითაც ვიგებთ მწერლის მაშინდელ მდგომარეობას. ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ერთი ნაწყვეტი: „მივიღე ფილიპესაგან თქვენგნით გამოგზავნილი 50 მანეთი, რისთვისაც უდიდეს მადლობას გიძღვნით. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ჩემს დანაპირებს სავსებით ვერ შევასრულებ და ამ ვალს დაპირებულ დროზე ვერ გადავიხდი. მიზეზი ის არის, რომ ციხიდან გაშვების შემდეგ, ე. ი. 1 მაისს ადმინისტრაციული წესით 5 წლით მაძევებენ კავკასიიდან. ამ ამბავს სრულიად არ მოველოდი და მიზეზიც ის იყო, რომ მოგწერეთ, ვალს ციხიდან გამოსვლისას გადაგიხდით მეთქი. იმედია ამ ამბავს არ იწყენთ და დამერწმუნებით, ეგ ფული ძალიან დროზე მომაშველეთ. იქნებ აქედან გადავარჩინო რამე, თორემ ჩემი მდგომარეობა მომავალში ახლანდელზე უკეთესს არაფერს მპირდება. გამგზავნიან უცხო ქალაქში, ჩამაგდებენ უცხო ხალხში და რაიმე სამსახურის ნებასაც არ მომცემენ, ე. ი. შიმშილით მომკლავენ...“.

ასეთი იყო ევროპიდან სამშობლოში დაბრუნებული, კვლავ რეპრესირებული და მერე გაძევებული ახალგაზრდა მ. ჯავახიშვილის ხვედრი 1910-იან წლებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მწერალი ახალ პირობებში აღმოჩნდა. პოხიერი ნიადაგი შეიქმნა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის და 1923 წლიდან, თითქმის 15-წლიანი მდუმარების შემდეგ, მ. ჯავახიშვილი მწერლობას დაუბრუნდა. მოთხრობა „ტყის კაცი“, რომელიც ამ წელს

გამოქვეყნდა, ბელეტრისტიკაში მ. ჯავახიშვილის დაბრუნების დასაწყისია. ამიერიდან მწერლის შემოქმედებით მუშაობაში უჩვეულო ნაყოფიერების ხანა იწყება. ათეული წლების მანძილზე დაგროვილი თემები, იდეები, სიუჟეტები და დაგუბებული ენერგია ისე მოაწყდა მწერლის კალამს, როგორც წყალდიდობისას კალაპოტიდან გადმოსული მდინარე...

ამიერიდან მიხეილ ჯავახიშვილს სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მწერლის კალამი ხელიდან არ გაუგდია. იგი მშობლიურ ქვეყანას წარუდგა როგორც დიდი მწერალი, მრავალი მოთხრობისა და რომანის, შესანიშნავი წერილების ავტორი. ოციანი წლებისა და ოცდაათიანის პირველ ნახევარში თითქმის ყველა ბეჭდურ ორგანოში ქვეყნდება მისი მოთხრობები და რომანები, ცალკე წიგნებად და ტომეულებად გამოდის მისი ნაწარმოებები.

1924 წელს, მ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა პირველი ტომი რომ გამოვიდა, მას დაერთო ი. გომართელის სოლიდური გამოკვლევა, რომელშიც ეს სახელგანთქმული ლიტერატორი წერდა: „მ. ჯავახიშვილ-ადამაშვილის პირველი ტომი დადაღულია შემოქმედის უტყუარი ნიჭით... მ. ადამაშვილი მეტეორივით მოევლინა ხელოვნების ცას, ელვით გაისრიალა და მიიმალა. მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ბვლეტრისტი სდუმდა და დღეს ისევ ამეტყველდა, ისევ გააშუქა ჩვენი ხელოვნების ცა...“

ამიერიდან მ. ჯავახიშვილს არ მოჰკლებია მკითხველთა სიყვარული და ყურადღება და მის მიმართ გულგრილი არ დარჩენილა არც ქართული ლიტერატურული კრიტიკა, რომელმაც მწერალს ტკბილიც ბევრი უთხრა, მაგრამ მწარეც ცოტა როდი აგემა...

როცა მ. ჯავახიშვილის მწერლურმა ენერგიამ და მისი ნიჭის გაფურჩქვნამ მწვერვალს მიაღწია, როცა დაბრძენებული და დაოსტატებული შემოქმედისაგან უფრო მეტსა და უკეთეს ნაწარმოებებს მოელოდნენ, 1937 წელს შეწყდა მ. ჯავახიშვილის სიცოცხლე. მას ბევრი ჩანაფიქრი, გეგმა და მოძავალ ნაწარმოებთა მონახაზები დარჩა განუხორციელებელი. ამაზე მეტყველებს გადარჩენილი მისი უბის წიგნაკები და ზოგიერთი განცხადება, რომელიც მწერალმა სიცოცხლის ბოლო წლებში გააკეთა და პრესის ფურცლებმა გვამცნო.

1955 წელი არის მ. ჯავახიშვილის მკვდრეთით აღდგომის დასაწყისი. ამიერიდან იწყება მისი შემოქმედების შესწავლის ახალი პერიოდი, რომელმაც ხელი შეუწყო დიდი შემოქმედის ობიექტურ მეცნიერულ შესწავლას და მისი ღვაწლის ჰეშმარიტ შეფასებას.

1924 წელს იბეჭდება რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომელიც უცებ გახმიანდა. ამ რომანის მთავარი აზრი და დანიშნულებაა ახლო წარსულის მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენების ჩვენება. მწერალი გვიხატავს პოლიტიკურ და სოციალურ ქარტეხილებს, ძირეულ ძვრებს XX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთსა და საქართველოში. ყველაფერი ეს რომანში ნაჩვენებია თავისებური კუთხით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს მოვლენებთან მიტმასნილი, წამგლეჯი, მხვეჭელი ადამიანები, რომელთა წარმოშობის საუკეთესო პირობებს ქმნიდა ცარიზმი, რეაქციის პარპაში, თებერვლის რევოლუციით გაბატონებული ბურჟუაზიული წყობილება რუსეთში. აქვე სრულიად გარკვეულად გატარებულია ის აზრი, რომ ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მოსპო ყველა პარაზიტი და წურბელა, მათ შორის ისეთი გაიძვერები და გაქნილები, როგორიც კვაჭი, მისი ამხანაგები და მათი მსგავსნი იყვნენ. ახალი ცხოვრების პირობებში მათ პარპაშს ბოლო ეღება, მათ ფეხქვეშ მიწა იწვის და ისინი იღუპებიან.

„კვაჭი კვაჭანტირაძეში“, ისე როგორც მწერლის ბევრ სხვა რომანში, ადგილი აქვს რომანის სახეთა შერწყმას. აქ გვაქვს ისტორიული, სოციალური, სატირული და სათავგადასავლო რომანების სახეთა შერწყმა.

რომანის ავტორი ამქღავნებს მომაკვდავი წარსულისადმი ზიზღსა და მტრობას, ხოლო ახალს მოწონებით ხვდება. სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას რომანის ის ეპიზოდები, რომლებშიც მეფე და დედოფალი, მინისტრები და დიდი მოხელეები ასე უარყოფითად არიან დახატული. გრიშკა რასპუტინის გარყვნილი, მეძავი ბუნების გაშიშვლება, მისი ბინძური ხორცისა და სულის ასეთად წარმოდგენა ლახვარს სცემს თვითმპყრობელობას, მის სახელს. მკითხველს ადვილად ებადება კითხვა: რა სახელმწიფოა ეს, რა საზოგადოებრივი წყობილებაა ეს, სადაც ქვეყანას ასეთი ადამიანები განაგებენ?

მწერალი „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ აშიშვლებს იმ საზოგადოებრივ მორალსაც, რომელიც ცარიზმის პირობებში იყო გაბატონებული. ამ საზოგადოებაში ადამიანს ადამიანი მხოლოდ მაშინ უნდა, როცა მას აქვს ქონება და ძალაუფლება, როცა მას ხელისუფალნი წყალობის თვალით უყურებენ. როგორც კი ადამიანს საქმე გაუმრუდდება, მას ყველა ზურგს აქცევს, ყველა თავისი სახლის კარს უკეტავს. ასეთი ეპიზოდები რომანში უხვადაა. იმ სა-

ზოგადოებაში თვითონ ადამიანს კი არ აქვს ფასი, არამედ მის ფულს, თვითონ ადამიანი ჩალის ფასადაც არ ღირს.

ყოველივე ამის გამო მკითხველი ზიზღით იმსჭვალება ცარიზმისა და მისი საზოგადოებრივი წყობილების მიმართ.

რომანში რევოლუციური ძალები, მათი ზრდა და დავაჟკაცება ნაჩვენებია ისტორიული სიმართლით. აქ სიმპატიით არის დახატული მუშათა კლასი, ჯარისკაცთა მასები, გლეხობა, მათი რევოლუციური ავანგარდი.

ასევე დიდი დამაჯერებლობით გვიხატავს მ. ჯავახიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიულ ამბებს. ავტორი ყველგან ახლის მხარეზეა, ამიტომ არის, რომ მწერალი კვაჭის პარპაშს ბოლოს უღებს სწორედ მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მყარ ნიადაგზე დადგა, მან საბოლოოდ გაიმარჯვა.

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს მწერლის იდეურ ჩანაფიქრსა და მრწამსზე. ვინც ასე ამათრახებს და არცხვენს ცარიზმს, მის ავანჩავანს, ვისაც მკითხველთა სამსჯავროზე გამოაქვს ძველი წყობილების სიდამპლე, არ შეიძლება ის სიხარულით არ ხვდებოდეს მის შემცვლელ ახალ ცხოვრებას, რომელმაც ძველზე გაიმარჯვა. ეს სავსებით ლოგიკურია და „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ავტორი აქაც სავსებით თანმიმდევრულია.

რომანის დედააზრის მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ ცარიზმის, დროებითი მთავრობისა და შემდეგ საქართველოში მენშევიზმის დაღუპვასთან ერთად კვაჭიც დაღუპულიყო, ფიზიკურადაც მომკვდარიყო. ასეთი დასასრული სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. მაგრამ განა არ დაიღუპა კვაჭი? რაღაა მისი სიცოცხლე, რაღას წარმოადგენს ის? ბედმა მას, თურქეთში გადახვეწილს, წილად ისღა არგუნა, რომ კასრივით დამრგვალებულ ლიზა ხანუმს ხორციელი ჟინი დაუოკოს, რისთვისაც კვაჭი გასამრჯელოს იღებს... ამაზე უფრო დაცემა, ამაზე უფრო დაქვეითება, შერცხვენა და მწარე ხვედრი რა შეიძლება მოიძებნოს. კვაჭი, რომელიც ადრე, მსოფლიოს მასშტაბების საქმეებს „აკვარახჭინებდა“, რომელმაც მეფის კარზე ასე ინავარდა, რომელსაც არც ლამაზმანები და არც მილიონები. აკლდა, ახლა ვიღაც ლიზა ხანუმის ხასაა, დაჩირავებული ულაყია.

ამრიგად, მწერალმა გაცილებით მწარე განაჩენი გამოუტანა თავისი რომანის მთავარ გმირს, ვიდრე ის იქნებოდა, რომ ბოლშევიკებს დაეხვრიტათ, ან ციხეში ჩაელპოთ. თვითონ კვაჭიც გრძნობს თავის სავალალო მდგომარეობას და ცხვირჩამოშვებული დადის, „დაბორიალობს და გულში ღრინება“, „ზოგჯერ გულის

დარდს ბესოს გადაუშლის და ქვრივი დედაბერივით აწუწუნდება, ზოგჯერ კი ქურდულად კუთხეში მიიმალება, აკვნესდება და ჩუმად აცრემლდება".

რომანის ბოლო სტრიქონები ცალ-ცალკე ცოტა ძნელი გასაგები ხდება, მაგრამ მათი საერთო აზრი, ჩვენი ფიქრით, ასეთია: ადამიანი, რომელსაც არც სამშობლოს სიყვარული და მისი ინტერესები ამოძრავებს, არც მეგობრობა და ადამიანის გულწრფელი სიყვარული გააჩნია, არც კეთილშობილება და საზოგადოებისადმი მოვალეობის გრძნობა აქვს, ვინც ყველას და ყველაფერს თავის სასარგებლოდ, სარფის მიზნით, პირადი სიამოვნებისა და კაპრიზების დასაკმაყოფილებლად იყენებს, ღირსი არც არის შებრალებისა და თანაგრძნობისა. ასეთი ადამიანი არც იმის ღირსია, რომ სამშობლოში დარჩეს, მისი მიწა ტკეპნოს. უფრო მეტიც, ასეთი ადამიანი იმისი ღირსიც არ არის, რომ მშობლიური მიწა დაეყაროს. ეს კი ყველაზე მწარე გამეტებაა, ყველაზე დაუნდობელი გულიდან მოგლეჯაა. კვაჭიმ ეს დაიმსახურა და კუთვნილი მიეზღო კიდეც. ეს კი საერთოდ კვაჭობის მხილება და დაგმობაა.

ისტორიული სიმართლით, მძაფრ ფერებში ასახა მ. ჯავახიშვილმა დიდი საზოგადოებრივი ძვრები, რაც „კვაჭი კვაჭანტირაძის" დაწერის საფუძველი გახდა.

მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები" ზოგი რამით შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანს", აქ პარალელი, უპირველესად, გაივლება როგორც შესაბამისი ეპოქების ყველაზე საჭირბოროტო საკითხების გაშუქებით, ისე იმ დიდი რეაქციით, რაც ამ ორივე ნაწარმოების გამოქვეყნებას მოჰყვა თავის დროზე.

რომანში მოვლენები ვითარდება ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში. მწერალი თავის თანამედროვეობას გვიჩვენებს, ასახული მოვლენები ჯერ ისევ ცოცხლობენ, ისინი ისტორიის კუთვნილება ჯერ კიდევ არ გამხდარან. ამითაც იყო გამოწვეული, რომ იმდროინდელმა მკითხველმა ნაწარმოებში დაინახა მისი დღევანდელობა, ამაღელვებელი და გულთან ახლოს მისატანი ამბები. სწორედ ამანვე განაპირობა რომანით დიდი დაინტერესება როგორც ლიტერატურული კრიტიკისა, ასევე მთელი საზოგადოებისაც. ამას მოყვა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, ხშირად ერთმანეთის საპირისპირო, უკიდურესად საწინააღმდეგო მოსაზრებები. ზოგი მათგანი აღტაცებას გამოხატავდა, ზოგი კი ლანძღვასაც არ ერიდებოდა.

რომანში ასახული პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთი უმნიშვნელოვანესია. იგი აღსავსეა დიდი ისტორიული მოვლე-

ნებით, გარდაქმნებით, სოციალურ-პოლიტიკური ძვრებით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებულია, მშრომელებს ძალაუფლება თავიანთ ხელში აუღიათ. ყოფილი გაბატონებული კლასები წყლიდან ამოყრილ თევზებს დამსგავსებიან. ზოგი მათგანი უკვე დაღუპულია, ზოგიც განწირულია დასაღუპად. ამ გარდამქმნელ მოვლენებს თან ახლავს ე. წ. „გვერდითი მოვლენებიც“. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მედროვეობა ზოგიერთი გაქნილი ადამიანისა, რომლებიც მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ჩქარობენ, სარგებლობენ არეულობით და უპატიოსნო გზით ძალაუფლებასა და ქონებას იხვეჭენ. ასეთია, მაგალითად, ჯაყო.

„ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით, ცხოვრება ძირფესვიანად იცვლება. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი ახლებურად მოაწყო. ოდესღაც ყოფილი ყმები, ღატაკი გლეხები მიწას იღებენ და საკუთარ ცხოვრებას აწყობენ, ხოლო ყოფილი მებატონე თეიმურაზ ხევისთავი ისე დაცემულა, რომ თავისი ნამოურავალის ხიზანი ხდება, რათა თვითონაც და მისმა ცოლმაც მარგომ ლუკმა იშოვონ. საზოგადოების ამ უკიდურესად საწინააღმდეგო ფენებს შორის ჩამდგარა გაიძვერა ჯაყო, რომელიც გლეხებსაც ატყუებს და ნათავადარსაც, მან საბჭოთა ხელისუფლების მოტყუებაც მოინდომა და დროებით კინაღამ მოახერხა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ იგი მშრომელთა და მათი ხელისუფლების რისხვას ვერ ასცდა, რადგან ნიღაბი ჩამოგლიჯეს და მისი ნამდვილი სახე გააშიშვლეს.

ნაწარმოების გმირთა გალერეა სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება გაიყოს — დაცემულთა, დამარცხებულთა, ყოფილი გაბატონებული კლასის წარმომადგენლები თეიმურაზ ხევისთავი და მისი მეუღლე მარგო; ახალი ცხოვრების დამამკვიდრებელნი, ცხოვრების ტვირთის საკუთარი ზურგით მზიდველნი, პატიოსანი მშრომელები ნინიკა, თედო და სხვა გლეხები; მსუნაგი, ხარბი, თაღლითი, თეთრკბილა და შავგულა, წამგლეჯი ჯაყო.

თეიმურაზ ხევისთავი სახელგანთქმულ მებატონეთა უკანასკნელი ნაშიერია. მისი წინაპრები საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ. მათი სახელი ქუხდა და ხმიანებდა. ქართლის უძლიერესი და გავლენიანი გვარი იყო ხევისთავთა გვარი.

თეიმურაზმა მემკვიდრეობით დიდი ქონება მიიღო, მას დარჩა ადგილ-მამული, სასახლე და კოშკი. მან განათლებაც შეიძინა. განათლებული, მდიდარი, გავლენიანი თეიმურაზი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმულა. მას კალამიც უჭრიდა, ცოდნაც ხელს უწყობდა, ქონებაც მოსდევდა საამისოდ, რომ ქვეყანას გამოსდგომოდა, მაგრამ უხერხემლობა, პოლიტიკური სიბეცე, უნებისყოფობა

და უბადრუკობა, წიგნის ჩრჩილად გადაქცევა მას თანდათანობით აკნინებს და აბეჩავებს. მას არც პოლიტიკაში უმართლებს, რადგან მოვლენებს ალღოს ვერ უღებს; მან ვერც საკუთარი ქონების მოვლა და დაცვა შეძლო; ვერც სამშობლოს არგო რამე; ვერც ცოლი დაიცვა პირუტყვი ჯაყოსაგან, რომელმაც ჯერ ხასად დაისვა ყოფილი ქალბატონი, მერე ცოლადაც გაიხადა და შემდეგ აუტანელი ჯაფის უღელში შეაბა.

მწერლის თქმით, თეიმურაზი იყო „ახალგაზრდა მოხუცი", „ნათავადარი, ნამემამულევარი, ნამოღვაწარი და ნავექილარი". აქ ყველგან წინდებული „ნა" არის ნახმარი, რაც მის ყოფილობაზე მიგვანიშნებს. ხევისთავს სოფელ ნაშინდარში, ლიახვის ნაპირას ერთ დროს ჰქონდა პაპისეული ციხე-დარბაზი, ქვიტკირის ბოსელი, მუხის ბეღელი, თავმონგრეული კოშკი, მარანი, ხუთიოდე დღიური ბაღ-ვენახი, კაკლის დიდი ჭალა და სამიოდე ათასი დღიური სახნავი. ამას გარდა ლიახვის სათავეში, როკის ხეობაში მასვე ეკუთვნოდა ოთხი ათასი დღიური ნაძვნარი.

თეიმურაზს არა თუ თვითონ არ შესწევს უნარი მოუაროს შთამომავლობით მიღებულ დოვლათს და დაიცვას ის ისეთი მტაცებლისაგან, როგორიც ჯაყოა, არამედ მერე ისე ეცემა, რომ ამ მტაცებლის ხელშიშემყურე და მისი ხიზანი ხდება. ჯერ კიდევ რეკოლუციამდე, როცა მისი კლასი თავს ისევ კარგად გრძნობდა, როცა მას შეეძლო ხელსაყრელი პირობებით ესარგებლა და საქმეები მოეწესრიგებინა, თეიმურაზი ხელიდან უშვებს ყველა შესაძლებლობას. ის არც არსებულ წყობილებას ეერთგულება და ამით ჭრის იმ ტოტს, რომელზეც თვითონვე ზის, და ვერც ხალხს არგებს რამეს. პირიქით, თავისი უსუსურობითა და უნიათობით ხელს უწყობს „ტყიდან გამოვარდნილი დათვის" — ჯაყოს გამდიდრებას, რასაც შედეგად მოყვება მშრომელი გლეხების დაწიოკება-შევიწროება. ნებსით თუ უნებლიეთ, საბოლოო ანგარიშში თეიმურაზი მშრომელთა ჩაგვრის ხელშემწყობი გამოდის. ამიტომ მისი ე. წ. „დემოკრატიული იდეალები" სიტყვით ერთია, საქმით კი შეორე.

როცა გაიძვერა ჯაყო თეიმურაზ ხევისთავს ყველაფერს ხელიდან აცლიდა და ამ თაღლითობაზე მღვდელმა ივანემ თეიმურაზი გააფრთხილა, თავადმა ეს ამბავი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა, მან „სწორედ ამ დროს თავისი სახლის ჭერის თავზე სამი ყუთი აღმოაჩინა დამპალი და ჩრჩილ-ნაჭამ გუჯრებით და ძველი წიგნებით გავსებული. თეიმურაზმა ამ გუჯრებსა და წიგნებში ისე ღრმად ჩაჰყო ცხვირი და ისეთის გულმოდგინებით ჰქექა იმ ნაგავს, რომ კინაღამ თვითონაც დალპა, გაჩრჩილდა,

გაჰიავდა". მწერალმა ამით მიგვანიშნა, რომ ვინც მხოლოდ ძველით, წარსულით სულდგმულობს, ვინც მხოლოდ უკან იხედება, მხოლოდ წარსულს ქექავს და დღეს კი არაფერს ქმნის, ის დასაღუპად არის განწირული, მას ცხოვრება გარიყავს.

რომანის ავტორი გვეუბნება, რომ ხევისთავი „რწმენით" უკიდურესი რადიკალი და ხალხოსანი იყო", მას „კალამი მსუბუქი და ხალისიანი ჰქონდა, ხოლო საგნის ცოდნა — ღრმა და ფესვიანი..." თეიმურაზს მთელი თბილისი იცნობდა, ის იყო ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჰკვიანი და ენამჭევრი საზოგადო მოღვაწე. მას შეეძლო ერთნაირი ხალისით ეკამათა სუდანის ირიგაციაზე, ინგლისის პოლიტიკაზე, გერმანელების დამკვიდრებაზე აფრიკაში, ზანზიბარის სულთანზე, ჩარტისტულ მოძრაობაზე, ქალთა საარჩევნო უფლებებზე, მეცნიერულ გამოკვლევებზე... მაგრამ ამ „ყოვლისმცოდნე კაცს" არ შეეძლო რეალურად შეეფასებინა მის ცხვირწინ მომხდარი ამბები, არ შეეძლო პრაქტიკული მოქმედებაც.

ჯაყოსადმი იგი შეგონებას მიმართავდა, რომ გლეხებს ლმობიერად მოქცეოდა, ჯაყო კი ხეპრულად უპასუხებდა:

„ლბილად კი არა, ახლა იმ ტურტლიანებს გაკოცებ კიდეც!"

ხოლო როცა თეიმურაზი ჯაყოს ურჩევს, ასე ნუ იქცევი, თორემ ჩემი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები გაზეთებში გამწარენო, მოურავი ბატონს ასეთ „რჩევას" აძლევს:

„რა პასუხი? ჯაყო გითხრამს: ასე დასწერებდე შენ გაზეთში: წადი, თქვენი დედა და მამა... თქო!"

ეს ხეპრული გათამამება ამ ბანჯგვლიანი დათვისა თეიმურაზის სისუსტისა და უსუსურობის შედეგი იყო.

სუსტია თეიმურაზი, როგორც მამაკაცი: ჯერ იყო და, ვითომ საზოგადოებრივი საქმეებით გატაცებულს, ცოლის შერთვა არც კი გახსენებია, სანამ სხვებმა არ ურჩიეს და მანაც გულში არ ჩაიკდო ეს აზრი, მხოლოდ სხვათა ნათქვამის შემდეგ დაუსვა თავის თავს კითხვა „მართლა, რატომ ც...ცოლს არ შევირთავ?" მერე შემთხვევით შეხვდა მარგოს, რომელიც თეიმურაზივით ობოლი და დიდი გვარის შთამომავალი იყო. უცებ-ცხლო, მხდალმა თეიმურაზმა მარგოს ძლივს გაუბედა, რომ რაღაც სასიყვარულო სიტყვა ეთქვა. ამას მოყვა ქორწილი და ნაშინდარში ასვლა. მალე ყველაფერი მოსაწყენი გახდა: როცა ახალგაზრდა ქალი ქმრისაგან ალერსს ელოდა, თეიმურაზი გაზეთებში ცხვირჩაყოფილი იჯდა: „დაღლილი მარგო თეიმურაზს ეხვეოდა, თეიმურაზი კი ჟინიანი ბავშვივით ისევ თავისას გაიძახოდა: — მარგო, მომეცი მეთქი ჩემი გაზეთი!.. მარგო, გეყო ჩემი წვალება! მომაწოდე გაზეთი და დამშვიდდი!" გასაგებია თუ ვინ ვის აწვალებდა, ისიც გასაგებია, რომ ამ სიტყვებით

მარგო ვერ დამშვიდდებოდა. უსიცოცხლო თეიმურაზს ამისი მიხვედრა არ შეეძლო. მწერალი გვეუბნება: „მუდამ დინჯმა, ცივმა და ქვეყნის ბედით გატაცებულმა წიგნის ჭიამ თანდათან გადაარჩინა მარგო მუსიკას, სიმღერას, ცეკვას, ანცობას, თავის მოგიჟიანებას, სიყვარულის სიცილსა და სიცოცხლის ლაღობას“.

მწერალი საგანგებოდ უსვამს ხაზს თეიმურაზის მამაკაცურ სისუსტეს და სწორადაც იქცევა. ამ ხაზგასმას შემდგომში თავისი გამართლება აქვს, როცა მარგო ძლიერ ჯაყოსთან კავშირს თანდათანობით უპირატესობასაც კი ანიჭებს. მარგომ ადრევე, ახლადნაქორწინევმა შეამჩნია თეიმურაზს ცოლისადმი სისუსტე. „თეიმურაზს ძარღვებიც სისხლის მაგივრად თითქოს გაზეთების ნაგლეჯებით ჰქონდა გატენილი... იმის დაშრეტილ და დონდლო სისხლში ვნების ქარიშხალი არასოდეს არ ატეხილა, და მისი გული, — ისიც მჩატე გაზეთივით დაჭმუჭნილი და გაჩვარებული — ღვთაებრივი ხანძრით არ ანთებულა“.

ჩვენ ვხედავთ, რომ თეიმურაზ ხევისთავი ჯერ კიდევ რევოლუციამდე, როცა ახალგაზრდაც იყო და ენერგიით სავსე უნდა ყოფილიყო, ამჟღავნებს მრავალმხრივ სისუსტეს: ის არც მემამულედ ვარგა — ჯაყოს ლუკმა ხდება, არც საზოგადო მოღვაწედ — მხოლოდ ენის ქავილი შეეძლო და არავითარი მოქმედება, არც ქმრად გამოადგა ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე მარგოს — ალერსისა და ცეცხლის ნაცვლად ჩვარი და ყინვა აღმოჩნდა ეს კაცი.

მართალია, მხოლოდ ფიზიკურ სისუსტესა და ნაკლზე მითითება სწორი არ იქნებოდა, მაგრამ ეს გარემოებაც ხომ განსაზღვრავს კაცის ბედსა და მდგომარეობას. პიროვნების ინდივიდუალური უნარი და შესაძლებლობა — ფიზიკური იქნება ის, გონებრივი თუ სულიერი — ადამიანის წარმატებებს ყოველთვის განაპირობებს. საკითხავი ის არის, თუ მწერალმა ხევისთავი ასეთად რატომ წარმოგვიდგინა. რატომაა იგი ასეთი უფერო, უნებისყოფო, მშლე, ჩიტივით მფრთხალი და დაჩიავებული? განა მისი წინაპრები ომახიანად და შემართებულად არ მოქმედებდნენ? მაგრამ ეს იყო ადრე, როცა ისტორია ამ კლასის მხარეზე იდგა. ახლა კი ხევისთავთა ბედის ზარმა ჩამოჰკრა, მათ ნიადაგი გამოეცალათ. ამის შედეგია, რომ თეიმურაზი ასეთი მომაკვდავია, ნახევრადცოცხალია. სხვა უბედურებასთან ერთად, იგი უშვილოცაა, რაც მარგოსთან ერთად მწარედ განიცდიდა, წუხდნენ, მაგრამ წუხილი რას უშველიდათ, ხევისთავებისა და ყაფლანიშვილების გვარის გამგრძელებელს დაბადება არ ეწერა. აქ ანალოგიისათვის შეიძლება მივმართოთ ისევ ილიას „კაცია ადამიანს“. როგორც ლუარსაბ თათქარიძეა განწირული, რომ უშვილძიროდ გადაეგოს, ასევეა

ხევისთავიც. როგორც ი. ჭავჭავაძე, ისე მ. ჯავახიშვილი თავიანთ პერსონაჟებს უშვილოდ სტოვებენ, რადგან მათ ბედის დასასრული მოვიდა, მათ მომავალში აღარაფერი ესაქმებათ.

ასეთია თეიმურაზი რევოლუციამდე, ასეთი ხვდება ის რევოლუციას.

თეიმურაზი რევოლუციას ჯერ სიხარულით შეეგება, მაგრამ მისი განწყობილება მალე სრულიად შეიცვალა. მწერალი გვეუბნება: „თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა. სამოთხის კარები გაეღო. დღე და ღამე ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაღს იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით ჰკიოდა: — თავისუფლებას გ... გგაუმარჯოს!.. ვაშა! რევოლუციას გაუმარჯოს! ძ...ძძირს მეფე და ძალადობა!“ თეიმურაზმა თვითონაც არ იცოდა, რატომ უხაროდა რევოლუცია, რომელიც მისი კლასის მოსასპობად მოხდა.

როცა რევოლუციამ მის კლასს და თვითონ თეიმურაზსაც ხელი მტკიცედ ჩასჭიდა, ხევისთავმა ფერი იცვალა — „გაუმარჯოსო“ აღარ იძახდა და აღარც წითელ დროშას აფრიალებდა. ეს ცვლილება მალე უფრო შესამჩნევი გახდა: წითელ ფერს გაურბოდა, წითელ დროშას სწვავდა, შიშისაგან კანკალებდა, მალე სასოწარკვეთით დაიწყო კივილი: გვიშველეთ, დავიღუპეთო. სულ მალე ახალმა ქვეყანამ და თეიმურაზმა შეიძულეს ერთმანეთი და „თეიმურაზს თავისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში...“ მას ახალ ცხოვრებაში ადგილი აღარ აქვს, აღარაის სჭირდება, მხოლოდ ლუკმაზე უნდა იზრუნოს, თორემ მასაც და მარგოსაც შიმშილი მოკლავს. მამულები ადრევე გაყიდა, გასაყიდი მხოლოდ სახლკარი და სკივრში ჩაუდილი საგვარეულო განძიღა შერჩა ნაშინდარში. როცა ეს განძი თეიმურაზმა თბილისში გამოითხოვა, ჯაყომ თვალთმაქცური ტირილით დაარწმუნა, რომ ყაჩაღებმა გაიტაცესო. ჯაყო ისე „წუხდა“, რომ თეიმურაზმა თვითონვე დაუწყო დამშვიდება. მარგო მიხვდა ჯაყოს ოინბაზობასაც და ქმრის ყეყეჩობასაც. ამიტომ გამწარებული და იმედგადაწურული ქალი ქმარს ეტყვის: „შენ, როგორც გატყობ, არც კი გესმის დანაკარგის ფასი, ყოველთვის ბედოვლათი იყავი და შემდეგშიც დარჩები.

— მ...მმარგო!

— ნაცარქექიავ! — და გამწარებულმა მარგომ კარები გაიხურა“. მანამდე თითქოს მორჩილმა ცოლმა ქმარს ყველაფერი პირში მიახალა.

დრო გადიოდა, ყოფილ ადამიანებს — ხევისთავებს — ცხოვრება უფრო გაუჭირდათ და თეიმურაზს ცოლის სამკაულებიც კი

ბაზარზე გაჰქონდა პურზე გასაცვლელად. მაგრამ მარტო თეიმურაზი არ იყო ამ დღეში. სხვა ყოფილთა ოჯახებიდანაც გაჰქონდათ გასაყიდად განძეულობა, სიძველენი. „...მაღაზიებში თეიმურაზი დიდის დაკვირვებით და გულის კვნესით ათვალიერებდა ათას უცნობ ოჯახიდან გასაყიდად გამოტანილ ნივთებს. მაღაზიების ვიტრინებსა და თაროებზე ხევისთავი ცხადად ჰხედავდა და კითხულობდა საკუთარი ცხოვრებისა და ბედის წიგნს". ცხადია, ყველაფერი ეს ყოფილი პრივილიგირებული კლასების შვილებს ეკუთვნოდა. თეიმურაზმა... „იცნო კნეინა ახატნელის განთქმული სპილოს ძვლის მარაო დიდი მთავრის ნაჩუქარი, იცნო აგრეთვე კნეინა არაგველის უძველესი ქართული ქათიბი... იცნო თავად გიგო სურამელის საგვარეულო რახტიც. კნეინა ელენეს ჯიღაც, კნეინა ქეთევანის მანიაკიც და თავად ელიზბარის ქულაჯაც". აქ ყველა კნეინა და თავადია. მწერალმა სიმართლით და განზოგადებულად გვიჩვენა მათი ხვედრი ახალ პირობებში.

თეიმურაზის ექვსოთახიან ბინაში მალე მუშები და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები მოვლენ და ეტყვიან: „ამხანაგო, შემოკლდით!" ხევისთავები „მოკლდებიან". მერე კიდევ მოითხოვეს „შემოკლება", თეიმურაზი და მარგო ერთ ოთახში მიიკუჭებიან, მაგრამ შემდეგ მათ აქედანაც გარეკავენ. ისინი სადღაც ერთ პატარა უხეირო ოთახში გადაბარგდებიან. მალე თეიმურაზი მეგობრებსა და ნაცნობებში ფულს სესხულობს, რათა ლუკმა იშოვოს. ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ხევისთავი „ზოგჯერ იღლიაში ამოჩრილ პურსა და იაფ სანოვაგეს ბედნიერი ღიმილით მოათრევდა. ზოგჯერ კი პირქუშში და თვალცრემლიანი თავის ბნელ ოთახში შეიძურწებოდა და მუდმივ დაღვრემილ მარგოს თრთოლვით და კანკალით ძლივს შეჰკნავლებდა:

— დღეს ვ...ვერაფერი ვერ მოვახერხე, დ...დაწყეველილი დღეა. უნდა მ...მოვითმინოთ".

მწერალს სურს ბოლომდე გვიჩვენოს თეიმურაზის დაცემა, როცა ის მიატოვეს მეგობრებმაც და ნათესავებმაც: „ქუჩაში მიმავალ დაღვრემილ ნაკაცარს ისე ერიდებოდნენ, თითქოს მათი მოკეთე და მადლის დამთესავი ხევისთავი გაცოფებულიყო". როგორც ვხედავთ, მწერალმა ხევისთავის მისამართით აქ უკვე ეპიტეტი „ნ ა კ ა ც ა რ ი" იხმარა.

ამის შემდეგ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ თეიმურაზის ნაკაცრობას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მ. ჯავახიშვილმა თავის ნაწარმოებებში შექმნა ნაკაცართა მთელი გალერეა, რომლის წარმომადგენელთა ხვედრი აშკარად გამოხატავს ყოფილთა მთელ თავგადასავალს და მდგომარეობას ახალ სიტუაციაში.

შიმშილისა და განუწყვეტელი უსიამოვნების გამო ცოლ-ქმარს შესძულდათ საკუთარი თავიცა და ერთმანეთიც. თეიმურაზმა თავი ცხოვრების დინებას მიანდო და დასასრულს ელოდებოდა, როცა მათ ოჯახში მგელივით შევარდება მათი ყოფილი მოჯამაგირე და შემდეგ მოურავი ჯაყო ჯივაშვილი. რომანიც სწორედ ამ ეპიზოდით იწყება და მოვლენები შემდეგ უფრო კატასტროფულად ვითარდება. ეს არის ლოგიკური გაგრძელება და დასასრული იმისა, რაც დიდი ხნის დაწყებული იყო და რაზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

სტუმარ ჯაყოსთვის თეიმურაზმა და მარგომ ვაივაგლახით სუფრა გაშალეს, რათა ნამოურავალთან არ შერცხვენილიყვნენ. ჯაყო გემრიელად რომ გაძღება, გუნებაზე დადგება და „კნიაზსა“ და „კნეინას“ ხეპრულ ოხუნჯობას დაუწყებს. შემდეგ, სანამ გამოძინებას მოითხოვს, მასპინძლებს ეტყვის— ამ მყრალ ოთახში რას იხოცებით, წამოდით ნაშინდარში, ჩემი სტუმრები იქნებითო. მან უფრო მარგოს მიმართა: „კნეინაჯან, ამ ოხერ ქალაქში რას აკეთებდე? მოდი, ჩემთან სტუმრად წამოხვიდოდე, ღმერთმანი! ჯაყო ისე შეინახავდე ნათლიებსა, როგორც ბატკნებსა, მაშა!“ როცა სტუმარი დაიძინებს, ცოლ-ქმარი ამ მიწვევაზე მსჯელობს. მარგოს არ სწადია ნაშინდარში წასვლა, მაგრამ თეიმურაზი მიწვევას ჩაებღაუჭა, რადგან ამაში ხსნას ხედავს, შიმშილისაგან დაღუპვის გადარჩენის ერთადერთ გზად ესახება. მარგო თეიმურაზის აზრს ემორჩილება და აქედან იწყება ოჯახის ყოვლად გაუგონარი შერცხვენა და წახდენა...

გარდა იმისა, რომ მარგოს ლიახვის პირად ჯაყოს ძალადობა გადახდა, ნაშინდარში ასულ ხევისთავებს კიდევ უფრო მეტი დამცირება მოელით. ნათავადარებს თავიანთი სახლ-კარი გაევერანებული დახვდათ. თეიმურაზის მამის მშვენიერი სურათი, რომელიც მოოქროვილ ჩარჩოში იყო ჩასმული, ხონჩად გამოეყენებინათ, ყველაფერი წაებილწათ, ირგვლივ ჭუჭყი და ნგრევა გამეფებულიყო. ხევისთავთა ხვედრს მკაფიოდ გვიხატავს მწერალი ამ ეპიზოდითაც: „ბოსტნის კუთხეში ერთ საფრთხობელას წააწყდნენ. დაბალ ბოძზე ჯვარივით გაკრულია გადატეხილი სიათის თოფი, ამ ბოძზე და თოფის ხარიხაზე ჩამოუცვიათ რკინის აბჯარ-ჯავშანი, თვალმრგვალი ჯაჭვი, სამკლაურები, შუბი და საბარკულები, დასკლინტულ რკინის მუზარადზე, რომელსაც უუძველესი წარწერა ჰქონდა — „ალლაჰ ალალლაჰ“ — კაჭკაჭი ჩხავის“. ხევისთავების ძველი იარაღი ახლა საფრთხობელად გამხდარა, მაგრამ ვაი, რომ კაჭკაჭსაც ველარ აფრთხობს... ასეთია ხევისთავთა ხვედრი. ამას თეიმურაზიც ხვდება

და აკი თვითონვე ამბობს: „საკ...კვირველია! ეს საფ...ფფრთხობელა ნამდვილი ემბლემაა ჩვენი ბედისა“.

ჯაყოსა და თეიმურაზის კონტრასტული განსხვავებისათვის მწერალი გვიხატავს ასეთ ეპიზოდს. მასპინძელი ჯაყო თეიმურაზს განგებ სთხოვს ქათმის დაკვლას, ის კი ამასაც ვერ შეძლებს.

„— აბა, კნიაზ, ერთი ქათამი შენც დაგკალი. შენი დაკლული ქათამი ამ ოჯახს უფრო შეგეწევა.

თეიმურაზი შედრკა.

— არ შ...შემიძლია, ჯაყო!

ჯაყომ სიცილი დააყარა:

— მაშ რა ვაჟკაცი იქნებოდე?! ერთი ქათამიც ვერ დაჰკლავდე? ჰო, შე ქალაჩუნავ, შენა! აბა, უყურებდე ჯაყოსა!“

ჯაყო თანდათან აბუჩად იგდებს ხევისთავს, დასცინის, ამცირებს, ხეპრულად ელაზღანდარება:

„— შენა, ნათლია? რატომ ერთი ბიწი მაინც არ გეყოლებოდეს?

თეიმურაზმა ამოიოხრა:

— რა ვიცი, ჯაყო, ღმერთს ასე სურს.

— ღმერთმა რა ვიცის შენი საქმე? შენ იქნებოდე ქალაბიწა, ღმერთს ნუ დააბრალებდე“.

ამიერიდან თეიმურაზი ჯაყოსთვის ქალაბიჭაც არის, ქალაჩუნაც, ყოველმხრივ დასაცინი არსებაც, ხოლო ჯაყო კი მრუდე გზით შეძენილი ქონებისა და სიმდიდრის წყალობით, ფიზიკური სიძლიერის მეშვეობით მბრძანებელიც ხდება და ხევისთავის ცოლის მიმთვისებელიც. გაუგონარი უტიფრობითა და ცხოველური აღვირახსნილობით ჯაყო მარგოს ჯერ ხასად იხდის; შემდეგ კი ყოფილ ქალბატონს ცოლადაც დაისვამს...

ახლა უკვე ჯაყო ბატონია, თეიმურაზი კი მის ლუკმაზე მყოფი ხიზანი. ჯაყომ „აივნის ჩრდილში ხევისთავთა საგვარეულო სითიკნი დაიდგა, ზედ ჩამოჯდა“. რაღაა თეიმურაზი? იგი მხოლოდ ნაკაცარია, მას ყველაფერი წარსულში დარჩა, ახლა იგი ყველაფრისაგან გაძარცულია და, რაკი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის დაკარგვას ადამიანური ღირსების შეგნებაც მოჰყოლია და ხსე დაგლახაკებულა, რომ ჯაყოსაგან ყველაფერს იტანს, ოღონდ ლუკმა ჰქონდეს, მას კაცის სახელიც აღარ ეკუთვნის, იგი ნაკაცარია.

რომანის მომდევნო თავებში განვითარებული მოვლენები, რაც კიდევ და კიდევ მკაფიოდ გვიხატავს თეიმურაზის საბოლოო დაცემას, მხოლოდ ნაკაცარის თავგადასავალია. ივანე თეიმურაზს შოსწრებულად ეუბნება: „— თქვენი მოდგმა დიდი ხანია მოკვდა,

თემურ, გვიან გასაფლავებენ. — იმიტომ ავყროლდით, ივანე, რომ გვიან გვმარხავენ". ამ პასუხში მკითხველი ხევისთავს ეთანხმება.

მწერალი მაინც არ კლავს ნაკაცარ თეიმურაზს, იგი ფიზიკურად ცოცხალი რჩება, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი ამისი ღირსია, არამედ მწერლის ჰუმანიზმის წყალობით. მწერალი იმედს იტოვებს, ეგებ თეიმურაზი მივიდეს ახალ ხელისუფლებასთან, ჩადგეს ხალხის სამსახურში, როგორც ეს ნამღვდელარმა ივანემ ჰქნა, და ამით გაამართლა თავისი სიცოცხლე.

რომანის მთავარი გმირის თეიმურაზ ხევისთავის თავგადასავალში, მის გვერდით კი მარგოს თავგადასავალშიც ნათლად ჩანს მათი კლასის ხვედრი ახალ ეპოქაში.

რომანის მიხედვით, ისტორიულ ძვრებს ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ხევისთავების დაცემა, მაგრამ ამ მოვლენებს დროებით მოჰყვა გაქნილ ადამიანთა, ამ ამბებთან მიტმასნილი ელემენტების გააქტიურებაც. ისინი მშვენიერ ლოზუნგებს ამოფარებულნი, შენიღბული მგლები და მელიები არიან, მათი მიზანი წაგლეჯა და მოხვეჭაა. ადამიანთა ასეთ კატეგორიას ეკუთვნის ჯაყო, რომლისთვისაც არ არსებობს მაღალი პრინციპი, მორალი, არაფერი ადამიანური, მისი ერთადერთი პრინციპია მოტყუება, თვალთმაქცობა, წაგლეჯა, მისაკუთრება, სიხარბე. ამიტომაა, რომ მწერალი ჯაყოსადმი ზიზღითაა გამსჭვალული და ამ გრძნობას მკითხველშიც აღვივებს.

დავიწყოთ ჯაყოს გარეგნობით: „ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედა-ბოძივით სქელი და გაჩაჩხუნული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განივრად გადგმულ თეძოებსა და მხარ-ბეჭს"... „რამდენიმე ნაჭრელობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგვნილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქოს ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულაო". „შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ წამოყრილ ცხენის კბილებს და აჭყლეტილ ცხვირს ამოეყო თავი", „ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ.

შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა, ცხვირი მოკლე და აჭყლეტილი, თვალები მსხვილი კაკლის ოდენა და ამოყრილი, თანაც ცოცხალი და ცუღლუტი, მოელვარე და მოუსვენარი..." ამ თვისებებს ემატება ჯაყოს ლაპარაკის არაერთგზისი დახასიათება: „აყვირდა", „აყროყინდა", „ხარხარებდა", „რახრახებდა", ანდა: „ჯაყო ღო-

ჯის კბილებს გააელვარებდა და უმიზეზოდ დაიხვიხვინებდა". ჯაყომ „...ზრდილობიანად ამოაბოყინა, ცხენის მთქნარებით დაამთქნარა, განივრად გაიზმორა..." (ეს ხდება სუფრასთან, სტუმრების დასწრებით). „ოყრაყი ნამოურავალი ხარხარით, რახრახით და ჭიხვინით ძლივს გაძვრა ოთახიდან..." ასეთ ეპიტეტებს არჩევს მწერალი ჯაყოსთვის და თვალწინ ცოცხლად გვიყენებს პერსონაჟის პორტრეტსაც და მისი ქცევის „დახვეწილობასაც".

ჯაყო და თეიმურაზი ერთმანეთის კონტრასტული ხასიათები არიან. ხევისთავმა ყველაფერი იცის, მაგრამ არაფერი შეუძლია, ჯაყომ კი არაფერი იცის და ყველაფერი შეუძლია. ამიტომ არის, რომ სოციალური გარდაქმნების პირობებში ჯაყო დროებით „წარმატებას" აღწევს.

ჯაყოს მორალი ძალზე მარტივია: მოატყუე, წაგლიჯე, იცრუე, ითვალთმაქცე, თუნდაც დამცირდე, არაფერია, ოღონდ რამე მოიხვეჭო. მისი წესია ძლიერთან თავის მოსაწყლება, სუსტებზე ბატონობა. მის თავხედობას საზღვარი არ აქვს: გლეხებს ტყავს აძრობს, მაგრამ როცა მთავრობაში მიდის, სამად მოკაკული ეს დევი იჯღანება, იხვეწება, ვითომდა გლეხებზე ზრუნვით შეწუხებული, სოფლისათვის შეღავათს ითხოვს, რათა მერე უველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ჯაყო ქურდია. იგი არა მარტო ბატონს პარავს, არამედ გლეხებსაც. მან ადრე უტიფრად იცრუა, თითქოს ხევისთავთა საგვარეულო განძი ყაჩაღებმა გაიტაცესო, მაგრამ მერე არ შერცხვა, როცა თავის ხიზნებთან იმავე ნივთებს აჩენდა და ხმარობდა.

ჯაყო მრისხანე ბატონია თავის ოჯახშიც: იგი როკის მთებიდან ჩამოყვანილ ნათესავებს — ბრინკას, ქეშელას და სხვებს მონებად იხდის და იმდენს ამუშავებს, რომ პირუტყვთაც გაუჭირდებოდათ. ჯაყო ცოლებსაც ველურად ექცევა.

ჯაყო ქამელეონიცაა: ნიკოლოზი რომ გადმოაგდეს და საქართველოში ჟორდანია გაბატონდა, ჯაყო გლეხებს დაერია — მიწები ჩემიაო. ამავე დროს მთელი ხმით გაჰკიოდა: „გაუმარჯოს ჟორდანიას მთავრობას!" „გაგიმარჯოს, საწყალი ხალხი მიწა მოგეცი ჟორდანიამა!" ხოლო როცა მენშევიკების მთავრობა დაემხო და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ჯაყომ გაიხადა გველის პერანგი და ბოლშევიკებთან თავი რევოლუციონერად გაასაღა. ახლა გაიძახოდა: „ჩვენი ხალხი ძალიან რევალცია ხალხია, შენი წირიმე, მუდამ მზადა ხართ თოფი გესროლოთ მტრებსა და ყაჩაღებსა... ჩვენ, შენი წირიმე, არაფერი არ გვინდა ბოლშენიკებისაგან, მარტო ნალოგი ნუ წაიღებდე". ხევისთავების მამულები, სასახლე,

სიმდიდრე ჯაყომ თაღლითობით ხელში იგდო და თანაც გაიძახოდა: „ღმერთმა გაკურთხოს ბოლშევიკების მთავრობაი, რომელმაც საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიცა და კარგი ზაკონიცა! ძირს ჟორდანია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუაზიის მთავრობაი, აღარა!“

მერე ჯაყო ისევ იცვლის კანს, როცა ბოლშევიკებმა მისი ოინები გაიგეს და ლაგმის ამოდება მოუნდომეს, სასახლის ჩამორთმევა და მასში კოოპერატივის გახსნა განიზრახეს, ჯაყო აყვირდა: „ჩორტუ, ჩორტუ კაპრატივი! არ გინდა ჯაყოს კაპრატივი, არ გინდა ჯაყოს კაპრატივი, არა!“ ცხადია, მას არ უნდა კოოპერატივი, რადგან ამიერიდან თავის კერძო დუქანში ხალხს ტყავს ვეღარ გააძრობს. ჯაყო ამიერიდან საბჭოურ ცხოვრებას ამრეზილად უყურებს, რადგან იგრძნო პარპაშის დასასრული. თეიმურაზის ერთი განცხადება ზუსტად ახასიათებს ჯაყოს მთელ სულიერ ავლადიდებას:

„— ჯაყო, დაანებე თავი რევოლუციას! თქვენ ერთმანეთს არცკი იცნობთ. რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია, მეწველი ფურია. შენ კი, შენ რევოლუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარ, მისი ტკიპი, მისი ბაღლინჯო და ტილი!“ ეს არის მართალი სიტყვები, რომელსაც უშენიშვნოდ ვიჯერებთ. ცხადია, ასეთ ტკიპს რევოლუცია ვერ მოითმენდა და სულ მალე დადგა ჯაყოს განკითხვის დღე. მას მშრომელები სათანადოდ მიუზღავენ. კვაჭისა და მისი ამხანაგების მსგავსად, ჯაყო რევოლუციასთან მიტმასნილი ხორცმეტი იყო და იგი მოიშორეს.

რომანის მესამე და, არსებითად, მთავარი ხაზია მშრომელი ადამიანების მონაწილეობა დიდ საზოგადოებრივ ძვრებში, მათი წვლილი საბჭოთა წყობილების დამყარებაში. „ჯაყოს ხიზნებში“ მშრომელი გლეხობა წარმოდგენილია ნაშინდრის მცხოვრებთა სახით. მართალია, ნაწარმოებში არაა დახატული რევოლუციის ქრონიკები, გლეხთა ბრძოლა იარაღით ხელში, მაგრამ მწერლის წინაშე ეს ამოცანა არც იდგა. იგი ისტორიულ ძვრებს გვიჩვენებს შედეგების მიხედვით: რა დაემართათ ყოფილ ადამიანებს, ან რა ბედნიერება ხვდათ მშრომელებს. მწერალი დიდი ოსტატობით გვიხატავს იმ სცენას, როცა სოფლის მშრომელები ხევისთავის ეზოში შეკრებილან და ჯაყოსთვის თავიანთი განაჩენი გამოაქვთ. აქ მოსულა სიმართლის ღმერთი და თავისი სასწორი მოუტანია... ჯაყო ფართხალებს, ხან იმუქრება, ხან იხვეწება, იკუნტება და თავს ისაწყლებს, რათა ცოტა კიდევ დასტყუოს გლეხებს, მაგრამ ნინიკას, თედოს და ძის ამხანაგებს, ამ პატიოსან მშრომელებს იმდე-

ნი ბოღმა დაგროვებიათ ჯაყოსადმი, რომ თავს აღარავის მოატყუებინებენ...

„ხევისთავის ნასახლარი პატარა ტბასავით აიფუთნა.

ეზო სავსეა გლეხური თავებით, მოძრავი ხელებით და ყაყანით.

— ხალხო, სამართალი სადა ხარ! — ჰკივინებს ჯაყო აივანზე. — სადა ხართ მეთქი სამართალი?!

— აქ არის, აქა! — სჭექავს ბოჯირთან მოვარდნილი ნინიკა და ქვის მუშტს რვალის მკერდზე იხარუხებს, — აქ არის სამართალი, აქა!

— აგრეა! მაგრეა! — უჭედავენ იქვე მდგომი ილა და თედო.

— მანდ არის, მანდა!

— აგრე, გენაცვალოს პავლეი!

— აქ არის, აქა! — შესძახებენ ქვევიდან პირტიტველა ჭაბუკები!“

ეს არის აბობოქრებული ხალხი, რომელიც სიმართლის დასადგენად მოსულა. მწერლის სიმპატია ამ ხალხის მხარეზეა, მასაც ამ ხალხივით სძულს ჯაყო. განაჩენიც არ აყოვნებს. როცა ჯაყოს ყველაფერი ჩამოართვეს, ნინიკამ გამოაცხადა, აქ სკოლა იქნებაო, ქვემოთ კი კოოპერატივი, აქვე აღმასკომიო... ესაა ახალი ცხოვრების ნამდვილი დამკვიდრების, ხალხის ხელისუფლების დამყარების მეტყველი სურათი, ესაა ჯაყოების საბოლოო დამარცხება! მაგრამ ამასაც უბრძოლველად არ ჩაუვლია, მოხდა ნინიკასა და ჯაყოს შორის შეტაკება „და თავგახეთქილი ჯაყო ბოძის ძირთან დაეცა...“

აქ არის სიმბოლიკაც: ნინიკამ დასცა ჯაყო. ამ ეპიზოდში ნაჩვენებია მშრომელთა საბოლოო და ჭეშმარიტი გამარჯვება.

რომანში ნაკაცართა ბედის დახატვისა და რევოლუციასთან მიტმასნილი ნაძირალების მხილების გვერდით ნაჩვენებია, რომ გაიმარჯვა მშრომელმა ადამიანმა, იგი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა. ესაა „ჯაყოს ხიზნების“ მხატვრული სიმართლე და მისი დიდი მნიშვნელობაც.

1928 წელს გამოქვეყნდა მ. ჯავახიშვილის რომანი „გივი შადური“, რომელშიც მწერალი აგრეთვე გვიხატავს დიდი საზოგადოებრივი ძვრების შედეგებს და ყოფილი გაბატონებული კლასების წარმომადგენლების ნაკაცრებად ქცევას. ერთ-ერთი მათგანია რომანის მთავარი გმირი გივი შადური, რომელიც რომანის პირველი სტრიქონებიდან გვაცნობს თავს და გვეუბნება: „გთხოვთ მიცნობდეთ: ნაკაცარი გახლავართ, ვინმე გივი შადური“. „ყველა გზები და ბილიკები იმედების ნანგრევებზე იყრიან თავს“. „დავბრძანდე? ეს სიტყვა შეხამუშა, გადავეჩვიე. ახლა იტყვიან ხოლმე: „დაეგდე, ან

გაეთრიე...“ — „ეჰ, დავანებოთ თავი ჩემს ახლანდელს იგი შავია, ვითარცა ჩემი მომავალი, და მძიმეა, როგორც ჩემივე სული“. „მე უკვე ნაკაცარი ვარ. წარსულმა მომატყუა, აწმყო მაწვალებს, მომავალი მაშინებს და ისე დავდივარ ამ ქვეყნად, როგორც ქვეროვი სასაფლაოზე...“ ეს სტრიქონები რომანის სხვადასხვა ადგილიდან ამოვწერეთ, რათა გივი შადურს თავისივე პირით ეთქვა საკუთარი დახასიათება.

მაგრამ რამ აქცია ეს კაცი ნაკაცრად?

მართალია გივი შადური თავის დაღუპვის მიზეზად ასახელებს, გამომძიებელ აფთარიძეს, რომელმაც ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა და გივის მეუღლის ხელში ჩაგდების მიზნით ციხეში სვამს შადურს, რათა დაბრკოლება გზიდან ჩამოიშოროს. მაგრამ ეს ახსნა საკმარისი არ არის. ჯერ ერთი, აფთარიძე საბჭოთა ხელისუფლებამ თვითონ დასაჯა, როცა მისი დანაშაული გაიგო, შეორეც, აფთარიძე ძველი ცხოვრების გადმონაშთია, საბჭოთა აპარატში შეპარული გაიძვერა და ამიტომ იგი ახალი ცხოვრების გამომხატველად ვერ ჩაითვლება. მთავარი კი გაცილებით ღრმა და რთულია. გივის ნაკაცრად ქცევის ნამდვილი მიზეზის დასადგენად საჭიროა გავიხსენოთ გმირის წარსული ცხოვრება, ვინ იყო იგი ძველად, რა წრეში ტრიალებდა, რას მოსაქმეობდა და ა. შ. გავიხსენოთ, რომ რომანის პირველ თავში მოთხრობილი ამბავი ფაქტიურად არის გივის ცხოვრების ბოლო. დასაწყისი კი სულ სხვაგვარი იყო.

რევოლუციამდე გივის ცხოვრება სულ სხვაგვარი ყოფილა. თავის შეძლებულ ბიძაშვილებთან პეტრე და დათიკო შევარდენიძეებთან ერთად მას ოდესის უნივერსიტეტში უსწავლია, მანამდე კი გიმნაზია კავკავში დაუმთავრებია, როცა 18 წლისა გამხდარა. თვითონ უყვება გივი ქართველ მწერლებს თავის წარსულზე: „სარდიონ თუმანიშვილს ქალი მივათხოვეთ და მაყრად გავყევი. ლურჯა რაში, ლეკური ჩოხა, აბრეშუმის ახალუხი, ყალმუხის ქუდი, ოქრო-ვერცხლით შეჭედილი იარაღი და ისეთი თვალ-წარბი, ისეთი ულვაშები და კბილ-ტუჩი მქონდა, რომ ჩემს დანახვაზე არაგველ ქალებს ციებ-ცხელება ემართებოდათ“. ეს იყო ამბის მოყოლიდან 20—25 წლის წინათ, ე. ი. ცხრაასიანი წლების დასაწყისი. გამოდის, რომ მაშინ გივი ღარიბთა წრეს არ ეკუთვნოდა. ის ტრიალებდა მდიდრებში, ქეიფობდა, ლაღობდა... გამოდის, რომ ის პრივილეგირებულ ფენას ეკუთვნოდა. სხვა მრავალი ეპიზოდიდანაც ჩანს, რომ გივი შადური ძველ ცხოვრებას ეკუთვნოდა და მის ნგრევასთან ერთად შადურებმა და მისმა მსგავსებმა ყველაფერი დაკარგეს, ყოფილნი გახდნენ, ისინი ფიზიკურად თუღა არსებობენ, თორემ სოციალურად და კლასობრივად ისინი ლეშები არიან. მაშასადამე, აფთარიძე სულაც რომ

არ შეხვედროდა, გივი შადური მაინც უნდა დაღუპულიყო. ეს რომ ასეა, ამაზე ნათლად მეტყველებს გივის მსგავსი, მისი კლასის წარმომადგენელი სხვა პერსონაჟების ბედიც. მაგალითისათვის კმარა გივის ბიძაშვილი პეტრე შევარდენიძე-სოკოლოვის თავგადასავალი.

პეტრემ ოდესის უნივერსიტეტი დაასრულა, ცოლად შეირთო მდიდარი მემამულის ქალიშვილი, ყირიმში დასახლდა და ცოლისა და სიდედრის გეერდით ფუფუნებაში ცხოვრობდა. მან დაივიწყა შეყვარებული მარო, მან ძმაც კი ცივად მიიღო, სამშობლოზეც აგდებულად ლაპარაკობდა. შევარდენიძე სოკოლოვად იქცა, სიმდიდრემ გადააგვარა. მაგრამ რევოლუცია რომ მოხდა და ყველაფერი ჩამოართვეს, ზოგიც დაეწვათ, ხოლო ცოლი სტეპანიდა გაუგიჟდა, მაშინ გაახსენდა სამშობლო, მოადგა ნათესავებს და შეეევედრა — თქვენი უბედური შვილი მიმიღეთო. მოჩვარული, ადრე დაბერებული, კბილებჩაცვენილი პეტრე გასაცოდავებულა, იგი ნაკაცარი გამხდარა. მწერალი მახვილად შენიშნავს: „საოცარია, როგორ მალე ჰპოულობენ ერთმანეთს ნათავადარნი, ნაგენერალევნი და ნაკაცარნი. სხვადან, თბებიან, ჩურჩულობენ და მავალებს ათვალიერებენ“.

ნაკაცრად ქცეული პეტრე სოკოლოვის ზუსტ და ამომწურავ დახასიათებას თვითონ გივი შადურიც იძლევა: „...ეხლა კი ის ვეფხი ქეციან ტურად გადაიქცა, რომელიც სხვათა ჯოგში შეერია და აღარ იცის, ვის მიეკედლოს, როგორ იმღეროს, რას მიუდგეს“.

პეტრეს უბედურება მარტო ის კი არ არის, რომ ქუჩაში გამოელეთ ის მათხოვარი ჰგონიათ, არამედ ისიც, რომ საგიჟეთიდან გამოქცეული მისი ცოლი თუ ნაცოლარი სტეპანიდა მას კვალდაკვალ დასდევს და სიკვდილით ემუქრება. ოდესღაც სახელგანთქმული მემამულის ასული, მეფის კართან დაახლოებული ოჯახის შვილი ახლა ტლანქი, ხეპრე და სისხლმოწყურებული არსებაა. შეიძლება ითქვას, რომ თუ პეტრე ნაკაცარია, მისი ცოლი ნაქალარია.

„გივი შადურში“ კიდევ რამდენიმე დაქვეითებულის პორტრეტია მოცემული და ამიტომ ეს ნაწარმოები ნაკაცართა ამსახველ რომანად შეიძლება მივიჩნიოთ. რომანის ობიექტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მ. ჯავახიშვილი წარმავალ კლასთა წარმომადგენლების შეფასებისას სავსებით სწორ პოზიციაზე დგას: ვინც იარაღით ხელში ებრძვის რევოლუციას და ხელს უშლის რევოლუციური პროცესის განვითარებას (გენერალი თვალაძე, ყარამან ჯიქურაული, სეხნია ლაჩიშვილი, მათთან ერთად აფთარიძე), მათ მიმართ მწერალი დაუნდობელია, ისინი იღუპებიან; ნაკაცართა ნაწილი ცოცხალი რჩება, რადგან ისინი ახალი ცხოვრებისათვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ (გივი შადური, პეტრე, მარადო); ვინც ახალ საზოგადოებას ლოიალობას უცხადებს, მის სამსახურში ჩადგა და

სასარგებლო შრომას მისდევს, ისინი ღირსეულად ცხოვრობენ კიდეც (პეტრეს ძმა დავითი).

მთელი რომანის მანძილზე მწერალი მხატვრული დამაჯერებლობით გვარწმუნებს, რომ გარდუვალი იყო ძველი საზოგადოების ნგრევა და მის მაგივრად ახლის შენება, აუცილებელი იყო ძირეული საზოგადოებრივი ძვრები.

მოთხრობა „დამპატიჟე“ და „რკინის საცერი“ მ. ჯავახიშვილმა მიუძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებსა და მომდევნო ამბებს, რასაც მოჰყვა ძირეული ცვლილებები. ნაწარმოებში მხილებულია ახალი ცხოვრების ხორცმეტი დამპატიჟე (ოქროპირი) და მისი მფარველი „ის კაცი“, რომელთა პარპაშსაც მალე ბოლო ეღება. მოთხრობის მეორე ვარიანტში, რომელსაც „რკინის საცერი“ ეწოდება, მთავარი ისაა, რომ პარტიის ხაზის ყველა გამმრუდებელი და ცუღლუტი გაიცრა რკინის საცერში, ცხოვრება იწმინდება, საზოგადოებას შორდებიან ხორცმეტები და წამგლეჯები.

განხილული ოთხი ნაწარმოები — „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“, „დამპატიჟე“ — მწერალმა მიუძღვნა საზოგადოებრივ ძვრებს, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში ადგილი ჰქონდათ მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ ნაწარმოებებში მწერალი ამხელს ძველ, დამპალ, დრომოჭმულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მის მსახურთ, რომელთა დიდი ნაწილი დასაღუპად არის განწირული, რადგან გადაგვარებულია. მწერალს მკითხველთა სამსჯავროზე გამოყავს წამგლეჯები და მედროვეები, უზნეოები, კვაჭები, ჯაყოები, დამპატიჟეები. მ. ჯავახიშვილი მხარს უჭერს ახალს, მის გამარჯვებას, მშრომელთა თავდადებულ და პატიოსან ბრძოლას ახლის დამკვიდრებისათვის. მწერალი იბრძვის აგრეთვე ზნეობრივი სიწმინდისათვის, მაღალი მორალისათვის. ასეთი პროგრესული და მართალი პოზიცია ახასიათებს მ. ჯავახიშვილს ამ დიდი და მწვავე პრობლემების ასახვისას.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში განცალკევებით დგას ცივილიზაციისადმი დამოკიდებულების პრობლემა. ამ საკითხს მწერალმა მიუძღვნა „თეთრი საყელო“, „ტყის კაცი“, „მდევარი“. მართალია, ეს პრობლემა ახალი არ არის, იგი ჯერ კიდევ ჟან ჟაკ რუსომ დააყენა და შემდეგ მას ბევრი სხვა მწერალიც შეეხო, მაგრამ, მათგან განსხვავებით, მ. ჯავახიშვილი დგას ცივილიზაციის მიღების პოზიციაზე, უარყოფს მისთვის ზურგის შექცევას. ასეა გადაჭრილი ეს საკითხი ზემოთ დასახელებულ სამივე ნაწარმოებში, განსაკუთრებით კი „თეთრ საყელოში“. თუ რუსო, ჰამსუნი, კელერმანი და სხვები თავიანთ გმირებს ქალაქიდან სოფელში აბრუნებენ და ქადაგებენ

ცივილიზაციის მავნეობას, მ. ჯავახიშვილი „თეთრი საყელოს“ მთავარ გმირს ელიზბარს, რომელიც ერთხანს მიყრუებულ სოფელშია და მოიხიბლება იქაური პრიმიტიული ცხოვრებით, ისევ ქალაქში აბრუნებს, თეთრ საყელოს მოანატრებს და სოფლიდან გამოქცეულს ისევ ქალაქში დაასახლებს, ცივილიზებული ცხოვრების ფერხულში აბამს. მოთხრობა „მდევარშიც“ მარცხდება ტექნიკასთან გაჯიბრებული კანჭაბიჭი, მარცხდება „ტყის კაცის“ მთავარი გმირი პავლეც, რომელმაც სოფლიდან, ხალხიდან გაქცეულმა ტყეს შეაფარა თავი.

ამრიგად, მ. ჯავახიშვილმა ცივილიზაციასთან დამოკიდებულების პრობლემა ცივილიზაციის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მ. ჯავახიშვილის შემოქმედების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნაწარმოებია ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“. ეს არის მონუმენტური ქმნილება, რომელშიც აისახა მე-19 საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში და ამიტომ მათ მიმართ ინტერესი სამუდამოა.

მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების მქონე საქართველოსათვის მე-19 საუკუნე ძალზე თავისებურ ვითარებაში დაიწყო. ეს იყო ახალი ისტორიული ეპოქა, რომელმაც მოიტანა უჩვეულო ამბები. საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, შეწყდა საქართველოს სახელმწიფოს არსებობა, რაც გამოიწვია ცარიზმის ბატონობის დამყარებამ. ამას ზედ ემატებოდა ორმაგი სოციალური ჩაგვრა მშრომელი ადამიანებისა, გლეხობისა — ერთი მხრივ, „საკუთარი“ ბატონობისაგან, მეორე მხრივ, ცარიზმის მოხელეებისაგან. ამ ორმაგი ჩაგვრისაგან გლეხი წელში წყდებოდა, ივსებოდა მოთმინების ფიალა.

მე-19 საუკუნის ოციანი წლების ბოლოს საქართველოში ვითარება კიდევ უფრო განსაკუთრებული შეიქმნა: გლეხთა უკმაყოფილებას ზედ დაემატა თავადაზნაურობის უკმაყოფილებაც. სოციალური ჩაგვრის, ბეგარა-გადასახადების გვერდით, გლეხების უკმაყოფილება გაზარდა საეალდებულო სამხედრო ბეგარამაც, რაც მანამდე საქართველოში არ არსებობდა, ამიტომ მიუღებელი და უჩვეულო იყო. 1829 წლის გლეხთა ცნობილი გამოსვლების საბაბი სწორედ ეს გახდა. ხოლო თავადაზნაურობის უკმაყოფილების ზრდას იწვევდა დაკარგული პოლიტიკური უფლებების კიდევ უფრო შეკვეცა, რაც რუსული კანონმდებლობის გატარებას მოჰყვა. ქართველი მეფეების სამართლის კოდექსები ადრე მემამულეებს განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდნენ, ახლა კი მათ ყველაფერი ხელიდან ეცლებოდათ.

ამას მოჰყვა 1832 წლის ცნობილი შეთქმულება. ამიტომ გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლოს საქართველოში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.

„არსენა მარაბდელში“ მხატვრული, მართალი ასახვა პოვა ყველა მნიშვნელოვანმა მოვლენამ, რაც დასახელებული ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი. რომანში ისტორიული სიმართლით არის ნაჩვენები გლეხთა მოძრაობაც, 1832 წლის შეთქმულებაც, ახალციხის ომიც, სპარსეთთან რუსეთის ომის გამოძახილიც, ეროვნული ჩაგვრაც სოციალური უკუღმართობაც და მის საფუძველზე გამწვავებული კლასობრივი დაპირისპირებაც.

რომანში გამოქანდაკებულია სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის შარავანდედიანი სახე. მწერალმა ამ რომანით მას მეორე და სამარადისო სიცოცხლე მიანიჭა. არსენას გვერდით მოქმედებენ მისი ძმადნაფიცები, რომელნიც სამართლიან ბრძოლაში არსენას გაჰყოლიან და მასთან ერთად თავგამეტებით იბრძვიან.

ისინი სხვადასხვა ერის შვილები არიან, მაგრამ ერთი მიზნით შეკავშირებულან, ესაა ბატონყმობის უღლის გადაგდება. ქართველი სევასტი, როსტომი, სულხანი, ერეკლე, ზურა, მაგდა, ფიქრია, ღვთისავარი და მრავალი სხვა, რუსი კარპიჩა, უკრაინელი ოსტაპი, ოსი მეშთა, სომეხი ბაღო, თათარი დალი ჰასანი — ყველანი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას გაუერთიანებია. საკითხის ამგვარი გაშუქებით მწერალმა გადალახა ეროვნული საზღვრები და ერთა მეგობრობა და თანამშრომლობა იქადაგა.

მშრომელთა მოწინააღმდეგე ბანაკში არიან ბოროტი მებატონე ზაალ ბარათაშვილი და ცარიზმის მოხელე, დაუნდობელი და ვერაგი მაიორი არლოვი, რომლებიც აგრეთვე თავიანთი კლასობრივი ინტერესებით გაერთიანებულან. ამ ფაქტითაც ნათლად ჩანს მწერლის კლასობრივი პოზიცია.

მწერალს სწორად აქვს გაგებული მტრობა და ბრძოლა ბატონებსა და ყმებს შორის. კლასთა ბრძოლის ასეთი მართებული გაგება მ. ჯავახიშვილს დიდად ეხმარება იმ ეპოქის ერთ-ერთი მთავარი საკითხის სწორად ასახვაში. რომანის იმ თავში, რომელსაც „სისხლიანი ნადიმი“ ეწოდება, ძალზე სრულად, დამაჯერებლად და ამავე დროს შემაძრწუნებლად არის ნაჩვენები ის მხეცობა, ძალადობა და საშინელება, რომელსაც ზაალ ბარათაშვილი და მისი ინტერესების დასაცავად ჩამოყენებული ეგზეკუცია ჩაიდენს მაიორ არლოვის შეთაურობით. რომანის ხსენებულმა და აგრეთვე სხვა თავებმა დავანახეს, რომ გლეხები და ბატონები ერთმანეთის მტრები არიან, მათი მორიგება არ შეიძლება, იარაღმა უნდა გადაჭრას ეს დავა... არსენას და მისი თანასოფლელების, თანამოძმეთა ტყეში გავარდნა,

ხარაღის ხელში აღება, რათა იბრძოლონ ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის, შემდგომი ბრძოლები ამავე მიზნით იმაში გვარწმუნებს, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც მაშინდელი დაჩაგრული კლასი უნდა დასდგომოდა.

რომანის მიხედვით, მებატონენი აწიოკებენ, უკიდურესად ავიწროებენ, დაუნდობლად ტყავს აძრობენ გლეხებს. ამის საპასუხოდ არც ყმები სხედან მშვიდად. ისინი სწვავენ მებატონეთა სახლ-კარს (ბარათაშვილებისას), ხოცავენ მათ (სუმბათაშვილებს), მათზე შურისძიების მიზნით უღელშიც კი აბამენ ბატონს.

ისტორიული სიმართლით არის ნაჩვენები „არსენა მარაბდელში“ აგრეთვე 1829 წლის გლეხთა მღელვარება, მისი გამომწვევი მიზეზიც, გლეხთა გაძოსელის დაწყნარების ცდაც მუხრანბატონის მეთაურობით. ყოველივე ეს ეპოქის შესატყვისი ფაქტობრივი სიზუსტით არის გაშუქებული. მართალია, გლეხთა ეს გამოსვლა დამარცხდა, მაგრამ სხვაგვარად ვერც მოხდებოდა, რადგან ობიექტური პირობები გამარჯვებისათვის ჯერ არ იყო შემზადებული.

მ. ჯავახიშვილი ფართოდ, სწორი პოზიციიდან და მღელვარედ აშუქებს გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას— 1832 წლის ცნობილ შეთქმულებას. როგორც ვიცით, მასში მონაწილეობდნენ იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — ალექსანდრე, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, ალ. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი, სოლ. დოდაშვილი, სოლ. რაზმაძე და მრავალი სხვა. ეს ფაქტიც ზრდის შეთქმულებისადმი ჩვენს ინტერესს. ამიტომაა, რომ ბოლო დრომდე შეთქმულების საკითხს მრავალი მკვლევარი მიუბრუნდა. მ. ჯავახიშვილმა დიდი ენერგია და შრომა დახარჯა დასახელებული მოვლენის ყოველმხრივი შესწავლისა და გაშუქებისათვის. მან, ისტორიულ დოკუმენტებსა თუ აუარება სხვა მასალაზე დაყრდნობით მოგვცა შეთქმულების სრული და სწორი სახე, გაგვიცოცხლა მისი ყოველი მონაწილე და მოვლენის საერთო სულისკვეთება. რომანის ეს ნაწილი უდავოდ ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია. აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ ავტორმა გვიჩვენა ერის განვითარების დემოკრატიზაციის აუცილებლობა. ეს ნათლად ჩანს შეთქმულთაგან მიგზავნილ შალვა ბარათაშვილისა და არსენა ოძელაშვილის დიალოგიდან, რაც შეეხება ქვეყნის მომავალი წესწყობილების საკითხს. უდავოდ პროგრესულია აგრეთვე ს. დოდაშვილისა და ფილადელფოს კიკნაძის პოზიციაც.

ისტორიული სიმართლით, ბატალური სცენების სწორუპოვარი დახატვით, მოვლენის ძირითადი სულისკვეთების სწორი ჩვენებით გამოირჩევა აგრეთვე ახალციხის ომის ამსახველი ადგილები. განსაკუ-

თრებულია გრ. ორბელიანის მიერ ნამგალა მთვარის ჩამოგდების ეპიზოდი. ამაღელვებელია ქართველთა რაზმებისა და აჭარელ-ლაზთა რაზმების შეტაკება, ქალთა რაზმის თავგანწირული ბრძოლა, უჩვეულო ტრაგიზმი...

„არსენა მარაბდელში“ მ. ჯავახიშვილმა გამოავლინა ბელეტრისტის იშვიათი ტალანტი, რომელიც ერწყმის მოვლენების ამომწურავ ცოდნას და ამიტომ მწერალს მკითხველი შეჰყავს იმ ეპოქაში და მეგზურივით დაატარებს, უცოცხლებს, თვალწინ უყენებს ფაქტებს, მოვლენებს, გარემოს, ადამიანებს, ადათ-წესებს, მეტყველებას, ყველაფერს, რაც იმდროინდელი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი.

ხალხურმა „არსენას ლექსმა“ საუკუნეს გაუძლო, საქართველოს ყველა კუთხეში ოძელაშვილი იმ ლექსით განაგრძობდა სიცოცხლეს. მ. ჯავახიშვილმა გაბედა და შექმნა ახალი, უფრო თანამედროვე, მაგრამ მაინც იმ ეპოქის პირმშო არსენა ოძელაშვილი, რომელმაც ამ რომანით მეორე სიცოცხლე და სამარადისო უკვდავება შეიძინა. ძნელი იყო ამ მიზნის მიღწევა, მაგრამ მწერლის ტალანტმა ამ ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი. რომანში დახატული არსენა არის გმირი, რომელსაც კეთილშობილი ბუნების, მაღალი ზნეობის, ალალი და მართალი გულის წყალობით, სისხლის ღვრის გარეშე მოუპოვებია ლეგენდარული სახელი. მწერალი უჩვეულო ოსტატობით გვიხატავს არსენას როგორც გარეგნულ პორტრეტულ ნიშნებს, ასევე მის სულიერ სამყაროსაც, მეამბოხე სულსაც, მებრძოლსაც, მიჯნურსაც, პატრიოტსაც, ძმადნაფიცსაც, მრავალმხრივ გამორჩეულ რაინდს. ამ ტიპის გამოძერწვა უდავოდ მ. ჯავახიშვილის დიდი მწერლური გამარჯვებაა. ასევე შეიძლება ითქვას არსენას მშობლებზე, დასა და ძმაზე, თანამებრძოლებზე. მაგდა, სევასტი, კარპიჩა და მრავალი სხვა დასრულებული ტიპები არიან.

განსაცვიფრებელი სიმდიდრით, მოქნილობით და ლაზათით გამოირჩევა მ. ჯავახიშვილის ენა, რომელმაც „არსენა მარაბდელში“ გამორჩეულად გაიბრწყინა. ხალხური, ნათელი, მახვილი მეტყველება ხალხის წრიდან გამოსული ადამიანებისა აქ მონაცვლეობს ინტელიგენციის, არისტოკრატიის წრის წარმომადგენელთა მეტყველებასთან და ყოველი ახალი სიტუაციის, ახალი აზრისა თუ ხასიათის შესატყვისად მწერალი არჩევს მეტყველების ისეთ ფორმებს, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტი და სახიერია, ამომწურავად ესადაგება სათქმელს.

მწერალი უჩვეულო სიცხადით გვიხატავს იმ გეოგრაფიულ გარემოს, რომელშიც რომანის პერსონაჟები მოქმედებენ. ამაში მას ხელს უწყობს ორი გარემოება: ჯერ ერთი, ბავშვობა მან სწორედ ამ

მიდამოებში — საბარათიანოში — გაატარა და ამიტომ ყოველ ბილიკს იცნობდა, მეორეც, რომანზე მუშაობისას მან კიდევ ერთხელ საგანგებოდ დაიარა ეს ადგილები და დაწვრილებით შეისწავლა ყოველი სოფელი, გზა, მდინარე, ტყე, მთა და ბარი. გარემოს ასეთი ზედმიწევნითი სწორი ჩვენება მკითხველის შემეცნებასაც ამდიდრებს და ამავე დროს იგი ხელს უწყობს გმირთა უფრო ძკაფიოდ გამოძერწვას.

რომანში დახატულია როგორც ისტორიულად არსებული გმირები, ასევე გამოგონილი ტიპები. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ამით უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ ასასახ ეპოქას. ტიპების ძერწვისას მწერალი ხშირად იყენებდა მის თანამედროვე პროტოტიპებს. ამ საიდუმლოს თვითონ გვიმხელს წერილში „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი". აქვე ვკითხულობთ ბევრ სხვა საინტერესოს, რაც რომანის შექმნას ეხება.

მ. ჯავახიშვილმა ამ რომანში გამოიყენა მხატვრული თხრობისა და ხატვის ყველა უკვე ცნობილი ხერხი და ამავე დროს მან საკუთარიც ბევრი მიაგნო, ორიგინალურიც მრავალი შექმნა. ერთერთ ასეთ მისეულ ხერხად შეიძლება დავასახელოთ მონაცვლეობა შემდეგი მწერლური ილეთებისა: მწერლისეული თხრობა, პერსონაჟის მოქმედება, პერსონაჟის თვალით დანახულის გადმოცემა, პერსონაჟის ფიქრთა გადმოცემა, დიალოგები პერსონაჟთა შორის და ა. შ. ამ ილეთების სხვადასხვაგვარი კომბინაციები და ვარიანტები უდავოდ დიდ ეფექტს იძლევა, სახელდობრ, მიიღწევა: თხრობის მონოტონური სიმძიმის შენელება, ფაქტის ხელშესახები ჩვენება, ემოციების აღძრა, ინტერესის შეუნელებლობა, სათქმელის მკითხველამდე სრულად დაყვანა, სურათების ხატვა... ყოველივე ეს ამაღლებს ოსტატობის ხარისხს, ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებს.

მ. ჯავახიშვილის მხატვრული ხერხებიდან შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე მეტყველება აფორიზმებითა და ანდაზებით. ეს ხერხი გახაზავს პერსონაჟის ხასიათსაც და ხელს უწყობს ეპიზოდის, სიტუაციის უფრო ემოციურ წარმოდგენასაც. მაგალითად. ხერხეულიძეთა საფლავებზე გამართულ თავყრილობაზე ღვთისავარი თანასოფლელებს რომ მიმართავს, მხოლოდ წუთიერ ეპიზოდში იყენებს შემდეგ აფორისტულ თუ გაანდაზებულ გამოთქმებს: „თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასა", „მიეცი კეისრისა კეისარსა", „წესი არის მამაცთაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა; არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდაველენა", „სიწყნარე გმობილი სჯობია სიჩქარეს ქებულსაო", „თუ კაცი ჭირსა ვერ დასთმობს, ლხინი რა დასათმობია", „როცა ჯოხი არა გაქვს, ძაღლს ლუკმა მიუგდეო", და ა. შ. ეს

დიდი კონცენტრაციაა და მას გამოკვეთილი ფუნქცია, მიზანი და დანიშნულება აქვს.

მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მეამბოხე გმირები თუმცა მარცხდებიან, მაგრამ მწერლის ოპტიმიზმი აშკარაა. ეს განსაკუთრებით ჩანს ეპილოგში, სადაც ნაჩვენებია მარაბდაში მოგროვილი და ოძელაანთს თავმოყრილი ნათესაობა, რომელთაგან ზოგი უკვე დაღუპული არსენას თანამებრძოლი იყო, ზოგი კი ახლა ვაჟკაცდება და ამთავითვე ამჟღავნებს საბრძოლო სულისკვეთებას. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრს გვეუბნება არსენას ვაჟის დათუნას საქციელი, სულხანს მამისეულ დროშას რომ მოსთხოვს...

1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში მ. ჯავახიშვილმა დაწერა რევოლუციური სულისკვეთებით აღსავსე მოთხრობა „ჯილდო“, რომელშიც რეალისტურად და დიდი მხატვრული ოსტატობით გვიჩვენა თბილისის ქუჩებში მომხდარი შეტაკებები მუშებსა და სალდათებს შორის. ამ დროიდან 30 წლის გავლის შემდეგ მწერალი კვლავ მიუბრუნდა ცხრაასხუთის თემას და დაწერა რომანი „ქალის ტვირთი“, რომელშიც უფრო ფართოდ, მრავალმხრივ არის გაშუქებული ის ისტორიული მოვლენა. ამ ფაქტით ერთხელ კიდევ დადასტურდა მ. ჯავახიშვილის დიდი დაინტერესება რევოლუციით, რომლის მონაწილეც თვითონ იყო.

რევოლუციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი თუ მოვლენა რომანში გაცოცხლებულია ხორციშესხმულად, თითქოს მკითხველი თვითონ ესწრებოდეს ასახულ მოვლენებს, თითქოს ყოველივე ეს ჩვენს თვალწინ მომხდარიყოს. ქუჩის ბრძოლების, მიტინგების, დემონსტრაციების, პოლიციის მოქმედების, ჯაშუშთა მზაკვრობის, კაზაკთა თარეშის ჩვენებას მწერალი აღწევს უჩვეულო სიცხადით. მწერლის სიმპათიები ყოველთვის რევოლუციონერთა მხარეზეა.

მწერალმა „ქალის ტვირთში“ ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად დააყენა საკითხი, თუ როგორი იყო ქალის როლი, მისი ტვირთი რევოლუციის ძნელ საქმეში. ამ საკითხის გაშუქების მიზნით ავტორს რომანში შემოყავს ორი ქალი — ქეთო და მართა. პირველი არისტოკრატიის წრიდან, ინტელიგენციის ბანაკიდან შეუერთდა რევოლუციას, მაგრამ ბოლომდე ვერ გაჰყვა მას, რადგან ვერ გაუძლო მძიმე ტვირთს, მის ქვეშ მოიხარა, დაეცა და დაიღუპა. მეორე კი — მართა მშრომელთა რიგებიდან გამოსული, თვითონაც მუშა ქალია, მას რევოლუციამ მძიმე მოვალეობა და ტვირთი დააკისრა, მაგრამ უდრტვინველად და წარბშეუხრელად, მოთმინებით და გმირულად იტანს ყველაფერს, ის ბოლომდე სულით მტკიცე და შეუდრეკელი რჩება. მართა შეუუღლდა კატორღამისჯილ ბოლშევიკ ზურაბ გურგენიძეს და თან წაჰყვა გადასახლებაში. მკითხველს სჯერა, რომ იქიდან ორი-

ვე დაბრუნდება და კვლავაც რევოლუციას ემსახურებიან. მართას მაგალითით მწერალმა მიგვანიშნა, რომ მშრომელმა ქალებმა რევოლუციაში ისევე დიდი ტვირთი ზიდეს, როგორც საერთოდ მუშათა კლასმა.

მ. ჯავახიშვილმა რომანში გამოძერწა ბოლშევიკი რევოლუციონერების გაუმეორებელი სახეები. ამ მხრივ მარტო ზურაბ გურგენიძის დასახელებაც კმარა.

„ქალის ტვირთში“ რევოლუციის ამბები ნაჩვენებია ისტორიული სიმართლით, სწორი და თანამედროვე პოზიციიდან. ამაში აშკარად ჩანს მწერლის საბჭოური თვალსაზრისი და მრწამსი.

მ. ჯავახიშვილი ავტორია მრავალი შესანიშნავი მოთხრობისა. ეს მოთხრობები პირობითად შეიძლება ასე დაიყოს: პატრიოტული მოთხრობები („მიწის ყივილი“, „ფინჯანი“), მორალისტური მოთხრობები („ცხრა ქალწული“, „ცოფიანი“, „ორი შვილი“, „უბაჩამ დაიგვიანა“); ძველის ნამსხვრევები, ანუ ზოგი ყოფილის ბედი („ხუთის ამბავი“, „ქურდი“); ჰუმანისტური მოთხრობები („მართალი აბდულაჰ“, „ლამბალო და ყაშა“, „პაპა დიმო“); ყოფითი მოთხრობები („პატარა დედაკაცი“, „მესამე“, „შურისმაძიებელი“, „ორი განაჩენი“, „მუსუსი“, „ოქროს კბილი“); ფსიქოლოგიური მოთხრობა („კურდღელი“).

მოწინავე პოზიცია, პროგრესული აზროვნება, თემატური მრავალფეროვნება, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, ტიპების გამოკვეთა, ნათელი სტილი, დიდი ნიჭიერება, მაღალი ოსტატობა და სათქმელის ხორცშესხმა — აი, რა ახასიათებს მ. ჯავახიშვილს და მის მოთხრობებს. ერთი დიდი მწერლის სახელისათვის ეს მოთხრობები სავსებით იკმარებდა.

აუარება პუბლიცისტური წერილი, რეცენზიები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, კონკრეტულ ნაწარმოებებზე, პოლემიკური გამოსვლები, რომელთა მიზანი იყო ბრძოლა ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ, რეალიზმის გამარჯვებისათვის; მრავალი წერილი ენის სიწმინდის საკითხებზე, თარგმანები ფრანგული, პოლონური და რუსული ენებიდან ავსებს ჩვენს წარმოდგენას მ. ჯავახიშვილზე, როგორც დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე.

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული მწერლობის მაღალი სამრეკლოს ერთ-ერთი დიდი ზარია, რომელიც მუდამ გამოსცემს ძლიერსა და განსაკუთრებულის ქუერადობის გუგუნა ხმას.

სანდრო შანშიაშვილი

XX საუკუნის დასაწყისში ქართულ მწერლობას შეემატა ერთი ახალი სახელი. ეს იყო სანდრო შანშიაშვილი. მან შემდგომში საკუთარი კვალი გაავლო ახალი ეპოქის ლიტერატურულ ხნულში ს. შანშიაშვილმა იმთავითვე მიიპყრო როგორც ქართული ლიტერატურული კრიტიკის, ასევე მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მის ლექსებზე და დრამებზე შემდეგაც ბევრი დაიწერა და ითქვა. მწერალმა აღიარება პოვა როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში. მას, ქართველებთან ერთად, აფასებდნენ რუსული ლიტერატურის შესანიშნავი წარმომადგენლები — ს. ესენინი, ნ. ტიხონოვი და სხვანი.

ს. შანშიაშვილის აღიარების დასტურია რამდენიმე ორდენი და მედალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, რამდენჯერმე არჩევა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და ა. შ. ყოველივე ეს ამშვენებს მწერლის ცხოვრების ნათელსა და გრძელ გზას.

*

ალექსანდრე (სანდრო) ილიას ძე შანშიაშვილი დაიბადა 1888 წლის 13 (26) ივლისს სოფ. ჯუგაანში (სიღნაღის რაიონი).

მამა — ილია ალექსანდრეს ძე — სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ჯერ იყო სოფლის მასწავლებელი, შემდეგ კი მღვდლად აკურთხეს, თუმცა მასწავლებლობისათვის თავი მას არასოდეს დაუნებებია.

დედა — დარო სოსანას ასული თოფჩიშვილი-ათანელაშვილი სოფ. ტიბაანიდან იყო.

მომავალმა მწერალმა დაწყებითი სწავლა ჯუგაანში მიიღო ეგნატე მენთეშაშვილთან. მალე ის გადაიყვანეს ხირსის მონასტრის სამრევლო სკოლაში, სოფ. ტიბაანში, სადაც სანდროს ასწავლიდა მართუოფელი გიგო კანდელაკი.

სანდროს ეწადა თბილისის გიმნაზიაში ან რეალურ სასწავლე-

ბელში შესვლა, მაგრამ სამღვდელო წარმოშობამ მას ამაში ხელი შეუშალა და იძულებული გახდა შესულიყო თბილისის სასულიერო სასწავლებელში. აქ სწავლობდა მეოთხე კლასამდე, მაგრამ მერე „გაათავისუფლეს“, როგორც „ანტირელიგიურად განწყობილი პიროვნება“.

ს. შანშიაშვილი შემდეგ შევიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში (1905—1906 წწ.), სადაც პედაგოგად იყო ოსკარ შმერლინგი. ეს სასწავლებელი კერძო იყო და უსახსრობის გამო მალე დაიხურა.

სამხატვრო სასწავლებელში სწავლის პერიოდში (1905 წ.) „საბალხო გაზეთში“ დაიბეჭდა სანდრო შანშიაშვილის პირველი ლექსი „ზღვა“.

1907 წ. ს. შანშიაშვილმა გამოცდა ჩააბარა ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასში და მიიღეს კიდეც. როცა ის მერვე კლასში უნდა გადასულიყო, ჟანდარმერიამ გაჩხრიკა და დააპატიმრა. გაჩხრეკისას მას უპოვეს არალეგალური ლიტერატურა და ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული საკუთარი ლექსი „მტარვალს“, ამის გამო მისცეს პასუხისგებაში და ჩასვეს მეტეხის ციხეში. გაციმბირებას სანდრო მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ მცირეწლოვანი იყო. სამი თვის პატიმრობა კი მაინც მიუსაჯეს.

მეტეხის ციხეში სანდრო გაეცნო შალვა ელიავას, მიხეილ ჩოდრიშვილსა და სხვა რევოლუციონერ პატიმრებს, რომლებმაც დამწყებ მწერალზე კეთილი ზეგავლენა მოახდინეს.

1908 წელს გამოვიდა ს. შანშიაშვილის ლექსების პირველი წიგნი „ბაღი სევდისა“.

ციხეში ყოფნის შემდეგ ს. შანშიაშვილი გიმნაზიას ვეღარ დაუბრუნდებოდა, მაგრამ ექვსი კლასის დამთავრების მოწმობა მან მაინც აიღო. უფროსი ამხანაგები სანდროს ეხმარებიან და 1911 წელს აგზავნიან საზღვარგარეთ, შვეიცარიაში. აქ სანდრომ ექვს თვეში შეისწავლა გერმანული ენა, ისე, რომ შეეძლო ლექციების მოსმენა. პირველად იყო ციურიხში, შემდეგ გადავიდა ბერნში, სადაც შეხვდა იქ მყოფ გერონტი ქიქოძეს. მისი დახმარებით სანდრო შედის ბერნის უნივერსიტეტში. აქ იგი ლექციებს ისმენდა ხელოვნებასა და ბერძნულ მითოლოგიაში. მითოლოგიის კარგად შესწავლამ შემდეგში კვალი დააჩნია ს. შანშიაშვილის შემოქმედებას. ბერნიდან სანდრო გადადის ჯერ ბერლინის უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელად, შემდეგ სწავლას განაგრძობს ლაიპციგის უნივერსიტეტში.

1914 წელს სანდრო შანშიაშვილი ნათესავთა და მეგობართა წანახვად ჩამოდის საქართველოში და სწორედ თბილისში მისი ჩა-

მოსელის დღეს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ამის გამო გზები შეიკრა და სანდრო სამშობლოში დარჩა.

თბილისში ს. შანშიაშვილი თავის მეგობრებთან ერთად (ალ. ახმეტელი, მიხ. ჯავახიშვილი, დ. კასრაძე, გ. ქიქოძე და სხვ.) აარსებს გაზეთ „საქართველოს“, რომლის რედაქტორადაც ს. შანშიაშვილს ირჩევენ. ამ გაზეთს დამატებად მოჰყვა ჟურნალი „მერანი“, რომელშიც დაიბეჭდა ს. შანშიაშვილის დრამატული პოემა „ბერდო-ზმანია“, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე დადგა ალ. ახმეტელმა. ამ პიესას დიდი წარმატება ხვდა.

1918 წელს ს. შანშიაშვილს გაზეთი ჩამოართვეს. ამის შემდეგ მწერალი მიდის სოფელში და გლეხურად ცხოვრებას იწყებს. დიმიტრი ჩოლოყაშვილმა მას გადასცა ერთი ძველი წისქვილი მდინარე შავწყალაზე, ჭიაურაში. სანდრო სწორედ ამ წისქვილში მეწისქვილეობდა. აქ იგი ხვდებოდა გლეხებს, რომლებიც გრძელ ღამეებში, საფქვავის ჩამოთავების მოლოდინში ცეცხლის პირად ყვებოდნენ თავიანთ სიდუხჭირესა და ჯაფაზე, ერთმანეთს მოუთხრობდნენ იგავ-არაკებსა და ზღაპრებს, რასაც მწერალი მონდომებით ისმენდა და იმახსოვრებდა. წისქვილში სანდრომ თითქმის სამ წელიწადს დაჰყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს. შანშიაშვილი მოუკითხავს სერგო ორჯონიკიძეს და თბილისში დაუბრუნებიათ. აქ მას ნიშნავენ ჟურნალ „დროშის“ პასუხისმგებელ მდივნად. შემდეგ იგი დიდხანს მუშაობდა ამ ჟურნალში.

1927 წელს ს. შანშიაშვილი აირჩიეს ამიერკავკასიის ცაკის წევრად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ს. შანშიაშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე — გამოდის მისი ლექსების, პოემების, დრამების, მოთხრობების, იგავების, ბალადების კრებულები, იდგმება მისი პიესები რუსთაველისა და სხვა თეატრებში, ეწევა შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1960—1973 წლებში გამოვიდა ს. შანშიაშვილის ნაწერების ექვსი ტომი.

სანდრო შანშიაშვილმა გაიარა ცხოვრებისა და შემოქმედების გრელი გზა. იგი დღესაც მხნედ გამოიყურება, დროდადრო პრესაში კვლავ გამოჩნდება ხოლმე მისი ლექსები. 90 წელს მიღწეულ მწერალს კვლავ ახასიათებს სულიერი და ფიზიკური უბერებლობა.

•

ს. შანშიაშვილი არასოდეს შემოფარგლულა ლიტერატურის ერთი რომელიმე ჟანრით, იგი თითქმის ერთნაირი ძალით მუშაობდა პოეზიაშიც და დრამატურგიაშიც, ნაწილობრივ პროზაშიც. მის კა-

ლამს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ლიტერატურული წერილი. აღნიშნულის მიუხედავად, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ს. შანშიაშვილმა სახელი გაითქვა პოეტური და დრამატული შემოქმედებით.

17 წლის ჭაბუკმა ს. შანშიაშვილმა 1905 წელს დაწერილ ლექსში „სულ წინ ისწრაფე"! გამოხატა თავისი იდეალი და ცხოვრების მიზანი, რომ გზის გაგნებაში შეელოდეს გულმართალ ადამიანებს და სულ წინ ისწრაფოდეს:

„მე უმძიმესი ცხოვრების
ეკლის მთა გადავიარე;
გზის გაგნებაში ეშველოდი
გულმართალ ადამიანებს.
ვცან სოფლის ცვალებადობა
და სიბრძნე გავიზიარე,
ხმა იდუმალი მესმოდა:
სულ წინ ისწრაფე, იარე!"

ამ პრინციპებისადმი ერთგულება პოეტმა მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ზემოთ მოტანილი ლექსის დაწერიდან 66 წლის შემდეგ ხანდაზმული პოეტი ისევ წერს:

„მედგარი ბრძოლა მე მახალისებს
და შრომა მინთებს გულში სიხარულს".

სანდრო შანშიაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში. ამან იმთავითვე განსაზღვრა პოეტის შემოქმედების თემატიკა და შინაარსი. პოეტი აიტაცა 1905 წლის რევოლუციის ტალღებმა და სხვებთან ერთად ისიც ახალგაზრდული ხალისით გადაეშვა იმ ჰიდილში, რომელიც რევოლუციის ეპოქას ახასიათებდა. ლექსში „მაისობა" (1905 წ.) პოეტი წერდა:

„როცა პირველი მაისი დგება,
. . . . . .
ზღვა ხალხი იბრძვის, — რად ქუჩდებიან?
შრომის სუფევას მღერით გვამცნობენ...
მტკიცე ფიცს დებენ, ძმობილდებიან!
წყლულნი გულისა დაამდებიან!"

პოეტს გულის წყლულებს უამებს ხალხის გამოსვლა ქუჩაში საბრძოლველად, სიმღერები შრომის სუფევაზე, დაძმობილება და ფიცის დადება ბრძოლაში ერთგულებისათვის.

მართალია, ადრეულ წლებში ს. შანშიაშვილის ზოგიერთ ლექსში სევდასა და უიმედობასაც ეიგრძნობთ („სული დანაღლდა", „არავის ველი" და სხვ.), მაგრამ იქვე გამოჩნდება ხოლმე გაცილე-

ბით მეტი ისეთი ლექსი, რომლებშიც საბრძოლო განწყობილება გამოსჭვივის. მაგალითად, 1906 წელს დაიწერა ლექსი „სული დანაღველდა“, რომელშიც პოეტი ამბობს:

„სული დანაღვლდა, ცა იცრემლება,
ხან კი მრისხანედ ზუზუნებს ქარი;
მთის კალთას შავად ნისლი ევლება,
კორდებს კი მაღლა — ღრუბელთა ჯარი“.

ასეთი ლექსების გვერდით, იმავე 1906 წელს პოეტი წერს „ბრძოლის სიმღერას“, რომელშიც ხმამაღლა გაისმის საბრძოლო მოწოდება:

„შემოკრბით ერთად!
დასძახეთ მედგრად!
თავი გავწიროთ,
მსხვერპლი შევწიროთ
და მოვიხადოთ მით ჩვენი ვალი!
ყრმანო, მებრძოლნო, აღმართეთ ხმალი!“

ბუნებრივია, რომ რეაქციის წლებში სევდის საფუძველი საკმარისზე მეტი იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, დასაფასებელია, რომ ს. შანშიაშვილი ბრძოლის ჟინს მაინც ინარჩუნებდა.

შეიძლება ითქვას, რომ სანდრო შანშიაშვილი არის XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვარი. ყველაფერი ის, რაც ქართველ ხალხს გადახდა ჩვენი საუკუნის განვლილ პერიოდში, თავისებურად განიცადა მწერალმა და აისახა მის შემოქმედებაში. რუსეთის პირველი რევოლუცია იყო თუ შემდეგ რეაქციის სუსხი, რევოლუციის შემდგომი აღმავლობა, მენშევიკთა ბატონობის წლები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, ახალი ქვეყნის შენება, წარმატებები თუ შემდეგ დიდი სამამულო ომი, კვლავ შენება და გამარჯვებები — ყველაფერი ეს სანდრო შანშიაშვილის პოეზიის თემატიკას ამდიდრებს, ავსებს და ხალხის შრომისა და ბრძოლის მხატვრად აქცევს მას. ამიტომაც არის, რომ მწერლის შემოქმედება გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით, მისი კალამი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა პატრიოტიზმი, რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების ჩვენება, სოციალური პრობლემები, სოციალისტური სინამდვილე, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა, ისტორიული წარსული, ვ. ი. ლენინის სახე, სამამულო ომის თემა და ა. შ.

ს. შანშიაშვილის პოეზიაში იმთავითვე შესამჩნევი ხდება ის რეალისტური ნაკადი, რომელიც ადრე ილიამ განავითარა და პოეზიის დანიშნულებად ხალხის ცხოვრების ჩვენება, ერის ტკივილების მოშუშება გამოაცხადა. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ახალი, რევო-

ლუციური მოძრაობის პოეტური ასახვის მებაირახტრედ გვეელინება ირ. ევდოშვილი, რომლის ლექსებიც ადრე ს. შანშიაშვილის პოეზიას ძუძუს აწოვებდა. ეგებ ამითაც აიხსნება, რომ ს. შანშიაშვილი ილიასა და ევდოშვილს უძღვნის სიყვარულით გამთბარ ლექსებს, რომლებშიც დიდად არის დაფასებული მათი ღვაწლი. ილიაზე პოეტი წერს:

„ის იყო ერთი გულით მღელვარი,
დღეს აღამებდა, ღამეს ათევდა!
ვერ აამებდი, გეთქვა: გათენდა,
როცა მის მდელოს შავად ეფარა მწუხრის ზეწარი!"

ს. შანშიაშვილი ილიას ადარებს ლომს, რომელიც გრგვინავდა, მიუთითებს, რომ მან ზაქროს ხელში თოფი მისცა, ის ეძებდა გმირს, მას აწუხებდა სამშობლოს ბედი, მისი მომავალი...

1910 წელს ირ. ევდოშვილის ჩერნიგოვოდსკში გადასახლების გამო სანდრო შანშიაშვილი წერს ლექსს, რომელშიც გამოხატულია არა მარტო დამშვიდობებისას აღძრული თბილი გრძნობები, არამედ დევნილი პოეტის საქმის აღიარებაც:

„მშვიდობით! მიხვალ და ჩვენ აქ გვტოვებ,
ვხედავ კრილობას შენს შიშველ ტანზე,
ვინ იცის, კიდევ რამდენი მსხვერპლი
უნდა დაეცეს ეკლიან გზაზე.
მშვიდობით იყავ და სალამს გიძღვნი,
სალამს სევდიანს და გამწარებულს;
თვით შენთან ხვდება კვნესა ჩემს გულსაც —
უკუღმართ დროში ჯვარზე წამებულს".

ამ ორი ლექსის აზრი არა მარტო ადრესატების აღიარებაში უნდა დავინახოთ, არამედ თვითონ ს. შანშიაშვილის განწყობილებისა და იდეური პოზიციის გაგებაშიც გვეხმარება ისინი.

აქვე ვიტყვით, რომ ს. შანშიაშვილს საერთოდ ბევრი მიძღვნითი ლექსი დაუწერია, თავისი სიყვარული და აღიარება გამოუხატავს მრავალი ქართველი და არა ქართველი პოეტისადმი. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ნ. ბარათაშვილისადმი, გ. ლეონიძისადმი, ტ. ტაბიძისადმი, პ. იაშვილისადმი, ვ. გაფრინდაშვილისადმი, ნ. ტიხონოვისადმი, კ. ბალმონტისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებიც გამოირჩევა ალალი გრძნობებითა და პოეტური აღმაფრენით.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და წინაპართა დაფასება ს. შანშიაშვილის განუყრელი თვისებაა. ეს გრძნობა ამშვენებს და ალამაზებს პოეტის შემოქმედებას. ლექსები „კახეთი", „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში", „ჩემი სახლი ჯუგაანში", „ქართველი დედა", „გმირი თევდორე", „ფრთაგაშლილო საქართველო", „ახალ საქა-

რთველოში“ და მრავალი სხვა ამ დებულების დამადასტურებელია.

პოეტი უდიდესი სიყვარულით გვიხატავს მშობლიურ კახეთს:

„ნაპრალთა შორის მდინარე
მოქუხს და მოეჩქარება,
კლდის ძირში ვიწრო ბილიკი
ბეწვის ხიდს დაედარება...

შემკული არის კახეთი
სიტურფით მშვენიერითა,
მოვედ და დასტკბი, ერთგულო,
შეხმატკბილებულ მღერითა...“

სანდრო შანშიაშვილის ლექსებს ასაზრდოებს საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მაღალი ინტერესები და მოქალაქეობრივი პათოსი. ეს ითქმის ადრინდელ ლექსებზეც და განსაკუთრებით 1923 წლის შემდეგ დაწერილ ნაწარმოებებზე. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ პოეტის საუკეთესო ლექსები: „ლენინი ჯავშანოზე“, „ელექტრო არმაზი“, „დედისერთა ლენინთან“ და მრავალი სხვა.

ლექსში „ელექტრო არმაზი“ ძველისა და ახლის კონტრასტული ჩვენებით მიღწეულია ახლის, სოციალისტურის სიდიადის შეგრძნების დიდი ეფექტი.

„ძმებო! წარსული საუკუნის რღვევის ეპოქებს
ვეტყვით: „მშვიდობით“ და ახალთან მივალთ ალავერდს!
აღორძინების მომავალი ჩვენს გულს აოხებს!
სალამს მოგიძღვნი, დღეს ცხოვრებას შრომა განაგებს!
უკვე ილიამ დაიტირა დრო დამარხული,
ჰგმობდა თავის დროს სამიკიტნოდ გლახ გარდაქცეულს,
ქართლის გულს ჰქონდა დაბჯენილი მაშინ მახვილი,
ფეხქვეშ თელავდნენ სისხლით შესვრილს მცხეთას დაქცეულს...
დღეს დრო იცვალა... და სულ სხვა გვაქვს გულში ზრახული!
მე რომ ვნატრობდი და ხან სიზმრად მომლანდებია,
სატრფო ზენარი — საქართველო მოსილი თალხით —
დღეს ის ატარებს წითელ მანდილს... თვალნი გზნებია.

ყველას ახარებს დღეს ელექტროს ღმერთი — არმაზი —
დიდი ზაჰესი — საბჭოს ფესვი — ქართლის ცხოვრება“.

1927 წელს დაწერილი ეს ლექსი არის ახლის შიღების, საბჭოურის უპირატესობის არა მხოლოდ აღიარება, არამედ მისი ხოტბაც. შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსს ისეთივე ადგილი უკავია ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში, როგორც ი. გრიშაშვილის პოეზიაში უკავია ლექსს „გამოთხოვება ძველ თბილისთან“.

სანდრო შანშიაშვილმა ალალი გრძნობითა და ოსტატობით და-

გვიხატა ვ. ი. ლენინის, როგორც პარტიისა და რევოლუციის ბელადის სახე.

„იქ ჯავშანო მშრომელს ანადგურებდა,
მუუდროებას ბატონს უსადგურებდა.
მაგრამ ნახეთ, მჩაგვრელთაგან დევნილი
ჯავშანოზე მტკიცედ შედგა ლენინი!
ოქტომბერში ცეცხლი მტრისკენ მიმართა,
ბრძნული სიტყვით ხალხს ქუჩაში მიმართა...“

დიდი ლირიკული სითბოთი, ძალით, ოსტატობით, ლენინისადმი ერთგულების გრძნობით გამოირჩევა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, ლექსი „დედისერთა ლენინთან“.

„ნარეთ ცივა... ქრის ქარი...
მთვარე ვახშმობს მუხებში.
დახშულია ჭიშკარი,
ძილს კლიტე უხეშს.
დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლოს კუთხეში,
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?“

ომში წასული შვილის ვაჟიკას ამბის უქონლობას დედა შეუწუხებია. მას ესიზმრება შვილი, ხშირად დგება, კარს აღებს, შვილს ელის, მაგრამ ამაოდ. ეს მოლოდინი გაუთავებელია:

„ლოდინი და იმედი
ხვალეც ღამე ლოდინის!“

მაგრამ:

„როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ხედავდა,
იმ დროს მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.
ის იბრძოდა, წითლებთან
წითელ დროშას იცავდა.
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა!“

ეს ლექსი სამოქალაქო ლირიკის საუკეთესო ნიმუშად არის აღიარებული.

რევოლუციისათვის თავდადებულ გმირებს — ბაქოს კომუნარებს პოეტმა ძეგლი აუგო ლექსში, რომლითაც გვიჩვენა მათი უტეხი ნებისყოფა, რევოლუციისათვის თავგანწირვის უნარი, სიკვდილის წინაშე უშიშარობა, იდეებისა და რწმენისადმი ერთგულება. ყოველივე ეს პოეტმა მაღალპოეტურ ხარისხში აიყვანა.

„ოცდამეექვსეც შემოიყვანეს;
— ო, ალიოშა!
მაეგებნენ ამხანაგები,
ღუმს ჯაფარიძე.
ღის ამბავი: ხვალ დახვრეტენ,
ამხანაგებს კი არაფერს უმხელს:
— შევხვდეთ გმირულად, წარბშეუხრელად;
დავმარცხდით, მაგრამ არ დავმარცხდებით!“

დრამატულად დაძაბულ ამ სიტუაციაში კომისართა ტრაგიკული ბედის ჩვენების პარალელურად ლექსში პოეტი ქმნის ლირიკულ განწყობილებასაც, როცა გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი კომისრის მამა ქუჩაში დადის და რადგან აშუღია, სიმღერით ეძებს თავის შვილს:

„ — ჰეი, მითხარ, სად არის
ნეტავ ვარდის ქვეყანა?
შვილო, ხანლარ, გული ჰკივის...
სად ხარ, სად?!
თვალთ ბინდი მეფარება,
ძილი არ მეკარება,
გული ჰკივის:
სად ხარ შენ,
ან ვარდების ქვეყანა?!“

განწყობილების ასეთი მონაცვლეობა, ტრაგიკულისა და ლირიკულის პარალელური ხატვა, თვით კომისართა გმირობასთან ერთად, ამ ლექსის ემოციურობას და მკითხველზე ზეგავლენას დიდად აძლიერებს.

პოეტი წერს კოლექტიურ შრომაზე, სოციალისტურ ინდუსტრიაზე, კულტურის აყვავებაზე.

ცალკე შეიძლება გამოვყოთ ს. შანშიაშვილის ის ლექსები, რომლებიც პოეტმა დიდი სამამულო ომის წლებში დაწერა და ამით მან ხელი შეუწყო ფაშიზმზე ჩვენს გამარჯვებას. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ პოემა „დედა მარინე“, რომელშიც ცხადად გამოჩნდა პატრიოტი ადამიანების განცდები და თავდადება დიდი სამამულო ომის წლებში.

ცალკე განხილვის საგანია პოეტის ეპიკური ტილოები. ს. შანშიაშვილის პოემების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია ხალხის ცხოვრების ჩვენება, პოეტური სისადავე, მკაფიო ფერები.

საინტერესოა აგრეთვე ს. შანშიაშვილის ბალადებიც.

აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის მიუხედავად, პოეტი დღესაც აქვეყნებს თავის ახალ ლექსებს, რომლებიც კვლავ ხალხის სიყვარულით, სიკეთით, ჰუმანიზმით არის სავსე.

სანდრო შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის 18 პიესა, რომელთაგან ზოგი საყოველთაოდ ცნობილია, რადგან მათ მიხედვით კ. მარჯანიშვილის, ალ. ახმეტელისა და სხვა რეჟისორების მიერ იდგმებოდა სახელმოხვეჭილი სპექტაკლები, მათზე იწერებოდა საქებარი რეცენზიები და წერილები. ზოგი პიესა ნაკლებ არის ცნობილი, ნაწილისათვის მწერალს დრამატული პოემა უწოდებია. ს. შანშიაშვილის პიესათა სათაურების ჩამოთვლაც კი თავისთავად ბევრს ლაპარაკობს ამ შემოქმედის დრამატურგიაზე. „არსენა“, „კრწანისის გმირები“, „იმერეთის ღამეები“, „უგვირგვინო მეფენი“, „ანზორი“, „ლატავრა“, „სპარტაკი“, „ოქტომბრის ზეიმი“, „მათრახის პანაშვიდი“, „ბერდო ზმანია“, „არსენა ჯორჯიაშვილი“, „მამათა სამართალი“, „ნესტანი და ტარიელი “ — აი არასრული სია ს. შანშიაშვილის პიესებისა, რომლებმაც თავის დროზე მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ დრამატურგიაში.

„ბერდო ზმანია“ 5-მოქმედებიანი ტრაგედიაა. მისმა ავტორმა პიესაში დააყენა საკაცობრიო პრობლემა — ამაღლებულისაკენ ლტოლვისა და მიწიერი შურის მუდმივი ბრძოლა, რაც არცთუ იშვიათად იდეალების მსხვრევით მთავრდება.

ბერდო ზმანია, რომელიც ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირია, თითქოს ზმანებებით (აქედან — ზმანია), ოცნებებით, ცისიერისაკენ ლტოლვით ცოცხლობს, ერთხანს მისთვის მიწიერი არც არსებობს. დედა (დე-დია) მას მიწისკენ ეწევა, რადგან ის არის სული დედამიწისა. ბერდოს მეგობარი ბედია ბედის მწერალია, იგი ზმანიას მუხანათურად აცდუნებს. ასევე ბოროტად იქცევა ინვიდო, რომელიც შურის განსახიერებაა.

ბერდო ზმანია მიილტვის ჰაეროვანი ცისიასაკენ, რომელიც ბერდოს შორეული მიზანია. ცისია ეთერში უჩინარდება, შორდება, ეკარგება ბერდოს. ცისიას ნაცვლად ბედია ბერდოს შეახვედრებს მიწიერ ტურფას, ვნებოს, მზეონას, რომლებიც, პიესის მიხედვით, ცისიას მიწიერი ორეულები არიან. ამით ბერდო ბედნიერებას ვერ მიაღწევს.

კეთილი, ციური იდეალებისა და უხეში მიწიერი სინამდვილის დაპირისპირება პიესას თავიდან ბოლომდე გასდევს. იდეალების კრახი და მიწიერის ველური ძალების გამარჯვება სწადია შურს, რომელიც ბერდო ზმანიას მუდამ თან სდევს. ბერდო მეფობასაც მიაღწევს, ამ დიდებას იგი ჭიიტაცებს, მაგრამ მაინც იღუპება, მას სიკვდილის ჩონჩხთან ცეკვაში ამოხდება სული ცისია მისთვის მიუწვდომელი დარჩა.

ნახევრად მითიურ, ნახევრად რეალისტურ ამ პიესაში, როგორც ზემოთ ვთქვით, ს. შანშიაშვილმა დააყენა კაცობრიობისათვის ერთი შეტად მტკივნეული და გადაუჭრელი საკითხი — ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, დაპირისპირება ციურ სინათლესა და მიწიერ სიბნელეს შორის. ადამიანი მზისკენ, ცისკენ ისწრაფვის, მაგრამ მიზნის ვერმიღწევა მას ტრაგიკულს ხდის. თუმცა პიესიდან იმ აზრის გამოტანაც შეიძლება, რომ, ბერდო ზმანიას ფიზიკური დაღუპვის მიუხედავად, მორალურად იგი იმარჯვებს, რადგან მისი იდეალი მკითხველისათვისაც და მაყურებლისთვისაც მიმზიდველი და სიმპატიურია.

ასეთია „ბერდო ზმანიას“ აზრი და მნიშვნელობა.

არსენა ოძელაშვილის დიდებით მოსილი სახე ს. შანშიაშვილმა ერთხელ კიდევ გააცოცხლა თავის დრამატულ პოემაში „არსენა“. ამ ხუთმოქმედებიან დრამატულ ნაწარმოებში ნაჩვენებია გასული საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული ცხოვრების ვითარება.

პიესის მთავარი გმირია არსენა, რომელიც გლეხთა უუფლებობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრებულა და ხელში იარაღი აუღია, რათა მჩაგვრელი ბატონები, ცარიზმის ტლანქი მოხელენი და უოველგვარი ძალადობა ალაგმოს, მშრომელ ხალხს შვება მოუტანოს. არსენა „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“, ეს არის მისი სიმართლე. არსენას გვერდით ჩვენ ვხედავთ უუფლებობისა და ჩაგვრისაგან გაწამებულ მშრომელ გლეხებს — არსენას პაპას ონისეს, მამას გივის, გონჯა შესტვირეს, მოხუც ლაზარეს, 13 წლის ზურას, დედამის მართას, მათეს და სხვებს, რომლებიც გაერთიანებულან, არსენას მეთაურობით ტყეში გასულან და სოფლად სამართლის დამყარებისათვის იბრძვიან. ეს ბრძოლა უთანასწოროა, მათ წინააღმდეგ ცარიზმს რეგულარული ჯარის ნაწილები გამოუყავს, სოფლებს ეგზეკუცია სულს უხუთავს. სალდათებს ძალით მიაქვთ სარჩო-საბადებელი, უკანასკნელი ლუკმა, ისინი ქალებს ნამუსს ხდიან, სახლებს სწვავენ, უდანაშაულო ადამიანებს ხოცავენ, მაგრამ არსენას რაზმელები მათ მაინც მედგარ წინააღმდეგობას უწევენ.

პიესაში გამოყვანილია სასტიკი და დაუნდობელი, ყეყეჩი და ცარიზმის ლაქია მებატონე ზაალ ბარათაშვილი, ვისი მოთხოვნითაც მარაბდას სალდათები მიუსიენ. აქვე ვხედავთ ბარონ როზენს და მისი ველური ბრძანებების შემსრულებელს კაპიტან-ისპრავნიკ სლეპცოვს, რომელიც უდანაშაულო გლეხებს აწიოკებს, ხოცავს, სოფლებს ბუვავს, ვანდალობას ჩადის.

ს. შანშიაშვილმა ამ პიესაში დაგვიხატა რუსი მშრომელი კაცის, ჯარისკაც ვასია მიტროხინის დაუვიწყარი სახე. იგი არსენამ ორჯერ

გადაარჩინა განსაცდელისაგან. ვასია არსენას ძმობილი ხდება. ის არ ასრულებს ოფიცრის ბრძანებას, რომ გლეხებს თოფი ესროლოს. იგი ქართველ გლეხებში დაინახავს კლასობრივ ძმებს, რომლებიც ისევე იტანჯებიან ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის უღელქვეშ, როგორც რუსეთში მყოფი მისი მშობლები, ნათესავ-მეზობლები. ბოლოს ვასია არსენას რაზმში აღმოჩნდება, მის თანამოძმეებთან ერთად ებრძვის მოძალადეებს. მიტროხინი თუმც იღუპება, მაგრამ თვით ძმობის იდეალი იმარჯვებს. მწერალმა შესანიშნავად გვიჩვენა სხვადასხვა ერის, მაგრამ ერთ ბედში მყოფი, დაჩაგრული კლასის შვილთა მეგობრობა.

დრამაში გაშიშვლებულია ის ველურობა, რაც ბატონყმობას და თვითმპყრობელობას ახასიათებდა, ნაჩვენებია გამძაფრებული კლასობრივი, სოციალური ბრძოლა. აქვე დახატულია ცარიზმის დამპყრობელური, დაუნდობელი პოლიტიკა, რაც დამონებული ხალხის კანონიერ უკმაყოფილებასა და პროტესტს იწვევდა.

მცირედ, მაგრამ გამოკვეთილად პიესაში გვხვდება პატრიოტული გრძნობების გამომჟღავნებაც. იგი მკითხველზე კეთილ ზეგავლენას ახდენს და ჯანსაღი პატრიოტული გრძნობის აღზრდას უწყობს ხელს. გავიხსენოთ ეპიზოდი, როცა კაპიტანი სლეპცოვი მოხუც ონისეს, ერეკლე მეფის ყოფილ მედროშეს ჯოხის დაკვრას უპირებს, მას ჩამოეფარება მესტვირე გონჯა და შესძახებს:

„ — არ დაჰკრა!
მან საქართველოს ბედი ზიდა ცხარე ბრძოლებში,
არ დაანება არცა სპარსეთს და არც ოსმალეთს
და ერთმორწმუნეს ჩააბარა — რუსთა ხელმწიფეს!
შენ, მეფის კაცო, ასე უხდი სამაგიეროს?!“

ეს ადგილი განსაკუთრებული გრძნობით იკითხება.

ღალატით იღუპება სიმართლისათვის მებრძოლი გმირი არსენა, მას ცარიზმის მოხელის მიერ მოსყიდული გამცემის ფარსადან ბოდბისხეველის ტყვია განგმირავს, მაგრამ არსენას სატრფო ნენო მას სამაგიეროს მიუზღავს. პიესის ფინალში ვითარება ისე არის ნაჩვენები, რომ არსენას თანამოძმენი ცოცხალნი რჩებიან, ისინი მზად არიან და ძალაც შესწევთ კვლავ იბრძოლონ, შური იძიონ.

„არსენა“ ს. შანშიაშვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიესაა. მრავალი წლის მანძილზე იგი წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრებში. მან ეროვნულ რეპერტუარში თავის დროზე მნიშვნელოვანი კვალი გაავლო. ეს პიესა არა მარტო თემითა და პრობლემატიკით, მისი საბჭოური გადაწყვეტით არის მნიშვნელოვანი, არამედ წმინდა დრამატურგიული ხელოვნების თვალსაზრისითაც, რადგან მაღალ პროფესიონალურ დონეზე არის შესრულებული. მოქმედ

პირთა ხასიათების გამოკვეთა, მძაფრი დრამატიზებული სიუჟეტი, საინტერესო სიტუაციები და მათში მოხვედრილი გმირების ინდივიდუალური, გამოკვეთილი მოქმედება, პიესისათვის დამახასიათებელი საერთო დინამიზმი, მოხდენილი და ლაკონური დიალოგები, კარგად გააზრებული სცენური გარემო და მრავალი სხვა კომპონენტი ამ პიესას ქართული საბჭოთა დრამატურგიის პირველ რიგში აყენებს.

ხალხური „არსენას ლექსის" სათანადო ადგილების მოსწრებულად გამოყენება და პიესაში ჩართვა ხელს უწყობს ნაწარმოების ისტორიული კოლორიტის შექმნას და ამით ცოცხალი შთაბეჭდილების გამომუშავებას, რაც პიესაში ნაჩვენებ მოვლენებს და ეპიზოდებს უფრო დამაჯერებელს ხდის.

ისტორიულ-პატრიოტულ თემაზეა დაწერილი ს. შანშიაშვილის ხუთმოქმედებიანი პიესა „კრწანისის გმირები", რომელშიც ასახულია მე-18 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხი, ზოგი ფეოდალის ღალატი, აღა-მაჰმად ხანის შემოსევით გამოწვეული უბედურება, კრწანისის მარცხი, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

პიესის მთავარი გმირია მეფე ერეკლე. აქ იგი უკვე მოხუცია, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი, ხალხის ერთგულებითა და სიყვარულით გარემოსილი. გარეშე და შინაური მტრების მომრავლებით საქართველო დასუსტებულია, ქვეყანას გულს უღრღნის ფეოდალთა გოროზობა და გარეგამხედველობა. რევაზ ციციშვილი და სოვდაგარი ფანოზაშვილი აშკარა ღალატსაც არ ერიდებიან.

განუზომელია ძლევამოსილი მეფე ერეკლეს ავტორიტეტი, ხალხი მასზე ლოცულობს და სიცოცხლის განწირვის ფასადაც კი ეერთგულება, მაგრამ კრწანისის ტრაგედია გარდუვალი აღმოჩნდა...

პიესაში შესანიშნავად არის გამოძერწილი ერეკლეს, სოლომონ ლეონიძის, თეკლეს, მარიამ დედოფლის, ვახტანგ ორბელიანის, ხუდია ბორჩალოელის, ქიტელას, გელას, მალხაზის სახეები. ყველა მათგანი არის დაუვიწყარი, სამშობლოსათვის თავდადებული, მამულიშვილური გრძნობებით აღტყინებული ადამიანი. ისინი მკითხველთა დიდ სიმპატიებს იმსახურებენ.

მტერიც სათანადოდ არის ნაჩვენები. აქ ხაზგასმულია არა მარტო მისი რიცხობრივი სიმრავლე, არამედ ველური ძალაც. დახატულია დაუნდობელი, მხდალი და ბოროტი საჯურისი აღა-მაჰმად ხანი, კაცთმოძულე და სასტიკი სისხლისმსმელი, ფლიდი და ვერაგი. ბრძოლის მეორე დღეს იგი საქართველოდან გაქცევას აპირებდა, ერეკლეს წარმატებამ შეაშინა, მაგრამ ძმამ, სარდალმა ჯაფარ-ყული

ხანმა დაარწმუნა, რომ ქართველები დასუსტდნენ, ჯარი არ ჰყავთ და ხვალ დავაბარცხებთო. შიშისაგან აკანკალებული საჭურისი დიდი ყოყმანის შემდეგ დასთანხმდა ძმას, რომელმაც ღალატის წყალობით შეიტყო ქართველთა სისუსტე და ეკვეთა ქართველთა მცირე ლაშქარს. სპარსელებმა გამარჯვებას მიაღწიეს, მაგრამ აღა-მაჰმად ხანმა ვერაგულად მოაკვლევინა საკუთარი ძმა რადგან იგი უნებლიე მოწმე გახდა მბრძანებლის სიმხდალისა...

პიესაში ყველაფერი ნაჩვენებია ისტორიული სიმართლით, დაძაბულად, საინტერესოდ. აღსანიშნავია, რომ ერეკლესა და სოლომონ ლეონიძის საუბარი ჟინვალსა და ანანურში, რომელიც საქართველოს თავისუფლებასა და რუსეთთან დაკავშირებას ეხება, ანალოგიურია ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ დახატული ეპიზოდისა.

სპარსელებთან ბრძოლაში მარცხდებიან ქართველები, ეს დიდი ტრაგედიაა, მაგრამ, პიესის მიხედვით, ანანურში მეფეს ეწვევა რუსთა ელჩი, რომელიც ჯარების მოშველებას აუწყებს ერეკლეს. ეს ეპიზოდი ოპტიმისტური განწყობილების ნიადაგს ქმნის, იმედი ცვლის მარცხით გამოწვეულ ტკივილებსა და უიმედობას.

პიესას თავიდან ბოლომდე გასდევს სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების იდეა. ეს ნაჩვენებია არა მარტო მეფისა და მისი ახლობლების დახატვით, არამედ უბრალო ადამიანების შესანიშნავი ჩვენებებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ერეკლეს ძველი მებრძოლის ქიტელას სახე, მისი შვილიშვილი მალხაზი, ხევისბერი, არაგველები, გელა და ა. შ.

ნაწარმოებში გატარებულია საქართველოს მთლიანობის იდეა, რაც დახატულია იმერელთა ლაშქრისა და მისი სარდლის ზურაბ წერეთლის თავდაუზოგავი ბრძოლით ერეკლეს მხარდამხარ.

თავის დროზე ეს პიესა ამშვენებდა ქართულ თეატრს. იგი ახლაც კეთილ სამსახურს გაუწევდა ეროვნულ რეპერტუარს.

ისტორიულ--პატრიოტულ პლანში უნდა განვიხილოთ აგრეთვე ს. შანშიაშვილის პიესები „გიორგი სააკაძე“ (იგივე „უგვირგვინო მეფენი“) და „იმერეთის ღამეები“.

„იმერეთის ღამეებში“ ასახულია იმერეთის სამეფოს ტრაგიკული მდგომარეობა მეფე სოლომონ პირველის ეპოქაში. ერთი მხრივ, ქვეყანას აწიოკებს და აკნინებს ოსმალთა ბატონობა, გამუდმებული ომები და სისხლის ღვრა. იმერეთის ციხეებში ოსმალთა ჯარები აყენია, მეფე და მისი ერთგული ადამიანები მტკივნეულად განიცდიან ქვეყნის ასეთ ძნელბედობას, მეორე მხრივ, ზოგი ფეოდალის ურჩობა, ტყვეთა გაყიდვა სამეფოს უფრო ასუსტებს.

ტრაგედიის მთავარი გმირია მეფე სოლომონ პირველი — ენერ-

გიული, ქვეყნის ბედნიერებისათვის მებრძოლი პიროვნება. მისი ღონისძიებანი სამეფოს განმტკიცებისაკენ არის მიმართული. მას შემოუკრებია პროგრესული ადამიანები — წერეთელი, ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებიც ამავე ზრახვებით არიან გულანთებულნი. ეს ჭეშმარიტი მამულიშვილები საერთო ღონისძიებებით თურქთა ჯარებს ამარცხებენ და ქვეყანას ათავისუფლებენ კიდეც, მაგრამ მოღალატე რაჭის ერისთავი როსტომი და მისი შეუღლე კვლავ ღალატს ამჯობინებენ, ისინი მეფეს არა მარტო ეურჩებიან, დასცინიან კიდეც, შეურაცხყოფასაც კი აყენებენ. მეფეს საერთო საქმე უფრო აინტერესებს და პირად წყენას არაფრად აგდებს, ოღონდ როსტომი შემოირიგოს და ძმათა სისხლის ღვრა თავიდან აიცილოს, მაგრამ ამაოდ, ის თვალთმაქცურად მოდის მეფესთან, ვითომ დანაშაულის მოსანანიებლად, სინამდვილეში კი თურქთა 20 000-იანი ლაშქრის მოლოდინშია, რათა მეფე ტყვედ ჩაიგდოს, ქვეყანა ააოხროს.

მამის ვერაგობას ვეღარ ითმენს პატიოსანი და ქვეყნის ერთგული ახალგაზრდა, როსტომის უფროსი ვაჟი გიორგი, რომელსაც უყვარს მეფის ასული მარინე. როგორც კი როსტომის ვერაგობა გამჟღავნდება, იქვე, მამისა და მეფის თვალწინ გიორგი თავს იკლავს. ამის შემხედავი მარინეც საწამლავს დალევს. იღუპება ორი შესანიშნავი ახალგაზრდა, რომლებიც სიყვარულითა და ქვეყნისადმი ერთგულებით იყვნენ აღსავსენი. როსტომის სიავემ ამ ორი მშვენიერი ახალგაზრდის სიცოცხლეც იმსხვერპლა. ტრაგედია კულმინაციას აღწევს. მართალია, როსტომს მთელი ოჯახით შეიპყრობენ, მაგრამ ამით ტრაგედია არ მსუბუქდება.

ასე მძიმე, შავბნელი იყო ეპოქა, რომელშიც სოლომონი მოღვაწეობდა. ამ ავბედობის მისანიშნებლად მწერალმა პიესას „იმერეთის ღამეები“ უწოდა და ამით ქვეყნის მდგომარეობა ღამეებს შეადარა.

მკითხველი, ერთი მხრივ, სიყვარულითა და პატივისცემით იმსჭვალება სოლომონისა და მისი ერთგული ადამიანების მიმართ, მეორე მხრივ, მას გული ეკუმშება იმ ტანჯვისა და საშინელების გამო, რომელიც ამ პიესაში არის დახატული. ნაწარმოებში ისტორიული სიმართლით არის ნაჩვენები მე-18 საუკუნის იმერეთის მძიმე მდგომარეობა, ძირითადი ფაქტები და მოვლენები, რაც იმ ეპოქას ახასიათებდა, სწორი პოზიციიდან არის დანახული უმთავრესი ისტორიული პიროვნებების სახეები. ისტორიულ და მხატვრული სიმართლის გამო პიესა ძლიერ გავლენას ახდენს მკითხველზე. იგი ხელს უწყობს პატრიოტული გრძნობის აღზრდას.

„უგვირგვინო მეფენი“ ს. შანშიაშვილის ერთი იმ პიესათაგანია,

რომელსაც მღელვარების გარეშე ვერავინ წაიკითხავს. მასში ასახულია მე-17 საუკუნის საქართველოს, სახელდობრ ქართლის, შევიწროებული, აშლილი, ტრაგიკული სინამდვილე. პიესის მთავარი გმირია სახელგანთქმული სარდალი, უებრო გმირი — გიორგი სააკაძე, რომელსაც ხალხმა დიდი მოურავი უწოდა.

გიორგი სააკაძე თავისი გამჭრიახი გონებითა და მძლავრი მარჯვენით ქართლის გაძლიერებისა და საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროს გაერთიანების მაღალი იდეალისათვის იღვწოდა. იგი ქართლის მეფეს ლუარსაბსაც ამ აზრს ჩააგონებდა, მაგრამ მერყეევი ბუნების, სუსტი ნებისყოფისა და გარეგამხედვარე ფეოდალთა ძაქინაციების წყალობით ლუარსაბი მოტყუებული და დამარცხებული აღმოჩნდა. ფეოდალებმა გიორგის გაძლიერება არ აპატიეს, რადგან ამაში საკუთარი უფლებების შესუსტების საფრთხე დაინახეს. მათ ათასი ინტრიგითა და ცდუნებით დაიყოლიეს ლუარსაბი, რათა გიორგი მოესპოთ დედაბუდიანად, გადაეწვათ მისი სახლკარი და დაეტაცათ მთელი მისი ქონება. სააკაძე თავს უშველის სპარსეთში გაქცევით. მას იქ შახ-აბასი დიდი პატივით მიიღებს.

გაიძვერა, მოშურნე და გაროზი ფეოდალები — შადიმან ბარათაშვილი, აძილახვარი, ასლან ციციშვილი და სხვები აიძულებენ მეფეს, გაეყაროს კანონიერ ცოლს, გიორგის დას თეკლეს, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა. ლუარსაბი სუსტი ნებისყოფისაა, ის მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს. მან ფეოდალთა ვერაგობისაგან ვერ დაიცვა საკუთარი ცოლიც კი. დამცირებული თეკლე ტოვებს დედოფლობას და მონოზვნად აღიკვეცება.

პიესაში ბოროტება და შური ზეიმობს, ქვეყანა აწიოკდება.

შემდეგ ლუარსაბს ვხედავთ შახ-აბასის სასახლეში ტყვედ-ქმნილს, მისი დღეები დათვლილია. მბრძანებელი მისგან მაჰმადის სჯულის მიღებას მოითხოვს, ამის ნაცვლად საქართველოში შეფედ დაბრუნებას ჰპირდება, მაგრამ ლუარსაბი ამას უარყოფს. გადაწყდა, ნადირობისას ლუარსაბი უნდა მოკლან... გიორგი სააკაძის გამწირავი ქართლის მეფე ბედმა თვითონვე გასწირა.

სპარსეთში გიორგი შრავალ ბრძოლას სარდლობს და მოიგებს, მან შაჰს ბევრი გამარჯვება აზეიმებინა. სპარსეთის მპყრობელი კმაყოფილია და გიორგის თითქოს ბევრს ენდობა, ამიტომ საქართველოს აწიოკებასაც მას ავალებს. შაჰს მოსვენებას არ აძლევს თეიმურაზ I ურჩობა, ორიენტაცია რუსეთისაკენ, რადგან დარიალის კარის გაღება ირანს სახიფათოდ მიაჩნია.

იქმნება დაძაბული ვითარება: გიორგის ავალებენ სამშობლოს აწიოკებას, იმ სამშობლოსი, რომლის თავისუფლებისა და ბედნიე-

რებისათვის სცემს მისი გული. ის თითქოს ეთანხმება შაჰ-აბასს, მაგრამ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს და სამშობლოს გადაარჩენს.

პიესაში გამოძერწილია ჰეშმარიტი მამულიშვილების დაუვიწყარი სახეები. აქ არიან გლეხობის წარმომადგენლები, ხალხის შვილები, რომლებიც უერთგულესად და თავგანწირვით იბრძვიან სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მათე, პაპუნა ჩივაძე, დათო ვაშაყმაძე, ჭაღარა სიმონი და სხვები სწორედ ასეთი ადამიანები არიან. გამოკვეთილია უარყოფითი ტიპებიც — შადიმან ბარათაშვილი, ამილახვარი, ასლან ციციშვილი, ბორგა ჯანიძე და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ირანის შაჰის მიერ მძევლად დატოვებული პაატას სახე. როცა გიორგი შაჰს საქართველოს აოხრებაზე „დასთანხმდა“, პაატამ შამას სასტიკად უსაყვედურა, იგი მშობელს ორგულობაში ამხელს და საქართველოს გადარჩენისაკენ მოუწოდებს:

„ — მაშ თუ გიყვარვარ,
მამაშვილობის გრძნობას გაფიცებ,
თუ ეს სიცოცხლე შველას მისცემს ხალხს და ქვეყანას,
დე, ვიყო მსხვერპლი!.. არ დაიხიო ჩემი გულისთვის.
მე საქართველოს ვერ წარმოვშობავ,
საქართველო კი ჩემისთანას მრავალს გამოზრდის“.

ეს ბოლო ორი სტრიქონი ხომ პირდაპირ მოწოდებასავით გაისმის და ყველა ქართველს აღაფრთოვანებს. ამ შეგნებით მკითხველის გრძნობების ამაღლება პიესის ავტორის დიდი დამსახურებაა.

მართალია, გიორგიზე განრისხებული ვერაგი შაჰი მამას პაატას მოკვეთილ თავს გამოუგზავნის, მაგრამ დიდი ეროვნული იდეა იმარჯვებს. ამაშია ნაწარმოების ძალაც.

საინტერესოა პიესის სათაურიც. რატომ ჰქვია მას „უგვირგვინო მეფენი“? ვინ იყვნენ ისინი — შადიმან ბარათაშვილი და სხვა აღვირახსნილი ფეოდალები, რომლებიც მეფის ხელისუფლების განმტკიცებას ეწინააღმდეგობოდნენ, რათა თავ-თავისი საკუთარი მამულები და ციხე-კოშკები უფრო გაეფართოებინათ და შეუზღუდავად ეპარპაშათ? უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ძნელბედობის ჟამს, სუსტი გვირგვინოსნის მეფობაში უგვირგვინო მეფენი სწორედ ასეთი ფეოდალები იყვნენ, ხოლო ნამდვილი მეფე სათამაშოდ გაეხადათ.

პიესას აქვს მეტად დაძაბული, დრამატიზებული სიუჟეტი. აძბავი ვითარდება დინამიურად, ეპიზოდები ერთმანეთს ენაცვლება მოხდენილად, ყოველი მათგანი ზედმიწევნით დატვირთულია და სათქმელის ზუსტად თქმის, ამბის განვითარების კანონებს ემორჩილება. მშვენიერი ქართული გვხიბლავს დიალოგებშიც და რემარკებ-

შიც. დამუხტულია ყოველი ფრაზა, იგი ტევადია და ემოციურია. ავტორი თავს ლაღად გრძნობს მოქმედ პირთა რთული სულიერი სამყაროს გახსნისას. ამის წყალობით ისინი, მეფე იქნება თუ თავადი, მეომარი თუ გლეხი, ყველანი მათთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს აძეღავნებენ მოქმედებითაც, მეტყველებითაც, გარეგნულადაც.

ეს ისტორიულ-პატრიოტული პიესა უდავოდ მეტყველებს მისი ავტორის გამარჯვებაზე დრამატურგიაში, რაც სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთ რთულ დარგად არის მიჩნეული. „უგვირგვინო მეფენი“ მკითხველსა და მაყურებელში არა მარტო პატრიოტულ გრძნობებს აღძრავს, არამედ მას ბევრ სხვა რამეზეც დააფიქრებს, სწორად დაანახებს ჩვენს ტრაგიკულ წარსულს, რომლის მართალი ცოდნით სამომავლო დასკვნებიც უნდა გამოგვქონდეს.

დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მთიელთა და, მათთან ერთად, სხვა ერების წარმომადგენელთა ბრძოლას ასახავს ვსევოლოდ ივანოვის „ჯავშნოსანი 14—69“-დან გადმოკეთებული და გადმოქართულებული პიესა „ანზორი“. სანდრო შანშიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ორიგინალურივით აღიქმება და ქართულად ჟღერს.

პიესის ჰეროიკულ-რევოლუციური ინტონაცია მაჟორულია. აქ მთავარი გმირების გვერდით ცოცხლად და ხორცშესხმულად დახატულია ხალხი, გამწარებული, გატანჯული და აწიოკებული ხალხი, რომელიც განთავისუფლებისათვის იბრძვის. მწვავე შეტაკება მთიელ გლეხთა შვილებისა ცარიზმის მოძხრეებთან დაუნდობელ და სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათს ატარებს.

რევოლუციის მხარეზე აღმოჩნდება ალალი და გამრჯე, გაჭრიახი გონების მქონე ანზორ ჩერბიჟი, რომელსაც მარბიელმა თეთრებმა ორივე შვილი მოუკლეს და ბავშვებს დედაც ზედ დააკლეს, სოფელი გადაწვეს. ყოველივე ამან ხალხი გაამწარა, შურისძიებით აღაგზნო. ანზორი უბრალო, უსწავლელი გლეხია, მაგრამ ჭკვიანი და დაკვირვებულია. რევოლუციური რწმენა მას შიგ გულში ჩაუჯდა, რადგან ცხოვრებამ, მოვლენათა მსვლელობამ ამაში გარდუვალად დაარწმუნა. ანზორს გვერდში უდგას ახმა, პეტროვი, ქართველები, სომეხი, ჩინელი, თანასოფლელები, სხვა თემებიდან შემოკრებილი შურის მაძიებელნი.

დადებითი გმირების საწინააღმდეგო ბანაკშია ჯავშნოსნის კაპიტანი, ფახატიკოსი მონარქისტი, რომელსაც „რუსეთის ხსნა“ გადაუწყვეტია. მას გვერდს „უმშვენებს“ მშობელი ხალხის ინტერესების მოღალატე, ჩინ-მედლებს დახარბებული მირზა, რომელიც ბოლოს ხალხის რისხვას ვერ ასცდება.

ნაწარმოებში დიდი ხელოვნებით არის გახსნილი ხალხის ფსიქოლოგია, ოსტატურად არის დახატული მასობრივი სცენები, როგორც ცეკვა-თამაშისა, ასევე ბატალურიც.

ახმა ანზორის ღირსეული თანამებრძოლია. როცა რევოლუციის საქმე მოითხოვს, იგი წარბშეუხრელად გაწვება ლიანდაგზე, რომელზეც ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ჯავშნოსანი მოდის. მას სურს თავისი სხეულით შეაჩეროს ამ მოძრავი სიკვდილის მსვლელობა, რათა თანამებრძოლებმა ეს ჯავშანო ხელში ჩაიგდონ და შემდეგ იგი რევოლუციისათვის გამოიყენონ პეტროვსკისა და მერე ბაქოს გასათავისუფლებლად. ახმას გმირობა და ეს დრამატული სცენა პიესაში შთამბეჭდავად, ამაღელვებლად არის ნაჩვენები.

პიესაში მასობრივი და ინდივიდუალური გმირობა, ბრძოლა, სიკვდილი, აწიოკება — ეს მძიმე ეპიზოდები — მონაცვლეობს თბილ, ინტიმურ მომენტებთან. ამით ეს დრამა კიდევ უფრო მიმზიდველი და დასამახსოვრებელი ხდება.

ნაწარმოებში კარგად ზის სიმღერები, რომელთაც სავსებით გამოკვეთილი ფუნქცია აკისრიათ. მაგალითად, ჩონგურზე დამღერებული.

„ატირდა ლეკის სოფელი,
ატირდა დედა მშობელი,
შემოსეული მტრის ხმალი
ბასრია დაუნდობელი...“

და მომდევნო სტრიქონები მისადაგებულია ლეკეთის მაშინდელ მდგომარეობასთან და გამოხატავს მოქმედ პირთა განწყობილებას. ერთი სიტყვით, ეს ტექსტი მშვენივრად „ზის“ ნაწარმოების ხასიათში. ასევე შეიძლება ვთქვათ მეორე სიმღერაზეც:

„ჰაიდა, მშვენიერო ზაირა!
იღიმები სულ სხვადასხვა ნაირად.
სილამაზე გვიმღერია შაირად.
ბროლის ყელზე მოგეხვევი, ზაირა.“ და ა. შ.

ზაირაზე შეყვარებულ ახმას განწყობილებას ეს ტექსტი ძალზე კარგად ეხმიანება.

„ანზორი“ წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, განსაკუთრებით ძლიერი იყო სპექტაკლი რუსთაველის თეატრში, სადაც მთავარ გმირს ვირტუოზულად ანსახიერებდა დიდი ქართველი აქტიორი აკაკი ხორავა.

ეს პიესა სანდრო შანშიაშვილის, როგორც დრამატურგის, ჭორიგი გამარჯვება იყო. რევოლუციურ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის.

ხუთმოქმედებიანი დრამაა აგრეთვე ს. შანშიაშვილის „სპარტაკი“. მისი სიუჟეტი აღებულია რომის ცხოვრებიდან. პიესაში ნაჩვენებია გლადიატორთა ბრძოლა სოციალური უფლებებისათვის, ჰონობის უღლის გადაგდებისათვის, განთავისუფლების მაღალი აზრისათვის, რომის მონათმფლობელობისა და პატრიციების უსამართლობის წინააღმდეგ, მათ დასამხობად თავისუფლების მოსაპოვებლად.

მწერალმა ეს პიესა დაწერა 1922 წელს, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებული იყო და მასების რევოლუციური სულისკვეთება საყოველთაოდ იმარჯვებდა. ამ გარემოებილებასა და სიტუაციას სპარტაკისა და მისი თანამებრძოლების საქმიანობა, გამათავისუფლებელი ბრძოლები განსაკუთრებით ეხმიანებოდა და, ამდენად, ეს ნაწარმოები ხელს უწყობდა თანამედროვეთა რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდას.

პიესაში, ერთი მხრივ, ნაჩვენებია რომის დიქტატორის სულას დესპოტიზმი, მისი სულიერი დაცემა და ხორციელი გახრწნა, უზურპაცია და სისხლისმსმელობა, მისი პატრიციების თავგასულობა და მედიდურობა, სხვა ხალხების დამონებით მათი გაძიდრება და განებივრება; მეორე მხრივ, დახატულია გლადიატორთა არაადამიანური ყოფა, მონობის უღელში მათი შებმა, დიდებულთა თავშესაქცევად გამართული მათი სისხლიანი შერკინებები, დამცირება და ჯოჯოხეთური არსებობა...

„სპარტაკის“ მთავარი თემა სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაა, მას გამარევოლუციონერებელი სულისკვეთება ასაზრდოებს. დიდებულთა წინააღმდეგ ამბოხებული გლადიატორები, რომელთაც სათავეში უდგას სახელოვანი სპარტაკი, რომის იმპერიას შეაზანზარებენ, მათ მიერ აღმართული მახვილი იმპერიის დიდებას, თვით მის არსებობას დაემუქრება, მეამბოხეთა რიგები იზრდება და მძლავრდება, მრავალი ქვეყნის დამონებული ადამიანები სპარტაკისაკენ ილტვიან, მისი დროშის ქვეშ ერთიანდებიან.

მართალია, რომაელ დიდებულთა უკადრისი ფლიდობა და მოსყიდვა სპარტაკის ბანაკში გათიშვასა და ღალატს წარმოშობს, ეს ხრიკები მეამბოხეთა რიგებს თიშავს და ასუსტებს, მაგრამ უზურპატორთა ეერაგობას ავტორი ამით უფრო ამხელს და ხაზს უსვამს.

სპარტაკის ბრძოლა კაცობრიობის ისტორიაში შევიდა როგორც გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთი შესანიშნავი ფურცელი, მისი შუქი ჩვენამდე დღესაც აღწევს. ს. შანშიაშვილის პიესის ძალა იმაშია, რომ ეს მაღალი იდეალი, თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანების სახეები კვლავ გაგვიცოცხლა და რევოლუციური სულის-

კვეთებით აღგვაგზნო, აგვამაღლა, სიმართლისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად განგვაწყო.

ბატონყმობისა და საერთოდ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებული ხალხის ძალა დაგვიხატა ს. შანშიაშვილმა პიესაში „მათრახის პანაშვიდი". ჰერეთის თავისუფალი თემი, რომელმაც ადრე ბატონები არ იცოდა და ხალხისაგან ამორჩეული მსაჯულები უძღვებოდნენ მის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ახლა საიდანღაც მოსული, ძალად გაბატონებული კაცის მორჩილებაში მოქცეულა. ბატონი უხეში და ველური ძალით ავიწროებს მშრომელებს. მას გვერდში უდგას გაქნილი და ნასუფრალს დახარბებული მოურავი. მოხუცი, ქვრივი ბატონი ცოლობას სთხოვს საკუთარ გერს ბაბულის, რომელიც აგრეთვე ზნედაცემულია, ძაგრამ ლამაზია. მას ეტრფიან ახალგაზრდები, მშვენიერი ჭაბუკები. ბაბულის კი უყვარს გლეხის შვილი თანდია და ხელში მის ჩაგდებას ათასი ოინით ცდილობს. თანდია კი თავისი ცოლისა და შვილების ერთგულია.

პიესაში მთავარი ძალაა ხალხი, მისი მშვენიერი წარმომადგენლები — დედა, ციბო, ელიზბარი, მათია, ელიბო და სხვანი. ისინი თავისუფლებისათვის იბრძვიან, დაკარგული უფლებების აღსადგენად და საკუთარი დროშის დასაცავად აჯანყდებიან. როცა დარწმუნდებიან, რომ მოთრეული ბატონის ასალაგმავად მეფის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ მეფე ბატონის მხარეზეა და მის მიერ წარმოგზავნილი ელჩი ბატონს კი არა, ხალხს გაამტყუნებს, მათ დასჯას ბრძანებს. ამბოხებული ხალხი ყველას და ყველაფერს წალეკავს — ბატონსაც, ელჩსაც, მოურავსაც. გამარჯვება ხალხს დარჩება.

უნდა შევნიშნოთ, რომ დამპყრობელი არ არის ბაბულის გარდაქმნა და ხალხის მხარეზე მისი გადასვლა. ნაწარმოებში საამისოდ ნიადაგი არ არის მომზადებული. უფერულია თანდილას სახეც. იგი თითქოს ხალხის წინამძღოლი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი გაორებული პიროვნებაა. ეს კი მოტივირებული არ არის და ამიტომ გაუგებარია.

მიუხედავად დასახელებული ხარვეზისა პიესაში ჟღერს სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის, განსაკუთრებით თანდილას დედის ხმა და ამით პიესა მიზანს მაინც აღწევს.

ოქტომბრის რევოლუციასა და ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლას მიუძღვნა ს. შანშიაშვილმა დრამატული პოემა „ოქტომბრის ზეიმი". მასში ნაჩვენებია ბოლშევიკთა ნებისყოფიანი და მიზანსწრაფული ტიპები. თეთრების არმიათა შემოტევის მიუხედავად ისინი მტკიცედ და თავგანწირვით იბრძვიან ალყაშემორტყმულ კავკავში, სადაც ახალგაზრდა საბჭოთა

ხელისუფლების ბედი ბეწვზე ჰკიდია. აქ რკინისებური სიმტკიცით იბრძვიან რევკომის თავმჯდომარე ბორის მადკოვიჩი, დემურ ქეჩირბოვი, პეტრო გვოზდიკინი, ივან ვასილიჩი, მუშა კოსტა ჯიოევი, გრიგოლ დევიძე, ანდრო დოლიძე და სხვები. გენერალ ლეიდინის არმიებს წითელი კავკავის აღება განუზრახავთ, მაგრამ ვერაფერს ხდებიან: მათ სურვილს კლდესავით წინ აღუდგნენ მუშები და წითელი არმიელები. მალე მთიდან დაეშვება სერგო ორჯონიკიძე თ_ვისი წითელი ლაშქრით, რომელიც თეთრებს წალეკავს და თვითონ ლეიდინსაც ტყვედ ჩაიგდებს.

ნაწარმოებში რამდენიმე ისეთი დრამატული ეპიზოდია, რომელიც სიუჟეტის დაძაბულობას აძლიერებს. ეს ითქმის მომენტზე, როცა თეთრების მიერ ტყვედ წაყვანილი ამხანაგების ბედზე კამათობენ ბოლშევიკი ამხანაგები — ძიიღონ თეთრების ულტიმატუმი, ჩააბარონ კავკავი და ამით იხსნან ტყვეთა სიცოცხლე. თუ განაგრძონ ბრძოლა, დაიცვან კავკავი და ამით საფრთხე შეუქმნან ტყვეთა სიცოცხლეს. ფსიქოლოგიურად და ზნეობრივად მძიმე გადასაწყვეტი საკითხი აქ ძალზე დაძაბულად არის დახატული. ასევე უნდა ითქვას ეპიზოდზე, როცა სახელოვანი ბოლშევიკი დემურ ქეჩირბოვი შემთხვევით ტყვედ ჩავარდება და დასახვრეტად განწირულს წარუდგენენ თეთრ გენერალ ლეიდინს, რომელიც მასში თავის 25 წლის უნახავ, დაკარგულად მიჩნეულ შვილს ამოიცნობს. მამა შვილს ათას კეთილდღეობას ჰპირდება, ოღონდ წითლებს გადაუდგეს, მათ უღალატოს. აქ მთელი სისრულით გამოჩნდება დემურის ბოლშევიკური რწმენა და უტეხი ნებისყოფა, ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობა. იგი უარს იტყვის მამის წინადადებაზე და საკადრის პასუხს გასცემს გენერალს —- მამას, უფრო მეტიც, მისგან მოითხოვს მშრომელთა მხარეზე გადმოსვლას... მაგრამ ორივენი თავ-თავისი რწმენის ერთგულნი რჩებიან, ამიტომ მამა მაინც გასცემს დემურის დახვრეტის ბრძანებას, თუმცა სერგო ორჯონიკიძის ლაშქარი ვითარებას შესცვლის.

მაღალი იდეური შეგნებით გამოირჩევიან სხვა ბოლშევიკებიც. განსაცდელის ჟამს მათი მოქმედება, თავდაუზოგავი ბრძოლა ბოლშევიკური სიმტკიცის გამომხატველია.

ოქტომბრის რევოლუციის თემაზე დაწერილი ეს დრამატული პოემა გამოირჩევა მაღალი იდეურობით. იგი მკითხველში იწვევს რევოლუციურ განწყობილებას. ამ პიესის მნიშვნელობა ისიც არის, რომ მასში დახატულია გამოჩენილი ლენინელის სერგო ორჯონიკიძის სახე.

თავისუფლებასა და დემოკრატიას ადიდებს, მჩაგვრელებსა და უზურპატორებს გმობს ს. შანშიაშვილი თავის პიესაში „ლატავრა“.

ულამაზესი ქალიშვილი ლატავრა მშვენიერებისა და თავისუფალი სულის სიმბოლოა, მისი ქვეყნის მკვიდრთ დიდი ხნის წინათ გადაუგდიათ მონობის უღელი, ისინი უმეფოდ ცხოვრობენ, თავიანთ ქვეყანაში დემოკრატიული წყობილება დაუმყარებიათ. სახელმწიფოს განაგებს თვით ხალხი, მსაჯულები, ხოლო ქვეყნის საზღვრებს ერთგულად იცავს ლამჭარი სამი ძმის — გურამის, რატისა და ბაქარის სარდლობით. სამივე ძმა შეყვარებულია ლატავრაზე და ისინი მზად არიან მისთვის თავიც დასდონ.

აზიელი მეფე, დესპოტი ენგიჩარი ლატავრას სამშობლოს დაპყრობას და ამ მშვენიერი ქალწულის ცოლობას მოინდომებს. ეს აზრი მას ჩააგონა ბოროტმა ინკუბუსმა. ინკუბუსმა რაინდი ძმებიც ერთმანეთს წაჰკიდა. ენგიჩარი ქვეყანას დაიპყრობს, ლატავრაც ძალით ტყვედ მიჰყავს...

ლატავრა ენგიჩარს არ ემორჩილება, მისი გული მეფემ ვერაფრით მოიგო. ეს ქალიშვილი ბოლომდე ნათელ არსებად რჩება, მისი სული მტერმა ვერ დაიმორჩილა, იგი თავისი ხალხის სპეტაკ ზნეობრივ ძალად დარჩა სამუდამოდ. მისი მშობელი ხალხი აჯანყდება, ლატავრას იხსნიან, ენგიჩარი მარცხდება.

როგორც დავინახეთ, ამ პიესის მთავარი იდეა თავისუფლებისათვის ბრძოლაა. ამავე დროს პიესას თავიდან ბოლომდე გასდევს ბოროტსა და კეთილს შორის დაპირისპირების აზრი. ნაწარმოებში შესამჩნევია მესამე პარალელური ხაზიც, რომელიც ერთობის სიძლიერესა და გათიშულობის უარყოფას გულისხმობს.

ეს პიესა ლიბრეტოდ იქნა გამოყენებული ამავე სახელწოდების ოპერისათვის, რომელიც წლების მანძილზე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წარმატებით იდგმებოდა.

1905 წლის რევოლუციის გმირის არსენა ჯორჯიაშვილის ნათელ სახეს და მაშინდელ რევოლუციურ სიტუაციას გვიხატავს ს. შანშიაშვილი თავის პიესაში „არსენა ჯორჯიაშვილი“. ამ თხზულებით მწერალმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ერთგულება რევოლუციური თემატიკისადმი.

ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ ინსცენირება ეკუთვნის ს. შანშიაშვილს (პიესა „მამათა სამართალი“). 1943—1944 წელს დაწერილ ამ ინსცენირებას აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა, რაკიღა პიესა ხალხს მტრის ზიზღსა და თავისუფლების სიყვარულის გრძნობას უღვივებდა.

კლასიკოსთა ნაწარმოების ინსცენირებას ს. შანშიაშვილმა სხვა დროსაც მიმართა. მაგალითად, მან დაწერა პიესა „ნესტანი და ტარიელი“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებას წარმოადგენს.

იგი დაწერილია პროზად. მისი მთავარი ხაზია ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალი. რუსთაველის პოემის სხვა ადგილები და ამბები უმეტესად გამოტოვებულია, შეცვლილია ზოგიერთი ადგილი.

ჩვენი მიმოხილვიდან ნათელი ხდება სანდრო შანშიაშვილის დიდი წვლილი ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში. ის ფაქტი, რომ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მას სწორედ დრამატურგიის გამო მიენიჭა, აშკარას ხდის მისი დრამატურგიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ს. შანშიაშვილის პიესები უმეტესად დაწერილია თეთრი ლექსით, რაც ასე ეხამება მათ ჰეროიკულ-მოქალაქეობრივ ბუნებას. ზოგი მისი პიესა პროზითაც არის დაწერილი, მაგრამ ეს გამონაკლისია, რიგ პიესაში ავტორი ურთავს შესანიშნავ ლექსებს, რომლებიც მოქმედ პირთა მიერ გამოიყენება სიმღერად ან შაირად. როგორც წესი, ამ ლექსების ტექსტები მშვენიერია. ს. შანშიაშვილის პიესების ძირითადი ნიშანია არა მარტო მნიშვნელოვანი თემების შერჩევა, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობა აქვთ, არამედ მათი მაღალპროფესიონალური დამუშავებაც. ისტორიულ წარსულს ეხება იგი, მწვავე სოციალურ პრობლემებს, რეეოლუციურ ქარტეხილებს, პატრიოტიზმს თუ ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, ავტორი ყველგან მიმართავს დრამატიზებულ, მძლავრ სიუჟეტებს და შესაფერ სიტუაციაში მოხვედრილი ყველა მთავარი მოქმედი პირი მკაფიოდ გამოკვეთილ, ინდივიდუალურ, ზუსტად ჩაძოქნილ ხასიათს ავლენს. ავტორს ძალა შესწევს დაძებნოს ხასიათის გარეგნული ან შინაგანი ნიშნები და შტრიხები, რომლებიც მოქმედ პირს ხორცშესხმულსა და ცოცხალს წარმოგვიდგენს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ს. შანშიაშვილის დრამატურგია არა მხოლოდ პიესათა სიმრავლით, არამედ მათი ლიტერატურული ღირსებებითაც არის XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი მონაპოვარი.

•

ს. შანშიაშვილის შემოქმედების ერთი თავისებურება ისიცაა, რომ შესამჩნევია მწერლის გატაცება ქართული თუ ბერძნული მითოლოგიით. მწერლის კალამს ეკუთვნის „ამირანი“, „მედეა და მშვენიერი ელენე“, „იასონი და რენო“ „ოქროს ვერძი“, „მშვენიერი ელენე“, „მედეა“. ამ სათაურებიდან კარგად ჩანს დასახელებულ ნაწარმოებთა თემატიკა. მითოლოგიით გატაცება ქართველი მწერ-

ლებისათვის საერთოდ უცხო ხილი არ ყოფილა, მაგრამ ზოგჯერ ეს ტენდენცია უფრო მკაფიოდ იჩენდა ხოლმე თავს (ვაჟა და სხვები). მითოლოგიის გამოყენება ამდიდრებს მწერლის შემოქმედებას არა მარტო თემატურად, არამედ ფილოსოფიური სიღრმითაც. ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში მითოლოგიურ თემებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

*

ს. შანშიაშვილის მოთხრობები და იგავები, აგრეთვე რამდენიმე ლიტერატურული წერილი დიდად არ განსაზღვრავენ მათი ავტორის მწერლურ სახეს. ლიტერატურის ისტორიკოსი მათ შესახებ ილაპარაკებს ვრცელსა და ამომწურავ მონოგრაფიაში, რომელიც უნდა დაიწეროს.

პოლიკარპე კაკაბაძე

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარებას და მისი დონის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი პოლიკარპე კაკაბაძემ, რომელმაც დამსახურებულად დაიმკვიდრა ნიჭიერი დრამატურგის სახელი. მისი მოღვაწეობის თავისებურება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ლიტერატურის დარგთა შორის ყველაზე რთული და ძნელი დარგის — დრამატურგიის განვითარებას შეალია მთელი თავისი მწერლური პოტენცია და ტალანტი. თუ მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას ამშვენებენ გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ტიციან ტაბიძისა და სხვა შესანიშნავი პოეტების სახელები; თუ ჩვენი ეპოქა დამშვენებულია მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელისა და სხვა სახელოვანი პროზაიკოსების სახელებით, ამას ვერ ვიტყვით ქართულ დრამატურგიაზე, რომელიც საერთოდაც ვერ უსწორდებოდა ჩვენი მხატვრული ლიტერატურის სხვა ჟანრებს და ეს ხარვეზი XX საუკუნესაც გადმოჰყვა. პოლიკარპე კაკაბაძის უშუალო წინამორბედებად მხოლოდ შალვა დადიანსა და სანდრო შანშიაშვილს დავასახელებთ, რადგან მათ არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ თვისებრივადაც საყურადღებო დრამატული ნაწარმოებები შექმნეს. ამასთანავე იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ დასახელებული მწერლების დრამატული ნაწარმოებები, თავიანთი ღირსებების მიუხედავად, „ყვარყვარე თუთაბერსა“ და „კოლმეურნის ქორწინებას“ მეტოქეობას ძნელად გაუწევენ. ეს ორი პიესა განსაკუთრებულად დგას როგორც მთელ ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში, ასევე თვითონ პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაშიც.

ჩვენი დრამატურგის შემოქმედების წარმატებებს განაპირობებს რამდენიმე დამახასიათებელი, ნიშანდობლივი გარემოება. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მწერლის აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია, რის გამოც მისი თხზულებები მკითხველსა და მაყურებელს გულგრილს არასოდეს ტოვებს. ისტორიულ წარსულს ეხება თუ ზედმიწევნით თანამედროვე მოვლენებს, დრამატურგი ყოველთვის წინ წამოსწევს საზოგადოებრივად საინტერესო, მძაფრ პრობლემებს, დაპირისპირებულ ძალთა შორის ბრძოლას, კონფლიქტს და ა. შ.

პოლიკარპე კაკაბაძე თავგამოდებით იბრძვის სიკეთის, პატიოსნების, სიმართლის გამარჯვებისათვის და ამავე დროსა და ამის პარალელურად დაუნდობლად ამათრახებს თაღლითობას, უქნარობას, სიცრუეს, ღალატს, ორპირობას, სხვა ჯურის მანკიერებებს. მისი პიესების ასეთი პათოსის გამო მკითხველი და მაყურებელი სულიერად მაღლდება.

მწერლის წარმატებათა ერთ-ერთი საფუძველია მის კომედიებში მომარჯვებული სიცილის იარაღი. კომედიოგრაფი შესანიშნავად ფლობს ამ იარაღს, მის ყველა შესაძლებლობას. იგი ხან ხარხარამდე მიიყვანს მკითხველსა და მაყურებელს, ხან გააღიმებს; ზოგჯერ კი სევდანარევ ღიმილსაც გამოურევს და ყოველთვის ისე ზუსტად ახვედრებს მიზანში, რომ ავტორისეული ჩანაფიქრი ხორცშესხმული ხდება. კომედიისა და კომიკურის შექმნის თვალსაზრისით მას საქართველოშიც ჰყავს წინამორბედები (გიორგი ერისთავი, დავით კლდიაშვილი და სხვ), მაგრამ პ. კაკაბაძის კომედიები საკუთრებული და თავისთავადია არა მარტო თემატიკით, არამედ მანერითაც და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც.

პ. კაკაბაძეს შესწევს ძალა, ერთი კონკრეტული აიყვანოს ზოგად ხარისხში და მოგვცეს არა მარტო განზოგადებული ტიპი, არამედ ამის საშუალებით იქადაგოს განზოგადებული იდეაც. მხედველობაში გვაქვს თუნდაც ყვარყვარე თუთაბერის კონკრეტული პიროვნება, რომელიც შემთხვევითი გარემოებების გამო საზოგადოების ზედაპირზე ამოტივტივებული, გაბღენძილი, ცრუგმირის განმასახიერებელია და ამავე დროს მისი დახატვით მწერალი ზოგადად ყვარყვარეობის დასამარებას ქადაგებს. ხოლო როგორც ისტორია გვასწავლის, ყვარყვარეობა ყველა ქვეყანასა და ყველა ეპოქაში შეიძლება წარმოიშვას. ამიტომ საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ტიპების გამოძერწვისა და ჩამოქანდაკების ნიჭი პ. კაკაბაძის ის თვისებაა, რითაც მისი პიესების მოქმედნი პირნი ხორცს ისხამენ, ცოცხლდებიან და ამით ჩვენზე განსაკუთრებული ძალით ზემოქმედებენ. დრამატურგის საუკეთესო პიესები ამ დებულების დაბეჯითებითი მტკიცების საფუძველს გვაძლევს. ეს განსაკუთრებით ითქმის „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ მოქმედ პირთა მისამართით.

ხალხური ზეპირსიტყვიერების სიბრძნისა და მიღწევების თავისუფალი და შემოქმედებითი მომარჯვება, ფოლკლორთან საკუთარი მწერლური ფანტაზიისა და გამომგონებლობის შერწყმა დიდად უწყობს ხელს პ. კაკაბაძის შემოქმედებითს გამარჯვებებს.

ქართული ენის შესაძლებლობათა ნიუანსებში უებრო გარკვევა, ჩვენი მშობლიური ენის გამომსახველობითი ძალის ღრმად შეცნო-

ბა და მისი წარმატებითი გამოყენების ნიჭი, ქართული იდიომატური გამოთქმების, ანდაზების, ფრთიანი მეტყველების უხვი გამოყენება, ლიტერატურული ქართულისა და იმერული დიალექტის ოსტატური შეზავების უნარი დიდად უწყობს ხელს პ. კაკაბაძის პიესების წარმატებებს.

დრამატურგიული ხელოვნების სპეციფიკა, როგორც ცნობილია, იმაშიც მდგომარეობს, რომ თხრობა-მოყოლა აქ შეცვლილია სათქმელის მოქმედებაში ჩვენებით. დინამიურობა, მოქმედება პიესის წარმატების ერთ-ერთი უპირველესი საყრდენია. ამისი მიღწევა დიდ შემოქმედებით სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც არის, რომ მსოფლიო ლიტერატურის დიდ ოკეანეში საუკეთესო დრამატული თხზულებები იშვიათ კუნძულებად მოჩანს. თუ ამას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ პ. კაკაბაძე მშვენიერი პიესების ავტორია.

დასახელებული ორი პიესით პ. კაკაბაძემ ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში ახალი ეტაპი შექმნა. ჩვენი ეპოქის თეატრის განვითარებას მან დიდად შეუწყო ხელი, აამაღლა, გაამდიდრა და დაამშვენა ეროვნული რეპერტუარი, რაც ესოდენ საჭირო იყო და არის ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებისათვის.

ზემოთ მითითებულ გარემოებათა გამო პ. კაკაბაძემ საკუთარი და ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართული საბჭოთა დრამატურგიის ისტორიაში, მაშასადამე, ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, ზოგადად კი კულტურის ისტორიაში.

*

პოლიკარპე მალხაზის ძე კაკაბაძე დაიბადა 1893 წლის 23 თებერვალს ქუთაისის მაზრის სოფ. კუხში (დღევანდელი წულუკიძის რაიონი). მომავალი მწერლის მამა მალხაზ კაკაბაძე წარმოშობით გლეხთა ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ საკუთარი გარჯითა და გამჭრიახი გონების წყალობით გამდიდრდა და ბათუმში რამდენიმე სავაჭრო გახსნა, იგი ხე-ტყის მრეწველი გახდა. მალხაზ კაკაბაძე ახლოს იყო მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან და მატერიალურადაც ეხმარებოდა მას მრავალ სასარგებლო საქმეში. პოლიკარპეს დედა მარიამ ჭეიშვილი სოფელ ქვიტირის მკვიდრი იყო.

მომავალმა მწერალმა ადრეული ბავშვობა ბათუმში გაატარა. 1904 წელს იგი შეჰყავთ ბათუმის გიმნაზიაში. იმის გამო, რომ აჭაურმა ჰავამ ბავშვის ჯანმრთელობა შეარყია, იგი ქუთაისში გადაჰყავთ, შემდეგ თბილისში ჩამოყავთ და სიმწიფის ატესტატზე ამზადებენ. ამაში მას სარგის კაკაბაძე ეხმარებოდა. თბილისში ყოფნა

პ. კაკაბაძისათვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა. აქ იგი გაეცნო მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მონაწილეობდა მათ მიერ გამართულ პოეზიის საღამოებში, დისპუტებში, სხვა ღონისძიებებში. სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად პ. კაკაბაძემ განიზრახა სწავლა უცხოეთში განეგრძო, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ამ სურვილის განხორციელება შეუძლებელი გახადა. ომის წლებში ახალგაზრდა პოლიკარპე კვლავ ბათუმშია და თვითგანვითარებას განაგრძობს.

1914—1917 წლებში სწორედ ბათუმში ყოფნისას იწერება მისი პირველი დრამატული ნაწარმოებები „სამი ასული“ და „გზაჯვარედინზე“, რომელიც გამოირჩევა რევოლუციური სულისკვეთებით. იგი 1918 წელს ბაქოში პირველად დადგა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ. პიესებზე ადრე პ. კაკაბაძეს კალამი უცდია ლექსების წერაში.

ცნობილ მხატვარ დავით კაკაბაძესთან ურთიერთობამ და ახლო შემოქმედებითმა კავშირმა წარმოშვა ყოველთვიური მოზრდილი ჟურნალი „შვიდი მთიები“, რომლის პირველი ნომერი 1918 წლის აპრილში გამოვიდა. ჟურნალის ყოველი ნომერი 400-მდე გვერდს შეიცავდა. ამ ჟურნალის მეორე ნომერი გამოვიდა იმავე 1918 წლის ოქტომბერში. პირველ ნომერში პ. კაკაბაძემ გამოაქვეყნა პიესა „სისხლი სინათლემდე“, რომელსაც მოგვიანებით ავტორმა „გათენების წინ“ უწოდა. „სამი ასული“ პ. კაკაბაძემ გამოაქვეყნა „შვიდი მთიების“ მეორე ნომერში.

1924 წელს მუდმივ საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ პ. კაკაბაძე თბილისში გადმოდის. აქ იგი მაშინვე მუშაობას იწყებს იმ ხანად დაარსებულ ჟურნალ „მნათობში“. ერთი წლის შემდეგ მწერალი მუშაობას თავს ანებებს ავადმყოფობის გამო. იგი გარკვეულ პერიოდში იძულებულია იცხოვროს აბასთუმანში, შემდეგ მკვიდრდება თბილისში და პროფესიონალი მწერლის ცხოვრებით ცხოვრობს.

პ. კაკაბაძის კალამს ეკუთვნის პიესების მთელი წყება: „გზაჯვარედინზე“, „სისხლი სინათლემდე“, „სამი ასული“, „ძველი დაფები“, „ლისაბონის ტუსაღები“ (იგივე „ქარიშხალი“), „ყვარყვარე თუთაბერი“, (რომელიც 1922 წელს ბრწყინვალედ დადგა დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა), „კოლმეურნის ქორწინება“, „დავით მერვე“, (იგივე „კახაბერის ხმალი“), „დიმიტრი მერვე“, „ვახტანგ გორგასალი“, „შემთხვევა მშენებლობაზე“, „ბედნიერი სამჭედლო“, „ციცინათელა“, „პაექრობა“ (ეს ბოლო სამი პიესა მწერალმა გადაამუშავა და მათ საფუძველზე 1962 წელს შექმნა ახალი პიესა „ცხოვრების ჯარა“).

პ. კაკაბაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ვალმოხდილი და სახელმოხვეჭილი დრამატურგი პ. კაკაბაძე გარდაიცვალა 1972 წლის 15 ოქტომბერს. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

*

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებიდან ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე პიესას, რომლებიც წარმოაჩენენ და განსაზღვრავენ ამ მწერლის შემოქმედებით სახეს, მის შესაძლებლობებს. ასეთებად პირველ რიგში მიჩნეულია „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „კახაბერის ხმალი“, „ქარიშხალი“, „სამი ასული“.

კომედია „ყვარყვარე თუთაბერის“ პრობლემატიკა სცილდება ერთი ხალხის ფარგლებს და იგი საკაცობრიო ღირებულებას იძენს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დიდ საზოგადოებრივ მოვლენებთან მიტმასნილი ფსევდო გმირები, შემთხვევით გარემოებათა გამო დაუმსახურებლად დაწინაურებული ადამიანები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრებაში დროებით გაბატონდებიან; ეს ხორცმეტები, მომხვეჭელები და წამგლეჯები, ყოყოჩები და თავხედები შეიძლება ყველგან და ყოველთვის შეგვხვდეს. ამდენად, ყვარყვარეობა საერთო სენია და არა ერთი ხალხისა. ეს იდეა კომედიაში ასეთი მასშტაბით არის დასმული და გაშუქებული. ამას თავის დროზე კარგად ჩასწვდა კოტე მარჯანიშვილი და შემდეგში რეჟისორი რობერტ სტურუაც, რომელმაც რუსთაველის თეატრში განახორციელა „ყვარყვარე“, მასში შეიტანა ბრეჰტის პიესის ეპიზოდი, რომელშიც ჰიტლერია მინიშნებული და ამით რეჟისორმა უფრო ხელშესახებად გვიჩვენა ყვარყვარეობის საკაცობრიო მასშტაბები, კარიერისტი მანიაკების, ავანტიურისტებისა და მედროვეების განზოგადებული სახე.

მართალია, პ. კაკაბაძის ეს პიესა ზედმიწევნით ეროვნულ ნიადაგზე არის აღმოცენებული, თვითონ ყვარყვარეს ხასიათსა და ფიქრებს ქართველ ნაცარქექიასთან ბევრი რამ აერთიანებს და ანათესავებს, მოქმედების ადგილიც, მოვლენებიც, ტიპების ხასიათებიც ზედმიწევნით ეროვნულია, მაგრამ, ამის მიუხედავად, პიესის იდეა საკაცობრიოა. ამ შესანიშნავი ნაწარმოებით ერთხელ კიდევ ცხადი გახდა, რომ ყოველი საკაცობრიო ჯერ ეროვნულ გზაზე გაივლის და მხოლოდ ამის შემდეგ მივა საკაცობრიო მწვერვალზე.

ნაცარქექიასა და ყვარყვარეს შედარებას ხშირად მიმართავენ და ეს საფუძვლით გამართლებულიც არის, მაგრამ ზოგჯერ ავიწყდებათ მათ შორის უმთავრესი განსხვავება. ნაცარქექია მცონარა მეოცნებეა და უსაქმური, ასეთივეა ყვარყვარეც, ნაცარქექიაც მატყუარა და მოჩვენებითი „გმირია“, როცა იგი დევს თავის „ძალას“ უმტკი-

ცებს, ასეთივე ცრუგმირია ყვარყვარეც... მაგრამ განსხვავება მათ შორის პრინციპული და არსებითია: თუ ნაცარქექია ბოროტ ძალას — დევს მოაჯდა კისერზე, თუ მას ჩაურჭობს კისერში მახათს, ყვარყვარე პატიოსან ხალხს, მშრომელებს ატყუებს და ტყავს აძრობს. ნაცარქექია თავისი ეშმაკობით მაინც ბოროტებას ებრძვის, ყვარყვარე კი თვითონ არის ბოროტება და პატიოსნებისა და სიკეთის მტერი. ამიტომ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პ. კაკაბაძემ, მიმართა რა ნაცარქექიას ნიღაბს, მისგან აიღო მხოლოდ ზოგადი შტრიხები, და ამის საფუძველზე დრამატურგმა უჩვეულო სიცხადითა და ხორცხშესხმით გამოაქანდაკა სავსებით ორიგინალური ტიპი, რომელიც შემდეგში ზედმეტსახელადაც იქცა.

კომედიაში მხილებულია ცარიზმის მიხრწნილი რეჟიმის ბოლო დღეების ბინძური ყოფა, მენშევიკთა მმართველობის უსუსურობა და უმწეობა, ზნედაცემულობა იმ საზოგადოებისა, რომელმაც ყვარყვარე ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივა. ამავე დროს პიესაში არის ლოგიკური დასასრულიც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ყვარყვარეობისათვის ადგილი აღარ რჩება, იგი ისპობა, „დამთავრდა ყვარყვარეს ჩალიჩი“.

„ყვარყვარე თუთაბერი“ არა მარტო დიდი პრობლემითა და საზოგადოებრივი მოვლენებისადმი აქტიური პოზიციით იქცევს ჩვენს ყურადღებას, არამედ, ამასთან ერთად, მაღალი პროფესიონალური ოსტატობითაც, დრამატურგიის კანონთა და საშუალებათა უჩვეულოდ ნიჭიერი გამოყენების უნარით.

პირველივე მოქმედებიდან თანდათან და ძალზე მოხდენილად ხდება როგორც მთავარი მოქმედი პირების, ასევე მეორეხარისხოვანთა ხასიათების გამოძერწვა ისე, რომ ჩვენს თვალწინ ცოცხალი ადამიანები წარმოდგებიან საკუთარი ბუნებით, ხასიათით, მისწრაფებებით, მოქმედებით, მრწამსით, ძლიერი თუ სუსტი მხარეებით და ყოველი მათგანი ინდივიდი, განუმეორებელი, ცოცხალი ადამიანია. მთავარი მოქმედი პირი ყვარყვარე თუთაბერი იწყებს და ამთავრებს ნაწარმოებს — მისია პირველი ფრაზა „კმარა, მუდამ ხომ არ უნდა იღიღინო?! — ასე მიმართავს სხვის წისქვილში შეკედლებული ყვარყვარე მასპინძელს, მეწისქვილეს, რომელსაც იბრიყვებს, როგორც მოხუცსა და სუსტს. და პიესა მთავრდება ყვარყვარესავე სიტყვებით:“ — ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბერო! ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება“ ამას ამბობს ნიღაბჩამოგლეჯილი, მხილებული, დამარცხებული და გაპანღურებული ყვარყვარე ნამდვილ ბოლშევიკებზე, რომლებმაც ყვარყვარეს ნამდვილი სახე გამოამჟღავნეს და მას გუდანაბადი აუკრეს. ამრიგად, მთელი პიესის

მანძილზე, პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე, მთავარი მოქმედი გმირი სცენაზეა და მთელი სიუჟეტი მისი თავგადასავლის ჩვენების მიზანს ექვემდებარება. ამით არა მარტო ის მეღავნდება, რომ ავტორმა პიესის ძირითადი იდეა ყვარყვარეს დაუკავშირა, არამედ ისიც, რომ დრამატურგიულადაც ასეთი ხერხი დიდი წარმატების მომტანია, მასზეა აგებული მთელი პიესის სხეული, რომელიც ასე მოქნილი და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა.

მოქმედ პირთა ხასიათებისა და ყოველი მათგანის ინდივიდუალური ბუნების გამოსაძერწად მწერალი წარმატებით იყენებს სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას. ესენია: კონკრეტული სიტუაციების შექმნა, ამ სიტუაციებისადმი მოქმედ პირთა დამოკიდებულება, მოქმედ პირთა მიმართება ერთმანეთთან, დიალოგები, მოქმედების ჩვენება, ხასიათის შესატყვისი მეტყველების შერჩევა, ერთი პირის მიერ მეორის დახასიათება, ძირითადი სათქმელისადმი ყველა კომპონენტის დაქვემდებარება, ავტორისეული რემარკების მოხდენილი ჩართვა, მოქმედების ადგილისა და გარემოს კარგად შერჩევა, თეატრისათვის დამახასიათებელი პირობითობის ნიჭიერად გათვალისწინება და ა. შ. ყოველივე ამის კომპლექსური მომარჯვება, მათი მონაცვლეობა და დასახული მიზნისათვის მათი დაქვემდებარება გამარჯვების გარანტიაა. პიესის ყოველ მოქმედებაში, სურათში, ეპიზოდში აშკარად იგრძნობა ავტორის ტალანტი, რომელიც შუქს გამოსცემს.

ზემოთ აღნიშნული დებულების საილუსტრაციოდ მივმართოთ პიესის ზოგ მომენტს. პირველი მოქმედება ხდება რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან, სოფლის წისქვილში. შუა ცეცხლთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, რომელსაც თანასოფლელებმა, მისი სიზარმაცისა და უსაქმურობის გამო, მეტსახელად ნაცარქექია შეარქვეს. მართლაც, ყვარყვარე ამ წისქვილშიც ნაცარს ქექავს, რაღაცა ხაზები გაჰყავს, თურმე გეგმებს ადგენს. იქვეა მეწისქვილე-მასპინძელი, რომელიც თან საქმობს და თანაც ღიღინებს. აქ დაზუსტებულია დრო — თებერვლის რევოლუციის წინადღეები, როცა პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთი და ოსმალეთი ერთმანეთს დაუპირისპირდა. დაზუსტებულია მოქმედების ადგილი — საქართველოს ფრონტისპირა სოფელი, მოწინავე ხაზთან. პირველივე მოქმედებაში მწერალს შემოყავს სხვა მოქმედნი პირნი — მეწისქვილის ქალიშვილი გულთამზე, რომელიც რევოლუციონერებს უთანაგრძნობს და ეხმარება, რევოლუციონერი პროპაგანდისტი სევასტი, რომელიც ჯარის ნაწილებში ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწევა, ყვარყვარეს თანასოფლელი გლეხები — კაკუტა და ქუჩარა, რომლებმაც კარგად იციან ყვარყვარეს ამბები, მისი ბედოვლათობა და ნაცარქექიო-

ბა, მაგრამ დაშინებითა და მცირედი დაპირებებით ისინი ზოგჯერ ყვარყვარეს „გმირობის“ ცრუმოწმეობას არ თაკილობენ. მერე გამოჩნდებიან ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელნიც გაქცეულ რევოლუციონერს ეძებენ და სევასტის ნაცვლად ყვარყვარეს დააპატიმრებენ, მას მიიჩნევენ ნამდვილ რევოლუციონერად და ამ გაუგებრობაზე შემდეგ მთელი მოვლენები განვითარდება.

სულ რამდენიმე შტრიხით მწერალი აღწევს იმას, რომ პიესის დასაწყისშივე წარმოაჩინოს ყვარყვარეს ბუნების რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი — ნაცარქექიობა, სუსტის დაბრიყვების სურვილი, სიმხდალე ძლიერთან, გულადი — სუსტთან, გაიძვერობა, თვალთმაქცობა, სხვისი სახელის მისაკუთრების ჩვევა, ფახიფუხი, კარიერისტული გატაცებები, მოჩვენებითი სიდიდე და ა. შ.

პიესის პირველსავე მოქმედებაში და შემდეგაც ცხადად შეიმჩნევა კაკუტასა და ქუჩარას საცოდაობა. ისინი თუმც მშვენივრად იცნობენ ყვარყვარეს, იციან მისი ბედოვლათობა და გაიძვერობა, მაგრამ არა თუ არ ამხელენ მას, არა თუ არ იბრძვიან მის წინააღმდეგ, თუმცა ნადავლი თურქული მუნდირიც კი წაართვა მათ, არამედ ლაჩრულად იქცევიან, ცრუმოწმეობასაც არ თაკილობენ, მის „გმირობასაც“ ადასტურებენ, ფეხქვეშ ეგებიან, ოღონდ რაიმე მოწყალება მიიღონ ყოფილი მეზობლისაგან, რომელიც შემდეგ „დიდი კაცი“ გახდება. გლეხი კაცის ასეთი საცოდაობის დახატვა თითქოს მოულოდნელი და გაუმართლებელი იქნებოდა მწერლისაგან, მას პიესაში ახსნა რომ არ ჰქონდეს. საქმე ის არის, რომ ნაწარმოების მთელი პათოსი მიგვანიშნებს ძველი საზოგადოებრივი წყობილების ლპობაზე, მის გადაგვარებაზე, ხოლო ასეთ პირობებში ეცემა ზნეობაც. გამოდის, რომ კაკუტასა და ქუჩარას მერყევი ბუნება, ლაჩრობა, ზნედაცემულობა უშუალო შედეგია ყოფის გაუკუღმართებისა. კაცმა რომ თქვას, განა თვითონ ყვარყვარე თუთაბერიც გლეხთა წრიდან არ იყო გამოსული? სხვა პირობებში განა ყვარყვარე კი ასეთი გახდებოდა?

კომედიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მეფის არმიის ოფიცერთა და მოხელეთა, აგრეთვე მენშევიკი მმართველისა და ერთერთი თანამდებობის პირის — ტიტე ნატუტარის ორსახეობა, რაც მათი ზნეობრივი დეევალვაციის მაუწყებელია. ფრონტის ხაზზე შეპყრობილ ყვარყვარე თუთაბერს, რომელიც ოფიცრებს ჯარში შეპარულ რევოლუციონერ-პროპაგანდისტად მიუჩნევიათ, ყველა — გადამწერიც, ადიუტანტიც, პოდპოლკოვნიკიც, გენერალიც — ჯერ მკაცრად ეკიდება, სასიკვდილო განაჩენს უმზადებენ, მაგრამ როგორც კი მათ ყურამდე მოაღწევს იმპერატორის დამხობის ამბავი, ისინი „რევოლუციონერ“ ყვარყვარეს ლაქუცს დაუწყებენ იმ ვარა-

უდით, რომ მომავალში რამეში გამოადგებათ. ერთმანეთშიც კინკლაობენ, სუბორდინაციას აღარ იცავენ და მათი ადრინდელი წესრიგიანობა მოჩვენებითი და ფუყე გამოჩნდება. ყოველივე ამით ისინი მკითხველისა და მაყურებლის ზიზღს იმსახურებენ.

ყვარყვარე თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშიც კი პარპაშებს. ეს გაიძვერა რევკომშიც შეძვრალა თავმჯდომარის მოადგილედ, მისი არყოფნის დროს ყოფილი ბანდიტები შეუგროვებია და რევკომის სახელით მშრომელებს აწიოკებენ. ამ მხრივ ყვარყვარე მოგვაგონებს ჯაყო ჯივაშვილს. მაგრამ შალე გლეხები მას ნაჭურდალსა და ნაძარცვს წაართმევენ და საკადრის განაჩენს გამოუტანენ. ყვარყვარეს გაიძვერობას ამხელენ საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი წარმომადგენლები — სევასტი და გულთამზე, მათი ამხანაგები, რომლებიც ამ „მოღვაწეს“ ნიღაბს ჩამოგლეჯენ და მის ნამდვილ სახეს ყველას დაანახვებენ.

მართალია, პიესაში ეპიზოდურად გამოჩნდებიან ჰეშმარიტი რევოლუციონერები, მათ შორის სევასტი და გულთამზე და მშრომელი მასების როლი პიესაში ერთობ მოკრძალებულია, მაგრამ ეს დრამატურგის ხერხია და არა საზოგადოებრივი ძალების განაწილების რეალური გამოხატულება.

მეფის თვითმპყრობელობის წყობილების მხილება, დროებითი მთავრობისა და საქართველოს მენშევიკთა უსუსური და უმწეო მმართველობის გაშარჟებული დახატვა, ბოლშევიკების მიერ საქართველოში მშრომელთა ხელისუფლების დამყარება რელიეფურად არის ნაწარმოებში ნაჩვენები. ყოველივე ეს ნათელს ხდის პიესის ავტორის პოზიციას.

„კოლმეურნის ჭორწინებაში“ ავტორმა თავისი თანამედროვეები დახატა. ამ კომედიის დაწერისას, 1936—1937 წლებში, ჩვენში კოლმეურნეობა უკვე მოღონიერებული იყო და ფართოდ იყო გაშლილი სტახანოვური მოძრაობა, რამაც ქვეყანას დიდი სარგებლობა მოუტანა. მაგრამ სოციალისტური სოფლის წინსვლისა და უჩვეულო განვითარების მიუხედავად მასში ჯერ კიდევ იყვნენ ჩამორჩენილი ადამიანები. ამრიგად, წარმატების მიუხედავად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც ვხვდებოდით გარკვეულ ნაკლოვანებებს, რისი მხილებაც კომედიის მეშვეობით ძალზე ეფექტიანი და შედეგიანი იყო, ეს ჟანრი ხელს უწყობდა გზის გაწალდვას.

ხსენებულ კომედიაში მოქმედნი პირნიც სავსებით ტიპიურნი და ეპოქის ნიშან-თვისებათა მატარებელნი არიან. ერთ მხარეს ვხედავთ სტახანოველთა საკავშირო შეკრების მონაწილეს, ორდენოსან კოლმეურნე ქალს გვირისტინეს, რომელიც სოფელ ხიდობნის თვალად არის აღიარებული, იმავე სოფლის მოწინავე კოლმეურნეობის

თავმჯდომარეს ჯამლეთს, წარჩინებულ ახალგაზრდა მირიანს და სხვებს. მეორე მხარეზე არიან სოფელ ბუქნარის ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარიტონი, იქვეა მისი თანასოფლელი ვატა, რომელიც მაჭანკლობასაც არ თაკილობს და ქელეხებიც უყვარს. მათ ემატება ლომკაცა და გვირისტინეს „მეგობარი“, კაკალა, ჰორიკანა, შურიანი, ბოროტი ენის მქონე ქალიშვილი, რომელიც თავისი საქციელით ზიზღსა და გაკიცხვას იმსახურებს. ამ ორი ურთიერთსაპირისპირო ბანაკის გარდა, ცხადია, კომედიაში არიან სხვა ადამიანებიც, მშრომელი გლეხობა და სხვები, რომელთაც სიუჟეტის განვითარებაში მეტ-ნაკლები ადგილი ეთმობათ.

კომედიაში კონფლიქტი რთული, მრავალპლანიანი და საინტერესოა. ამიტომ პირველი მოქმედების დასაწყისიდან მთელი პიესის მანძილზე მკითხველი და მაყურებელი მოვლენათა მოულოდნელობისაგან დაძაბულია, იგი გაუნელებელი ინტერესით მიჰყვება ნაწარმოების განვითარებას. აქ პარალელურად, ზოგჯერ ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, ახალი ინტრიგა სცვლის კიდევ უფრო ახალს. იგი ზოგჯერ სოციალური პლანისაა, ზოგჯერ ყოფითის, ზოგჯერ ზნეობრივისა. ამ მრავალპლანიანობითაც მწერალი დიდ გამარჯვებას აღწევს.

დრამატურგს ასპარეზზე გამოჰყავს ყოფილი აზნაური მანუჩარი, რომელსაც გაუგია, რომ მისი ვაჟი ჯიბილო ცოლად ირთავს ყოფილი ვაჭრის ქალიშვილს ირინეს, რომელსაც ქვევრები ეერცხლით აქვს სავსეო. ქონებასა და სიმდიდრეს დახარბებული ნააზნაურალი დაასაქმებს ვატას, დატრიალდი და ეს საქმე გააკვარახჭინეო. ორივე მიდიან ხიდობანში, სადაც ირინე ცხოვრობს. ეს გამგზავრება — გზაში მანუჩარის ბეხრეკი ცხენის დავარდნა, კუდაბზიკა აზნაურის მიერ უნაგირის ზურგზე მოკიდება და ყოფილ მოჯამაგირესთან — ხახულისთან მაინც რიხიანად მისვლა კომიკური სურათია.

პ. კაკაბაძე აზნაური მანუჩარისა და მისი ყოფილი მოჯამაგირის ხახულის შეხვედრას და მათ შორის ახლებური დამოკიდებულების ჩვენებას დიდ დატვირთვას აძლევს. აქ მჟღავნდება ამ ორი ძველი ყაიდის ადამიანის შინაგანი ბუნება. მანუჩარი გამოუსწორებელ მეთავისედ დარჩენილა, ხახული კი თუმც ჯერ არ განთავისუფლებულა ძველი პატრონის მიმართ მორჩილებისა და ქედმოდრეკის ჩვევისაგან, მაგრამ მალე იგი სულ სხვაგვარი კაცი ხდება.

როცა გაირკვევა, რომ ირინეს არავითარი ქონება არა ჰქონია, მისი სიმდიდრე ზღაპარი ყოფილა, მანუჩარი უცებ შეტრიალდება, მის რძლობაზე სიტყვის გაგონებაც აღარ უნდა. ნააზნაურალის დათაფლული ენა ახლა უცებ შეიცვლება, ოღონდ მოჩვენებითი „თა-

ვაზიანობის“ შენარჩუნება მანუჩარს მაინც სწადია. იგი სასაცილო, გაშიშვლებულ, საძრახის მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

ინტიმური ურთიერთობის ფონზე იბადება კომედიის სხვა ინტრიგა. ეს არის გაუგებრობაზე და კაკალას ენაჭარტალობაზე აგებული კომიკური სიტუაცია. მირიანსა და გვირისტინეს ერთმანეთი უყვართ, კაკალა კი გაავრცელებს ჭორს, თითქოს გვირისტინეს ცოლად ირთავდეს მანუჩარის ვაჟი ჯიბილო. ამის გამგონე მირიანი გვირისტინეს ზურგს აქცევს. სამაგიეროდ ამ ამბით გახარებული ბუქნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარიტონი სიხარულით ცას ეწევა — დამკვრელი გვირისტინე ჩემს კოლმეურნეობაში გადმოვა და ავშენდებიო. მწერალი ფერებსა და საღებავებს არ ზოგავს ამ კომიკური სიტუაციების ხორცშესხმისათვის. ეს ინტრიგები იმდენად დახლართული, მოულოდნელი, საინტერესოა, რომ მკითხველის ყურადღება მუდამ დაძაბულია. ხარიტონი თვით ბოლო წუთებამდე ვერ იგებს, რომ ჯიბილო გვირისტინეს კი არა, ირინეს ირთავს და ამიტომ სასაცილო მდგომარეობაში ვარდება, როცა ჯიბილოს ცოლის შერთვას ულოცავს და გვირისტინე მიაჩნია პატარძლად, თუმცა მირიანზე დაქორწინებული გვირისტინე იქვე დგას თავის ქმართან ერთად. შეცბუნებული და გაოგნებული რჩება ხარიტონი, როცა სულ ბოლო წუთებში სიმართლეს გაიგებს, მაგრამ იგი იმდენად ეშმაკი და გაქნილია, რომ მაინც არ იბნევა და დაქორწინებულ წყვილებს მაინც ულოცავს, თუმცა ძალზე მწარეა მისთვის ეს მილოცვა, რადგან გაწბილდა, იმედი წყალში ჩაეყარა. კომედიის ბოლო სცენა — გვირისტინე და მირიანი, ირინე და ჯიბილო დაქორწინებულნი რომ მოდიან — კომედიის საზეიმო და მხიარული გაწყობილების ზენიტია.

„კოლმეურნის ქორწინებაში“ ინტრიგის განვითარების მესამე ხაზია დაპირისპირება მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯამლეთსა და ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ხარიტონს შორის. ჯამლეთი გამრჯე, მცოდნე, ენერგიული, თავდადებული მუშაობით უძღვება ხიდობანის კოლმეურნეობას. მას სძულს მოჩვენებითი მიღწევები, მყვირალა ფრაზები, მედიდურება და ყოყლოჩინობა. სწორედ მისი ანტიპოდია ბუქნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარიტონი, რომელიც ეშმაკობით, ადმინისტრირებით, თვალთმაქცობით მოქმედებს, ცდილობს ქვეყანას უჩვენოს „მისი ხელმძღვანელობით მიღწეული წარმატებები“. რა მაქინაციებს არ მიმართავს, მაგრამ მისი კოლმეურნეობა მუდამ ჩამორჩენილია. დრამატურგი ამხელს და გმობს ამ ყაიდის ხელმძღვანელებს, გვაცნობს მასზე. პიესის ბოლოს რაიკომის წარმომადგენელი მას გადასცემს დადგენილებას, რომელშიც ხარიტონისათვის სასჯელი

იგულისხმება. და თუმცა ხარიტონი აქაც ეშმაკობს, ვითომ ხუმრობს — ჯერ ქორწილი შემარგეთ და ეგ დადგენილება მერე მომეცითო, მაგრამ მკითხველი და მაყურებელი კარგად რწმუნდება, რომ ხარიტონის „მოღვაწეობა“ დასასრულს მიუახლოვდა... ორი განსხვავებული ხელმძღვანელის დახატვა, სამაგალითო და დასაგმობი ტიპების გამოძერწვა ამ კომედიის შინაარსს ამდიდრებს და ახლებურ ელერადობას სძენს მას. ეს ძალზე საინტერესო და საყურადღებო მომენტია ამ პიესაში.

„კოლმეურნის ქორწინება“ ეპოქის მხატვრული დოკუმენტია. სტახანოვური მოძრაობის ჩვენება, შრომის დაფასება და მოწინავეთა დაჯილდოვება ორდენებით, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, საკოლმეურნეო შრომა, პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობის დახატვა — საბჭოური ცხოვრების ეს დამახასიათებელი ნიშნები და სიახლენი პიესაში ფონად არის გამოყენებული, ხოლო ძირითადი ადგილი ხასიათების გამოძერწვას ეთმობა, ამ ახალ ვითარებაში მცხოვრები ადამიანების სულიერი სამყაროს გახსნასა და ჩვენებას ემსახურება.

დიდი ოსტატობით, ფაქიზად გემოვნებით აგებს ავტორი დიალოგებს, ურთავს რემარკებს და იშვიათად, მაგრამ მაინც მიმართავს მონოლოგსაც (მაგალითად, გვირისტინეს თხრობა მოსკოვში განცდილის შესახებ) და ამ ხერხებით აღწევს ენობრივი ქსოვილის ფერადოვნებას, რაც პიესის წარმატების ერთ-ერთი საფუძველი ხდება.

პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი დიდი მონაპოვარია, შეიძლება ითქვას, იგი უბადლო ნიმუშია ამ ჟანრში. ამ პიესის დადგმამ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ახალი ეტაპი შექმნა, ხოლო ხარიტონის როლის შესრულებით გიორგი შავგულიძემ თეატრალური, აქტიორული სასწაული მოახდინა.

ისტორიული წარსულის ფონზე არის აგებული პ. კაკაბაძის ოთხმოქმედებიანი კომედიის „დავით მერვის“ (იგივე „კახაბერის ხმალის“) სიუჟეტი. ავტორს მკითხველი და მაყურებელი გადაყავს შეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში და გვიჩვენებს საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი იმდენად წარსულის პოლიტიკური ამბებისა და საომარი მოქმედების ჩვენებით არ არის დაინტერესებული, რამდენადაც ზნეობრივი და მორალური საკითხებით. ვის არ შეხვდებით ამ პიესაში. საქართველოს მეფე დავით მერვე ფეხებმორყეულ ტახტზე ზის. მისი სამეფოს ნაწილი მიუტაცია თათრებისაგან გამეფებულ ძმას ბახტანგ-ხანს. გადაგვარებული დიდებულები — ოდიშის მთავარი კონსტანტინე, გურიის მთავარი

გვანგვა, რაჭის ერისთავი ბეშქენი, იმერეთის ბატონიშვილი ეაჩე გადადგომიან დავითს და მოღალატე ბახტანგ-ხანს მიმხრობიან. მერე კი, როცა დავითის მდგომარეობა გამოსწორდება, გაიძვერობითა და გაქნილობით იგივე დიდებულები ახერხებენ ისევ დავითის მხარეზე გადასვლას. მათი ზნედაცემულობა და ფლიდობა აშკარაა. შეფის, მისი ძმისა და დიდებულების ასეთად დახატვა სიმართლით ასახავს იმდროინდელ მწარე ისტორიულ სინამდვილეს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მოღალატეებს.

პიესაში ვხვდებით ბრძენად მიჩნეულ როსტომს, რომელიც სინამდვილეში უქნარა და მცონარა მოხუცია, მატყუარა და დაგლახაკებული სხვის ლუკმას რომ შესციცინებს. აქ არის ლიპარიტე კიკოტე, რომელსაც მეტსახელად ქოსატყუილას ეძახიან. პიესაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაცარქექიად ცნობილ გოსტაშაბს და მის მეუღლეს, მშრომელ, პატიოსან, პატრიოტ ქალს გულქანას.

მთავარი გმირის სახელი — კახაბერი აერთიანებს ერის თავისუფლებისმოყვარე სულს, ძალას. გულქანა კი უბრალო, პატიოსანი მშრომელი ქალი და შესანიშნავი დიასახლისი იყო, მერე, ბახტანგ-ხანის „შვილად“ გახდომის შემდეგ, ამ დესპოტისა და გამყიდველის ბნელი ზრახვების ხელის შემშლელად და გაბედულ მამხილებლად გვევლინება.

სწორედ ამ სამმა გმირმა — ხალხმა, კახაბერის სახელმა და ხმალმა, შესანიშნავმა ქართველმა ქალმა გულქანამ შეძლეს ბახტანგ-ხანისა და თათრების დამარცხება, მათი გაყლეტა, საქართველოს განთავისუფლება და დავით მეფის მეფობის განმტკიცება.

მართალია, პიესა გადატვირთულია, რაც ზიანს აყენებს ნაწარმოების მთლიანობას, მართალია, ზოგჯერ იშლება ზღვარი კომედიასა და დრამას შორის, მაგრამ მოწინავე იდეური პოზიციით, ეპიზოდების ოსტატური შესრულებით, ხასიათების გამოძერწვით, ენობრივი მასალის ვირტუოზული გამოყენებით ეს პიესაც დიდი ხელოვანის კალმის ნაყოფია და მისი ავტორის სასარგებლოდ ბევრს ლაპარაკობს.

პ. კაკაბაძის კალამს ეკუთვნის პიესები, რომლებიც მასების რევოლუციურ გამოსვლებს, აზვირთებას ასახავენ. ასეთია, მაგალითად, „გზაჯვარედინზე“, რომელიც რეჟისორმა ალ. წუწუნავამ 1918 წელს პირველად დადგა რევოლუციურ ბაქოში. პიესის მოქმედება პეტერბურგში ხდება. იწყება თებერვლის რევოლუციით და მთავრდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით. აქ მგზნებარედ არიან დახატული პროლეტარიატის საქმისათვის თავდადებული ადამიანები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რევოლუციის ბარიკადებზე მებრძოლნი. ეს პიესა ერთი პირველთაგანია მათ

შორის, რომელიც სულ მალე გამოეხმაურა დიდ რევოლუციას. ეს ფაქტიც ჩვენი დრამატურგის სასახელოდ მეტყველებს.

შორეული მე-17 საუკუნის ამბავს ასახავს, მაგრამ მკითხველში რევოლუციურ სულისკვეთებას აღვივებს პ. კაკაბაძის პიესა „ქარიშხალი“ (მას ადრე „ლისაბონის ტუსაღები“ ეწოდებოდა). მართალია, პირველი ვარიანტით (1925 წ.) ავტორს განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა ლისაბონში მომხდარი მიწისძვრით გამოწვეული ნგრევა, მაგრამ 1959 წელს გამოცემულ ვარიანტში მას ბევრი რამ შეუცვლია, მოქმედება გადაუტანია მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ სატახტო ქალაქში, რომელსაც პორტოპოლს უწოდებენ და სადაც ხალხი აღმდგარა მეფის დესპოტიზმის დასამხობად, თავისუფლების მოსაპოვებლად.

პიესაში ნაჩვენებია მოსახლეობის ყველა ფენა — მეფე, დედოფალი, მინისტრები, ჯარი, პატიმრები, ქურდები, როსკიპები, მშრომელი ადამიანები, აჯანყებულები და ა. შ. პიესის მოქმედ პირთა შორის ვხედავთ ორ ქართველსაც, გუგავასა და წოწორიას. „ქარიშხალში“ მოქმედების ადგილი აღარ ზუსტდება, ქ. პორტოპოლო გამოგონილია, რაც, ჩვენი ფიქრით, ერთგვარი ხერხი უნდა იყოს იმის მისანიშნებლად, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა ყველგან შეიძლებაო.

პატიმართა შორის არის პიესის ერთი მთავარი მოქმედი პირი პედრო, რომელიც რევოლუციურად, საბრძოლველად არის შემართული. იგი ახალგაზრდა, განათლებული ადამიანია. პედრო ციხეში დაუკავშირდება რევოლუციონერ ანტონიოს, თუმცა მერე მათი გზები გაიყოფა. პედრო პატიმრებს ჩააგონებს ციხიდან გაქცევის აზრს. ისინი საამისოდ ემზადებიან, მაგრამ გაუგეს და განზრახვა ჩაეშლებათ. შემდეგ მოხდება მიწისძვრა, რომელიც ანგრევს ციხეს, პატიმრები გარბიან, მათ სათავეში ჩაუდგება პედრო, შეჭმნის რაზმებს და იერიშს მიიტანენ მეფის ჯარების წინააღმდეგ. ამბოხებულები ანგრევენ სასახლეს, მეფე გარბის, ქალაქში იფეთქებს შავი ჭირი, რომელიც მოსახლეობას მუსრს ავლებს. მალე ამბოხება მარცხდება, რადგან მეფე ძალებს შეკრებს და კონტრშეტევაზე გადავა. პედრო ბრძოლაში დაიღუპება. პიესაში პედრო მეამბოხე სულისკვეთების გმირია, თუმცა იგი ანარქისტული მეთოდებით მოქმედებს. ამის მიუხედავად, რაკი იგი ტირანიის წინააღმდეგ იბრძვის, თუნდაც ეს ბრძოლა სტიქიური ხასიათისა იყოს, მაინც პედროს სახე საინტერესოა, რევოლუციური სულისკვეთების დამადასტურებელია.

„ქარიშხალში“, ერთი მხრივ, დახატულია დესპოტური მმართველობის, ტირანი მეფის, უზნეო დედოფლის, მოხელეების, სამ-

ღვდელობის შავბნელი საქმეები და მეორე მხრივ, სიმპათიითა და თანაგრძნობით არის დახატული მშრომელი მასების ბრძოლა თავისუფლებისათვის, თავგანწირვა და შეუპოვრობა სამართლიანობისათვის ბრძოლაში.

ცხადია, ამ პიესით პ. კაკაბაძე გამოეხმაურა ჩვენს ქვეყანაში რეალურად ქცეულ რევოლუციურ სინამდვილეს.

პიესა „სისხლი სინათლემდე“ (იგივე „განთიადის წინ“) დაიწერა 1917 წელს. იგი მიმართულია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. მასში მხილებულია თებერვლის რევოლუციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული დროებითი მთავრობა. ბურჟუაზიულ მმართველთა პოლიტიკის მსხვერპლი ხდება პიესის მთავარი გმირი, ჯარისკაცი ანდრია, რომლის ოჯახი დასაღუპად არის განწირული. ცხადია, ამ პიესით ავტორი სიძულვილს აღვივებდა ჩაგვრის, ომის, სისხლისღვრის მიმართ და ყოველივე ამის წინააღმდეგ მოუწოდებდა მკითხველს.

1918 წელს დაწერა პ. კაკაბაძემ ალეგორიულ-სიმბოლური ხასიათის პიესა „სამი ასული“. აქ სამივე ასული გარკვეული იდეის სიმბოლოა. ერთია სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო, მეორე — მეგობრობისა და ოჯახის ერთგულებისა, მესამე — რწმენისა და ჰუმანურობისა. ისინი ბოროტმა ჯოჯომ კოშკში ჩაამწყვდია, მონებად, მისი ნებასურვილის უსიტყვო აღმსრულებლებად აქცია. ამაში ჩვენ ვხედავთ თვითმპყრობელობის მიერ დამონებულ ხალხს, მის უმოქმედობასა და მორჩილებას. კოშკი თვითმპყრობელობის სიმბოლოა, ბოროტი ჯოჯო კი ცარისტული წყობილება. როცა ქარბუქიან ღამეს ვიღაც მგზავრი კოშკის კარზე მიაკაკუნებს, ასულთა გულები იმედით ივსება. განცდების შემდეგ, ჯოჯოსაგან განთავისუფლების იმედით ისინი გაბედავენ და კარს გააღებენ. ფსიქოლოგიურად ძლიერად დამუშავებულ ამ მოქმედებაში ჩვენ ადვილად ვხედავთ ხალხის გაღვიძებისა და ამოქმედების იმედს, მის სიმბოლიკას. ყოველივე ეს უდავოდ მიგვანიშნებს ავტორის ჩანაფიქრზე, რომელიც მის მოწინავე თვალსაზრისზე მიუთითებს.

განხილული პიესები მხოლოდ ნაწილია პ. კაკაბაძის დრამატურგიისა, მაგრამ ისინი განსაზღვრავს მწერლის შემოქმედების სახეს. ამითაც ნათელი ხდება, რომ პ. კაკაბაძის შემოქმედება მდიდარია თემატურად, ღრმაა შინაარსით, აქტუალურია პრობლემატიკით. მასში ერთნაირი ძალით არის ასახული როგორც ქართული ნაციონალური მასშტაბების საკითხები, ასევე ზოგადსაკაცობრიოც. ეს მასშტაბურობა, ცხადია, მწერლის შემოქმედების რეზონანსს აძლიერებს. მაგრამ არა მარტო თემატურ-შინაარსობლივი ნიშანი განსაზღვრავს პ. კაკაბაძის დრამატურგიის ხარისხსა და დონეს, არა-

მედ მისი შესატყვისი და ექვივალენტური მხატვრული ოსტატობაც, უფრო სწორად, ორივე ერთად. პ. კაკაბაძე ჩინებულად ფლობს დრამატურგიის კანონებს, ემყარება და იყენებს ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ მიღწევებს და ამავე დროს მათ ამდიდრებს საკუთარი, ორიგინალური ხერხებითა და ფორმებით. „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ ავტორისათვის დრამატურგია ის სტიქიაა, რომელშიც მწერალი საკუთარ საუფლოში გრძნობს თავს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პარტიის XXV ყრილობა თანამედროვე ეტაპზე მხატვრული ლიტერატურის ამოცანების შესახებ . . . 3
პარტიის XXIV ყრილობის სულისკვეთებით 43
პარტიის ზრუნვა ახალგაზრდა შემოქმედზე . 111
სად მზადდება მწერალთა ცვლა . 132
ხმად მღალადებლისა? 139
ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი წრთობის კერა 145
ახალი სახელი ჩვენს პოეზიაში 152
სულის ავტონომია „შუშანიკის წამებისა“ და ქართული მწერლობის ზოგი სხვა ძეგლის მიხედვით 161
ომისშემდგომი ქართული მწერლობა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ეკვსტომეულში 168
ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხისათვის 177
მიხეილ ჯავახიშვილი 181
სანდრო შანშიაშვილი 214
პოლიკარპე კაკაბაძე . 239

Кванчилашвили Тариэл Соломонович

Партия и литература

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1979

რედაქტორი ზ. კილაძე
მხატვარი ვ. გაბელია
მხატვრული რედაქტორი კ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი მ. ანუაშვილი
კორექტორი ნ. ჯაფარიძე
გამომშვები დ. იამანიძე

ს. ბ. № 1355

გადაეცა წარმოებას 19/IV-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII-79 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16.
საღრ.-საგამომც. თაბახი 14,16
უე 05996. ტირაჟი 2.000 შეკვ. № 465.
ფასი 1 მან. 00 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომი. თბილისი, № 4 სტამბა
380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4 Госкомиздата
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.